


ქვირის პალიტრა



№2(135) 9/1.-15/1.2003.

ფასი 60 თ.

F

აზარტის დამანგრეველი ქალა


ჩვეულებრივი სოლ-ქმრის პრაქტიკული დრამა

F 1224
2003

საქონლის-ვაჭრის სუბიექტის სუბიექტი — უსანახი გვერდები



ბესიკ კალანდიაძე — დაბრუნება სსენაზე 16 წლის შემდეგ



რაბოზ არ მონაწილეობდნენ „სუსიუვილები“ საახალწლო პროგრამებში



განტანგ ტატიშვილი:

**„კარგი ჭამა უყვარს. თუმცა, ნებისყოფას
გბქიყა აქვს. მაგალითად, გადაწყვიტა
ღიბის დასვა და შეასრულა კიდეც...
20 კგ დაიკლო... სხვათა შორის,
ნუგარ კვახაღს 15 იანვარს
51 წელი უსრულდება...“**

პვ. 4

მინიატურები	
შემწეობა „ქართულად“	3
კულინარი გათავისუფლები	
რამდენიმე ბლიც-ინტერვიუ „მესამე პირში“, ანუ უცნობი ცნობები ცნობილთა შესახებ	4
საუნჯე	
ნიმუ სუსიშვილი: „ყველა მოსეპყვავებული რაღაც ჩემი ნაწილია...“	6
სტორიები	
აგარტის დამანგრეველი ძალა - ჩვეულებრივი ცოლ-ქმრის არაჩვეულებრივი დრამა	8
პერსონაჟი	
ჩამოშლულბაში პრეტენდიული მათ ყველაზე კომფორტულად მანქანაში გრანობს თავს	11
კრიტიკალი	
ჯაიანის ცემას ოჯახის წევრები პოლიტიკას უკავშირებენ	12
ერთი კითხვა	14
აქვლა	
ნუცა უანუიშვილი ღოგის ხასხაში შექმრა და ოცნება აისრულა...	15
დეტექტორი	
რამ შეუშალა ხელი გურაბ ქაფიანიძეს პალაუშლების ხელში აღებაში	17
ბანტი	
ერთგული მკითხველი	19
სტენა	
16-წლიანი უსვენების შემდეგ, ბესო კალანდიაძე მსტრადას უბრუნდება	20
გზავრული	
პაპელა ანდერსონი - კრასნოდარას „სტენა“ ანუ XXI საუკუნის „იმერული ესკიზები“	22
უაგონოვით თქვენი მოცდა	
ტუსტი ერულიციაშვილი	23
ანტიფარსანტი	
ინფორმაციულ-შეფხვნიებითი კოლაჟი გოგა ღვალის შუბის წიგნაკიდან	24
საზღვრებს მიღმა	
ბოღბელი რეალი გერმანელს რადიოგადაცემით აშიარებს ქართულ კულტურას	24
ღვასსაული	
როსა ასვარეზაღ საახალწლო სუფრა იქცევა...	27
მოთავალი	
არაორდინარული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი. როგორ აღმოვაჩინოთ ტალანტი?	30
მასანისი გვერდები	
უშიდლისისა და უნებარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე	31
ბანუოგოლა	
„ახალ წელს ჩვენ უკვე მოგონებებით ვხვდებით...“	35

უშიდლისისა და უნებარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე



აღამიანის ცხოვრება გზასა ჰგავს, რომელიც შეიძლება იყოს მოკლე, ან ხანგრძლივად სასიარულო, მაგრამ ორივე შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ ეს გზა არ იქნება იოლად სავალი და მხოლოდ სიხარულის მიმნიჭებელი. არც იმას უნდა ვუფიქრობდეთ, რომ იგი იქნება აუგანლად მძიმე და დამთრგუნველი.

31


16-წლიანი უსვენების შემდეგ, ბესო კალანდიაძე მსტრადას უბრუნდება

მე ვიყავი ალბათ პაგარა კომედა, რომელმაც ჩაიქროლა და წავიდა... შოუბიზნესში მოვიდნენ აღამიანები, რომლებმაც გააბრუნეს ხალხი თავიანთი კლიპებითა და რეკლამებით. არის კარგი ნიმუშებიც, მაგრამ იმდენად ცოცხაა, რომ ჩვენთან პრაქტიკულად, ხელოვნება არ არსებობს...



20

ჯაიანის ცემას ოჯახის წევრები პოლიტიკას უკავშირებენ



უცნობს მანქანის გასაღები მოუთხოვია. ამაზე დიშას უკახუხია: ხომ იცი, მე ის კაცი არ ვარ, შენ გასაღები მოგცეო. ამასობაში მეორე უცნობი, ნილბიანი და ავგომბიანი, გამოჩენილა, მათთან მისულა და დიშასთვის უთქვამს: იარაღი მოგვეციო.

12

ნუცა უანუიშვილი ღოგის ხასხაში შექმრა და ოცნება აისრულა...

იანვარში, ამერიკაში გურნე აქვს დაგვევლი. ნიუ-იორკში სოლო კონცერტს ჩაატარებს. სცენა სულ მისი ნახატებით იქნება გაფორმებული და ამ ნახატებს შორის იმდერებს თავის სიმღერებს. ფოიეში კი, მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა.



15

ეკრან მიღმა	ოღრი ტოტუ: გოგონა დილის სიგმრებიან	37
პარსკვლავი	უაინონა რაილარი - მიგანმომართული ღვენის მსხვერპლი თუ ნამღვილი ბორბტომქველი	38
საფეხურთომ მინდვრებზე		41
რომანი	რუსულან ბერიძე, ქალური ინტუიცი ანუ ზინაიას ურთები (გაბრეკლევა)	42
განსაღვლი	ეს უნაური, სკორტის ვარსკვლავები	46
გეუმოგალი	რას მოანწავებს წლების მიღნაგე ნანახი სიგმრები	48
ზღაპარი	ასტრიდ ლინდგრენის „სიურპრიზი“	49
ავტო		50
სახლონო	რით გააოსა ქართველა მეთოქინეა ურანგი კოლევა	52
ექსპერიმენტი	კლასიკოსთა უოტროგობების გამომგეუტრება თაყვანისმცნეველთა პროტესტი გამომწვია	53
სენაშია	ერიკ როგერტსს უვიწლიანი პატიმროგა მიუსაჯეს	53
იქითური		54
ჯანმრთელოვა	<ul style="list-style-type: none"> ნებარების კორმონი 56 უახლესი გამოკვლევაების შედეგები 56 ხალსური მეღისინის რესეპტები 57 კვების ანბანი 58 ჯანმრთელოგის ელექსირი 58 კითხვა-პასუხი 59 	
უაოტრიტავი	ანა კურნიკოვამ სკორტული სქეს-სიგმროლს სახელი ახალი წლის კალენდრით განიგტკიცა	60
სანოტრი		61
კოროსკოვი	კვირის (13-19 იანვარი) ასტროლოგისური პროგნოზი	62
ტანტი	ხარით თუ არა ღინამიკური აღამიანი?	63
კალეიდოსკოვი	ჟრელ-ჟრელი ამბები	64

ტონა ასპარეზად სახსალწლო სუფრა იქმევა...



გამთენიისას, ისევ გორში დაბრუნდა ჩემპიონი - თუმცა, უნდა თუ არ უნდა, სადღესასწაულო განწყობილებას არ უნდა აპყვეს გიორგი: 15 იანვარს, მისი ინგლისელი მეტეჯერები ჩამოდიან და საუკეთესო სპორტულ ფორმაში თუ არა, გვარიანად ნავარჯიშევი მაინც უნდა დახედეს თავის „უფროსობას“...

27

აბორტინარული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი. როგორ აღმოვაჩინოთ ტალანტი?

როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენს პაგარას ჯერ არ გამოუმეღვენებია აშკარა ნიჭიერება? როგორ შევამჩნიოთ ტალანტი, რომელიც დაფარულია, რათა მას გაფურჩქვის საშუალება მივცეთ?



30

მიზანმიმართული ღვენის მსხვერპლი თუ ნამღვილი ბორბტომქველი



ვარსკვლავის წინააღმდეგ წარმოებული სიხლის სამართლებრივი ღვენის შესახებ არაერთი წერილი დაიბეჭდა. მაგრამ ბევრი სამხილი საკმაოდ მყიფე აღმოჩნდა, რამაც ბევრს აფიქრებინა, რომ უაინონა რაილერი მიზანმიმართული ღვენის მსხვერპლი აღმოჩნდა.

38

ქალური ინსუიკია ანუ ჭინძის თრობი


- აქ ეგეთი არავინ ცხოვრობს... მოიცა, მოიცა... გრძელიმვილი?... - როგორც იქნა, სახის ნაკვთები დაულაგდა ქალს. - ძლივს არ გავისხენე? შენ ნინი გრძელიმვილი ხარ, „არგისკვა“... არადა, კინაღამ ტვინი ვიღრძე, ეს ლამაზი გოგო სად მინახავს-მეთქი...



42

გარემანვა: გიორგი შურნაღის კოლეში
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნაღი „გზა“ გაიღლის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათოვით გავით „კვირის კალიტრის“ დამატება შურნაღი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყემულაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 შურნაღი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

შემწეონა „ქართულად“



საახალწლო-სახეიმო განწყობა ამ დღეებში ნაყოფიერი ღვინო-შამპანურივით ჯერ არ გამოჩნდება, ამას შობის დღესასწაული მოჰყვა და რა გასაკვირია, ისევ საღალღობო ტალღაზე რომ ვარ მომართული?

ჩემი წილი ახალი წელი მეც დავიყენე. ამ ჩემი „პროვოკატორობითაც“ და სხვა ჟურნალისტური მაქინაციებით ნაშოვნ-ნაგროვები 200 ლარით, ზედ 31 დეკემბერს, საღამოს მივადექი „დეზერტირების“ ბაზარს. იაფობა უკვე ამ დროს და თუ საახალწლო ფასმატებას გავითვალისწინებთ, იმის კვალობაზე, ერთში – ორი ვიყიდე (ჩემი ჭკუით). საშუალოზე საშუალო ახალი წელი დავიყენე, რომ იტყვიან – არც აქეთ და არც იქით... ალბათ ასე, უბრალოდ შეხვდა ახალ წელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი – ღარიბული სუფრითა და დიდი მიძევებით.

მოვიახალწლო, მივიღხინე და ერთ-ერთ „პანმელიაზე“, ძველი გაზეთების თვალთვლება დავიწყე. საახალწლო სუფრასავით „ნუგბარი“ თემატიკით აჭრელებულიყო პრესა. ერთი სტატია გამეჩხირა თვალში (მერე ყელში). წავიკითხე და გული მომიკვდა – სულ ძმრად მედინა მთელი საახალწლო-საშობაო დროს ტარება.

ჩვენი ქვეყნის მომავალზე მზრუნველი ჩინოვნიკები საახალწლო ბიუჯეტს თურმე წინასწარ ადგენენ, რამდენიმე თვის დანაშოვს ზოგი ყელბაში, ზოგი მუთაქაში და მავანი – ცოლის ბიუსტ-ჰალტერში აქუჩებს, იმ იმედით, რომ ამ ერთ დღეს მაინც გაიძღობს მთელი წლის მანძილზე ნამიმძლარ კუჭს.

ლამის იყო, ინფარქტმა დამარტყა, როცა შევეტყვე, რომ ჩვენს ერთ-ერთ მინისტრ ქალბატონს საახალწლოდ, 100 ლარი დაუხარჯავს – ე.ი. იმის ნახევარი, რაც მე. მეორე ჩინოსანს ჩემთან შეტოქება გადაუწყვეტა – 200 ლარზე მეტი ვერ გამოვიწერე ოჯახს, ძალიან მიჭირსო. ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პროკურორს 600 ლარი დაუხარჯავს – ჰოდა, ამ „რეიტინგში“ ის პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ასეა თუ ისე, „პატალოკი“ 600 ლარია – აი, როგორ უჭირთ ჩვენს ჩინოვნიკებს.

ხომ გითხარით, გული მომიკვდა, როცა წარმოვიდგინე, იმ ჩვენი ქალბატონი მინისტრის ოჯახის წევრები, გამეჩხრებულ 100-ლარიან საახალწლო სუფრასთან საცოდავად მსხდომნი...

ამ დროს, პროვოკატორი ჟურნალისტი (მე არა) კი, გამოდგებიან და ყვირიან – მავთ დააქციეს ქვეყანა, მავანი ახალ წელს 500-დოლარიანი შამპანურების ბათქაბუთიქით შეხვდა, „პანმელიაზე“ კი, ზღვის კუს მწვადით გამოვიდაო. არადა, უჭირს ამ ხალხს, ნამდვილად უჭირს.

თბილისში კი, რა ხდებოდა ამ დროს? სახე იყო პრესტიჟული ბარ-რესტორნები ჩვენი ე.წ. საშუალო ფენითა და უბუშუბარი ხალხით. რესტორან „თეთრი სახლის“ 48 ნომერი „მარშრუტის“ მძღოლებს დაუხურავთ (მარტო პირველ სართულზე, თორემ, მეორეზე, 18 ნომერი, ავტობუსის მძღოლებს დაეკავებინათ). „მარკო-პოლოში“ – ელიავას ბაზრობის „შაბანეკებს“, ძირითადად „მალაიარებს“ მოეყარათ თავი და ქართველი ვარსკვლავ-მომღერლები შაბამად გადაყრილი 100-დოლარიანების მოხვეტას ვერ აუდიოდნენ. თბილისის მწვისქვეშა გადასასვლელების მათხოვრების მავნის „ბერიკონში“ მოულხენია, ვინც იქ ვერ დატეულა (ბევრნი არიან!), „მერიტში“ წასულან და იქ უტარებიათ „ქართულ-ევროპული“ დრო. ვაგზულად მეკურტნეებს დამიხვდე ერთი! – მეკურტნეები ვართო და ერთ-ერთი თბილისური, ძალიან პრესტიჟული კლუბის პრეზენტაცია აურჩევით – აქაოდა,



ბრაზილიელი მომღერალ-მოცეკვავეები ლამაზად იქნევენ კურტუშებსო... არადა, ერთი ჩემი ნაცნობი ბიზნესმენი ვერ შესწვდა ამ კლუბის საახალწლო სიძვირეს: ბილეთი 300 დოლარი ღირებულა.

მეორე დღეს უნდა გენახათ – „პეროვსკიას“ ქუჩაზე „მარშრუტების“ ტევა არ იყო: გადაჭვილია იქაური ბარები, ზემოთ რომ ვიქვით, იმ პატივცემული საზოგადოებით, ოხრად დაღუულა ირლანდიური ვისკი თუ ფრანგული შამპანური.

შენ მათხოვრები უძახე! ეგენი კი არა, ჩვენი მინისტრ-დეპუტატები არიან მათხოვრები, სამსახურსა და საქვეყნო საქმეებს გადაჰყვენ და ცოლ-შვილი საახალწლოდ „სუხოი პაიოკზე“ დასვენს. ეს სწორედ ის 10 პროცენტია საქართველოს მოსახლეობისა, ამ ლამაზ დღესასწაულს მუდამ სიღატაკში რომ ხვდება...

P.S. ერთ ანეკდოტსაც ვეტყვით და მოვრჩეთ:

ჭიჭიკია საახალწლოდ, ამერიკაში წავიდა, დარჩენას – ემიგრანტობას აპირებდა, მაგრამ ერთ კვირაში დაბრუნდა ქუთაისში – ახალი „კალიდაკით“, ბანკში ფულით და „ზმანებით“. ბიჭიკია გადარია:

– ჭიჭიკია, რაია აგი? – შიშველ-ტიტველი გაგიშვი ქუთაისიდან და ერთ კვირაში რაფრა შავი დელალივით „გაკეთებული“ დაბრუნდი? ამბობენ, შამაშვილსაც კი ამაღლის საღამსო.

– ამერიკაში რომ ჩვევდი, ჩემო ბიჭიკია, პირდაპირ თეთრ სახლს მივადექი. შევადღეე რავარც იქნა ეზოში. ბალახია თეთრი სახლის ეზოში – ტარხუნა მიმიქარავს! ვეტაკე ამ ბალახს და დოვუწყე ჭამა. ამ დროს გამევიდა ვოროჯ ბუში-პაწია. კახელა ვძოვე აბიბინებულ ბალახს და დამინახა ამ დროს ბუშმა. რას შობი, ბიჭო, ჭიჭიკიაო? – გაღვირია. – საჭმელი არ მაქვს, ძამია და აბა, რა ვქნა-თქვა? – ვუთხარი. შეწულა კაცი. ამ საახალწლოდ, ეს მინდა ახლა? დამეხვევა ასობით რეპორტიორი და ატყდება სკანდალი – ჭიჭიკია თეთრი სახლის ეზოში ბალახს ჭამდაო!.. დოვძახა თავის ბიჭებს და დოუცაცხანა: მიხედეთ ამ კაცსო! გადაამყენე, ბიჭიკია, ამერიკელები. იქანე მარუქს ყველაფერი, რაცხა მაპადაია...

დაუჯდა ეს ამბავი ბიჭიკიას ჭკუაში: რა იცი, ეგებ მეც მეშველოს რამეო, – და საშობაოდ, თბილისში ჩამოვიდა. მეზავრობისას შემორჩენილი ბოლო თეთრებით, ნაცნობი ქუთათურებისგან მწვანილი იყიდა, ჩაიღო ჯიბეში და დილაუთენია, სახელმწიფო კანცელარიის იმ შესასვლელთან დაჯდა, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტი ვერანაირად ვერ აუქცევდა გვერდს.

შედის შევარდნაძე დაცვის თანხლებით შენობაში და წინ ბიჭიკია შეეჩეხა – ჩაუბლუჯავს ორივე ხელით მწვანილი და წიწვნის კბილებით. გაოცდა ბატონი პრეზიდენტი:

– რას შევბი, შე კაცი, რას ჭამ?
– შშია, ბატონო, საჭმელი არ მაქვს და რა ვქნა, მწვანილის მეტს ვერაფერს შესწვდა ჩემი ჯიბე და ამით ვატყუებ კუჭს, – შესტირა ქუთათურმა. პრეზიდენტმა „თბილად“ გადასვია ხელი ბიჭიკიას და მამაშვილურად დაარია:

– ახლა ზამთარია, ბიძა და ცოლდაც ეგ ქორფა მწვანილი, რომ შეექცევი. ზამთარში თივა უნდა ჭამო. გამოიზამთრებ და მაგ მწვანილზე გაზავხულიდან გადადი – უფრო იოლად გაიტან თავს...

პრომოკაბორი

რამდენიმე ბლიც-ინტერვიუ „მესამე პირში“, ანუ უცნობი ცნობები ცნობილთა შესახებ

სწორედ ახალ წელს შეუძლია იმ სიხარულის მოტანა, საგულდაგულოდ გამოინაცვულ ცხვირსახოცს რომ გაგახსნევენ და შავი დღისთვის გადანახულ „ორ კაპიკს“ „თეთრად“ დაგახარჯენინებს — რას იზამ? ტყავიც რომ გაიძრო, კარგად უნდა დახვდე ახალ წელს. პოდა, ინყება საზეიმო ფაციფუცი, ოღონდაც კი, ღამის 12 საათზე მოსასვლელ 36ნ-დღიან „სტუმარს“ სუფრა მოეწონოს და ბედნიერი ფენი შემოდგას სახლში..

და თუ იმ გამოინაცვულ ცხვირსახოცს ყულაბის გატენვისას დაცვენად ხურდებხაც

დაუმატებ, შეიძლება მარტო დიასახლისის მარჯვე ხელი აღარ იკმაროს და მამაკაცსაც გაუჩნდეს კულინარიული ოსტატობის დემონსტრირების შანსი.

ვალღარებ — ცოტა გავკადნიერდი, რამდენიმე ისეთ ოჯახში შევიხედე, სადაც შედარებით ტყვადი „ცხვირსახოცები“ მეგულეობდა და პოპულარულ მამაკაცთა „დიასახლისობის“ უნარიანობით დაგინტერესდი. საჭირო ცნობები კი მესამე პირის — მათივე უახლოესი ადამიანების წყალობით მოვაგროვე.

აკიო მარბველაშვილი

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

— ... მეც გილოცავთ! ვისმენტ...

— ბატონო ჰამლეტ, რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს თქვენთან ინტერვიუ, არ ვიცი, ცდილობთ თუ ბუნებრივად გამოგდით, ყოველთვის ასლან აბაშიძემდე მიგყავთ საუბარი (იციინის). ამჯერად არ დაგჭირდებათ რიტორიკული ლავირება, რადგან სწორედ ბატონ ასლანზე მინდა გესაუბროთ.

— სიამოვნებით!..

— რამდენად ჭამა-სმის მოყვარულია ბატონი ასლანი და როგორ ვრკვევა კულინარიაში?

— მასთან, ქართული ვაგებით, მას თავისებური მიდგომა აქვს: რამდენიმე ჭიქას დალევს, რომ კარგ ღვინოს გემო გაუგოს. უპირატესობას „ჩხავერს“ ანიჭებს. რასაც ჰქვია მართლა კარგი ღვინო, სწორედ ბატონ ასლანთან დამილევა. იგი ამ საკითხს, როგორც ბევრ სხვას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ახლაც მიმდინარეობს „ჩხავერის“ და ვაზის სხვა უნიკალური ქართული ჯიშების აღორძინება(!) და საუკეთესო ტექნოლოგიების დანერგვა.

— ისევ „აღორძინებამდე“ მისვლით... სხვათა შორის, ბატონ ასლანს კულინარობასაც უქებენ...

— ძალიან კარგი კულინარია. სშირად გაგმასპინძლებია მასთან სტუმრად მისულებს, საკუთარი ხელით მომზადებული კულინარიული შედეგებით. აქვს იმპროვიზაციის უდიდესი უნარი და საკუთარ რეცეპტებსაც ფლობს.

— მაგალითად?..



ასლან აბაშიძე

— მაგალითად, ავიკის ტიპის საწებელი: წინააღმდეგ გამოფხეკს გულს, რაღაცას ახეხავს, ურევს, ანელებს და არნახულ გემოს აძლევს. ასევე მჭადი, რომელსაც იგი აცხობს. მოგესვენებათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი მჭადი იკვან: კეცზე, ტაფაზე, ან ხეთიანი კოკრები. გურიაში კი დიდი ზომის მჭადს აცხობენ, რომელიც სშირად ბოლომდე ვერ ცხვება და გულში ცომი რჩება.

— ... მერედა როგორია აბაშიძის „საფირმო მჭადი“?

— ხომ გინახავთ ნამცხვარი „ტრუბოჩკა“? აი, ისეთი ფორმის მჭადს აცხობს — უგემრიელესია! აქვს ასევე წვნიანის საკუთარი რეცეპტი: ისმება არა ღრმა თევზზე, როგორც ჩვეულებრივი „სუპი“, არამედ მოზრდილ ჭიქებში. ციტრუსებისაგან ამზადებს სასმელს, რომელიც ჭამის შემდეგ უნდა მიირთვა ჩაის ნაცვლად. ნამდვილი ელექსირი აი, ის არის.

— ძალიან საინტერესოა, სიამოვნებით გავსინჯავდი! იქნებ როგორმე

თან მიახლოთ მასთან ვიზიტისას?..

— კი, ბატონო!

საცილი ვოგვიპერიძე:

— ამ სახალწლოდ იმდენ ყურნალისტს ვესაუბრები, რომ სამუშაო დღის ნახევარი ინტერვიუს მიცემაზე მესარჯება...

— ახლა საკმაოდ გვიანია, ქალბატონო სესილი, ასე რომ, სამუშაო დროს არ გაკარგვინებთ. ბატონ ზაზაზე მინდა გესაუბროთ...

— სიამოვნებით.

— სად და ვის კომპანიაში აღნიშნავს ზაზა შენგელიას ოჯახი ახალ წელს?

— ამ ბოლო დროს — შინ. თუმცა, სშირად ხდება, რომ ტელევიზიის თანამშრომლებთან ერთად ვხვდებით.

— როგორი კულინარია თქვენი მეუღლე?

— (იციინის) არავითარი შეხება არა აქვს კულინარიასთან. მხოლოდ რაღაც შტრიხები შეიძლება შემატოს სუფრას.

— რა ამშვენებს ხოლმე თქვენს საახალწლო სუფრას?

— ხაჭაპური, საცივი, გოჭი, გოზინაყი.

— და რა შტრიხებით ალაპამაზობთ?

ზაზა შენგელია



ზებს ხოლმე ბატონი ზაზა ამ ისე-დაც დიდ სილამაზეს?

— შებოლილი რამეებით — ლორით, თევზით, ზეთისხილით... საყოფაცხოვრებო საკითხებში არ ერევა. №1 საზრუნავია შვილი, რომელიც ახლა აქ არ არის.

— ბატონი ზაზა რომ თქვენზე ადრე დაბრუნდეს შინ მშვიერი, რას მოიზაადებს?

— ასეთი რამ არ ხდება, რადგან დედაძისი სულ სახლშია და ამ საქმეს ბრწყინვალედ აგვარებს. თუ მსგავსი რამ მაინც მოხდა, არაფერი გეტკინოთ, იმან რამე არ გააკეთოს... დაჯდება და დაგველოდება.

— რამდენად კოლეგიალურია, როგორც მეუღლეს?

— ცოლათი უყვარს თავისი პრინციპების გატანა. თუ მაჩნია, რომ „ეს ასეა“, ძნელია მასთან კამათი, მაგრამ ძალიან ერთგულია საქმის. საქმეზე წინ არაფერს აყენებს. რაიმე პროექტი რომ აქვს განსახორციელებელი, იტყვის — „ამა და ამ რიცხვამდე არაფერი მკითხოთ!“ მასთან საუბარი, ჭიდილიც კი, ყოველთვის საინტერესოა და სასიამოვნოც.

— როგორ ფიქრობთ — რა არის უფრო ძნელი — იყო ზაზა შენგელიას ცოლი თუ სესილი გოგიბერიძის ქმარი?

— (იცინის) ჩემთვის არ არის ძნელი ზაზას ცოლობა და ისიც მშვენივრად გრძნობს თავს ჩემი ქმრის ამპლუაში — ჩვენ ხომ სიყვარულით დავკორწინდით. არასოდეს ყოფილა ეჭვიანი, სძითა და ქვიფით გატაცებული. თუმცა, სიმართლე გითხრათ, დიდი მეოჯახეც არასოდეს ყოფილა...

ვასტანგ ტატიშვილი:

— ე.ი. მაგის მაგივრად მომიწევს ლაპარაკი, არა?.. კეთილი, ავიტან.

— ალბათ თქვენზე კარგად არაფერ იცნობს ნუგზარ კვაშალს. რას იტყვით მის კულინარიულ ოსტატობაზე?

— არცთუ ისე კარგად ერკვევა კულინარიაში. სამაგიეროდ, მაგარი გურმანია! კარგი ჭამა უყვარს. თუმცა, ნებისყოფაც მტკიცე აქვს. მაგალითად, გადაწყვიტა დიეტის დაცვა და შეასრულა კიდეც. ცოლტას ჭამდა, პური, ცომეული და სასმელი საერთოდ ამოიღო რაციონიდან და 20 კგ დაიკლო. მარხვის შენახვა ხომ იცით, რა არის? — არ უნდა გაეკარო ყველს, კარაქს, ხორცს...

— მარხვის შენახვა ქალის გაკარებაზე „ტაბუს დადებასაც“ გულისხმობს, ბატონო ვასტანგ...

— ესეც შეუძლია. ძნელია, მაგრამ შეუ-



ნუგზარ კვაშალი

ძლია. ხომ გითხარით — ნებისყოფა აქვს მეთქი!

— ალბათ ახალ წელსაც ბევრჯერ შეხვედრიხართ ერთად...

— მასსოვს, ერთხელ, პერუში ვიყავით გასტროლოგზე და საბჭოთა კავშირის საელჩოში შეხვედით ახალ წელს. სამჯერ აღვნიშნეთ: ჯერ თბილისის დროით, მერე — მოსკოვის და ბოლოს — პერუს დროით.

— მოკლედ დაახასიათეთ ნუგზარ კვაშალი, როგორც პიროვნება.

— ძალიან კეთილია და პასუხისმგებლობით, ერთგულებით გამორჩეული.

— ანუ „მთავარია სამი რამე დედამინაზე:

სიყვარული, სიკეთე და სილამაზე“, არა?

— ნამდვილად. ასეთ ხალხს დღეს ჩვენს ქვეყანაში ხშირად უჭირს ხოლმე. ყოველთვის არ არის ყველაფერი ისე, როგორც გინდა. ახლა ნუგზარი მოსკოვშია წასული ცოლტანით. სხვათა შორის, 15 იანვარს 51 წელი უსრულდება და თქვენი ჟურნალის საშუალებითაც მინდა მივულოცო, თორემ, პირადად ისედაც მივულოცავ.

ბურანდა ბაბუშია:

— ახალ წელს ყოველთვის ოჯახში ვხვდებით ხოლმე, მთელი შემადგენლობით.

— საქმელების მოზადება თუ ეხერხება ბატონ ოთარს ან თუ გენმარებათ მაინც?

— არაფერი არ იცის მაგ საქმის. გამზადებული უნდა მართვა მხოლოდ. ძალიან უყვარს ღობი და ბაყე, ამიტომ, ახალ წელსაც უსათუოდ ვამზადებ.

— თქვენი გავლენა ხომ არ იგრძნობა მენუის შერჩევასა?

— რა თქმა უნდა!

— რით იყო 2002 წელი გან-

ოთარ მეღვინეთუხუცესი

საკუთრებული ოთარ მეღვინეთუხუცესისათვის?

— ოთარმა ორი პრემია მიიღო რუსეთში — ჩეხოვის „ჩაიკა“ და „კუშირი“. დაუვიწყარი საღამო მოგვიწვევს მოსკოვში...

— საერთოდ, თუ დარჩა რაიმე პრიზი ან პრემია ასაღები?

— არაფერი — თუ „ოსკარს“ არ ჩავთვლით.

— შეგიძლიათ გაგვანდოთ თქვენი ოჯახის სანუკვარი საახალწლო ოცნება?

— იყოს მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში, კარგად გვკავდეს ჩვენი შვილი, სიძე, შვილიშვილი და კიდევ ერთი, რასაც ჩემთვის, მაღლულად გულში ვინახავ: სოსუმში ჩასვლის ნატვრა...

— დაბოლოს, ქალბატონო გურანდა, როგორ ფიქრობთ — სერიალი, რომელიც ქრონიკულ „ძილის წინადა“ გადაიქცა, ქრონიკულად დასაძინებლად ხომ არ გვამზადებს?

— არა, რას ბრძანებთ?! პირიქით... ჩემი აზრით, ეს ის 13 წუთია დღეში, რომელიც ალვიძებს და მხიარულ ფერებს მატებს ჩვენს ცხოვრებას...

P.S. როგორც თავად ნახეთ, მამაკახთა აბსოლუტური უპრავლელობა სამზარეულოში შესაშვები არ არის. იმ ვილძისა არ იყოს: „მჭაღს, თუ დაგვჭირდა, ჩვენც კი გამოვაცხობთ!“ — მაგრამ მზონი, მართლა სჯობს, ნაკლებად იტვირთოს ქალის ფუნქციები ოჯახის უფროსმა, თორემ ხომ გახსოვთ:

— „ამა, შენ, იცი, ტრიფონია! ამ სახლში ახლა, კაცოც შენ ხარ და ქალიც“ — ანდერძად დაუბარა მშვენიერმა მარგალიტამ ქმარს და „წმინდა პორფილეს ხატზე დასაფიცებლად“, ტუნურელ ერთაოზს გაჰყვა ცაში...





ლეგენდარული „სუხიშვილების“ ანსამბლი პოპულარობას არ თმობს. როგორც იცით, ის ცოტა ხნის წინ დაბრუნდა აშშ-დან, სადაც 74 კონცერტი გამართა. ანსამბლის დირექტორის მოადგილე, ლეგენდარული ბებიის მოსახელე, ნინო სუხიშვილი (ანუ, როგორც მას ახლობლები ეძახიან — ნიანუ), მოუცვლელი მიუზედავად, ინტერვიუზე დაგვთანხმდა და ამერიკაში მიღწეული ახალი წარმატების გარდა, ანსამბლის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც გვესაუბრა. თუმცა, თავდაპირველად, მისი სახელოვანი ოჯახისა და ბებია-ბაბუს შესახებ დავუსვით რამდენიმე კითხვა.

ნინო სუხიშვილი:

ყველა მოცუკვავეში ჩაღაც ჩემი ნაწილია...

ნათია ქივიცა

— გადმოცემით ალბათ გეცოდინებათ, სად და როგორ გაიცინეს დიდმა ნინომ და ილიკომ ერთმანეთი?

— ნინომ დაამთავრა პერინის საბალეტო სტუდია, რის შემდეგაც, საბუღალტრო მივიდა ოპერაში. ამ დროს, ოცდაერთი წლის ილიკო უკვე სოლისტი მოცუკვავე და ოპერის მთავარი ქორეოგრაფი იყო, დგამდა ცეკვებს ოპერებში — „დაისი“, „ბესალომ და ეთერი“ და ა.შ. სწორედ ამ საქმეებში მოუხდათ ნინოს და ილიკოს ერთად „ქართულის“ ცეკვა. პარტნიორები გახდნენ, როგორც სცენაზე, ასევე — ცხოვრებაში. სხვათა შორის, გარკვეული ხანი, ჯაზ-ორკესტრშიც მუშაობდნენ, სადაც ცეკვავდნენ: „ქართულს“, „ტანგოს“, „რუმბას“, „მთიულურ“ ცეკვებს. მათ შორის იყო „ილოური“, რომელსაც ილიას გამო დაერქვა ეს სახელი და ჩვენ ახლა, ამ ცეკვის რემიქსი შევქმენით.

— იმ დროს, ალბათ ადვილი არ იქნებოდა ანსამბლის ჩამოყალიბება...

— ეს იყო ილიკოს ოცნება, მაგრამ მაშინ, ეს არარეალურად ითვლებოდა, რადგან ანსამბლის ოფიციალურად გაფორმება მართლაც, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ომის შემდეგ, 1945 წელს, მათ ეს მაინც მოახერხეს. თავდაპირველად, ძალიან მცირე ჯგუფი ჰყავდათ, რადგან მაშინ, ძალიან ცოტა იყო მოცუკვავე, რაც იმის მიმანიშნებელია, თუ რამხელა პოპულარიზაცია გაუწვია ანსამბლმა ქართულ ცეკვას და რა ევოლუცია განიცადა მან ამ წლების მანძილზე. დღეს მთელი საქართველო ცეკვავს. ვერც კი ჩამოვთვლი, რამდენი ანსამბლი და სტუდია არსებობს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ნინოს და ილიკოს დამსახურებაა. 1946 წელს, ისინი წავიდნენ რუსეთში, რადგან მაშინ აუცილებელი იყო, რომ პროგრამა მოსკოვში დაეტეციებინათ. 1948 წელს კი, პირველად აიხადა „რკინის ფარდა“; ქართული ცეკვა პირველად გავიდა საზღვარგარეთ და ის მთელმა მსოფლიომ აღიარა. იმისათვის, რათა პრობლემები არ შექმნოდათ, ილიკომ ავტორობაზეც უარი თქვა და თავის მიერ დადგმული ცეკვები ხალხურად გამო-

აცხადა...

— რა განსხვავებაა დიდი ნინოსა და ილიკოს ანსამბლსა და ახლანდელს შორის?

— განსხვავება, რა თქმა უნდა, არის. დრო წინ მიდის, თაობები იცვლება, ყველაფერი ვითარდება. ძალიან სწრაფი ევოლუცია განიცადა ქართულმა ცეკვამ და გართულდა ბევრი ილეთი, ტემპი მოემატა. მიხარია, რომ დღეს, ჩვენდა უნებურად, ვიმეორებთ ისტორიას: რასაც ახლა, ილიკო-უმცროსი დგამს, ფაქტობრივად, ძველის გახსენებაა. ამასთანავე, ვინარჩუნებთ სტილს, რადგან მყურებელი უნდა ცნობდეს სუხიშვილების ანსამბლს. დიდ შეურაცხყოფად ვიღებ ხოლმე, როდესაც ვინმეს, სხვაში ვეშლებით...

— როგორ ფიქრობთ — ქალბატონი ნინო ცოცხალი რომ იყოს, მოწონებოდა ანსამბლის ახალი პროგრამა?

— ნინო მოესწრო ახალ პროგრამას: მის ოთხმოცდაათწლიან იუბილეზე პირველად გამოვიტანეთ ახალი ცეკვა — „ზეკარი“, რომლის რეპეტიციებსაც თავად ესწრებოდა



და ძალიან მოსწონდა. ეს იყო ილიკო-უმცროსის საიუბილეო საჩუქარი ბებიისადმი. ნინო ბუნებით ნოვატორი იყო. თვითონაც უყვარდა რაღაც ახლის მოფიქრება და შეცვლა. ასე რომ, ჩვენ მის ანდერძს არ ვარღვევთ — პირიქით.

— ამერიკელი მაცურებელი როგორ შეხვდა თქვენს ახალ პროგრამას?

— საოცარი აღფრთოვანებით. ისეთი წარმატება გვექონდა, რომ ხანდახან ყურები გვეფუდებოდა ყვირილისა და შემახილებისგან. საერთოდ, ჩვენი ანსამბლი ძალიან განებიერებულია პოპულარობით, მაგრამ ეს ჩვენთვის სხვანაირი სინარულის მომტანი იყო, რადგან ახალი პროგრამა გვექონდა. სხვათა შორის, ზოგიერთებს ჯორჯიის შტატის ანსამბლი ვეგონეთ. ყველა კონცერტზე, ბოლო ცეკვას — „საჯილდაოს“ მოცეკვავეებს ორ-ორჯერ ასრულებინებდნენ. ახალი პროგრამის ასეთი აღიარება ჩვენთვის დიდი ჯილდოა.

— რით გამოირჩეოდა ახლანდელი გასტროლი სხვა გასტროლები-სგან?

— გამოირჩეოდა იმით, რომ აქამდე, მხოლოდ დიდ ქალაქებში გვიხდებოდა გამოსვლა, ახლა კი, ოცდაშვიდი შტატის ორმოცდათერთმეტ ქალაქში ჩავატარეთ კონცერტები. მთელი ეს მოგზაურობა ავტობუსით შედგა. 33000 კილომეტრი გავიარეთ. კიდევ ერთხელ გავაცანით ამერიკას საქართველო.

— ქართულ დიასპორასთან თუ გქონდათ შეხვედრები?

— რა თქმა უნდა! ქალაქი არ იყო, რომ ქართველი არ მოსულიყო. ერთ-ერთ ქალაქში ჩვენთან მოვიდნენ ამერიკელები, რომლებსაც ქართველი ბავშვები ჰყავდათ ნაშვილები. კი არ ეუბნებიან — ამერიკელები ხართო, პირიქით — ქართველებად ზრდიან და ჩვენი საშუალებით, ქართული ფოლკლორიც გააცნეს.

— ანსამბლში საოჯახო წევილები თუ გყავთ?

— ძალიან ბევრი წყვილი გვყავს და ეს ბუნებრივიც არის: როდესაც სამი-ოთხი თვე ერთად არიან, ოჯახები იქმნება. საერთოდაც, ანსამბლში უფრო მეტ დროს ვატარებთ, ვიდრე ოჯახებში. აქედან გამომდინარე, არც არის გასაკვირი, რომ ანსამბლის წევრებს შორის გრძნობა გაჩნდეს.

— სხვა ანსამბლებს თუ აქვთ უფლება, თქვენი ახალი პროგრამის ნომრები შეასრულონ?

— უფლება არა აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ესეც ხდება ხოლმე. თუმცა, შეიძლება იცეკვონ, ოღონდ — უნდა აღნიშონ, რომ ეს ცეკვა ილიკო სუხიშვილის დადგმულია.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ სუხიშვილებს ანსამბლში და სუხიშვილებს — ოჯახში?

— ანსამბლი იგივე ჩვენი ოჯახია, ამიტ-

ომ შინაც ძირითადად, სულ ანსამბლზე ვსაუბრობთ, ვკამათობთ. ოჯახის ყველა წევრი აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. თუმცა, საბუნდობოდ, უფრო ხშირად, ჩვენი შეხედულებები ემთხვევა. მთავარი მაინც კაცია და საბოლოო გადაწყვეტილებას, როგორც წესი, ილიკო იღებს ხოლმე.

— ახლა თუ გაქვთ ანსამბლში მიღება და რა წესით ხდება იგი?

— მიღება ყოველთვის გვაქვს. მოცეკვავეს რამდენიმე თვე, გამოსაცდელი ვადა აქვს: თუ ჩვენი სტილი აითვისა, რჩება, თუ არა — თვითონვე მიდის. საბავშვო სტუდია არ გვაქვს და მე და ილიკო გაზაფხულისთვის ვაპირებთ გახსნას. ჩვენს მოცეკვავეებს აქვთ სტუდიები და წრეები, მაგრამ გვინდა, რომ ანსამბლის ბაზაზე არსებობდეს ნამდვილი „სუხიშვილების სტუდია“.

— როგორ დაახასიათებდით ილიკოს ასულს — პატარა დარიას, როგორც მოცეკვავეს?

— დამამ იცის აბსოლუტურად ყველა ილეთი და უკვე ძალიან კარგად ცეკვავს. თუ ვივარაუდებთ იმას, რომ ჩვენი ოჯახის ქალები ძალიან აქტიურები არიან, დარიას დიდი მომავალი აქვს...

— როგორ და რატომ დათმეთ ცეკვა და გენატრებათ თუ არა სცენა?

— ძალიან მენატრება სცენა, მაგრამ მოცეკვავის ცხოვრება ხანმოკლეა, არ შეიძლება სიბერემდე ცეკვა. მე, ფენის ტრავმის გამო, ცოტა ადრე მომიწია სცენის მიტოვება. ამერიკაში 74 კონცერტს ვუყურე კულისებთან და არ მომეზრებია. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს სცენაზე ვვარდებო, რადგან მგონია, რომ ყველა მოცეკვავეში რაღაც ჩემი ნაწილია...

— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ თავს არიდებთ ჟურნალისტებთან შეხვედრას. რა არის ამის მიზეზი?

— ვერდიები იმ ჟურნალისტს, რომელიც უხერხულ კითხვებს მისვამს. საჭიროდ არ მიმჩნია, რომ პრესაში ვისაუბრო საკუთარ თავსა და პირად ცხოვრებაზე. შეიძლება, ეს ვიღაცას აინტერესებს, მაგრამ ჭორები, რომელიც იბეჭდება ხოლმე, არ მომიწონს.

— ჭორო, რომელმაც ყველაზე მეტად გატკიანათ გული...

— არ მახსოვს ერთი ასეთი ჭორი: ჩვენზე იმდენი ილაპარაკეს, რომ უკვე დავიბენი. თუმცა, ამაში ალბათ რაღაც დადებითიც არის — ე.ი. საზოგადოებას ვინტერესებთ.

— როგორია სუხიშვილების ანსამბლი და ოჯახი გვანცა შერგილაშვილის გარეშე?

— ძალიან ცუდად ვართ. არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენი ოჯახი სრულყოფილად ბედნიერი აღარასოდეს იქნება. მოხდა



ნინო და ილიკო სუხიშვილები

ტრავმულია, რომელზე ლაპარაკიც კი ძალიან ძნელია და ამას დრო ვერ უშვებულს.

— ვიცი, რომ ილიკო მკაცრია ანსამბლის წევრებთან. როგორია ის შინ?

— არ ვიცი, ილიკოს ასეთი იმიჯი რატომ აქვს. ის თავს არიდებს ჟურნალისტებს, რადგან მიჩნია, რომ მთავარია საქმის კეთება, ჩვენება და არა ლაპარაკი... მკაცრი არ არის, ძალიან რბილია. მკაცრია სამსახურში — სხვანაირად შეუძლებელია.

— მიზეზი, რის გამოც ანსამბლის წევრებს უყვირთ...

— ძალიან ბევრი მიზეზია, ამის ჩამოთვლა შეუძლებელია. ძირითადად, სულ ვყვირი. ილიკო არასოდეს ყვირის. მისი ერიდებათ და დიდ პატივს სცემენ. ძნელია, ბავშვმა თორმეტი წლის ასაკიდან იმუშაოს ამხელა კოლექტივში, იყოს განებიერებული შვილი, შვილიშვილი და არაფერი შეეშალოს და ასე უყვარდეს ყველას...

— რა გვგებები გაქვთ უახლოეს მომავალში?

— თებერვლის ბოლოს, დიდ საკონცერტო ღარბაზში გავმართებ კონცერტს. იანვარში გვინდოდა, მაგრამ საცეკვაო კოსტიუმები გემით გამოვგზავნეთ და ჯერ ისევ გზაშია. 4 მარტს, ორი თვით მივემგზავრებით ავსტრალიაში.

— კიდევ რაიმე სიახლეს ხომ არ ჰპირდებით თებერვალში ქართველ მაცურებელს?


— ახალ პროგრამას დახვეწა სჭირდება. რაღაც-რაღაცები იცვლება. პარალელურად, იქმნება ახალი კომპოზიციები. ჭაბუკა ამირანაშვილთან ერთად ვმუშაობთ ახალ მუსიკაზე. ზუსტად როდის წარმოვადგინთ ამას, ვერ გეტყვით.

— რატომ არ მონაწილეობდით რომელიმე საახალწლო ტელეპროგრამაში?

— უარი ვუთხარი ყველას, რადგან ჩვენი კონსტრუქციები კვლავ გზაშია. ამის გამო, ძალიან დამწყდა გული...

აზარტის დაზარალებული კალა

ჩვეულებრივი ქოქოსის მოსიყვარულნი ვართ



მარი ჩაშარიძე

— მანანა, მოდი თავდაპირველად შენი ოჯახის შექმნის ამბავი მომიყვივი...

— უსიყვარულოდ გავთხოვდი. სამაგიეროდ — ორიგინალურად. 1977 წელი იყო, 15 წლის ვიყავი. ზაფხულის არდადეგებზე (მე-10 კლასში გადავიდი) რაჭაში, ბებიას ვეწვიე. ყოველთვის ძალიან მომწონდა დედულეთში სტუმრად ყოფნა. ბებია სულ მანებიერებდა, ყველა სურვილს მისრულებდა. ერთ საღამოს, ბავშვებმა მოვილაპარაკეთ, რომ მეორე დღეს, აღრიანად, ტყეში წავსულიყავით, მაგრამ დილით ადრე აღვომა დამეზარა, რადგან ძილისგულა ვიყავი და როდესაც ბავშვებმა ჩემს ჭიშკართან ჩამოიარეს და დამიძახეს, თავი მოვიმძინარე. არ გამოვეპასუხე. ბებიამაც არ გამაღვიძა და შუადღისას, კარგად გამოძინებულმა, უბანი რომ შემოვირბინე, ვერც ერთი ჩემი თანატოლი ვერ აღმოვაჩინე. გული დამწყდა. კალათს ხელი დავავლე და ტყისკენ მარტო გავემართე. იმ იმედით, რომ ჩემს მეგობრებს ავივლიად მივაგნებდი. გზადაგზა ყვაილებიც დავკრიფე. პანტაცა, კალათიც თითქმის ავავეს სოკოთი, მაგრამ ვინაიდან შხამიანს ხალი სოკოსგან ვერ ვარჩევდი, რაც

ცხოვრება თავისთავად აზარტია. ჩვენც, მეტ-ნაკლებად აზარტულები ვართ და მცირე წარმატებით გათამამებულნი, ბედისწერას უფრო თამამად ვეთამაშებით ხოლმე. აზარტული ადამიანებისთვის კი, უამრავი გასართობია მოგონილი — ლატარია იქნება ეს, კაზინო თუ ბოლო დროს მომრავლებული ტოტალიზატორები. ჭკვიანი კაცი ჯიბეს ისქელებს, აზარტული კი, იცარიელებს და არცთუ ისე იშვიათად, სასწორზე საკუთარ „ხვალეს“ დებს. ფორტუნა კი ისეთი რამ არის, რომ იშვიათად ილიმება და პირზე ღიმილშემშრალნი უფრო ხშირად, ჩვენ ვრჩებით ხოლმე... ასე მოუფიდა ერთ ქართულ ოჯახს, რომელიც 25 წლის შემდეგ მხოლოდ იმიტომ დაინგრა, რომ ოჯახის უფროსი ზედმეტად აზარტული ბუნების გახლდათ. თუმცა, მას არც მისი მეორე ნახევარი ჩამოუვარდება და თუ პირველი, ბედს ფეხბურთს ანდობს, მეორე — კაზინოში გაბედულ ფსონს ჩადის და 4.500 დოლარს ერთ ღამეში აგებს. დღეს კი, მეუღლესთან განშორების სევდა მოსწოლია და ბოდიშის მოხდა ჩვენი ყურნალის მეშვეობით განუზრახავს...

ხელთ მომხვდებოდა, ყველას ერთად ვყრიდი კალათში. ისე გავერთე და ისე მომეწონა ტყეში მარტო ხეტიალი, რომ აღარც მიცდია, მეგობრები მომეძებნა. ტყეში ბლის ხე აღმოვაჩინე. ისე ლამაზად და მადის აღმძვრელად მოჩანდა მწვანე ტოტებში მწიფე ბლის კუნწულები, რომ გადავწყვიტე, ხეზე ავსულიყავი და მეჭამა. საკმაოდ მალლა ჰქონდა ნაყოფი, მაგრამ მაინც აუფოფხდი. კაბა მეცვა, მაგრამ რას დავიდევდი? — მაინც მარტო ვიყავი და თუ მოვინდომებდი, თავდაყირაც დავეკიდებოდი. ჯერ მსხმოიარე ტოტები დავამტვრიე და ძირს ჩამოვყარე, რომ სახლშიც წაშელო, შემდეგ კი, უფრო ზევით ავმკერი და ბლის ჭამა დავიწყე. ერთ ტოტზე ორივე ფეხით შევედექი, წელში გავიმართე და ის იყო, ბლის კუნწულისკენ ხელი გავიწოდე, რომ რომელ ტოტზეც ვიდექი, მოტყდა. მიწამდე სულიც არ დამყვებოდა, რომ არა საბედნიერო შემთხვევა: სქელი ტოტის გადანატუნზე კაბის ბოლოთი დავეკიდე. მაშინ ხაკის კაბები იყო მოდაში და ვინაიდან ქსოვილი საკმაოდ მტკიცე ფაქტურისაა, არ გაიხა. დავრჩი ასე, ხეზე ჩამოკიდებული. წარმოიდგინეთ, კაბის უკანა კალთით ვკიდევარ ტოტზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ვერ ვინძრევი. ვერც ხის ტანისკენ ვბრუნდები, რომ ხელით მოვეკვიდო. თვალები დავხუჭე, რადგან ძირს ჩამოხედვისაც კი მეშინოდა, იმდენად მალლა ვეკიდე. ავტეხე ვივილი. განწირული ხმით ვყვიროდი, მიშველეთ-მეთქი. დაახლოებით

ერთი საათის შემდეგ დავინახე, რომ ჩემკენ ახალგაზრდა კაცი მოდიოდა. ხეს რომ მოუახლოვდა, გარშემო შემოუარა, თან მალლა იყურება და ხმას არ იღებს. მიშველეთ-მეთქი, — ჩავძახე. ნელა-ნელა ამოვიდა ხეზე, რის ვაი-ვაგლახით ჩამომიყვანა. ჩამოსვლისას ხან წელზე მხვევდა ხელს, ხან ფეხებზე, ხიდან პირველი თვითონ ჩახტა, ხელები გამომიწოდა და ჩამოხტი, მე დავიჭერო, — მითხრა. მეც რაღა უნდა მექნა? ავედექი და ჩავხტი. ის წაიქცა, მე კი ზემოდან მოვექეცი და რბილად დავეცი. ხის ძირას დამსვა, გამომიკითხა — ვინ ვიყავი, ტყეში როგორ მოვხვდი, თან გადატყავებულ მუხლებსა და იდაყვებზე მრავალმარღვას ფოთლებს მაღებდა. თვითონ თმაგაბურძნილი, აჩაჩულ-დაჩაჩული იყო და ამრეხით ვუყურებდი. ამასობაში მოსალამოვდა. ირაკლიმ (ასე ერქვა ჩემს მშველელს) კოცონი დაანთო და მოდი, სოკო შევწვათო, მითხრა. თვითონ ცეცხლთან ფუს-ფუსებდა, მე კი ვიჯექი და ვუცქერდი. შემდეგ სოკო მივირთვით და სახლისკენ წამოვედი. გზაში ხელჩაკიდებული მოვყავდი. უცებ, მობრუნდა და მაკოცა. დავიწყე ტირილი. სლუკუნ-სლუკუნით მოვეყვები და ხმას არ ვიღებ. მესაგდ რომ შემეკითხა — რატომ ტირიო? — ვუპასუხე: ახლა მე ქალწული აღარ ვარ, ხომ? რატომ მაკოცეთ-მეთქი?! გაეცინა. ის უკვე 21 წლის, ახალგაზრდა მამაკაცი იყო და მიხვდა, რომ ჩერჩეტ გოგონასთან ჰქონდა საქმე აღარ ხარო! — დამიმოწმა. ტირილს ვუმატე. — კარგი,

ნულარ ტირი, ჩემს სახლში წაგიყვან და ჩემი ცოლი იქნები, თანახმა ხარო? მეც, მეტი რა გზა მქონდა? – ავდექი და შინ გავყვივი. ასე მომატყუა ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ, მაგრამ სულ მოკლე ხანში, თავდავიწყებით შემეყვარდა. ის ონში ცხოვრობდა. ჩემმა მშობლებმა ერთ წელიწადში თბილისში ბინა გვიყიდეს და დედაქალაქში გადმოვბარვით. ახლა სამი შვილი გვყავს. უფროსი, დათო 23 წლისაა, მისი მომღვერო, ნინო – 19-ის, ხოლო პატარა შმაგი – 14 წლის.

— როდის განდგა პირველი ბზარი შენსა და ირაკლის შორის?

— მოგეხსენებათ, ოჯახი ისეთი რამ არის, რომ ცოლ-ქმარს შორის ხშირად ხდება პატარ-პატარა უსიამოვნებები. პირველი სერიოზული უთანხმოება ჯერ კიდევ მაშინ მოგვივიდა, როცა მარტო დათო გვყავდა. ირაკლი ავეჯის კომბინატში მუშაობდა. იქ ვიღაც ქალს გადაეკიდა და მის გარდა, აღარავინ ახსოვდა. ოჯახში ხანდახან, ღამის გასათევად თუ შემოვივლიდა ხოლმე. ძალიან ვნერვიულობდი, სულ უკან დავდევდი, ხან სად მივუვარდებოდი, ხან სად. ერთხელ, სამსახურში მივეჭერი და ის კახა ქალი სულ თმით ვითრიე, სახე ჩამოვკაწრე და ხელიდან რომ არ დამსხლტომოდა, ალბათ შემომაკვდებოდა. ამ ამბავმა კომბინატში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ის ქალბატონი სამსახურიდან დაითხოვეს, ჩემს ქმარს კი საყვედური „მიარჭევს“. ირაკლი ოჯახს დაუბრუნდა. შვებით ამოვიხსენებ — მეშველა-მეთქი. მეორე შვილიც შეგვეძინა. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ შევნიშნე, რომ ირაკლიმ ოჯახზე გული აიცრუა. მივხვდი — ისევ ქალი იყო გარეული ამ საქმეში, მაგრამ მისთვის არაფერი მითქვამს. დაუწყვე თვალთვალი. რამდენიმე კვირაში დავადგინე, ვისთან დაძვრებოდა. იმ ქალის შესახებ ინფორმაცია შევკრიბე, მისამარ-

თი დავადგინე და ერთ მშვენიერ დღესაც, როდესაც მივხვდი, რომ ირაკლი მასთან წაბრძანდა, შუალამისას მეც მივადექი. დავაკაკუნე. კარი ქალმა გამიღო. ჯიქურ შევიჭერი სახლში და ჩემი მეუღლე საწოლ ოთახში ვიხილე. შინიდან წამოღებული დანა ჯიბიდან ამოვიღე და მთელი ძალით მოვუქნიე. გადაბრუნება მოასწრო და დანა ბალიში ჩაერჭო. თვალთ დამიბნელდა. უკვე ისე ვიქნევი დანას, ვერც ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი. იქაურობას სულ ბღღვირი ვადინებ. ბუმბულებით იყო მოფენილი მთელი ოთახი. ამასობაში, ირაკლის ჩაცმა მოესწრო და ჩემს დაწვარებას ცდილობდა. — მომშორდი-მეთქი! — ვუყვირე და სასწრაფოდ შინ წამოვედი. 15 წუთის შემდეგ, ირაკლიც შემოიბურწა და კიდევ 5 წუთის მერე, პატიებას მთხოვდა. ამ ამბის შემდეგ შეგვეძინა მესამე შვილი...

— ერთი სიტყვით, ყველა თქვენი შერიგება შვილის გაჩენით მთავრდებოდა...

— კი, ასე გამოდის. მესამე შვილი რომ შეგვეძინა, ამის შემდეგ ირაკლის ვეღარ ვცნობდი. ოჯახს თან ჰყვებოდა, მუხლჩაუხრელად შრომობდა, შინაც ყოველთვის თავის დროზე ბრუნდებოდა. საკუთარ ბედნიერებას შევხაროდი. ვფიქრობდი, ალბათ ახალგაზრდობის ბრალი იყო, ახლა ასაკი მოემატა, დადინჯული და ოჯახსაც საფრთხე აღარ ემუქრება-მეთქი. თურმე ჯერ სადა ხარ? ყველაფერი წინ ყოფილა და ამჯერად რით დამთავრდება, უკვე აღარ ვიცი...

— მგონი, მივადექით ძირითად სათქმელს...

— დიახ, მაგრამ ამჯერად ქალი აღარაფერ შუაშია. ამ სამი წლის წინ, ჩემი მეუღლე აზარტულმა თამაშებმა გაიტაცა. მატერიალურად საკმაოდ მყარი მდგომარეობა გვქონდა. არეულობის წლებში ირაკლიმ მოძებნა საქმე, რომელსაც

საკმაო შემოსავალი მოჰქონდა. კერძო ფეხსაცმლის სამკერვალო საამქრო გახსნა, რამდენიმე ხელოსანი დაიქირავა და დამზადებულ პროდუქციას დიდი წარმატებით ასაღებდა, როგორც საქართველოში, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში... რამდენჯერმე კაზინოში მეც წამიყვანა. თავდაპირველად სინარულით დავთანხმდი, შესანიშნავად გავერთე. ყოველ წასვლაზე რაღაც თანხას ვაგებდით. ირაკლი უჩემოდაც ხშირად დადიოდა. ფულს არ ზოგავდა და მალე მივხვდი, რომ ოჯახის ბიუჯეტი საფრთხის წინაშე დადგა. კატეგორიულად ვუთხარი: აღარ გავიგო, რომ კაზინოში წახვიდე-მეთქი. მაინც გამიმტრობდა ხოლმე. რომ დაავიანებდა შინ მოსვლას, მივდიოდი და სულ ჯიკავ-ჯიკავით მომყავდა. შემდეგ, კაზინოში სიარულს თავი დაანება და ტოტალიზატორში დაიწყო თამაში, რაღაც წიგნები მოიტანა ფეხბურთის შესახებ, სულ სპორტულ გაზეთებში ჰქონდა თავი ჩარგული. თავიდან 50 ლარით დაიწყო, შემდეგ უმატებდა ფსონებს. მსოფლიო ჩემპიონატის დროს კი, 1.000 დოლარი და მეტიც დაუდგია... თანხას თანხაზე აგებდა, მაგრამ თამაშს განაგრძობდა. ოჯახში ატმოსფერო დაიძაბა, სულ ვჩხუბობდით, სკანდალის შემდეგ კი ახსლიდან გარბოდა. სად მიდიოდა, არ ვიცი, მაგრამ შეეძლო, ერთი კვირა აღარ გამოჩენილიყო. უამრავი ვიბო დაველო. შემდეგ გავიგე, რომ ბინა, რომელშიც ცხოვრობდით, ბანკში გირაოდ ჰქონდა ჩადებული. თავისი მანქანა ხომ კარგა ხნის გაყიდული იყო, ახლა უფროს ბიჭს ევჯიჯინებოდა — შენი მანქანა ჩავლოთ ბანკშიო. ის უარზე დადგა. ყველაფერი ეს ჩემგან მალულად ხდებოდა...

— აბა, შენთვის როდის გახდა ცნობილი?

— მაშინ, როდესაც ჩემი ძმა მოატყუა. მან გერმანიიდან BMW ჩამოიყვანა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი გადაწვევითა, გაეყიდა. ირაკლიმ უთხრა: მე ვიყიდი — უმანქანოდ ყოფნა ძალიან მიჭირსო. ჩემი ძმა რას წარმოიდგენდა, რომ მოატყუებდა?! მანქანის მინდობილობა გააფორმეს, ერთ კვირაში ჩემს მეუღლეს მისთვის ფული უნდა მიეცა, მან კი მანქანა ბანკში დაავიარავა, რადგან ერთ-ერთი მეგობარი ემუქრებოდა — ფულს თუ არ გადაამიხდი, ფიზიკურად გაგისწორდებიო. ბანკში აღებული ფული კი, მაინც ვერ გაიმეტა მეგობრისთვის მისაცემად და ისევ ტოტალიზატორში დალო. შემდეგ, თავისი საქციელი ასე ახსნა: ისეთ გუნდებზე დავდე ფსონი, ასპროცენტისანი მოგების გარანტია რომ მქონდა, თანაც — დიდი „კუში“ იყო და ვიფიქრე — დიდ ფულს





არსებობას. ირაკლის თავისი საქმიდან წილი გაუყვლიდა. 10.000 დოლარიდან ოთხი, აღებული და დახარჯულიც ჰქონდა, დარჩენილი 6 ათასი კი, მისი შინ არყოფნის დროს მოიტანეს და მე დამიტოვეს. ფული მაგიდაზე დავდე და დასაძინებლად დავწექი. შუადამისას, პირველ საათზე გამეღვიძა. ფული ხელუხლებლად იღო იმავე ადგილზე, ირაკლი კი მოსულიც არ იყო.

მოვიგებ და ვალეების ნაწილს გადავიხდიო... ის ფულიც წააგო. ჩემს ძმას თანხა რომ ვერ გადაუხადა, დიდი უთანხმოება მოუვიდათ, ფიზიკურადაც კი შეეხნენ ერთმანეთს. ჩემთვის სწორედ მაშინ გახდა ცნობილი მისი ოინების ამბავი. დავიზაფრე, როცა გავიგე, რომ სიპქვაზე ვიყავით დარჩენილები: ბინა – ბანკში, ამდენი ვალი და არავითარი პერსპექტივა. არადა, მანამდე, საათივით ჰქონდა აწყობილი საქმეც და ოჯახიც. ახლა კი ყველაფერი ნულიდან უნდა დაგვეწყო. ერთადერთი, რაც გაგვარდა, ჩემი შშობლები ის ნაყიდი ერთოთახიანი ბინა იყო. ისიც იმიტომ გადაურჩა ბანკში გირაოდ ჩადებას, რომ ჩემს სახელზე იყო გაფორმებული და უჩემოდ ვერ მოახერხებდა, მე კი ვერ გამიბედავდა ამის თხოვნას. მის გამო ძმაც დამემდურა, ერთადერთი ძმასთან ურთიერთობა გამიფუტდა. მე რა შუაში ვიყავი, მაგრამ მაინც... მე და ირაკლიმ ვიჩხუბეთ. დაუნდობლად ვლანძღეთ ერთმანეთი და – ყველაფერი გათავდა! ჩვენ ერთად ვედარ ვიცხოვრებთ-მეთქი, – ვუთხარი... ისევ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, მაგრამ საერთო აღარაფერი გექონდა – არც ურეცხავი, არც ჩემს მომზადებულ კერძს ვაჭმევდი და დამინებოთაც, ლოჯიაში, დივანზე, უთეთრეულოდ და ულოკინოდ იძინებდა...

— თქვენ რა სახსრებით ახერხებდით თავის გატანას?

— ჩემს უფროს ბიჭს თავისი საქმე აქვს, მართალია, მცირე შემოსავლიანი, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც ვახერხებდით

წარმოვიდგინე აზარტით ანთებული მისი თვალეები, რომელიც მე თავად, არაერთხელ მინახავს კაზინოში თამაშის დროს და სისხლი ტვინში მომავსა. ბევრი აღარ მიფიქრია – დავურეკე ჩემს მეგობარს, ლელას, ვუთხარი – ჩაიცვი და დამელოდე, სადღაც უნდა წაგიყვანო-მეთქი. დათო გავაღვიძე და მანქანის გასაღები ვთხოვე. უარი არ უთქვამს, არც უკითხავს, შუადამისას სად ვაპირებდი წასვლას. ფული ჩანთაში ჩავტენე და ლელასთან ერთად, ერთ-ერთ კაზინოს ვეწვიე... ერთი სიტყვით, იმ დამეს 4.500 დოლარით გავამდიდრე კაზინო და შინ დილის 8 საათისთვის დაებრუნდი. ირაკლი მოსული დამხვდა. არ უკითხავს, სად ვიყავი. ფული სად შეინახე? – მხოლოდ ეს სამი სიტყვა გადმომიგდო. ჩანთა გავხსნი, იქიდან, დარჩენილი 1.500 დოლარი ამოვიღე და წინ დავუდე. დანარჩენი, კაზინოში წავაგე-მეთქი, – ვუთხარი. ასეთი გაბრაზებული ირაკლი არასოდეს მინახავს. ჯიქურ წამოვიდა ჩემკენ. არ მომეკარო-მეთქი! – ვიკვილე. ვიდრე ნამძინარევი ბავშვები გონს მოეგებოდნენ, მე და ირაკლის ხელჩართული ბრძოლა გექონდა გაჩაღებული. ვალში არც მე ვრჩებოდი და მისი მოქნეული ხელის საპასუხოდ, სახეში კარგ დარტყმებს ჩემგანაც იღებდა... ბოლოს, შვილებმა დაგვაშოშმინეს და დადლილ-დაქანცულები, ოთახის საპირისპირო კუთხეებში, სულის მოთქმას ვცდილობდით. შემდეგ, ირაკლიმ დარჩენილი ფული ჯიბეში ჩაიღო და კარი გაიჯახუნა. იმ დღიდან,

შინ აღარ მოსულა. უკვე 5 თვე გავიდა და თვლიც არსად მომიკრავს მისთვის. მხოლოდ ხანდახან რეკავს და შვილებს ელაპარაკება. ცოტა ხნის წინ, დათომ მითხრა – გამალებით მუშაობს, ვალეების ნაწილი გაისტუმრა კიდევ და ძალიან ნანობს, ჩვენი ოჯახის საქმე ასე რომ წავიდაო...

— როგორც ჩანს, დათოსთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს?

— დიას. ისინი თავიდანვე განსაკუთრებით კარგად უგებდნენ ერთმანეთს, მეგობრობდნენ. მათ ურთიერთობაზე მამაშვილური კი არა, ძმაცაცური უფრო ითქმის. სულ ახლახან, დათომ ასეთი ამბავი მომიყვა: ამ ორიოდე წლის წინ, მამამისის მანქანაში ვიღაც ქალი დაუნახავს. უკან გაჰყოლია და თავისი ეჭვი შეუმოწმებია. უნახავს, გლდანში ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში ხელკავით რომ შესულან. დაუფიქსირებია, რომელ სართულზე აინთო შუქი და ცოტა ხანში, მათ კარზე მიუკაკუნებია. გაოცებული მამისთვის უთქვამს: ახლა, ან დაქალი მოაყვანინე ჩემთვის მაგ შენს „ნაშას“, ან დედას მოვუყვები ყველაფერსო... ირაკლის ასი ლარი მიუცია მისთვის და უთქვამს: წადი, შე მამამალო და ამ ფულით, გინდა, „ნაშა“ იშოვე, გინდა – მაშაო... ამის შემდეგ, მამაშვილი საერთო ენას უკეთ პოულობდა და ყველა საქმეს ერთად აკეთებდა. სწორედ ამიტომ, დათო მაინც მამის მხარესა და ბოლომდე ვერ ამტყუნებს – თუმცა, ვერც მე მსაყვედურობს.

— თქვე კაი ხალხო, შვილი ფულს სძალავდა, ცოლი კაზინოში აგებდა ერთი მანქანის სამყოფ თანხას და რა გასაკვირობა, თუ ეს კაცი ოჯახიდან გაიქცა?

— თვითონ, ნაკლები ზიანი მიაყენა ოჯახს? მთელი ცხოვრება, მის ქალებს ვებრძოდი, მაგრამ ბოლოს, მაინც ვრიგდებოდი. ამ ტოტალიტატორმა კი დაგვაქცია და ოჯახი დაგვინგრიო.

— გული მიგრძნობს ისევ შერიგდებით და მეოთხე შეილსაც შემატებთ ოჯახს...

— არ ვიცი, არ ვიცი, ძალიან ვერვიულობ. დათომ შემომპარა: დედა, იქნებ, მამა ისევ დაბრუნდეს, შენ თუ წარსულს არ გაუსხენებო...

— რა უპასუხე?

— მივხვდი, რომ ეს ირაკლისგან წამოსული ინიციატივა იყო. გამიხარდა: ბოლოს და ბოლოს, ბევრი ოჯახია ისეთი, რომელიც ჩვენზე მეტ გასაჭირშია, თუმცა, არა აზარტის, არამედ სხვა მიზეზით. თუ დაბრუნდება, შევურიგდები და ბოდიშსაც მოვუხდი ჩემი თავქარიანობის გამო... ■



გ
რ
კ
ე
ბ

ფინანსური უფსკრული ყველაზე ღრმაა უფსკრულებს შორის; მასში შეიძლება, მთელი ცხოვრება ეშვებოდე.

ოსგაპ ბენდერი

ბენილური

ჩასვულობაში პრეპანზიული მუა ყველაზე კოფორტულად განაჩანაში ბრძნობს თავს

ვირტუალურმა მეამ უკვე დიდი ხანაა, რაც ტინეიჯერების გულები დაიპყრო. იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი ლამაზად და სექსუალურად გამოიყურებოდეს, გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი თურმე საკმაოდ ბევრს წვალობს ხოლმე. თიკო ბერძენიშვილთან სტუმრად მისულმა ისიც შევიტყვე, რომ სულ მალე, მეა შოუბიზნესშიც გადადგამს სერიოზულ ნაბიჯებს და შეიძლება, „ცხელი ათეულის“ რომელიმე საფეხურზე თავად გადაცემის წამყვანიც ვიხლოთ.

მერი კობიაშვილი

— თიკო, მეამ იმიჯი ბევრჯერ შეიცვალა. შენ რომელი უფრო მოგნონდა?

— უკვე სამი წელია, რაც ეთერში ვართ და მეამ იმდენჯერ შეიცვალა სახე, რომ მიჭირს, რომელიმე გამოვარჩიო. მე ის პირველი მეაც ძალიან მიყვარს, პირს რომ ვერ ამოძრავებდა. როცა ხელის აწევა შეძლო, ეს შამპანურით აღვნიშნეთ; რომ იცეკვა, თვალებს არ ვუჯერებდით...

— მის ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს ხოლმე?

— მეას ჩაცმა ყოველთვის ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. რამდენადაც ვირტუალურია, იმდენად „ცოცხალია“ და ამიტომ, ყველაფერი არ მოუხდება. ვინც გადაცემას ვამზადებთ, ყველანი დიდხანს ვფიქრობთ ხოლმე, როგორ გამოვპრანჭოთ. მეა ამ საკითხში ძალიან პრეტენზიულია.

— შენ თვითონ ეთანხმები ხოლმე „ცხელ ათეულს“?

— დღეს, ქართულ შოუბიზნესში ისეთი სიმღერებია ჰიტებად ქცეული, რომ მეას ათეულით ხშირად კმაყოფილი ვარ. თუმცა, ამ შემთხვევაში, მე ასოლოტურად ობიექტური უნდა ვიყო და ვიფიქრო იმაზე, როგორ წარვადგინო გამარჯვებულები. ახალ სიმღერას და ახალ კლიპს შემფასებლის თვალთ ვუყურებ და ვცდილობ გამოვიცნო, მოეწონება თუ არა მაყურებელს და რა ადგილს დაიკავებს „ცხელ ათეულში“.

— მეას მაგივრად ვერანზე შენ სახე რომ ჩანდეს, ამის სურვილი არ გაგჩენია?

— ამის სურვილი არასოდეს მქონია. მეას და ლომანას ერთმანეთს ვერ დავაშორებ. მაგრამ ამ ბოლო დროს, ისე ხშირად მეკითხებიან — ვერანზე რატომ არ ჩანხარო? — რომ ამაზე სერიოზულად დავფიქრდი, მაგრამ განსხვავებული გადაცემისთვის კი დრო არ მრჩება. მომავალში რას გავაკეთებ, ჯერ არ ვიცი, წინასწარ



ვერაფერს ვიტყვი.

— მეას მსგავსად, შენც დიდ დროს უთმობ ჩაცმას?

— ყოველდღიურად სარკის წინ ტრიალი დიდხანს არ მიწევს, მაგრამ თუ წვეულებაზე მივდივარ, ჩემს თავს დიდ ყურადღებას ვუთმობ.

— ასეთ დღეებში დახმარებისთვის დიზაინერს მიმართავ ხოლმე?

— არა. ჩემს გემოვნებას ვენდობი. თუმცა ამის სურვილი მაქვს — თბილისში ძალიან ბევრი დიზაინერია, რომელსაც შეიძლება ენდო.

— წვეულებებზე სიარული თუ გიყვარს?

— რა თქმა უნდა, მიყვარს. იმის მიუხედავად, რომ ხშირად, ერთსა და იმავე ადამიანებთან მიწევს დროს ტარება, არ მბეზრდება.

— შინ თუ გიყვარს საქმის კეთება?

— საოჯახო საქმეებს დედაჩემი აკეთებს. სამზარეულოში ნაკლებად ვტრიალებ. დილით რომ ვდგები, გამზადებულ ყავას და საუზმეს მახვევდებენ. სახლში ჩემი საყვარელი „საქმიანობა“ ძილი და ჭამაა. კიდევ — დედაჩემს ვეფერები ხოლმე. იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს — მისი „ფანი“ ვარ.

— საყვარელი ნივთი თუ გაქვს, რომელსაც ვერაფრით შეეღვევი?

— ვერ შევეღვევი ჩემს მანქანას, რომელიც უკვე ერთი წელია, მყავს. ყველაზე კომფორტულად, თავს მანქანაში ვგრძნობ.

არსად წასვლა არ მეზარება. შემიძლია, უსასრულოდ ვიარო. გზა და მანქანა ძალიან მიყვარს.

— რაზე ოცნებობ?

— რაიმე ნივთის შექმნაზე არ ვოცნებობ. თავი რომ კარგად ვიგრძნო, ამისთვის ყველაფერი მაქვს. მინდა, რომ ოჯახში ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ.

— მეასთან ერთად საჩუქრებს შენც ხომ არ გიძღვნიან ხოლმე შენი გადაცემის სტუმრები?

— მეასა და ჩემს საჩუქრებს ხშირად ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ. სამსახურის გარდა, ჩემი გადაცემის სტუმრებთან მეგობრობაც მაკავშირებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ერთმანეთს საჩუქრები მივართვათ.

— იმის სურვილი არ გაგჩენია, რომ შენი რესპონდენტებისთვის მიგზავნიან და ამღერებულებიყავი?

— მალე, თავად მეა ამღერდება. ვნახოთ, როგორ მოეწონება მაყურებელს...

— საახალწლოდ, ოჯახში ნაძვის ხის მორთვა შენ გევალება ხოლმე?


— არა. ყოველთვის ჩემი და — ქეთი რთავს ხოლმე. ბავშვობაში, თოვლის ბაბუას ჩვენთვის ორი საჩუქარი მოჰქონდა. ვერაფრით ვხვდებოდი, როგორ ახერხებდნენ ჩვენი მშობლები თორმეტი საათის შემდეგ ბალიშის ქვეშ საჩუქრების შეუმჩნევლად დადებას. ამიტომ, საკმაოდ დიდი ვიყავი, თოვლის ბაბუის არსებობის კიდევ რომ მჯეროდა...

ჯაიანის ხეაჲს ოჯახის წევრები პოლიტიკას უკავშირებენ

„ეს ოჯახის მოწყობილია“ — აცხადებს დაზარალებულის მამა

5 იანვარს, მსახობი და პარლამენტარი დიმიტრი ჯაიანი საკუთარი სახლის ეზოს ტიშკართან დაუნდობლად სცემეს. მომხდარის შესახებ მოსახლეობა დღემდე, აღშფოთებას გამოთქვამს, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენს ქვეყანაში პარლამენტარის ცემის პირველი ფაქტი არ გახლავთ. ამასთანავე, აღშფოთებას ისიც იწვევს, რომ ჩადენილი დანაშაული, როგორც

ამბობენ, შემთხვევითი არ ყოფილა. ამის ეჭვს თავად სამართალდამცავებაც გამოთქვამენ. მათი თქმით, ბოროტმოქმედებმა თითქოს, ჯაიანის ავტომანქანის — „მერსედისის“ გატაცება სცადეს, მაგრამ მისი ცემის შემდეგ, ისე, რომ მათთვის ხელი არავის შეუშლია, მანქანა ადგილზე დატოვეს და გაიქცნენ. ჯაიანისთვის არც სხვა რაიმე პირადი ნივთი ნაურთმევიათ.



დიმიტრი ჯაიანი

ამ დროს, მასთან, როგორც თავად ამბობს, უცნობი — 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა კაცი მისულა, მისალმება და უთქვამს: ბატონო დიმა, შობა-ახალ წელს გილოცავთო. ჩემს მეუღლესაც მიულოცია მისთვის და უფიქრია: ამ ბიჭს არ ვიცნობ, მაგრამ თავად ალბათ მიცნო და ამიტომაც მომილოცაო. ამის შემდეგ, როცა დიმა უკვე თავისი მანქანისკენ მიბრუნებულა, უცნობს უთქვამს: თქვენ ნუ შეწუხდებით, ბატონო დიმა, მანქანას რომ შეიყვანთ, ჭიშკარს მე დაგიკეტავთო. ჩემი მეუღლეც ჩამჯდარა ავტომანქანაში და ამ დროს დაუნახავს, რომ იმ ბიჭმა ჭიშკარი დაუკეტა — ე.ი. ეზოში მისი შეშვება არ უნდოდა. დიმა ამბობს: მაშინ, მანქანიდან გადასვლა დავაპირე, ვიფიქრე — შევეკითხები, რაშია საქმე-მეთქი? — მაგრამ უცნობი უკვე მანქანასთან იდგა და კარის ვალების და გადასვლის საშუალება არ მომცაო. ჩემი ქმრისთვის მას მანქანის გასაღები მოუთხოვია. ამაზე დიმა უპასუხია: ზომ იცი, მე ის კაცი არ ვარ, შენ გასაღები მოგცეო. ამასობაში მეორე უცნობი, ნიღბიანი და ავტომატიანი, გამოჩენილა, მათთან მისულა და დიმასთვის უთქვამს: იარაღი მოგვეციო. ჩემს მეუღლეს იარაღი არასოდეს ჰქონია და, სხვათა შორის, არც სურვილი გასჩენია ოდესმე, რომ იარაღი ეტარებინა. დიმასაც სწორედ ეს უთქვამს ბოროტმოქმედებისთვის. მაშინ, ავტომატიანს, როგორც ჩანს — დასაშინებლად, გაუსვრია. დიმა ამბობს, ფეხების მიმართულებით ისროლაო. საბედნიეროდ, ტყვია არ მოხვედრია. სროლის ხმისთვის მე ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ახალი წლის დღეებში, მოგესვენებათ,

ბავშვები ყოველ წუთს აფეთქებენ ხოლმე ე.წ. „ტკაცუნებს“, ყური შერეული მქონდა და სროლის ხმაც ბავშვებს მივაწერე. გასროლის შემდეგ, ბოროტმოქმედებს ჩემი ქმარი ჯერ მანქანაშივე უცემიათ საშინლად, მერე კი გარეთ გადმოუთრევიათ და ისე ურტყიათ მისთვის თავში ავტომატის კონდახი.

იმ დროს, როგორც ვითხარით, ოთახში ვიჯექი. ყვირილის და საშინელი ბღავილის ხმა მომესმა. მაშინვე აივანზე გავვარდი. დავინახე, რომ დიმა ვიღაც ორი ურტყამდა. კვილი ავტებზე და ყველანი, ვინც კი შინ ვიყავით, ეზოში გავცვივდით. ყვირილის ხმაზე მეზობლებიც გამოვიდნენ. მანქანა იქვე იდგა, მის გვერდით კი, მიწაზე, ჩემი ქმარი ეგლო და სისხლში ცურავდა. ბოროტმოქმედები უკვე გაქცეულები იყვნენ.

პირველი ორი დღის განმავლობაში, დიმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. შემდეგ, ცოტა გონს მოვიდა და მომხდარის შესახებაც მოჰყვა. თავდაპირველად ფიქრობდა, რომ მართლა მანქანის გატაცება სურდათ, მაგრამ როდესაც ყველაფერი გაახსენდა და ყოველი დეტალი ზუსტად მოაგონდა, ეს ვარაუდი კატეგორიულად უარყო.

ცხადია, ისინი შემთხვევითი ბოროტმოქმედები არ იყვნენ და მათ არც ავტომანქანის გატაცება აინტერესებდათ. ეს რომ ნდომოდათ, ამას ძალიან ადვილად შეძლებდნენ. ჯერ ერთი, შობა-ახალი წლის მილოცვას კი არ დაიწყებდნენ, არამედ იმ დროს, როცა დიმა მანქანიდან იყო გადმოსული და ჭიშკარს ალებდა, პირდაპირ ჩახტებოდნენ მანქანაში და წაიყვანდნენ. გასაღებით შიგნით იყო და ძრავაც

როგორც დაზარალებულის ოჯახის წევრები აცხადებენ, ავტომანქანის გატაცების მცდელობა ბოროტმოქმედთა მხრიდან უბრალოდ, ინსცენირებული გახლდათ. ისინი ეჭვობენ, რომ დანაშაული დიმიტრი ჯაიანის პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირდება.

სასტიკად ნაცემი ჯაიანი პირველად, მისმა მეუღლემ ნახა. მაშინ, როცა ქალბატონი გულიკო ყვირილის ხმაზე ეზოში გამოვიარდა, მისი ქმარი თურმე, ავტომანქანის გვერდით, ძირს, დასისხლიანებული ეგლო.

გულიკო ჯაიანი:

„იმ დღეს, შინ წამოსვლამდე, დიმა სამსახურში — თეატრში იყო. საღამოს, დაახლოებით ათის ნახევარი იქნებოდა, თავისი კაბინეტიდან დამირეკა — სახლში მოვდივარ და საჭმელი გამიცხელეო. მეც ყველაფერი მოვამზადე და შემდეგ, ოთახში დავექევი, ტელევიზორს ვუყურებდი. ამასობაში, დიმა მანქანით ჭიშკარს მოადგა. მანქანის ეზოში შემოყვანა უნდოდა, გადმოვიდა და ჭიშკარი გააღო. სწორედ

ჩართული გახლდათ. გარდა ამისა, მანქანის გატაცებით დაინტერესებული ყარაღი მიზნის განხორციელებას ჩვენს სახლთან არ დაგეგმავდა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ნიშნის მიხედვით ქუჩაზე (ყოფილი ნაკაშიძის ქუჩა) ვცხოვრობთ. ეს გახლავთ პატარა ჩიხი, რომლის ქვედა ქუჩა გადაკეტილია, რადგან იქ მიწისძვრის დროს დაინგრა სახლები. ადრე, სწორედ ამ ქუჩაზე იყო საავტომობილო გზა. გადაკეტვის შემდეგ კი, ჩვენს სახლამდე ვიწრო ჩიხებით გვიწევს ავტომანქანით მოსვლა. ეს გზა იმდენად უხერხულია, რომ ბოროტმოქმედი, მანქანის გასატაცებლად მას არანაირ შემთხვევაში არ აირჩევდა. რომც აერჩიათ, მანქანის გატაცების საშუალება მათ იმ საღამოს ჰქონდათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ამკარაა, რომ მათ მხოლოდ ჩემი ქმრის სასტიკად ცემა უნდოდათ. ამაში ეჭვი უკვე თითქმის არავის ეპარება.

ჩვენი ვერსიით, დანაშაული დიშას პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირდება. ყველამ იცის, რომ ის პრეზიდენტის მხარდამჭერი გუნდის წარმომადგენელია. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ბოროტმოქმედები მოწინააღმდეგე პარტიის მესვეურებმა თუ წარმომადგენლებმა დაიქირავეს. ჯერჯერობით, პირდაპირ ხელს ვერავის დავადებთ, თუმცა, რამდენიმე ხნის წინ გამართულ საპარლამენტო სხდომაზე დიშასა და ჯემალ გოგიტიძეს შორის მომხდარ შელაპარაკებასაც შესაძლოა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს...”

დაზარალებულის მეუღლის თქმით, დანაშაულის პოლიტიკური ვერსია ყველაზე რეალურია, რადგან ბატონ დიმიტრის პირადი მტრობა არავისთან ჰქონია და არც ბიზნესშია ჩაბმული, რომ ფულის გამო მოსვლოდა ვინმესთან უთანხმოება.

მომხდართან დაკავშირებით, გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს. თუ რა შედეგი მოჰყვება ძიებას, ალბათ მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება დიმიტრი ჯაიანის მდგომარეობას – როგორც ექიმები აცხადებენ, ის შედარებით უკეთესადაა და სამართალდამცავებს ჩვენებაც კი მისცა, თუმცა, მათივე თქმით, ჰემატომის საშიშროება მაინც არსებობს.

რუსთაველის პროსპექტზე ხანძრისას ოჯახის სამი წევრი დაინგრა

2002 წლის 28 დეკემბერს, თბილისში, რუსთაველის პროსპექტის №38-ში მცხოვრები ქვთარაძეების ოჯახში ხანძარი გაჩნდა. ხანძრის შედეგად, ოჯახის სამი წევრი დაიღუპა, მეოთხე კი დღემდე კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. ქვთარაძეების ოჯახი რუსთაველის პროსპექტზე, იტალიური ტიპის ეზოში ცხოვრობდა. თუ რა მიზეზით გაჩნდა მათ სახლში ხანძარი, ისე, რომ ოჯახის ყველა წევრი იმ დროს შინ იმყოფებოდა, ჯერჯერობით გაურკვეველია და ზუსტად არავინ იცის. მეზობლებმა სახანძრო მანქანა მანძივზე გამოიძახეს, მაგრამ შემთხვევის ადგილზე მისულ მეხანძრეებს ოჯახის სამი წევრი გარდაცვლილი დახვდათ. დედა – 50 წლის მანანა ქვთარაძე, მისი შვილი – 28 წლის არკადი ქვთარაძე და რძალი – 23 წლის ია ბარნაბიშვილი იმ დროისთვის უკვე დაღუპულები იყვნენ. ოჯახის მეოთხე წევრი – 28 წლის არტური (არკადის ტყუპისცალი) მეხანძრეებს ჯერ კიდევ ცოცხალი დახვდათ. ის მაშინვე, დამწვრობის სარეაბილიტაციო ცენტრში მოათავსეს.

ახალი წლის დღეებში მომხდარმა ავტოკატასტროფებმა 10 ადამიანი იმსხვერპლა

ახალი წლის დღეებში, საქართველოს ტერიტორიაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 34 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან 12, პირველივე დღეს მოხდა. ავარიების შედეგად, მარტო თბილისში 5 ადამიანი დაიღუპა, მსხვერპლი სხვა ქალაქებშიც დაფიქსირდა.

პირველ იანვარს, ერთ-ერთი ავარიის შედეგად, თურქეთის მოქალაქე გარდაიცვალა. ეს შემთხვევა სენაის რაიონის სოფელ თეკლათთან მოხდა. ავტომანქანა, რომელსაც აწ გარდაცვლილი მართავდა, სატვირთო მანქანას – „გაზ-52“-ს შეეჯახა და არხში გადავარდა. მძღოლი მაშინვე გარდაიცვალა.

2 იანვარს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, დაახლოებით დილის 9-ის ნახევარზე, ავტომანქანა „გაზ-24“ ხეს შეეჯახა. მძღოლი – 50 წლის ივანე გიგაური შეჯახების შედეგად, ადგილზევე გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, ის ნასვამი იყო.

4 იანვარს, ღამით, ქალაქ რუსთავში მომხდარმა ავტოკატასტროფამ ერთი ად-

ამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ერთი კი, მძიმედ დაშავდა. მათ საქართველოში გაეროს მისიის ოფისის კუთვნილი „ნივა“ დაეჯახა. იმ დროს, ვალერიან გრიგოლაშვილი და მიხეილ პარტემიშვილი ფეხით გადადიოდნენ ქუჩაზე. 46 წლის ვალერიან გრიგოლაშვილი საავადმყოფოში მიყვანილსთანვე გარდაიცვალა, ხოლო 53 წლის მიხეილ პარტემიშვილმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო და სარეაბილიტაციო ცენტრში მოათავსეს.

სამართალდამცავებმა მძღოლი დააკავეს. ის გაეროს ოფისის თანამშრომელი – 25 წლის ზვიად დედარიანი აღმოჩნდა. მომხდართან დაკავშირებით, გამოძიებას ქალაქ რუსთავის პოლიციის საგამოძიებო განყოფილება აწარმოებს.

მკვლელობები თელავში

ახალი წლის დღეებში, საქართველოში მკვლელობის რამდენიმე ფაქტიც დაფიქსირდა. ამ მხრივ, როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, განსაკუთრებით, ქალაქი თელავი გამოირჩევა, სადაც ბოლო დღეებში, ხუთი განზრახ მკვლელობისა და ორი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი დაფიქსირდა.

2002 წლის 30 დეკემბერს, მკვლელობა ჭავჭავაძის ქუჩაზე მოხდა. აღნიშნული ქუჩის №13-ში მცხოვრებ ჟამბურაშვილების ოჯახს შეიარაღებული და ნიღბიანი ბოროტმოქმედები დაესხნენ თავს დაყარალების მიზნით. ოჯახის წევრებმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რასაც ბოროტმოქმედთა მხრიდან გასროლა მოჰყვა. ტყვია დიასახლისის – ზინაიდა ჟამბურაშვილს მოხვდა. ის მაშინვე გარდაიცვალა. დამნაშავეთა ვინაობა სამართალდამცავებს ჯერჯერობით არ დაუდგინათ.

იმავე დღეს, თელავში მცხოვრები ძმები, გიორგი და ვახტანგ ბუცხრიკიძეები დაჭრეს. მათ „მკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან გასროლით მიაყენეს ჭრილობები. როგორც ამბობენ, დაჭრილთა მდგომარეობა ისევე მძიმე რჩება. სამართალდამცავთა ცნობით, ეჭვმიტანილი, ვინმე ზალიკო გოგნაძე განლაგეთ, გასროლა კი, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

2003 წლის 5 იანვარს, თელავის რაიონის სოფელ შალაურში მოხდა მკვლელობა. ნასვამ თენგიზ ერგემიძეს შელაპარაკება მოუვიდა იმავე სოფელში მცხოვრებ ვალერი გაგნიძესთან, რის შემდეგაც ის დანით დაჭრა. ვალერი გაგნიძე ადგილზევე გარდაიცვალა.

რუბრიკა მოამზავა მიხეილ სანავამ

„ეი-ი-ეს“-ი სასამართლო გადაწყვეტილებით შესრულებას არ აპირებს“

— საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, „ეი-ი-ეს“-ის მიერ ელექტროენერგიაზე დაწესებული 13,7-თეთრიანი ტარიფი გაუქმებულია. აპირებს თუ არა „ეი-ი-ეს“-ი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას?

ირაკლი მელაშვილი, „ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტი:

— „ეი-ი-ეს“-ი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას არ აპირებს. ჩვენი კომპანია ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილს აპირებს. საქმის მოგების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას შესაძლოა, 250 მილიონ დოლარის ჯარი-



მა დაეკისროს. ასე რომ, ნათელაშვილის პოპულისტობა ქვეყნის შეიძლება, ძვირად დაუჯდეს. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი იანვარ-თებერვლის გადასახადს არ გადაიხდის, კომპანია მას ელექტროენერგიის მიწოდებას

შეუწყვეტს. ზოგიერთ უბანში, რომელშიც „გამრიცხველიანება“ დასრულებული არ არის, ელექტროენერგია ახალი წლის დღეებშიც შეზღუდულია. ზოგიერთი ოჯახის დაგალიანება 800-1000 ლარს აღწევს. მათ არანაირი უფლება არა აქვთ, პრეტენზიები გამოთქვან კომპანიის მიმართ, რადგან ასეთი უბნის კერძო სახლებში მცხოვრებლები დარიცხულზე გაცილებით მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, რის გამოც, კომპანია ზარალდება. მათ დენი 24 საათის განმავლობაში რომ ჰქონდეთ, კომპანიას გაცილებით მეტი დანაკარგი ექნებოდა. რაც შეეხება მომხმარებლის ანგარიშზე დაგროვილ დაგალიანებას, ის „გამრიცხველიანების“ შემდეგ, გადაანგარიშდება და შემცირდება. ■

„ეს იდეა ვიღაცას „პანმელიაზე“ ყოფნის ჟამს დაეხადა...“

— რამდენად რეალურია ხმები იმის შესახებ, რომ 85 მაჟორიტარ დეპუტატს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდება და რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით დეპუტატები?

პასილ მალაშვირიძე, „გაერთიანებული დემოკრატების“ წარმომადგენელი:

— ამ იდეის გახმაურება, თუნდაც მთავარი ხმების დონეზე, ძალაუფლების სურვილის გამოხატვაა, რომელიც ვიღაც-ვიღაცები არიან შეპყრობილები. ეს მართო კონსტიტუციის დარღვევა კი არა, სამართლებრივი აზროვნების აბსურდულობის კლასიკური ნიმუშია. თუმცა, მაინც ოპტიმისტი ვარ და არა მგონია, ამ

იდეას თავად მაჟორიტარი დეპუტატების უმეტესი ნაწილი დათანხმდეს და საკუთარი თავის სამარცხვინო მდგომარეობაში ჩაგდებას დაუჭიროს მხარი. გამორიცხულია, რომ პარლამენტში 157 რეგენი შეიკრიბება ვინც ამ საკონსტიტუციო ცვლილებას მიიღებს. შესაძლოა, ხელისუფლებას ეს თემა მაჟორიტარებთან სალაპარაკოდ სჭირდება. არ არის გამორიცხული, რომ ათიოდე მაჟორიტარმა ეს საკენკი აკენკოს. სიმართლე გითხრათ, არც ის მგონია, რომ ასეთი შინაარსის პროექტი კანცელარიაში უკვე მომზადებულია, თუმცა, კანცელარიაზეც არ ვარ მინცლამაინც კარგი წარმოდგენის.

მინილ მამაშვირიანი, საგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი:

— მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ

ამ საკონსტიტუციო ცვლილების. ჩემი აზრით, ეს იდეა კანცელარიიდან მოდის, რადგან ის საეჭვოდ ემთხვევა კანცელარიაში ამ დღეებში გამართულ თაობირს. როგორც ირკვევა, სადღესასწაულო დღეებშიც, ვისაც რა აწუხებს, იმის მოგვარებას ცდილობს. მაჟორიტარი დეპუტატების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ არჩევნებს ველარ მოიგებენ და ამიტომ ცდილობენ ასეთი მონღომბებით, რაიმე ხეირი „გამოაღონ“. გასაგებია, რომ ახალი წლის დღეებია და ყველა ქეიფობს, მაგრამ ამის მიუხედავად, არ შეიძლება, ვიღაცებმა „პანმელიაზე“ გამოთქვან თავიანთი აზრები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დარწმუნებული ვარ — ეს იდეა ვიღაცას სწორედ „პანმელიაზე“ ყოფნის ჟამს დაეხადა. ■

რა ელირება მეტროს კოდირებული ბარათი?



— როგორც ცნობილი გახდა, მეტროპოლიტენის ადმინისტრაციამ ახალი ბარათების შემოღება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თხოვნით, პირველი

იანვრიდან 26 იანვრამდე გადადო. რა არის ამის მიზეზი და რა ელირება ახალი კოდირებული ბარათი?

გურამ ბაბუნია, შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ გენერალური დირექტორი:

— მეტროპოლიტენით სარგებლობის ახალი კოდირებული ბარათები 26 იანვრიდან შემოვა. ამ პროცედურის დაჩქარებას ხელს უშლის ის, რომ ახალი ბარათების მისაღებად, ყველა უწყებამ მეტროპოლიტენთან ხელშეკრულება უნდა გააფორმოს. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვს. ბარათის ღირებულება, როგორც მარ-

შან, თვეში 12 ლარი, ხოლო წელიწადში — 144 ლარი იქნება. ღირებულება გაანგარიშებულია დღეში ორჯერად მგზავრობაზე. ჩვენ არანაირი სურვილი არ გვაქვს, გავზარდოთ მეტროთი მგზავრობის საფასური, თუმცა, ტარიფის შენარჩუნება მილიანად დამოკიდებულია დედაქალაქის ბიუჯეტზე. თუ თბილისის საკრებულო დაამტკიცებს მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილ ამ უწყების ბიუჯეტის პროექტს და უზრუნველყოფს აუცილებელი ხარჯებისა და გადაუდებელი საჭურჭლის დაფინანსებას, მგზავრობის ღირებულება 20 თეთრი დარჩება. ■

ლელა ჭანკოტაძე

ნუცა შანშიაშვილი ლომის ხაზაში მძებრა და ოცნება ანისრულა...

— ბავშვობიდან მოდის ალბათ თეატრალური სენით მოწამვლა. ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა დედამ, მსახიობმა მზია მაღლაკელიძემ: დაყვებოდი თეატრში, ვხედავდი, როგორ იკეთებდა გრიმს, როგორ ემზადებოდა სპექტაკლისთვის... როცა სამზადებო აკადემია დავამთავრე, თბილისში ომი იყო. არ ვიცოდი, რა მინდოდა. მივხვდი, რომ უნდა ჩამელაგებინა ჩემოდანი და წავსულიყავი. ბილეთი ჩემმა მეგობარმა მიყიდა. მოსკოვში რომ ჩავვედი, ჯებიეში სულ რაღაც 10 დოლარი მედო, მაგრამ ამის გამო, შიში არ მიგრძნია. პირველი, რაც გვაკეთე, დაურეკე ჟან დანიელს (რუსი კომპოზიტორი), რომელმაც მომწყო მუნიციპალურ თეატრალურ კლუბში. მითხრა: ყოველ საღამოს, 50 მანეთს გადაგიხდიანო. დავიწყე მუშაობა. ხანდახან, იქვე მეძინა, რიილის გვერდით, რადგან ლამის გასათევი არ მქონდა...

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე. ნუცა კლუბში ჯაზს და რუსულ რომანსებს ასრულებდა. მის მოსასმენად ხშირად დადიოდნენ რუსული ესტრადის ცნობილი მომღერლები, მათ შორის — პრესნიაკოვი. სწორედ მათი რჩევით გააგზავნა ნუცამ თავისი კასეტა კონკურსზე „იალტა-მოსკვა, ტრანზიტ“, რის შემდეგაც, ჯერ ბორის მოისევემა მიიწვია თავის შოუპროგრამაში, შემდეგ კი, მიხაილ ევრემოვმა, თავის სპექტაკლში მთავარი როლის შესასრულებლად. 1999 წელს, ნუცას ამ როლისთვის მიენიჭა რუსეთის უმაღლესი სათეატრო პრემია — „ჩაიკა“. ნუცა პირველი ქართველი ხელოვანია, რომელსაც ეს პრემია ხვდა წილად. მის შემდეგ მიანიჭეს „ჩაიკა“ ოთარ მეღვინეთუხუცესს და რობერტ სტურუას... და მაინც, ყველაზე დიდი წარმატება მას ვიკტორ ვიკტიუკის „ელიტ ჰაიმამ“ მოუტანა. სავარაუდოდ, ნუცა ამ სპექტაკლს წლეულს გაზაფხულზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზეც ითამაშებს...

მომღერლის დედას — ქალბატონ **მზია მაღლაკელიძეს** ნუცასა და მისი მეუღლის — თემურ ტაგვიევის ჩამოსვლამდე, ახალი წლის დადგომამდე ვეწვით. ქალბატონ მზიას ამერიკელი სიძე ჯერ არ უნახავს. ამიტომ განსაკუთრებულად ემზადებოდა. ჩვენ

ვერაზე, ერთ პატარა კარს დიდი ასოებით აწერია — „ნუცა“. ამ კარს შეაღებ თუ არა, ძალზედ საინტერესო სამყაროში აღმოჩნდები: ნახატები, ფოტოები, პლაკატები დაუვინყარ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ სახლში გაიზარდა რუსული ესტრადის ვარსკვლავი ნუცა შანშიაშვილი... მოუთოკავი, ენერგიული და ორიგინალური აზროვნების ბავშვმა ჯერ მუსიკალური ათწლედი დაამთავრა, შემდეგ — სამზადებო აკადემია, მაგრამ მთელი ცხოვრება მსახიობობასა და მომღერლობაზე ოცნებობდა.

თბილისის ომის დროს, ნუცა 23 წლის იყო. მისი სული გასაქანს ითხოვდა, ასპარეზო სჭირდებოდა საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად. იმ პერიოდს ნუცა ასე იხსენებს:



ტონ ჯემალზე გვიამბოთ, თუ შეიძლება.

— მე რომ ნიჭიერი ვიყავი, ეს ყველამ იცოდა. ჯემალი უნიჭიერესი იყო. ორივე ჩუმად ვიყავით, ჩემმა შვილმა კი, ჩვენი ნიჭიერება გამოამზეურა, ქვეყანას მოჰფინა... საერთოდ, შანშიაშვილები ნიჭიერი ხალხია. ჩემი მხრიდანაც — დედა დაბადებული იყო მსახიობად, კარგად მღეროდა, მამა კი არაჩვეულებრივი თამადა გასლდათ. ნუცა სამმა ბებიამ გაზარდა. დედაჩემს ორი და ჰყავდა, ე.ი. მე — სამი დედა. ერთს რომ გაუკცებდი, ანიკოსთან და ნუცასთანაც გაკრბოდი... ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ჩემ გარშემო ყველა შეძლებულად ცხოვრობდა. ერთხელ, მედვა ბიბილეიშვილმა მითხრა: მზეო, რა ბედნიერი ხარო! მზეოს დედა მეძახდა... მე მეგონა, ნუცაც ბედნიერი იყო. ამას წინათ კი მითხრა: შენ რა გგონია — ბედნიერი ვიყავიო?! — გამიკვირდა. — გიჟივით იყავით ჩემზე გადარეულებიო... მართლაც ასე იყო. თავს ვეველებოდი. ალბათ იმიტომაც, რომ გვიან გავაჩინე. ჩემთვის ერთი შვილი მინდოდა, ახლა კი, ყველა ჩემულობს — ჩემია, ჩემიაო... ახლა ნუცი ყველასია...

— თუ წარმოიდგენდით, რომ ასეთ წარმატებებს მიაღწევდა?



ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა დედამ, მსახიობმა მზია მაღლაკელიძემ

სწორედ ამ სამზადისის დროს ვესტუმრეთ.

— თავდაპირველად, თქვენზე და ნუცას მამაზე — ბა-



— მე მის კონცერტზე მისვლის უფლება არ მქონდა. ერთხელ გადავწყვიტე, რომ მივსულიყავი, რადგან დიდ დარბაზში გამოდიოდა. ჩემად შევიპარე. დაანება დაკვრას თავი, მოტრიალდა, შემომხელა და გაჩერდა. მეც, დემონსტრაციულად დავტოვე იქაურობა, რათა ნამდვილად დარწმუნებულიყო, რომ წავიდა... არ ვიცი, რატომ აკეთებდა ამას. ალბათ კომპლექსი ჰქონდა. ძალიან მეშინოდა, როცა „ელიტ ჰიაფი“ დაიდგა და მოსკოვში ჩამიყვანა. პრემიერამდეც იქ ვიყავი. ორი კვირით ადრე მითხრა: ახლა მადროვე — წადი, რა, სახლშიო... მეც მსახიობი ვარ, ვიცი, რომ მსახიობებს ჩვენ-ჩვენი „პეპლები“ გვყავს... უხმოდ ავდექი და წამოვედი თბილისში. ზუსტად სამი დღის შემდეგ დამირეკა: აიღე ბილეთი, ფული თუ არა გაქვს, ისესხე და ჩამოდიო. ძალიან ვღელავდი — ვაითუ, ჩემმა იქ ყოფნამ კიდევ იმოქმედოს-მეთქი?! ვერ ვიფიქრებდი, ასეთი გრანდიოზული წარმატება თუ ექნებოდა.

— მისი პროფესიის არჩევანში თუ მიიღეთ მონაწილეობა?

— არ გვინდოდა, თეატრის მსახიობი რომ გამხდარიყო. ეს პროფესია ბევრ ტკივილთან არის დაკავშირებული. არ მემეტებოდა ამ ტკივილისთვის, მაგრამ მაინც გაიქცა და სცენა აირჩია, თუმცა პროფესიით მხატვარია. იანვარში, ამერიკაში დიდი ტურნე აქვს დაგეგმილი. ნიუ-იორკში სოლო კონ-

ცერტს ჩაატარებს. სცენა სულ მისი ნახატებით იქნება გაფორმებული და ამ ნახატებს შორის იმღერებს თავის სიმღერებს. ფოიეში კი, მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა.

— სიძეზე რა შეგიძლიათ მითხრათ?

— ამბობენ, გარეგნობით ჯორჯ კლუნივს ჰგავსო. ნუცა მწერს, რომ მისმა თვალებმა მოხიბლა და ოკეანის გაღმა თავისი ოცნების პრინცი იპოვა... მთავარია, ჩემს შვილს გამოადგეს. ახლა ნუცას მენეჯერიცაა. ადრე „კომპიუტერშიკი“ იყო. ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტის დროს, „ტყუპი“ შენობა რომ ააფეთქეს, იქ ჰქონდა დიდი ოფისი. „ტყუპთან“ ერთად, მისი ბიზნესიც დაინგრა.

— პირველი სიძე მოგწონდათ?

— ერთხელ, მასზე რაღაც ცული ვთქვი და ნუცა გამიჯავრდა: მისგან კარგის გარდა, არაფერი მახსოვსო. გიორგი, დიდი ასპიროვის შვილთაშვილია. ასპიროვი ყელ-ყურის ცნობილი ექიმი იყო. გიორგის დედა, ინგა თბილისის კოლორიტი გახლდათ. გიორგი ცინცაძეა, რუსეთში კი დედის გვარით მუშაობს და ჯორჯ ასპაროვად არის ცნობილი.

— როგორი განცდა გეუფლებათ, ნუცას წარმატებების ამბავს რომ იგებთ?

— მისი ნებისმიერი წარმატება სასიამო-

მთავარია, ჩემს შვილს გამოადგეს. ახლა ნუცას მენეჯერიცაა. ადრე „კომპიუტერშიკი“ იყო



მოვნაო. მაგრამ ძალიან იღლება. არანორმალური ტემპით მუშაობს. საოცრად შრომისმოყვარეა. ამიტომ მიღწეა ასეთ წარმატებებს. ბალტიისპირეთში აფიშებზე ეწერა: „ქართველი ელიტ ჰიაფი“. ვიკტორ ვიკტიუკი გაგიჟდა, ნუცა რომ გაიცნო. დიდი ხანი ვეძებდი ამ როლის შემსრულებელსო... მეზობლები ყოველთვის მეუბნებოდნენ: ამ ბავშვს, ვიცით, არაფერი არა აქვს, მაგრამ სტუმრად რომ მიდის, ყველაზე კარგადაა ჩაცმული... როცა სადმე მივდივარ, რაღაც შარფს ისე მომასხვევს, რომ უკვე განსაკუთრებულად გამოვიყურები...

— ნუცა ძალიან ენერგიული, სიცოცხლით სავსე, საოცრად ექსპრესიულია სცენაზე. ბავშვობაში ცელქი იყო?

— ზოგჯერ ისეთ რამეს გააკეთებდა, რომ გამაგიჟებდა, მაგრამ უმეტესად, თავისთვის იჯდა — წყნარად, ჩუმად, არაფერს ამბავებდა. უცებ, შუალამისას მოუნდებოდა დაკვრა, ლოგინიდან წამოდგებოდა, ღამის პერანგით მიუჯდებოდა პიანინოს და უკრავდა... საოცარი სმენა ჰქონდა. ნოტებს ვერ იტანდა — ყველაფერს ერთი მოსმენით იმასწორებდა. ხატვა უფრო გვიან დაიწყო. სულ ფანქარი ეჭირა, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას. ახლა, მისი რვეულები რომ ამოკვეთე, ლექსები ვიპოვე: თურმე ლექსებსაც წერდა. დღიურებში ღმერთს ევედრება — მსახიობი გამხადეო... მაინც გაიმარჯვა, ლომის ხასაში შეძვრა და ოცნება აისრულა. მთელ რუსეთში ЭЛИТАРНАЯ ПЕВИЦА-ს უძახიან!..

— რაიმე უცნაურობები თუ სჭირდა?

— ყოველთვის უცნაური ხასიათი ჰქონდა. სულ პატარა რაღაცაზე რომ გაბრაზდებოდა და „არას“ იტყოდა, საუბარი ზედმეტი იყო — ვეღარაფრით გადაათქმევინებდი. ძალიან ახლოს ვართ, მაგრამ ხშირად „ვევჯახებით“ კიდევ ერთმანეთს...

— როცა რუსეთში წასვლა განიზრახა და თავისი ბედის საძებნელად წავიდა, იოლად გაუშვით?

— მაინც წავიდოდა... თანაც, ბებიები უკვე ცუდად იყვნენ. დედაჩემი ლოგინად იყო ჩავარდნილი, თორემ სხვა შემთხვევაში, ფეხით გააკიდებოდა. მეტყობა სოლმე: დედა არა ხარ? როგორ ჩერდები, ბავშვი სახლში რომ არ არისო?! წავიდა და ახლა მთელი გულით მღერის — „მწი სნიტსია გრუზია...“

ხათუნა მაღრაძე

— ბატონო ზურაბ, როცა ბრძანებთ, ჩემი პრეზიდენტი მინდაო, ალბათ ასლან აბაშიძეს გულისხმობთ.

— ნებისმიერი ადამიანი, ვისაც სამშობლო სტკივა, ჩემი პრეზიდენტი იქნება. ასეთი პოლიტიკოსი, რამდენიმე შეიძლება იყოს, თუმცა, უპირველესად, ბატონ ასლანზე შევაჩერებდი არჩევანს. მან პირად საუბარში მითხრა — საქართველოს ბიუჯეტს ერთ წელიწადში 5 მილიარდით გაუზრდი, მეორე წელს კი, 10 მილიარდითო. განა ასეთი რამ, სხვა ვინმეს უთქვამს?!

— თქვენ გულწრფელად ბეჯით, რომ მართლაც ასე იქნება? მით უმეტეს, რომ აჭარაში მთლად დაღსნეილი ცხოვრება არ არის...

— ჰო, არც აჭარაში ყვეაის ხალხი, მაგრამ იქაური ყოფა გაცილებით მოწესრიგებულია. კურსი შენებისკენ აქვთ აღებული და არა ნგრევისკენ, რასაც სამწუხაროდ, საქართველოს სხვა კუთხეებზე ვერ ვიტყვი.

— „აღორძინებამ“ იმიტომ ხომ არ გთხოვთ თავის ფრაქციაში განეწიება, თქვენი პოპულარობის სარჯზე ქულები რომ მოეგროვებინა?

— არა მგონია. მე პარლამენტში კონკრეტული გეგმებით მოვედი, სოფელი უნდა ამეშენებინა. ამ მოტივით ხელისუფლებას 200 ათასი ლარის გამოყოფა ვთხოვე, მაგრამ ყური არავინ მიგდო. ეს თანხა ხალხის კეთილდღეობისათვის უნდა გამოიყენებინა და მათი ჯიბეების გასასქელებლად არ გამოდგებოდა, ამიტომ მხარი არავინ დამიჭირა.

— ასლან აბაშიძე რომ მართლაც პრეზიდენტი გახდეს, ალბათ სოლიდურ თანამდებობას შემოგთავაზებთ...

— ჩემთვის ყველაზე დიდი თანამდებობა, თავისუფლებაა. მაგრამ თუ საშუალება მომეცემა, რომ სოფლებს მივხედო, მრეწველობის განვითარებას შევუწყო ხელი და ხალხი გაჯირვებიდან ამოვიყვანო, ალბათ ურიგო არ იქნება. ისე კი, მე პარლამენტში თანამდებობის საძებნელად არ მოვსულვარ.

— როცა პარლამენტს თქვენს გეგმას სთავაზობდით, გული არ გიგრძნობდათ, რომ უარს მიიღებდით?

— მოგეხსენებათ, ცდა ბედის მონახვერეაო, მაგრამ ამ პარლამენტისაგან რას

მსახიობობაგამოვლილი ზურაბ ქაფიანიძე დარწმუნებულია, რომ მისი ადგილი, სწორედ საკანონმდებლო ორგანოშია. მართალია, თავისი კოლეგების, ქარის მიმართულებით რწევა არ მოსწონს, მაგრამ მათზე ფიქრს დიდ დროს არ უთმობს, ან სად სცალია?! — მან უკვე საქართველოს აღმშენებლობისა და აფხაზეთის დაბრუნების ორწლიანი გეგმა შეიმუშავა და ახლა, იმ ადამიანის გაპრეზიდენტებაზე ოცნებობს, რომელიც პარლამენტარის ყველა ნამონყებას დააფინანსებს და მის გამჭრიახობაშიც ეჭვს არ შეიტანს.



რამ შეუძალა ხელი ზურაბ ქაფიანიძეს ძალაუფლების ხელში აღებაში

უნდა ელოდო, როცა უმრავლესობა შევარდნაძის ხალხია. პრეზიდენტი კი იმ პრინციპით ირჩევს ადამიანებს, რომ მათთვის ეროვნული ინტერესები არ არსებობდეს. შევარდნაძის მომხრეებისთვის ეს დაუწერელი კანონია.

— მუშტი-კრივში რატომ არ ერევით? მშვიდი პარლამენტარის იმიჯი გინდათ შეიქმნათ?

— მშვიდი კი არა, სასტიკად მკაცრი ვარ, მაგრამ ვერ გავიგე, მაგათ რა სწყინთ ერთმანეთისგან; რაც შეეხება ჩხუბს — ჯერ ერთი, ასაკის გამო ვერ გაბედავენ, მერე — ღონეც მაქვს...

— ისე, რომ მოინდომოთ, რამდენ პარლამენტარს სცემდით?

— ალბათ ერთ ჯგუფს კიდევ გავიტან. ჩვენთან ორი მსოფლიო ჩემპიონია, ისინი თუ არ წამეჩხუბნენ, დანარჩენებს ყველას გავლანჯავ... მაგრამ მე სამშობლო მაქვს ტკივილად და მაგათ კონწიალობაში არ ვმონაწილეობ. თანაც, ვინც მაგათ აპროგრამებს, მე იმაზე მაქვს აქცენტი, ის კი პარლამენტში არ ზის.

— ივანე კოტორაშვილი რომ იყოს პარლამენტში, ბევრს აუჭრელებდა კომბლით გვერდებს?

— ივანე კოტორაშვილსაც ზუსტად ისეთი განწყობა ექნებოდა, როგორც ხალხს აქვს და ისე მოიქცეოდა, როგორც მას სურს.

— ამბობენ, მსახიობებსაც

პოლიტიკოსების მსგავსად, გარკვეულ გარიგებებზე უნევთ ნასვლაო. ამ მხრივ, თქვენთვის პარლამენტში, უცხო გარემო არ უნდა იყოს.

— რას ამბობ? იმ დროს, როცა მე მივედი კინოში, ცეკას პირველი მდივნის შვილიც რომ ყოფილიყო, არ დაამტკიცებდნენ როლზე, თუ სამხატვრო საბჭო არ აირჩევდა. მახსოვს, არსენას, ქუჩაში ეძებდნენ, ივანე კოტორაშვილზე რომ ამიყვანეს, დიდ კონკურსში გავიმარჯვე, რადგან მაშინ, კინო ქართულ სახეს იძენდა. მაშინ გარიგება არ არსებობდა. გარიგებაზე რომ მიდგა საქმე, კიდევ ეტირა ღელა კინოს. რაც შეეხება პარლამენტს — აქ სულ ყიდვა-გაყიდვაზეა საუბარი. პრეზიდენტი ყიდულობს ყველას და ამბობს: ვინც ჩემი ერთგული იქნებით, ფული გექნებათ და იბაირამებთო. თანაც, ამ სისტემაში საშინელი ცილისწამების ატმოსფერო სუფევს. როცა ვინმე ნაცვლიშვილმა ილიაზე დაწერა — გლეხებს წყალი არ მისცაო, — უთხრეს: შენც ხომ იცი, რომ ტყუილს ამბობო, — მან კი მიუგო: ვიცი, მაგრამ ახლა, ილიამ იმართლოს თავიო... ასეთი ჭუჭყია პარლამენტშიც.

— მიუხედავად ამისა, მომავალ პარლამენტში ალბათ მაინც გინდათ, დეპუტატის მანდატი გკონდეთ...

— არ ვიცი... მინდა, გაიმარჯვოს იმ ძალამ, საქართველოზე რომ იფიქრებს, მე

კი, სხვა საქმეს გავაკეთებ. აუტანელიც კია, წლები პარლამენტში იჯდე და ამდენ სისულელეს უსმინო.

— **აგსა რად უნდა მტერობაო — ვაჟა ამბობდა. ალბათ თქვენც გეყოლებათ ისეთი ოპონენტი, აგრესიას რომ ვერ ფარავს.**

— ახლა რომ დაფიქრდი, ასეთი კაცი არცთუ ისე ბევრია. თუ გვარი გაინტერესებთ, თამაზ გამყრელიძეს დავასახელებდი. ამ ადამიანმა ერთი უზარმაზარი მკვლევარი, რამაზ პატარიძე დამარხა და როცა მე ქართული ანბანის გამოკვლევაზე სერიოზული ნაშრომები შევქმენი, ახლა მე მომდგა. გამყრელიძე სამთავრობო მეცნიერია და მისი მითითებებით, საქართველოს ისტორიას ამასწავებს. მე რომ ისტორიის სიღრმეში შევიღე, მაგას ხელს არ აძლევს.

— **საშუალება რომ გქონდეთ, თქვენს ოპონენტებს როგორ დასჯიდით?**

— რადგან თამაზ გამყრელიძეზე ვსაუბრობთ, გეტყვით, რომ ამ ვითომ მეცნიერისთვის სასჯელი ის იქნებოდა, წიგნს თუ გამოცემი, რომელშიც სიმართლეს დაწვერდი. ამას წინათ, გამყრელიძემ და შევარდნაძის ორმა მსახურმა, ჩემი გამოკვლევა სამთავრობო გაზეთში გაათასსირეს. მერე, მე დავუწერე სასწაული პასუხი. ამის შემდეგ დამუნჯდნენ, ხმას ვეღარ იღებენ.

— **ბატონო ზურაბ, ღმერთი რომ გამოგეცხადოთ და გითხრათ: თქვი, შენი ყველაზე დიდი შეცოდება და მოგიტყვებო, — რას იტყვოდით?**

— ასეთი მნიშვნელოვანი ცოდვა ალბათ არ ჩამიდენია, თორემ შემაწუხებდა. ახლა კი, არაფერი მასხენდება — არც თეატრში, არც კაცობასა და მეგობრობაში. თუ არ ჩავთვლით ქალებთან „რიგ-გარეშე“ სიარულს, შეიძლება ითქვას, რომ უცოდველი ვარ. ისე, ერთი-ორჯერ მა-

გრად ვიჩხუბე. რამდენიმე კაცს არ მოგვეწონა ერთმანეთი, გარეთ გავვდიოთ, რომ გაგვერკვია, ვინ უფრო ძლიერი იყო... ასეთი ჩხუბი სულ ორი-სამი თუ მასხენდება და მას მერე დავიფიცე — კაცს ხელს აღარ გავარტყამ-მეთქი. საერთოდ, მე უფრო, გამშველებლის როლში გამოვდივარ. 65 წლის კაცი ვარ, რესტორნები მიყვარს, სუფრა და ქეიფი, მაგრამ მე საღაც ვარ, დამბული სიტუაციები თითქმის არ იქმნება და არც სერიოზული ჩხუბი მომხდარა. შეიძლება ითქვას, რომ 100-კაციან სუფრას თავისუფლად ვაკონტროლებ, მარტო პარლამენტარებს ვერაფერი მოვუხერხე...

— **როგორც გამშველებელს, არ მოგხვედრიათ?**

— იქნებ, მომხვედრია კიდეც, მაგრამ ვერ ვგრძნობდი. ახალგაზრდობაში, ვარჯიშის დროს, სულ რკინებს ვირტყამდი სხეულზე, მაგრამ ისეთი დაკუნთული ვიყავი, რომ ვერაფერს ვგრძნობდი. ჩხუბთან დაკავშირებით, ერთი ამბავი გამასხენდა. თბილისქალაქობა იყო. სტუდენტებმა თავიანთ სუფრასთან დამპატიყეს. მოვიდა ერთი ახალგაზრდა, რომელიც შარს ეძებდა, რალაცას ჭიჭყინებდა და სიტუაციას ძაბავდა. მეორე ჯგუფში გადავედი, იქაც გადმოწყვა. ბიჭებმა მითხრეს — ამას ჩვენ მოვუვლითო. — არავითარ შემთხვევაში-მეთქი, — ვუთხარი, აბუხარს ხელი გადავხვიე, მაგრად მოვუჭირე მკლავი და ვთქვი: იცით, რატომ არსებობენ ასეთები? თქვენ რომ არ გადათვრეთ და ფხიზლად იყოთ — ჩხუბი რომ მოგიხდეთ ამისთანა აყვასთან, ნაცემები რომ არ დარჩეთ-მეთქი. ამის თქმა და იმ კაცის სადღაც გაქრობა ერთი იყო...

— **თქვენზე ამბობენ, 10 ლიტრ ღვინოს სვამსო...**

— 12 ლიტრიც დამილევია და არ დავითვრალვარ, მაგრამ ერთი კაცი იყო — კელეჯერიძე — 20 ლიტრს სვამდა, აი, ის კი მათობდა.

— **ალბათ საღამოთი დანცვებულ ქეიფს დილით ამთავრებდით — 20 ლიტრის დალევა, სხვა თუ არაფერი, დრო სომ მაინც უნდა?**

— ჭურჭელს „ეზრდილით“... საერთოდ, მსმელ ადამიანს პატარა ჭინჭილა უფრო ათრობს, ვიდრე უშველებელი ყანწი, მაგრამ ახლა, 5 ლიტრს ვეღარ ვერევი.

— **ამბობენ, რო-**

ცა ადამიანები გამოქვაბულში ცხოვრობდნენ, დილით ქალს გამოუშვებდნენ სოლამე პირველს. თუ ნადირი არ მოიტაცებდა, მაშინ გამოვიდოდნენ გარეთ; აქედან მოდის ქალის კარში გატარების ტრადიციაო...

— წარმოუდგენელია, რომ საქართველოში მსგავსი რამ ყოფილიყო, რადგან ჩვენ მაიმუნისგან არ ვართ წარმოშობილნი და გამოქვაბულშიც არ ვვიცხოვრებთ. შუმერული ანბანით, თიხის ფირფიტაზე დაწერილია ერთი ლეგენდა, რომლის მიხედვით, ზეციდან მოვლინებულებმა დააარსეს 5 ქალაქი. ზუსტად ეს, ზეციდან მოვლინება, სვეტიცხოვლის ფრესკაზეა გამოსახული. ამიტომ, ჩვენ ისეთი ცივილიზაციის ნაყოფი ვართ, რომ არ შეიძლება, მსგავსი წინაპრები გვეყოლოდა. სწორედ ამიტომ, რომ ქართველები ყველაზე ლამაზები და ჯიშინები ვართ. ყველაზე ლამაზი ქალი მთელ მსოფლიოში, ქართველი ქალია.

— **ცოტა გაზვიადებული წარმოდგენა ხომ არა გვაქვს საკუთარ თავზე?**

— მე გაზვიადებული წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ თუ ვინმეს ასე ჰგონია, მათ დასარწმუნებლად ერთ ფაქტს მოვიყვან. როდესაც სტამბოლის ბაზარზე ახალგაზრდებს ყიდდნენ, ყველაზე ძვირი, ქართველი ქალი და კაცი ღირდა. ირანი რომ მოგვერეოდა, ხარკად 100 ქალ-ვაჟი მიჰყავდა. ქალებს ცოლად ისვამდნენ, კაცებს კი, თავიანთ ცოლებთან აცხოვრებდნენ, რომ იმის ჩამომავალი დაბადებულიყო.

— **ბატონო ზურაბ, როცა მამაკაცი პოპულარულია, მის მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიას, მანდილოსნები იჩენენ სოლამე. ალბათ პოპულარობის ყველაზე კარგი ატრიბუტი მამაკაცისათვის, სწორედ მათი ყურადღებაა.**

— არა, პოპულარობის ნიშნით, ჩემთან არც ერთ ქალს არ ჰქონია კავშირი. მათ ჩემი გული მოსწონდათ, თორემ პოპულარობის გამო მოსულ ქალს არც კი ვაკოცებ...

— **ნეტავ, როგორ არჩევთ, გულისთვის გოცნიან თუ პოპულარობისათვის?**

— როგორ გეკადრებათ? როგორ გოცნის, იმას თუ ვერ გრძნობ, აბა, რისი მაქნისი ხარ?! ქალის გულის გამოცნობა ადვილი საქმეა. თანაც, მე ბევრი ქალი არ მყვარებია, მაგრამ თუ ვინმე მომეწონა, ავადმყოფური შეყვარება ვიცი. პირველად, როცა მეხსიერებაში შევედი, უკვე



შეყვარებული ვიყავი ჩემს სოფელს გოგონაზე, მაგრამ იგი ბებიაჩემის მოვარე იყო და არ შეიძლებოდა, რომ შეყვარებოდა. ეს ამბავი ისე დამთავრდა, სიყვარულის გამხელაც კი ვერ შევძელი. მეორე, ვინც ავადმყოფურად შემიყვარდა, თანასკოლეელი ციალა მეტრეველი იყო.

— **იმედია, იმას მაინც გაუმხილეთ...**

— (ივინის) კი, გაუუმხილე. მერე, ქუთაისელმა ქალმა მომხიბლა, ქუთაისელს თბილისელი მოჰყვა, მაგრამ ბევრნი მაინც არ ყოფილან...

— **ერთი ნახვით გიყვარდებოდათ?**

— მე ისეთი პროფესია მქონდა, რომ უამრავი, ლამაზი და ჩამოქანდაკებული ქალი შემხვედრია, მაგრამ ისინი ჩემს გულში ვერ შემოდინდნენ. თუმცა, იყო რამდენიმე, რომელიც პირველივე ნახვის დროს აღებდა კარს და ლაწან-ლაწანით შემოდინდა შეგნით და მერე, დედას მტრობდა...

— **რაში გამოიხატებოდა „დედის ტირება“?**

— არეულ-დარეული ვიყავი, სულ დავდიოდი, ვეძებდი, მერე მოკვიდებდი ხელს და ტყეხა და ღრეში მიმყავდა.

— **ტყეში რაღა გინდოდათ?**

— აბა, რა ვიცი (ივინის), მიყვარს ბუნება...

— **ცოლი რომ შეირთეთ, თქვენი ვნებები ვერც მან დააოკა?**

— დაოკება რას მიქვია. ერთი ქალი, სოფი ლორენცი რომ იყოს, მაინც მოგწყინდება და ერთი თვის შემდეგ, ჩვეულებრივი ქალი გახდება. მერე პატივისცემა ჩნდება და შვილების გამო, გიყვარდება კიდევ, მაგრამ მრავალფეროვნებისათვის აუცილებელია ახალ-ახალი თავგადასავლები.

— **სხვა ქალებზე ზედმეტიც კი ვილაპარაკეთ, მეუღლეს გული არ დასწყდება?**

— მის შესახებაც მოვანსებთ. ჩემმა ძმადნაფიცმა, ბონდო გურჩიანმა მითხრა: ჩემი ცოლის ნათესავია, თამრიკო გაბუნია, ძალიან ლამაზი გოგონაა, ნახე, გარეგნობით თუ მოვეწონება, შინაარსზე მე ვაგებ პასუხსო. მართლაც, ენახე და ძალიან მომეწონა. რამდენჯერმე სასაიროლაც წავიყვანე — ხასიათი ხომ უნდა გამეგო. ერთი კვირის თავზე კი, ტაქსი გავაჩერე და რაჭაში წავაპწიალე. ცოტა კი იტლიკინა — არ წამიყვანო, — მაგრამ ყური არ ვათხოვე. როცა სოფელში მივიყვანე, დედამ მითხრა: ვიცნობ ამ გოგოსო. გამიკვირდა და ვკითხე — საიდან-მეთ-

ქი?! დედა სოფლელი ქალი იყო და უტეხი ყურება იცოდა. ერთხელ, როცა ჩემთან იყო თბილისში ჩამოსული, თამრიკო რუსთაველის გამზირზე, კლასიკობთან ერთად მიმავალი დაუნახავს, გაჩერებულა და უტიფრად მიშტერებია; სანამ ყველა მხრიდან საფუძვლიანად არ შეუმოწმებია, არ მოშვებია, მერე კი მაიდაჩემისთვის უთქვამს: ნეტავ, ამისთანას მომგვრიდეს ზურაბიო. ასე რომ, წარმოდგენაც არ მქონდა, ისე ავუხდინე დედაჩემს ნატვრა.

— **ბატონო ზურაბ, ახალგაზრდობიდან დღემდე, რა იყო თქვენი აქტიურობის ქუსლი, სისუსტე, რომელსაც ვერ მოერივით?**

— ის, რომ თავხედობა არ გამაჩნდა. თავის დროზე, ეს თვისება არ ჰქონდათ ილიას, გალაკტიონს... მე მათ თავს არ ვადარებ, მაგრამ მათაც და მეც, უაზრო თავხედებმა მიგვასწრეს ფინიშამდე. დღესაც, მათი აქტიურობა ღუპავს ქვეყანას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ჭკვიანსა და კეთილშობილს, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს სამშობლო, ეს თვისება არ გააჩნია. მე რომ თუნდაც კეთილშობილური თავხედობა შემძლებოდა, წლების წინ, 7 ათასი კაცი მყავდა, ავიღებდი ხელში მართვის სადავეებს და ქვეყნის ბელსაც სხვაგვარად წარვმართავდი.

— **გადატრიალება უნდა მოგესდინათ?**

— გადატრიალება უკვე მომხდარი იყო. უბრალოდ, ხელში ჩავიგდებდი ძალაუფლებას, მაგრამ უადგილო თავმდაბლობამ შემიშალა ხელი.

— **არ იდარდოთ — ამბობენ, რამდენიმე წელში ერთხელ, ადამიანს ახალი შანსი ეძლევაო, იქნებ, 2003 წელი იყოს, სწორედ ამგვარი ბედნიერების მომტანი თქვენთვის. მაგრამ სანამ რაიმე მოხდება, მოდი, ყველაზე მზიარული ახალი წელი გაიხსენეთ.**

— გასულ წელს მეგობარმა საგურამოში დამპატიჟა, ახალი წელი ერთად უნდა გავკეთებინა. სახლიდან თოფი და ვაზნები წავიღე. შევედი თუ არა ეზოში, რამდენჯერმე გავისროლე, მერე, ცოტა რომ შევთვრით, ისევ ვისროლე რამდენჯერმე. დილით ჩემს მასპინძელს ინსპექტორი დაადგა თავზე, როგორც ჩანს, ფულის გაკეთება უნდოდა. აქ თოფს ვინ ისროდა წუხელი? — უკითხავს გაბრაზებულს. ჩემს მასპინძელს კი მიუგია: ზურაბ ქაფიანიძე იყო მოსული და საგურამოს ტყეში ილიას მკვლელებს ეძებდაო...

ერთგული პიტიხელი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

1. რომელი პარლამენტარია გამოსახული ამ ფოტოზე?




- ა) მაია ნადირაძე;
- ბ) ფიქრია ჩიხრაძე;
- გ) ნინო ბურჯანაძე.

2. ანა კარენინას პროტოტიპი იყო:



- ა) ალექსანდრ პუშკინის ქალიშვილი;
- ბ) მიხაილ ლომონოსოვის ცოლი;
- გ) ალექსანდრ გრიბოედოვის და.

3. სახაზავს, რომელსაც სადურგლო და სამხენალო საქმეაზში სწორი კუთხის გამოსახვანად იხენაზენ, ეწოდება:



- ა) ფრეზერი;
- ბ) აქე;
- გ) გონიო.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

საგადასახადო სამსახურის ცენტრალური აპარატის მთავარი ინსპექტორი ბესო კალანდაძე 16-წლიანი პაუზის შემდეგ, მალე გაახარებს ათასობით თაყვანისმცემელს. ის კვლავ ამღერდება პროფესიულ სცენაზე, „ძველი გვარდიის“ წევრებთან ერთად. სამოქმედო პროგრამას ჯერჯერობით არ ამხელს, არც ქვეყანას და დროს აკონკრეტებს, თუმცა, მიწვევები რუსეთისა და ევროპის ქვეყნებიდანაც აქვს მიღებული. რა როგორ გადაწყდება, ამას მომავალი გვიჩვენებს. სხვათა შორის, სამსახურებრივი საქმიანობის შეწყვეტასაც არ აპირებს. მართალია, საგადასახადო ინსპექცია და მუსიკის სამყარო რადიკალურად განსხვავდება, თუმცა ორივე სფერო ბესო კალანდაძის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...

16-წლიანი შესვენების შემდეგ, ბესო კალანდაძე მსტრელას უბრუნდება



დელიკო აკობია

— ბესო, თავის დროზე ქართული ესტრადის პოპულარულმა მომღერალმა, ვარსკვლავმა, რატომ მიატოვეთ სცენა?

— „ვარსკვლავი“, ჩემი პიროვნების ხასიათის შესატყვისი არ არის, მით უმეტეს, რომ დღეს იმდენად მოძრავლენ ვარსკვლავები საქართველოში, რომ ვარსკვლავობის არავითარი სურვილი არა მაქვს (იცინის). მე ვიყავი ალბათ პატარა კომედა, რომელმაც ჩაიქროლა და წავიდა... რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს — როცა კაცი ფიქრობს იმაზე, თუ რა აჭამოს ცოლ-შვილს და რით ირჩინოს თავი, დამეთანხმებით, ვერაფერს ღირებულს ვერ შექმნის...

— ე.ი. დღეს ხელოვნებაში სულიერი კრიზისია?

— სამწუხაროა, მაგრამ დღეს ხელოვნებაში კომერციული მხარეა წინა პლანზე წამოწეული. შოუბიზნესში მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც გააბრუნეს ხალხი თავიანთი

კლიპებითა და რეკლამებით, ლათინურამერიკული სერილებისა არ იყოს. არის კარგი ნიმუშებიც, მაგრამ იმდენად ცოტაა, რომ ჩვენთან პრაქტიკულად, ხელოვნება არ არსებობს...

— თქვენ როგორ მოხვდით მუსიკის სამყაროში?

— სრულიად შემთხვევით. ალბათ როგორც ბერმა სხვამ, მუსიკალური შვილ-წელი დავამთავრე ფორტეპიანოს განხრით და საკმოდ საფუძვლიანი კლასიკური განათლება მივიღე, რაც შემდეგში ძალიან დამეხმარა, თუნდაც სანოტო სისტემის ცოდნის წყალობით. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სრულყოფილი, მაგრამ შემდეგ, უკვე პრაქტიკულად გავიარე ის, რასაც მუსიკალური გზა ჰქვია. ამასთან, მუსიკის ნიჭი გენებითაც გადმომეცა — როგორც დღის, ასევე მამის მხრიდან. ბებიჩემი — მამჩემის დედა, კავსაძე გახლდათ. მათი გვარის შვილები კი, მოგეხსენებათ, ბუნებით ან მოძღვრებით, ან მსახიობები არიან. საკმარისია, თუნდაც ბატონი კახი კავსაძე, ანზორ კავსაძე ან იგივე კახის შვილი — ირაკლი დავასახელით.

— პროფესიულ სცენაზე როგორ მოხვდით?

— ერთი პერიოდი, მე და მანანა თოლაძე ერთად ვმღეროდით თვითშემოქმედებით კოლექტივში. მერე

მანანა მიწვევს სახელმწიფო ორკესტრ „რეროში“, მან კი ჩემი კანდიდატურა წარუდგინა „რეროს“ ხელმძღვანელს, ბატონ გივი გაჩეჩილაძეს. ასე მოვხვდი პროფესიულ სცენაზე. ეს იყო რენესანსის პერიოდი ქართულ საესტრადო, უფრო კი — პოპ-მუსიკაში. შემდეგ, იყო ანსამბლი „75“. ეს პრაქტიკულად, აკადემია იყო ჩემთვის! 1986 წლამდე ვიდექი სცენაზე, სანამ „75“ არსებობდა. მერე მეც ჩამოვმორდი პროფესიულ სცენას.

— რატომ არ გაპყვევით მუსიკის გზას და რატომ აირჩიეთ ეკონომისტობა?

— ეკონომისტობა უფრო ადრე მქონდა არჩეული, ვიდრე მუსიკა. კომაროვის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ვსწავლობდი. ხელოვნება ჩემი ჰობი იყო, რომელიც შემთხვევით გადაიზარდა პროფესიულ საქმიანობაში.

— რა უფრო მნიშვნელოვანია დღეს შოუბიზნესისთვის — ნიჭი თუ ფინანსები?

— ნიჭი დღეს საქართველოში არავის სჭირდება. აქ სჭირდებათ რობოტები და იცით, რატომ? ნიჭიერი და მცოდნე, ხელის შემშლელი ფაქტორია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს, ასე ვთქვათ, ფულს შოულობენ. მათ სჭირდებათ შემსრულებელი, რომელსაც საკუთარი აზროვნება არ გააჩნია...

— ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. გაიხსენეთ მოულოდნელობა, რომელმაც ჩინში მოგამწყვდიათ ან პირიქით, სიბნელიდან სინათლეზე გაგიყვანათ.

— ძალიან ბევრჯერ მქონია ასეთი მომენტი. თუნდაც ის, რომ სცენა მივატოვე... მაშინ, ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ჩვენი ანსამბლი ზენიტში იყო. არა მარტო



1991 წლის 25 აპრილს, მედეას დაბადების დღე იყო, 28-ში ჯვარი დავიწერეთ

საქართველოში, საბჭოთა კავშირშიც ერთ-ერთ ელიტარულ ანსამბლად ითვლებოდა. სადაც კი ჩავლიდით, ტანისგან ინერგოდა დარბაზები, თაყვანისმცემლებიც თან დავგვევებოდნენ. ერთხელ, ვილნიუსიდან ჩვენი მსმენელები კაუნასში წამოვიდნენ კონცერტის მოსასმენად...

— თქვენს შვილებს თუ აქვთ მუსიკისადმი მიდრეკილება?

— ვერ გეტყვით, რაღაც განსაკუთრებული ნიჭი აქვთ-მეთქი, მაგრამ სმენა და მუსიკისადმი მიდრეკილება ორივეს — 10 წლის მარიამს და 8 წლის გიორგის აქვს. ორივეს ხატვის ნიჭიც აღმოაჩნდა. მარიამის ნამუშევრები შესულია ნორჩ მხატვართა კატალოგში. ხშირად მონაწილეობს, როგორც ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეის გამოფენებში ქარვასლაში, ასევე სხვა ექსპოზიციებშიც. ჩემი მეუღლის მხრიდან, თითქმის 4 თაობა ხატავს, თუმცა არაპროფესიონალი მხატვრები არიან. რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი ფრანგული გაზეთის ჟურნალისტმა დათვალიერა ჩემი მეუღლის ბიძის ნამუშევრები და აღფრთოვანებული დარჩა. მეც ვხატავ. ალბათ გენეტიკურად გადმოეცათ ბავშვებს ხატვის ნიჭი... ვნახოთ — ყველაფერი წინ არის...

— მეუღლეზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა.

— ჩემი მეუღლე — მედეა ვარდიშვილი ძალიან დიდი ხნის წინ გავიცანი. მაშინ ის საკმაოდ პატარა გოგო იყო. გავიდა წლები და 1989-ში, სრულიად შემთხვევით, ისევ შევხვდით ერთმანეთს ისრაელში ყოფნისას. იქ დავახლოვდით და დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ შევუღლდით.

— როგორი იყო შეყვარებულნი ბესო?

მედეა:
— ბესო ისევ ისეთია, როგორიც იყო, მე ვიტყვოდი — უკეთესიც კი (იციანს)... ალბათ ამიტომ, ჩვენი ოჯახი მშვიდად მოვიდა დღემდე და ბოლომდე ასე იქნება.

— როდის და სად დაინერეთ ჯვარი?

ბესო:
— 1991 წლის 25 აპრილს, მედეას დაბადების დღე იყო, 28-ში ჯვარი დავიწერეთ.

— რაზე კამათობთ და საერთოდ, თუ ჩხუბობთ ხოლმე?

ბესო:
— როგორ არა. საკმაოდ მძიმე პერიოდიც გამოვიარეთ შეუღლების შემდეგ. ვერ ვიტყვი — ცემა-ტყეპა გვქონდა-მეთქი, ღმერთმა დაგვიფაროს! — მაგრამ იყო რაღაც შეგუების პერიოდი... წლები გავიდა, ყველა



სმენა და მუსიკისადმი მიდრეკილება ორივეს — 10 წლის მარიამს და 8 წლის გიორგის აქვს. ორივეს ხატვის ნიჭიც აღმოაჩნდა

სიძნელე გადავლახეთ, ახლა ჩვენი „ჩხუბი“ მხოლოდ 3-5 წუთს გრძელდება ხოლმე (იციანს).

მედეა:

— თავიდან, რატომღაც ყველაფერს ვარდისფერი სათვალეებით უყურებ, სანამ შვილი არ გეყოლება. მერე კი ხვდები, როგორი დამოკიდებული ყოფილხარ მამაკაცზე და როგორ უნდა გაუფრთხილდე მას (იციანს)... და როცა ამ მომენტს „დაიჭერს“ ქალი, ის ბედნიერი იქნება...

— ეჭვიანი თუ ხართ და რას უკრძალავთ მეუღლეს?

ბესო:
— ეჭვიანი აბსოლუტურად არ ვარ. ეჭვიანობა პრიმიტიული აზროვნების ნაყოფია ალბათ. თუ ვინმეს რაიმეს ჩადენა სურს, წინ ვერაფრით აღუდგები. სჯობს, კაცმაც და ქალმაც თავის თავში ჩაიხედოს... აკრძალვით არაფერს ვუკრძალავ — პატარა გოგო ხომ არ არის?! მე მხოლოდ რჩევას ვაძლევ ხოლმე. მასსოვს, რჩევა მივეცი — სივარტს ნუ მოსწევ-მეთქი. გავიდა დრო და მიხვდა, რომ მას ეს არ სჭირდება. აკრძალვით, არა მგონია, მიზნისთვის მიმდღწია — სახლში თუ არა, გარეთ მანც მოსწევდა...

მედეა:

— არც მე ვარ ეჭვიანი. ეს ალბათ ადამიანის სულის მდგომარეობაა და რაც უფრო სუსტია ადამიანი, მით უფრო

ბესო ისევ ისეთია, როგორიც იყო, მე ვიტყვოდი — უკეთესიც კი

მეტად ეჭვიანობს. ოჯახში ნდობის ფაქტორი თუ მოიშალა, ის ოჯახი დასანგრევად და განწირული.

— თქვენამდე მოსული სასაცილო ქორი თუ გსმენიათ?

ბესო:
— თავის დროზე, თამრიკო გვერდ-წითელთან „შემავლეს“. ეს ის პერიოდი იყო, თამრიკოს სახითაც რომ არ ვიცნობდი (იციანს).

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

ბესო:
— სამწუხაროდ, თავისუფალი დრო ძალიან იშვიათად მაქვს. როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, ვცდილობ, კვირა დღეს დავისვენო, თუმცა ეს ბედნიერება იშვიათად მაქვს.

მედეა:

— მეც არა მაქვს თავისუფალი დრო, ორივე ბავშვი სკოლაში დამყავს, პლუს — ხელოვნების გიმნაზიაში. მარიამი სინქრონულ ცურვაზეც ღაღის. ოჯახში უამრავი საქმეა. თავისუფალი დრო ჩვენთვის ზაფხულის ორი თვეა.

— დაბოლოს: გაგვიმხილეთ, როგორი გეგმები გაქვთ პროფესიულ სტენაზე დაბრუნებასთან დაკავშირებით?

— რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, არცთუ ისე პატარა გეგმები მაქვს. ოღონდ, ეს მოხდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ძალიან საინტერესო და სერიოზული პროგრამა გვაქვს ჩაფიქრებული მე და ჩემს მეგობრებს — „ძველ გვარდას“, მაგრამ ჯერჯერობით, სიურპრიზად გვენდა დარჩეს. სულ ცოტა ხანში, ყველაფერი გამოჩნდება. გვაქვს მიწვევები, როგორც რუსეთის, ასევე ვეროპის ქვეყნიდან. საიდან დავიწყებთ, ჯერ ვერ გეტყვით...



ავთო მარგველაშვილი

ხუთშაბათი ხონში ბაზრობის დღეა. დღეს აქ ვეღარც დილიაჩანს ნახავთ სამარშრუტო ტრაფარეტით – „ხონი-მათხოვი“ და აღარც კანტორის ხალხის პატივსაცემად უკრავს „დუხავოი ორკესტრი“. სამაგიეროდ, „ძებნილი და ჯერონიმოა“ დიდ დაფასებაში და „საუკუნის ნოსტალგია“ გულს აგინუებთ ძველი დროის მოგონებებით. მოკლედ, ბაზრობის დღე იგივე დღესასწაულად ითვლება და არის ერთი ჟრიამული. ამიტომ, პირველ რეისზე ავტობუსი, რომელმაც სამი სოფელი უნდა გაიაროს და ხალხი ბაზრამდე მიიყვანოს, ყოველთვის გადაჭედელია. გზაზე იმოღენა ორმოვებია, რომ ავტობუსს საბურავებზე გორვა კი არა, ლამის გადაბიჯება უწევს ხოლმე. აქედან გამომდინარე, საცოდავი მძღოლი წითელი ფერისაა, ავტობუსი კი, ხასიათის შესაბამისად – ყვითელი. სალონში სრული ანშლაგის გამო, მძღოლი ყველგან არ აჩერებს, მაგრამ ხალხმაც ჭკუა ისწავლა და ისეთ ადგილას ელოდება, სადაც ყველაზე ღრმა ორმოა და კრასნოდარაც იძულებულია, სიჩქარე ნულამდე შეამციროს („რიჟა“ რომაა და ნოდარი ჰქვია, კრასნოდარა იმიტომ შეარქვეს).

– არიქა, კაცებო, მომაკიდებინეთ ვიდაცამ ხელი და როგორმე ამომიყვანეთ! – დამენათევი მაშალივით დაჰყვივლა ქალმა, უკანა კარის კიბეზე ფეხი შედგა და ხილით სავსე გოდრით, სკოლის ღირექტორის მარჯვენა „ჩულქი“ შეიწირა.

– ბაზარში მიდიხარ, თალიკო? – შეეხმიანა მეზობელს გაღმასოფლელი ვენერა.

– ხილია თურმე, ბაზარში იმდენი, ჩალის ფასად იხვეწებიან, – ჩავილაპარაკე თალიკოს გასაგონად.

– არა, ქალო. რა მინდა ბაზარში?! მაძაჩემთან მივიდვარ, – იუკადრისა ვაჭრობა საფერშლოდამთავრებულმა თალიკომ, ხალათის კალთა გოდორს მოაფარა და ცხვირსასოცში გამონასკვული ბიუჯეტი 40 თეთრით დაასეკვესტრა (ზუსტად ამდენი ღირს მგზავრობა



ჰამელს ანდერსონი – ყრასნოდარას „სმენა“

ანუ XXI საუკუნის „იმერული ესეიზები“

თალიკოს ჭიშკრიდან მამამისის შესახებ ვევაძდე).

– გამარჯობათ, მეზობლებო!.. ძრავალ კაი დღეს დაეწარით! – ომახიანად ამოეკვეხა წინა კარში ხანდაზმული მამაკაცი. დედალი, თერმომეტრით ამოირჭო ილღიაში, ნახევრად შეკრული ჩანთა კი, რომლიდანაც სიმათიური გოჭი იღიმოდა, მძღოლს ჩამოუკიდა სარკეზე.

– რა უნდა ამას აქ? პომდაა აქვს წასასმელი? – იყვირა კრასნოდარამ და 20 კმ/სთ სიჩქარით ადგილიდან „მოწყვიტა“ ავტობუსი.

– იყოს ცოტა ხანი, თუ კაცი ხარ! შენ კაი ხელი გაქვს, იქნება, გავყიდო და კარტოფილი მივუტანო ბაღებს!

– გოჭს ყიდი და კარტოფილს აჭმევ შვილიშვილებს?! შევირცხვა ნამუსი! – გადაიხარხარა მძღოლმა და ავტობუსმაც სიჩქარეს უმატა.

საქარე მინის ზედა მარჯვენა კუთხეს შიშველი ჰამელა ანდერსონის პლაკატი ამშვენებს, ქვემოთ კი წარწერა, რომლის პირველი სიტყვა არ იკითხება: „...კერძოა და ფასებზე შეღავათები არ ვრცელდება“...

– ეს ვინაა, კრასნოდარა, შენი „სმენა“? – გაემყივრა მძღოლს ახალგაზრდა მგზავრი, რომელიც ისე უყურებ-

და პლაკატს, რომ საცოდავი ჰამელა „წამოწითლდა“.

– ვადა გაუვიდა ავტობუსს და ამ სურათს „ტეხასმოტრად“ ხმარობს, – აპყვა მეორე.

– ლაზღანდარობას თავი დაანებე და მაგ სიგარეტი გადააგდე ფანჯარაში! – ბრძანება გასცა მესაჭემ.

– შენ რომ ეწევი?! – მე მძღოლი ვარ.

– მძღოლი რომ ხარ, მიტომ არ უნდა მოსწიო სწორედ! დაგარტყამს ინფარქტი და სამი სოფლის ხალხს ამოგეფუჟავ ერთად.

– მე კი მოვასწრებ გადახტომას, – ხმამაღლა გაიფიქრა კართან ახლოს მჯდომმა, რაიონის ერთადერთმა მეკუბოვემ და გონებაში „თეორიული“ შემოსავალი გადათვალა...

– მოვედით, თალიკო! – ავტობუსი გააჩერა მძღოლმა.

– წადი, წადი, ცოტა იქეთ ჩამოვალ.

– მამაშენთან თუ მიდიხარ, აგერაა მისი სახლი და მამაჩემთან თუ მიდიხარ, სასაფლაოს გამოვცდით უკვე, – „ჩაიღრინა“ კრასნოდარამ, სიჩქარეში ჩააგლო და ნახიკოს ინდაურს, „ცეკლენიეს“ ქვეშ მოუჭყინტა თავი.

– მაგი მასე იტყუება სულ, იაფად რომ იმგზავროს ბაზრამდე, – არ უნდოდა, მაგრამ ჩაშვება გამოუვიდა დედიდან მოხუცს.

– ოჰ, თქვენც აქ ბრძანდებით, კუკური ბატონო?! დედა, რა ლამაზი დედალი გიჭირავთ ხელში! – ირონია ვერ დამალა თალიკომ.

– ჰო, კვერცხს არ დებს და ახლა ქალაქში მიმყავს.

– სწორი გადაწყვეტილებაა! ექიმი ზუსტად დაადგენს მიზეზს, – ჩავერიე მორიდებულად.

– რა ექიმი, რის ექიმი?! გასაყიდად მიმყავს ეს უჯიშო, კვერცხს არ დებს-მეთქი, – ანთო კუკური.

– რას ჰქვია, არ დებს?! ტყუილად დაძვრება ჩემი მაშალი თქვენს ეზოში? – ცეცხლზე ნავთი დაასხა თალიკომ.

– რა გავყვრებს, ქალო?! თავისი სურვილით არ დებს და საკეისროს ვერ გავუკეთებ მე!

ბესტი ერუდიციაზე

1. რა ენოდება ცხვირის
საკრებ მამრატელს?



- ა) საკრუტი;
- ბ) ოლბაბო;
- გ) ლუქარლი.

2. საბავშვო ნიჟნის საბრ-
თაშორისო დღეს 2 აპრილს
აღნიშნავენ. ვინ არის ამ
დღეს დაბადებული?



- ა) ჰანს კრისტიან ანდერსენი;
- ბ) უოლტ დისნეი;
- გ) ალექსეი ტოლსტოი.

3. სინონიმები: მოშა, გაბაჭა და...



- ა) დედაზარლი;
- ბ) მუქაბი;
- გ) ორშიმი.

4. ვინ შეასრულა მხ/შ
„ღიმილის ბიჭაბო“ პათოსოვე-
ნას როლი?



- ა) კახი კავსაძემ;
- ბ) მერაბ ნინიძემ;
- გ) ბიბინა ჩხეიძემ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

– ყველს ექნება დღეს დიდი ფასი...
– შევცვალე სასაუბრო თემა.

– შენს პირს ჩემი კეცის საჭაპური!
– გაიხარა ვენერამ. – ეგება, მეც დამ-
რჩეს ორი კაპიკი!

– უი, ყველი მიგაქვს? – კალათში
ხელი ჩაუყო თალიკომ, ზედა წველას
ნახევრამდე მოფრჩხილა და კუჭისკენ
მიმავალ გზას გაუყენა. – გემრიელია.
ვისი ყველია, ლუბასი?

– არა, ვერიჩკასი, – გაბრაზდა ვენ-
ერა, – ლუბა „ბერწად“ დარჩა წლეულს!..

– ალბათ დედამთილის სიკვდილზე
ინერვიულა და „გაშრა“, – გადაიხარხ-
არა თალიკომ.

– ეჰ, გაზშირდა სიკვდილიანობა, –
ხმაში ბზარი და თვალში ცრემლი
შეეპარა კუკურის, – მომკლა ამ ქელ-
ეხებში სიარულმა და ლობიოს ჭამამ.

– ნესტანის რომ ბიჭი ეყოლა,
გაიგეთ? – ციცარივით დაჰკვივლა ნა-
ზიკომ.

– მართლა? რამდენი ეყოლა? – არ
მომასვენა გამჩენმა.

– რამდენი და ერთი. ფეხმძიმედ
იყო, მაკედ კი არა!

– მე წონას გეკითხებით.

– წონა 5 კილო უთხრეს, მარა
სახლში რომ მიიყვანეს და აწონეს, 4
და 600 გამოვიდა.

– ჰმ! ყველგან შენი სასწორით უნდა
იარო კაცმა?! – აღშფოთება ვერ დაუ-
ფარე და საბოლოოდ მივიქციე ყურა-
დღება.

– თქვენ, ახალგაზრდავ, აქაური არ
უნდა იყოს! – „შემამჩნია“ კუკური
ბიძიამ.

– რატომ, ბატონო? უცხო ენაზე
ვლაპარაკობ?

– ენაზე გასაგებზე ლაპარაკობ, მა-
გრამ აზრებს ლაპარაკობ გაუგებარს, –
„საიდუმლო მისია“ შემატყო პამელა
ანდერსონის „მიჯნურმა“.

– მართალი ბრძანდებით. თბილისი-
დან ვარ მივლინებით, ადგილობრივი

მეცხოველეობის შესასწავლად. ექსპერ-
იმენტები უნდა ჩავატაროთ შინაურ ცხ-
ოველებზე, – ვიცრუე ამაყად და სარკეზე
ჩამოკიდებულ გოჭს გადავხედე.

– ვინ გამოგვზავნათ ჩვენს მხარე-
ში?

– მთავრობამ.

– მაგ შენს მთავრობას უთხარი,
მთავრობაში მიხედე მეცხოველეობას-
თქვა! ჩვენსა ჩვენ მოუველით, – გოჭი
სასწრაფოდ ჩამოხსნა კუკურიმ და
ქალაქიდან არდადეგებზე ჩასული შვილ-
იშვილივით ჩაიკრა გულში.

– რა ხნისაა თქვენი გოჭი, ბატონო
კუკური? – ჟურნალისტს ყველაფერი
უნდა შეეძლოს, ჰოდა, მეც ვეტერინარო-
ბა ვიკისრე.

– 40 დღის. რაა?..

– ჰოდა, ჩვენი ექსპერიმენტების წყ-
ალობით, 40 დღის გოჭი რომ ამ სარკეზე
დაკიდოთ, იმსიძიმე იქნება, სარკეს ჩამო-
ტეხს...

– არ შეიძლება, თქვენი ექსპერიმენ-
ტები ისე ჩაატაროთ და კუკურას გოჭი
ისე გაასუქოთ, ჩემი სარკე რომ არ
ჩამოტეხოთ? – ნაღვლიანი თვალთ გა-
მომხედა სარკეში კრასნოღარამ.

– თქვენი დედალი კი, ქალბატონი
თალიკოს მამლის წყალობით, დღეში
ორ-ორ კვერცხს დადებს, – მეცნიერე-
ბის საიდუმლო ამოვხსენი.

– რად გინდა მერე?! თალიკო იმ
კვერცხების წილშიც ჩამიჯდება... კრას-
ნოღარა, თუ ძმა ხარ, გააჩერე ავტობუ-
სი! გადავიფიქრე – აღარ ვყიდი ამ
გოჭს და ქათამს!

– შეგიძლიათ, არ იჩქაროთ, ბატონო!
ჩვენი ექსპერიმენტები გაისამდე არ დაი-
წყება, რადგან ამ წლის ბიუჯეტში ვერ
გამოინახა საჭირო თანხები. მანამდე კი,
მსურველთა სიებს ვადგენთ, რომ ზუს-
ტი ხარჯთაღრიცხვა წავუყენოთ ზე-
მთ, – და სიაში პირველი, ბატონი
კუკური შევიყვანე...

გაქვთ სურვილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!
გთავაზობთ!!!

**წონაში დაკლება
კომპოზიციური მეთოდით**
5-დან 12კგ.-მდე
ყოველგვარი პარკოვისა
და შიშვილის გარეშე.

01836 093306363300
კვანაძის ქ. 107/60 სპეციალიზირ.

ტელ.: 893-20-33-76
მისამართი: 76-66-04
გ-ნი. კობა

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ტოტლებენს გოტლობ კურტ ჰაინრიხი ერქვა.
2. იმროზი და ბოზჯადა თურქეთის კუნძულებია.
3. მამალი ზღვის კუ ხმელეთზე არასოდეს ბრუნდება.
4. რაგბი უბურთო მოთამაშეზე შეტევა არ შეიძლება.
5. ნატალია ბაზილევსკაია აკაკი წერეთლის ცოლი იყო.
6. ოქროს თევზები ევროპაში XVII საუკუნეში ჩინეთიდან შეიყვანეს.
7. არისტოტელე ონასისის პირველ სანაფთობე ტანკერს „არისტონი“ ერქვა.
8. კრისტალის ოცდაათწახნავიან ფორმას პენტაგონური ოქტაედრი ეწოდება.
9. ნარკოტიკების გამსაღებლებთან ომში ამერიკა წელიწადში 18 მილიარდ დოლარს ხარჯავს.
10. ფეხბურთის ფენშიშველი თამაში ფიფამ 1950 წელს აკრძალა. ასე მანამდე, ინდოეთის ნაკრები ასპარეზობდა.



11. პირად მცველებად ლენინს ლატვიელები ჰყავდა. ისინი ბელადის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ.

12. ჩარლზ ლილერი, ასე ერქვა წარმოშობით ინგლისელ ბრაზილიელს, რომელმაც პირველმა ჩაიტანა ბრაზილიაში ორი ტყავის ბურთი.

13. ტოკიოში, ერთ-ერთი კერძო ფირმის ოფისში დადგეს ნაძვის ხე, რომელიც 11 მილიონ დოლარად შეფასდა. ნაძვის ხე ძვირფასი თვლებით გაწყობილი საათებით და საიუველირო ნაწარმით იყო მორთული. ზოგიერთი საათის საფასურით ტოკიოში სახლის ყიდვა შეიძლებოდა.

14. მოსკოვის მთავარი ივან კალიტა მოხერხებულად იყენებდა ოქროს ურდოს ხანებს საკუთარი ძალაუფლების გასაფართოებლად. მონღოლთა დაკისრებულ ხარკს თვითონ კრებდა და დიდძალი სიმდიდრეც დააგროვა, რის გამოც „კალიტა“ (ფულის ქისა) ეწოდა.

15. ლენინის მმართველობის დროს, 2 მილიონმა ადამიანმა რუსეთი დატოვა, 5 მილიონი შიმშილისაგან დაიღუპა, 15 მილიონი ადამიანი გააკულაკეს და საპყრობილეში ჩაყარეს.

16. „როცა სიკვდილს ვებრძოდი ლონდონის კლინიკაში, გულის ოპერაციისათვის საჭირო უზარმაზარი თანხა თავისი ფონდიდან ეღუარდ შევარდნაძემ გადამიხადა. საოპერაციოდან გამოსული, პირველმა სწორედ

bodbeli
rzali
germaneles
radiogadacemiT
aziarebs
qarTul kulturას



ქართველი პოეტი, ირმა შიოლაშვილი, რამდენიმე წელია, რაც გერმანიაში გათხოვდა და ბონში ცხოვრობს. შემოქმედისათვის, რომელიც სიტყვას ემსახურება, ეს ერთგვარი სასჯელია. „ხელებზე ბედი მანერია უცნაური, უცხოვრებო ცხოვრებით საგსე, ამ ხელებს ახსოვს, რომ ოდესღაც პოეტი მერქვა...“ — ამბობს იგი, თუმცა ამ ტვირთს პოეტური სიფაქიზით ეზიდება და იმაზე ოცნებით ინუგეშებს თავს, რომ ოდესმე, გერმანელ მეუღლეს საცხოვრებლად საქართველოში გადმოსვლაზე დაითანხმებს... სამაგიეროდ, პროტესტანტმა იოახიმმა (ასე ჰქვია მის მეუღლეს) უკვე მიიღო მართლმადიდებლობა და ქართველ პოეტ ქალზე ბოდბის ეკლესიაში დაინერა ჯვარი.

პირველი შემთხვევა კი, როცა ირმა შიოლაშვილიმა თავისი გერმანელი მეუღლე, ქართული ხასიათით გააოცა, ახალი წლის ღამეს მოხდა, როცა ისინი საქორწინო მოგზაურობაში ბუდაპეშტში იმყოფებოდნენ.

ხათუნა მაღრაძე

— უნგრეთში, ახალი წლის ღამეს, ქუჩაში კარნავალები ეწყობა. მე და იოახიმმა ჯერ მათი ცქერით შევიქციეთ თავი, თორმეტი საათისთვის კი, რესტორანში შესვლასა და ერთმანეთისთვის ახალი წლის მილოცვას ვაპირებდით. ქუჩებში ხეტიალისას საოცრად მოგვშივდა, ერთი სული გვქონდა, როდის მივუსხდებოდით სუფრას, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, არც



ერთ რესტორანში თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, „მაკდონალდსის“ ტიპის კაფეებიც კი, რომელიც დასავლეთში ყველაზე არაპრესტიჟულად ითვლება, ხალხს ვერ იტევდა. როცა საათმა 12-ჯერ ჩამოჰკრა, მე და იოახიმი ყინვისაგან გათოშილები, ისევ ბუდაპეშტის ქუჩებში დავხეტებოდით. ქართული ტრადიციის თანახმად, საახალწლოდ მდიდარი სუფრა უნდა გქონდეს, რომ მთელი წელი შენთვის ბარაქიანი იყოს. ეს რომ გამახსენდა, მოთქმით დავიწყე ტირილი და ჩემს ქმარს ვეუბნებოდი — დავიღუპეთ, მთელი წელი მშვივრები ვისხდებით-მეთქი. დღესაც მახსოვს მისი გაოცებული თვალები — ვერ მიმხვდარიყო ჩემი შემფოთების მიზეზს...

— როგორ გაიცანი ის მამაკაცი, ვინც შენს მზერას „ძაფი გამოსდო“ და გულზე გორგალივით დაიხვია?

— გერმანიაში სულ რამდენიმე თვის ჩასული და ამდენად, ბონის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გაურკვეველი ვიყავი,

ძნელია შემოქმედისათვის უცხოეთში ცხოვრება, ქართველ პოეტს ქართული გარემო სჭირდება

როცა სლავისტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ჩემი პოეტური კრებულის პრეზენტაცია მოაწყვეს. იოახიმი ფაკულტეტის ორგანიზატორი იყო და სალამოს მოწვობაზე ზრუნვა და წაყვანა მას დაევალა. მაშინ ვნახეთ ერთმანეთი პირველად. მიუხედავად იმისა, რომ იმ სალამოს შემდეგ, კომპლიმენტები არ დაუშურებია, ჩვენ შორის არავითარი უხილავი ძაფი არ გაბმულა. თუმცა, მეგობრების თვალეები ხშირად, უფრო მეტს ამჩნევს. ღონისძიების შემდეგ, მათ იოახიმისთვის უთქვამთ: ფრთხილად იყავი, არ შეგიყვარდესო... პოეზიის სალამოს შემდეგ, ის, ერთი წელი აღარ მინახავს. ჩვენი შეხვედრა კი, შემთხვევით, ქუჩაში მოხდა. დავმეგობრდით. ბოლოს კი, ეს მეგობრობა ქორწილით დაგვირგვინდა.

— როგორ შეხვედა ევროპული ოჯახი კავკასიელ რძალს?

— ძალიან თბილად და გულლიად. იოახიმი ძალიან კონსერვატიული ოჯახიდანაა, სადაც ტრადიციებსა და გვარიშვილობას მნიშვნელობას ანიჭებენ (რაც თანამედროვე გერმანიაში უმეტესად, დაკარგულია). როცა მათ ოჯახურ თავშეყრას თვალს ვადევნებ, ხანდახან თავი ქართველების რძალი მგონია.

— შენი ეს გადაწყვეტილება შენმა ოჯახმა როგორ მიიღო?

— დედაჩემმა მძიმედ გადაიტანა ჩემი ეს ნაბიჯი, მას, რა თქმა უნდა, ქართველი სიძე ერჩინა; მამამ, უფრო ადვილად, მთავარია, კაცური კაცი იყოსო, — თქვა და სიძე რომ გაიცნო, მოწონებაც ამკარად გამოხატა.

— გერმანელმა სიძემ ყანების გამოცლაში თუ ჩააბარა გამოცდა?

— მამაჩემს ისე ვერ გადაურჩებოდა... იოახიმიმ წარმატებით გაართვა თავი ამ დავალებას და რამდენიმე ყანა გამოცალა. ასე რომ, პირველივე შეხვედრაზე სიძე-სიმამრმა მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს.



— როგორც ვიცი, იოახიმმა პროტესტანტული სარწმუნოება უარყო და მართლმადიდებლად მონათლა. ეს შენი ინიციატივით მოხდა?

— მართლმადიდებლად მონათვლა თავად იოახიმის სურვილი იყო. სტუდენტობის დროს, მას ბულგარელი თეოლოგი მეგობარი ჰყავდა, რომელმაც მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებაში დაარწმუნა. ამით იმის თქმა მინდა, რომ იოახიმმა შეგნებულად შეიცვალა სარწმუნოება და ქართული სახელი — გიორგიც დაირქვა. ბუნებრივია, მე მისი გადაწყვეტილება ძალიან გამიხარდა, თუმცა, მისი ოჯახის წევრებისათვის ეს სასიამოვნო არ ყოფილა... ბოლბეში ნათლობისა და ჯვრისწერის მერე, ჩემს დედამთილს ისეთი ტკივილი და გაღიზიანება შევატყვე, რომ თავი უხერხულადაც კი ვიგრძენი.

— თქვენი ქორწილისთვის, დედ-ოფლისწყაროში გერმანიიდან 18-კაციანი მაცარი ჩასულა...

— ჩვენს რაიონში ერთად მოსიერნი ამდენი გერმანელი მანამდე არავის უნახავს... მთელი რაიონი ფეხზე დადგა. ჩვენი გერმანელი სტუმრები იმხელა ყანწებს ცლიდნენ, რომ კაცს გული გაუსკდებოდა. ასე რომ, სტუმრებმაც და მასპინძლებმაც „ქართულად“ მოილხინეს. ქორწილს ისიც დაემთხვა, რომ „პირველ არსზე“ შოპროგრამაში მოგვიხდა მონაწილეობა. ქორწილის მეორე დღეს, ჩემი დედამთილი „პოლაროდით“ იღებდა სურათებს ტელეეკრანიდან, იმდენად უნდოდა ამ უჩვეულო წუთების აღბეჭდვა.

— ირმა, გერმანელების ანგარიშთანობა საქვეყნოდაა ცნობილი. ოჯახში გადასახადებს თანაბრად იყოფთ?

— გერმანულ ოჯახში გამოკვეთილად არსებობს ცოლ-ქმარს შორის „შენი“ და „ჩემი“. ოჯახის სიმძიმეს მარტო მამაკაცი არ იღებს საკუთარ თავზე. ქალი ვალდებულია, გადასახადებსა თუ სხვა ხარჯებში ქმარს „შეუამხანაგდეს“. შეყვარებულობის დროს, ქალი და მამაკაცი კაფეში რომ შევლენ, მამაკაცი თავის წილს იხდის და მანდილოსანი — თავისას. ეს ალბათ ზედმეტმა ემანსიპაციამ გამოიწვია. თუმცა, ქართულ-გერმანული ოჯახების უმეტესობა ისეა აწყობილი, რომ გადასახადებს მამაკაცი იხდის. ალბათ ქართველმა ქალებმა ძუნწი გერ-

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკდან:

მან მომიკითხა გურულ კილოზე: კუტა, რავა ხარ, ბიჭო, მე ვარ, ეღვარდიო... — ჰყვებოდა კოტე მახარაძე.

17. „ეს ხომ დაუმთავრებელი ნახატებია!.. საღებავების ფაფა!.. ეს ხომ ფერწერის მასხრად ავლებათ!“ — ამბობდნენ იმპრესიონისტების ნახატების შესახებ კრიტიკოსები.

18. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ თავის მეორე შვილიშვილს კონსტანტინე დაარქვა და გულის სიღრმეში, კონსტანტინეპოლის ტახტზე მის აყვანაზე ოცნებობდა.

19. თამაზ კვაჭანტირაძეს, ცოტა არ იყოს, უჭირს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაში გარკვევა. ერთხელ, კახეთში მიმავალ მძაკეებს ბატონმა თამაზმა შეხვედრის ადგილად მცხეთის სალობე დაუთქვა.



20. ჯოხარ ლუღავეი ფიჭურ ტელეფონზე ლაპარაკობდა, როცა მისი ადგილმდებარეობის დადგენა მოხდა. იგი იცნობდა რუსულ ტექნიკას, იცოდა, რომ ხუთ წუთზე მეტხანს არ უნდა ელაპარაკა, რომ ხუთი წუთის შემდეგ შეძლოთ მისი ადგილმდებარეობის დადგენა. P.S. როგორც ჩანს, მაინც ილაპარაკა...

21. იტალიელების აზრით, ყველაზე მეტად, მჭევრმეტყველებას ვიდის პროფესია მოითხოვს. იტალიურად ვიდს „ჩინურნი“ ჰქვია. ეს სახელწოდება სახელგანთქმული ორატორის, ციცერონის სახელისაგან წარმოიშობა.

22. როგორც ამბობდა სტანისლავ ეფილენცი, ადამიანის სხეულში ერთოვლად ვერ თავსდება ალკოჰოლი და ანტისემიტიზმი — საკმარისია, ადამიანმა დალიოს, რომ მისგან მაშინვე ანტისემიტიზმი მოეწონავს.

23. „კავა ბუდეტ ს ეტიმ დეტსკიმ სალომ პაკონჩენო?! ლიული ზატიატ ვიდეტ პრავენ-სიონალოვ!“ — ამბობდნენ უფროსი თაობის მსახიობები კოტე მახარაძის თაობის მსახიობებზე. P.S. ასეთი დროც იყო.

24. „აქლემი უფრო ადვილად გაეტევა ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი მოხვდება ცის სასუფეველში“, კვითხულობთ „სახარებაში“. თავდაპირველ ვარიანტში კი „აქლემის“ ნაცვლად, „ბაგირი“ ეწერა. თარგმნისას შეცდომა ბერძნული სიტყვების „კამილოს“ (ბაგირი) და „კამელოს“ (აქლემი) მსგავსებამ გამოიწვია.

25. ორიდევ თვის წინ, როდესაც პოლიტიკოსთა გარკვეულმა ჯგუფმა თბილისის მერის გადაყენება მოითხოვა, კოტე ყუბანეიშვილმა თბილისელებს ორი სიტყვით მიმართა: „ღანო და ძმანო, დავიცავთ ვანო!“

მანელები მოვარჯულები.

— ამბობენ, ევროპელი მამაკაცები ცოლებს ზედმეტ თავისუფლებას აძლევენო. თქვენს ოჯახში როგორაა ამ მხრივ საქმე?

— ვერ ვიტყვი, რომ გერმანელი მამაკაცები ევკვიანები არ არიან, მაგრამ ამ ევკვიანობას შეგნებულად არ გამოხატავენ. ცოლს მეტ თავისუფლებას აძლევენ, არ უყურებენ, როგორც საკუთრებას, კომპლიმენტებითაც ანებივრებენ და ლამაზ წუთებსაც უძღვნიან, რადგან იციან — სიყვარული და ყურადღება თუ მოაკლეს, ადვილი შესაძლებელია, დაკარგონ კიდევ. ისე, გერმანიაში, მოვალეობის გამო არავინ ცხოვრობს ერთმანეთთან — თუ გრძნობა გაცვდა, იყრებიან, მაგრამ ეს გაყრა ბევრად უფრო მშვიდობიანია, ვიდრე საქართველოში.

— „რძალ-დედამთილიანი“ არ იქნება თქვენს ოჯახში პოპულარული თემა...

— ახალგაზრდების ოჯახურ ან სასიყვარულო ურთიერთობებში არავინ ერევა. მშობლები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ, შვილები — თავიანთი. არც იმით ივალდებულებენ გერმანელი მშობლები თავს, რომ ახალგაზრდებს მატერიალურად დაეხმარონ. იოახიმი ძალიან შეძლებული ოჯახიდანაა, მაგრამ დედამთილი არასოდეს დაგვხმარებია. ჩვენ ვიცით, რომ რაც არ უნდა გაგვიჭირდეს, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავეყრდნობოთ. ქართული ოჯახისგან განსხვავებით, ევროპულ ოჯახში მამაკაცი საოჯახო საქმეებს ქალთან ერთად ასრულებს — სამზარეულოში, წინსაფარაფარებული ტრიალებს. ასეთია ჩვენი ოჯახიც. თუმცა, ჩემი ქართული ბუნება, ჩემს ოჯახს, გერმანული ოჯახებისგან მაინც ასხვავებს.

— პუნქტუალობის საკითხზე რას იტყვი? გერმანელებისგან თუ გამოიღე ეს თვისება?

— ვცდილობ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ წარმატებით გამოიღის... ჰო, მართლა, გერმანიაში მამაკაცებმა პაემანზე ლოდინი არ იციან. თავიდან, როცა იოახიმი „მეპრანჭებოდა“, მითხრა: ერთი საათი კი არა, მთელი ცხოვრება დაგელოდებიო. მეც ავდექი და ზუსტად ერთი საათით გვიან მივიღე პაემანზე. იოახიმს ნახევარი საათი უცდია, მერე გაბრაზებულს, ვარდები ურნაში ჩაუყრია და წასულა. ასე რომ, პაემანზე მისული, გაწბილებული დავრჩი...

— ხუთი წელია, გერმანიაში ცხოვრობ. შენს შემოქმედებაზე თუ იმოქმედა ამან?



მართლმადიდებლად მონათვლა თავად იოახიმის სურვილი იყო

— ჩემი შემოქმედება გერმანიაში ცხოვრებამ დაამძიმა. მეჩვენება, რომ რითმა დავკარგე. ერთ ლექსში ვამბობ კიდევ:

ახლას ვცახცახებ ფიოთლოციათ
და ვამა-ვამ,
ხელსაგულზე ნაოჭებს ვიოვლი...
ხელეგზე ბედი მახერია უცნაური —
უცხოვრებო ცხოვრებია ხავსე.
ჩემს ხელეებს ახსოვს, რიმ ოდესღაც
პიეტე მერქვა
და ხელში დიდი, თეორი ნავია
ვმოგზაურნობდი,
ახლას... ძალიან დავიკლავი, რადგან
თეორ ნავში
უცხო სიყვებია მოწამლული ნყალი
დავბნდა...

ძნელია შემოქმედისათვის უცხოეთში ცხოვრება, ქართველ პოეტს ქართული გარემო სჭირდება.

— როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ქმარი გყავს და შენი საქმეც გაქვს, უცხოობის გრძნობა არ გტოვებს.

— რა თქმა უნდა. ძალიან ხშირად მაქვს შეგრძნება, რომ გერმანიაში, ჩემი ქმრის გარდა, არავის ვჭირდება, ამ გრძნობის დაძლევაში კი, მხოლოდ შვილები და მეზობლებიან, მაგრამ გერმანელები სწავლის დამთავრებამდე, შვილებს არ აჩენენ, რადგან ბავშვების მომვლელი დედა ან დედამთილი იქ უცხო მოვლენაა... ჩვენც ევროპულად გადაწყვიტეთ შვილის გაჩენის საკითხი.

— ირმა, ვიცი, რომ ბონის რადიოში ნახევარსაათიან გადაცე-

მას ამზადებ. უცხოელისთვის, ეს საკმაო წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

— სამი წელია, ბონის რადიოში ქართული გადაცემა დავამკვიდრე. ეს რადიო ფართოდ უსხნის გზას უცხოური კულტურის პროპაგანდას. მეც ამიტომ ამინთეს მწვანე შუქი. გადაცემის ნახევარი ქართულ ენაზე მიმყავს, ნახევარი კი — გერმანულად, რომ გერმანელმა მსმენელმა რადიომიმღები სხვა ტალღაზე არ გადართოს და საშუალება ჰქონდეს, ქართულ კულტურას ეხიაროს.

— მსმენელი თუ ჰყავს შენს გადაცემას?

— არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ გერმანელები უფრო უსმენენ ჩემს გადაცემას, ვიდრე იქ მცხოვრები ქართველები. ისე, მინდა ვთქვა, რომ ბონში უფრო მეტი საშუალებაა იმისა, რომ ქართველმა ჟურნალისტმა იმუშაოს, ვიდრე საქართველოში...

— რამდენად თავისუფალი ხარ გადაცემის მომზადებისას?

— როცა ამ საქმის დაწყებას ვაპირებდი და პროექტი წარვაგდინე, ხელმძღვანელობამ გამაფრთხილა, რომ არც ერთი სიტყვა არ უნდა დამცდნოდა პოლიტიკაზე. ამ შეზღუდვას თუ არ ჩავთვლით, ტექსტის შესწორებითაც კი არავინ მაწუხებს. ამ მხრივ სრული თავისუფლება მაქვს.

— ასპირანტურაში სწავლობ, გაქვს საკუთარი რადიოგადაცემა, რამდენადაც ვიცი, შენი ლექსების გერმანულ ენაზე გამოცემითაც არიან დაინტერესებულები გარკვეული წრეები. ალბათ შეიძლება ითქვას, რომ გაგიმართლა?

— ალბათ ასეა, რისი მიზეზიც ჩემი მეზობელი ხასიათი და განგების ნებაა. თუმცა, შორიდან ყველაფერი უფრო ლამაზი ჩანს. გერმანიაში თვითდამკვიდრების გზა საკმაოდ რთული იყო: როცა თემისათვის კათედრაზე გერმანულ ხელმძღვანელს ვეძებდი, არც ერთი პროფესორი არ დამიტოვებია, რომ არ გავცნობოდი. რადიოში შევედგი თუ არა ფეხი, ისე აქტიურად ვმუშაობდი, რომ უნებლიეთ მომაქციეს ყურადღება... ერთ ჩემს გერმანულ თანაგვარულს ვუთხარი კიდევ: ჩემთვის ბონის ქუჩები ისეთივე უცხოა, როგორც ერთ დროს თბილისის ქუჩები იყო (რადგან მე რაიონიდან ვარ), ოღონდ, ბონისგან განსხვავებით, თბილისში ქართულად ვლაპარაკობდი-მეთქი. მე აქაც ვიბრძოდი და ეს ბრძოლისუნარიანობა გერმანიაშიც გამომაღდა...

ჯაბა ლეონიძე

ხოცა ასპაიგზარ საახარწრო სოფია იქცევა...

გამორჩეულად აღუნიშნავთ ქართველებს 2003 წლის დადგომა შოტლანდიის პატარა ქალაქ დანდიში. მოგეხსენებათ, ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბში თამაშობენ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები – გიორგი ნემსაძე და ზურაბ სიზანიშვილი. სადღესასწაულო სუფრა თურმე, ჯერ უცოლო ზურა სიზანიშვილთან გაუშლიათ. ზურას ძმა გია, რძალი ნია და ძმისშვილი, ერთი წლის ანუში ეწვივნენ. გიორგისთანაც ჩასულან ძვირფასი სტუმრები: და ნინო, სიძე და დისშვილები; გიორგის მეუღლე, რუსიკო ჩირგაძე და სამი პატარა ნემსაძე – ვაჟიკო, თორნიკე და სოფო ზომი იქ დახვდნენ... როგორც ზურა სიზანიშვილმა გვითხრა, წინა დღეს, მას სადილობისას რამდენჯერმე დაუვარდა ჩანგალი... ჰოდა, ბიჭების გასახარად, შოთა არველაძემაც ქართულ გარემოცვაში არჩია ახალი წლის ზეიმი: შოტლანდიის დედაქალაქ გლაზგოში (შოთა ამ ქალაქის გუნდში, „რეინჯერსში“ თამაშობს) მარტოსულად გრძობდა თავს; ბრიტანელ, ჰოლანდიელ და ესპანელ თანაგუნდელებთან დარჩენას თავისიანებში ყოფნა ამჯობინა, და 31 დეკემბერს ჩავიდა დანდიში მეუღლესთან, თამუნა მელაძესთან და პატარა გიორგისთან ერთად და დანდიისეულ „ქართველთა სათვისტომოს“ შეუერთდა.

საახალწლო სუფრის თამაღობა გიორგი ნემსაძეს უკისრია. წლების მანძილზე, ნემსო საქართველოს ნაკრების კაპიტანი და, ამდენად, მინდორზე ზურასა და შოთას „ხელმძღვანელი“ იყო და ისინი ამჯერადაც – ოღონდ უკვე საახალწლო სუ-

დღესასწაულები დიდ შვებას აძლევს ვარჯიშებითა და ასპარეზობებით გადატვირთულ სპორტსმენებს, რომელთაც უმკაცრესი რეჟიმის პირობებში უწევთ ცხოვრება და სოლიდური მიზნების მისაღწევად, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის (ამ შემთხვევაში — არასპორტსმენთათვის) ხელმისაწვდომ უამრავ სიკეთეზე უხდებათ უარის თქმა. ცნობილ ქართველ სპორტსმენთა უმრავლესობა — განურჩევლად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ამჟამად — ახალ წელს სამშობლოში შვებდა. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებსაც იმდენად ხანმოკლე საახალწლო შვებულება ერგოთ, რომ ჩამოსვლა და უშალ უკან დაბრუნება აღარ უღირდათ, ამიტომ საზღვარგარეთ, იმ ქვეყნებში შეეგებნენ 2003 წელს, სადაც ამჟამად მოღვაწეობენ. ყველა გამოჩენილ ქართველ სპორტსმენს როგორ შეგწვდებოდიო, მაგრამ რამდენიმე მათგანის საახალწლო ამბების შეტყობა „გზამ“ მაინც მოახერხა და ახლა, თქვენც გადმოგცემთ. მაშ, სად და როგორ შეხვდნენ ქართული სპორტის ვარსკვლავები ახალ წელს?



აჩიკო არველაძე

ფრაზეც — ვერ ასცდნენ ნემსოს უფროსობას...

ქართველმა ფეხბურთელებმა დიდად გაიღაღღეს „პატარა საქართველოში“. ბუნებრივია, სუფრაც ქართული კერძებით იყო დამშვენებული, რაშიც ზურასა და გიორგის მშობლებმა შეუწყვეს ხელი: თბილისიდან გამზადებული კერძებიც გაუგზავნეს და ნახევარფაბრიკატებიც — ქართული ტყემლისა და სანელებლების ჩათვლით. ოჯახის უფროსი დიასახლისი, გნებავთ — შეფ-მზარეული, რუსიკო ჩირგაძე ყოფილა. არა მარტო შოთა არველაძე და ზურა სიზანიშვილი, საქართველოს ნაკრების სხვა წევრებიც, ვინც მოხვედრილა მის მიერ წაწყობილ სუფრასთან, დღემდე, ენის წკლაპუნითა და ნერწყვის ყლაპვით იხსენებენ რუსიკოს ნახელავ საუ-

ცხოო კერძებს...

შოუბიზნესის სფეროში მოქმედი ჩემი კოლეგები ალბათ გააკვირვებულნიც იყვნენ იმით, რომ საახალწლოდ, თბილისის დამის კლუბებსა და სხვა „სამხიარულო დაწესებულებებში“ თვალი ვერ მოჰკრეს ცნობილ იმიტატორს — ბესო ბერულაშვილს. რას მოჰკრავდნენ, როცა ბესოც დანდიში შეხვედრია ახალ წელს?! — გიორგი ნემსაძის ძმაკაცი, სიზანიშვილებისას ყოფილა, კარგადაც მოუღწენია და მთელი ღამე, ცნობილ ადამიანთა შარყების წარდგენაში გაუტარებია. სუფრის წევრებს თურმე მუცლები ხელით სჭერიათ და ეხვეწებოდნენ ბესოს: გეყოფა ახლა, ცოტა ხვალისთვისაც შემოინახეო... „შოტლანდიელ ქართველებს“ საუკეთესო დრო უტარებიათ, ახალი წელი ორჯერ უზეიმიათ — ქართული და ბრიტანული დროით...

ბედის ირონია თუ გნებავთ, სწორედ ეს არის: ორიოდე დღეში, ძმაკაცი და თანამეინახენი მეტოქეებად იქცნენ. რას იზამ? — სპორტი სპორტია, შინაური და გარეული არ იცის. 3 იანვარს, გლაზგოში, შოთა არველაძის „რეინჯერსი“ სიზანიშვილისა და ნემსაძის „დანდის“ დაუპირისპირდა. „რეინჯერსმა“ 3:1 მოუგო დანდიელებს.

შოთა არველაძის ტყუპისცალი — აჩიკო ახალ წელს თბილისში შეეგება, ცოლ-შვილის, უფროსი ძმის — რეზოს ოჯახისა და მშობლების გარემოცვაში. მეკვლე თავად აჩიკო ყოფილა: ახალი წლის დადგომამდე, გარეთ გასულა და საათს 12-ჯერ რომ ჩამოუკრავს, შინ შებრუნებული... ორ დღეში კი, აჩიკო გერმა-



შოთა არველაძე

ზურა სიზანიშვილი



გია ასანიძე

ნიას გაემგზავრა. მან ტრავმა მოიშუშა, უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და მალე, მოედანზეც გამოვა „კიოლნის“ შემადგენლობაში. აჩიკოს თითქმის ორი წელი გაუცდა ტრავმის გამო და მისი საახალწლო ნატვრაც ეს ყოფილა: ღმერთმა ძველებურად შემადგენლობის ფეხბურთის თამაშით!

თბილისში შეხვდა ახალ წელს ძალოსანი ბიბ ასანიძე. მან ბოლო ახალი წელი გაატარა ძველ ბინაში – ფიზკულტურის აკადემიის საერთო საცხოვრებელში, სადაც სტუდენტობიდან მოყოლებული, ცხოვრობდა. ძველით ახალ წელს, გია და მისი ოჯახი ვაკეში, ახალ 5-ოთახიან ბინაში შეხვდებიან.

ასანიძეების მეკვლე გიას უმცროსი შვილი – კახი იყო. სწორედ კახის ფეხის წყალობით მოიპოვა გიამ შარშან მსოფლიო ჩემპიონობა და ბუნებრივია, მეკვლის გამოცვლას უახლოეს წლებში მაინც, არ აპირებს. „ახალი წელი რომ შემობრძანდა, პირველად, კახი კახიაშვილმა დამირეკა საბერძნეთიდან, მერე, სხვა მეგობრებმა და შინაურებმა მომილოცეს. მე საჩხერეში, დედაჩემსა და ჩემს ძმებს შევეხმიანე... ბევრი არ დამილევია – რამდენიმე ჭიქა „საფერავი“ გეახელით. ჩემს ცოლ-შვილთან ერთად კარგი დრო გვაატარე. ჩემთვის ჯერ არ დამთავრებულა საახალწლო ზეიმი – „ყოველდღე „გამოწერილი“ მაქვს „ბასტიბუბუსა“ და სხვა საბავშვო კონცერტებზე სიარული. ახალი წელი მაინც უფრო, ბავშვების ზეიმი და რა ვქნა – შვილებს ამაზე უარი

როგორ ვუთხრა?!“ – გვითხრა გიამ და დაგვემშვიდობა: ფილარმონიაში საახალწლო ნაძვის ხეზე მაგვიანდებო, – დასძინა.

საქართველოს საუკეთესო რეზერვული ქალი, მამბ ჩახნაშვილიც ოჯახში შეხვდა ახალ წელს. მაკა დისშვილებს ნაძვის ხის მორთვაში მიეხმარა, მერე კი საახალწლო სუფრას მიუჯდა. თავს ზედმეტი გალაღების ნება არ მისცა – მხოლოდ ერთი ჭიქა შამპანური შესვა. მისმა საახალწლო განწყობილებამ 2 იანვრის დილაძღე გასტანა – 2-ში კი, უკვე კორტზე, მას მკაცრი მწვრთნელი, ლეილა მესხი ელოდა. მაკა ახალი საჩოგბურთო სეზონისთვის ძალიან სერიოზულად ემზადება, დიდი მიზნები აქვს და მხოლოდ ორი დღით გადადო ჩოგანი. 2003 წლის პირადი და სპორტული წარმატებები კი, მაკამ თავისი დისშვილის – გიორგი კაპანაძის ფეხს ანდო – ახალფეხადგმული, ერთი წლის გიორგი ახალი წლის დამით პირველი შებაჯბაჯდა ბებია-ბაბუის ოჯახში.

ჩოგბურთულ ირაკლი ლაბაძეს ისეთ გარემოში მოუხდა 2002 წლის გაცილება, როგორც ჩვენებურ კაცს საახალწლო განწყობილებას ნამდვილად ვერ შეუქმნის: ინდოეთში ხომ ახალ წელს გაზაფხულზე აღნიშნავენ... ირაკლი დელიში შეხვდა წლის მთავარ დღესასწაულს, მაგრამ თავი იმით დაიმშვიდა, რომ მასთან ერთად არაერთი ევროპელი სპორტსმენი იმყოფებოდა და დელის ერთ-ერთ ბარში, ევროპული დროით აღნიშნეს 2003 წლის მობრძანება. ირაკლი ლაბაძეს, ჭიქა შამპანური რა არის, მაგრამ ისიც



ირაკლი ლაბაძე



მაკა ჩახნაშვილი

კი არ დაუღევია – პირველ იანვარს ის ტურნირში ჩაება და საქართველოში რომ ხალხი განსხვავებულ სასმისებს „ატრიალებდა“, ირაკლი იმ დროს ჩოგანს იქნევდა...

2002 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, ელდარ კურტანიძე საახალწლოდ, სპეციალურად გერმანიიდან ჩამოვიდა სამშობლოში. სადღესასწაულო განწყობილება ელდარს უკვე 28 დეკემბერს დაეუფლა – ამ დღეს, „შერატონ მეტეხი პალასში“, ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად, წლის საუკეთესო სპორტსმენის პრიზი გადასცეს, 30 დეკემბერს კი, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დააჯილდოვა – კურტანიძე, სეოკ-ის ვერსიითაც, 2002 წლის რჩეული გახდა... ახალ წელს ელდარი შინ, ვერაზე შეხვდა. მეკვლედ გამოჩენილ ფალავანს კარის მეზობელი – 13 წლის გიორგი კობახიძე ეწვია. გიორგის შემთხვევით სულაც არ შეუდგამს ფეხი კურტანიძეების ოჯახში – ის წინა დღეს, საგანგებოდ გააფრთხილეს – ჩვენი მეკვლე უნდა იყო: შარშანაც, პირველად გიორგი კობახიძემ შედგა ფეხი ელდარ კურტანიძის ოჯახში და ფეხიც ჩინებულ ალმონჩნდა: კურტანიძემ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები მოიგო და საქართველოს საუკეთესო სპორტსმენიც გახდა.


ელდარი მეუღლესთან და 3 შვილთან ერთად რესპუბლიკის მოედანზე გამართულ შოუსაც დაესწრო, იქ ერთი საათი დაყო და მერე, ისევ შინ მიბრუნდა, ღზინი დილაძე გააგრძელა, ცოტა დაღია, ისიც – საკუთარი ხელით ნალო-

ლიაგები ვაზის ნაყოფისგან დაწურული „აღესა“...

ისე, თავად ელდარსაც ჩინებული ფეხი ჰქონია. ის მეკვლედ საკუთარი ნათლის, პატარა ნათია კურტანიძის ოჯახში მიიწვიეს. ნათია, წარსულში ცნობილი წყალბურთელის – ნოდარ კურტანიძის ქალიშვილია.

ბრიტანეთის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების არანორმალური გრაფიკის გამო, „შოტლანდიელი ქართველების“ მსგავსად, ვერც ბიორგი ძინძლაძემ მოახერხა სამშობლოში ჩამოსვლა. საახალწლო შესვენება არც ინგლისის ჩემპიონატში არსებობს, ქინქლაძე კი, სწორედ იქაურ „დერბი ქაუნთის“ ღირსებას იცავს.

ქართული გარემოს შექმნას გიორგი ძინძლაძისთვის მისი და და სიძე შეეცადნენ – მარინა ძინძლაძე და კობა მუქქერია ინგლისში ჩავიდნენ და იქ შეხვდნენ ახალ წელს. გიორგის ერთადერთმა ვაჟმა, ერთი წლის საბამ ჩვენი დროით ახალი წლის დადგომამდე კი გაძლო, მაგრამ მერე, ძილი მოერია. ინგლისის დროით ახალ წელს, საბას ეძინა, მამამისი სუფრასთან იჯდა სიძესთან, დასთან და, რა თქმა უნდა, თავის ინგლისელ მეუღლესთან, ლუიზა თაისთან ერთად. ოჯახის მეკვლეობაც ლულუს (ლუიზას ასე ეძახიან შინაურები) უტვირთია, თუმცა, ბრიტანელ ქალბატონს მეკვლეობისა ბევრი არაფერი სწამს. მაგრამ გიორგის მაინც დაუფინია – მეკვლე შენ უნდა იყო. სანამ საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავდა, ტკბილედ დატვირთული მეუღლე ეზოში გასულა, ახალი წლის დადგომისთანავე კი, ინგლისურ-



გიორგი ძინძლაძე

ქართული მისალოცი შეძახილებით შებრძანებულა საკუთარ ოჯახში. ქართული ადათისამებრ, ყველა, ტკბილედ დაუბერებია და ლამაზი სადღეგრძელოც უთქვამს გიორგის ნასწავლი ქართულით... პირველ იანვარს, ქინქლაძეების ოჯახს გიორგის ცოლისძმა, სტივ თაი სწვევია სტუმრად, 2 იანვარს კი, სტივი, ლუიზა და გიორგი, სტუმრებიანად მანჩესტერში გამგზავრებულან: ლუიზა მანჩესტერელია, მისი მშობლები ახლაც იქ ცხოვრობენ და ქინქი სიდედრ-სიმამრსაც მიულოცა დღესასწაული.

იმედია, ბოლო ხანს დათარსული გიორგი ძინძლაძის საფეხბურთო კარიერას მეუღლის ფეხი წაღმა შემოაბრუნებს და ერთ დროს ქართული ფეხბურთის ვუნდერკინდად შერაცხული ქინქი კვლავ ძველებურად ათამაშდება...

ბიორგი კანდელაკი თუ გინდა მოკალი და ახალ წელსა და სხვა დღესასწაულებს უცხოეთში ნუ შეახვედრებ! თავის მშობლიურ სოფელში, ვარიანში, ოჯახისა და მეგობრების სიახლოვეს ყოფნა ყველა სიკეთეს ურჩევნია და რა ვუთხარი პროფესიული კრივის ზოგიერთ მენეჯერ-პრომოუტერს, ზოგჯერ შობა-ახალ წელს სადღაც, „მიყრუებულ“ ლონდონში თუ ნიუ-იორკში რომ გადაკარგავენ ხოლმე ამ კაცს და ამ ბედნიერებას წაართმევენ...

როგორც თავად გიორგი კანდელაკი ამბობს, ამჯერად, მართლა ბედნიერი ახალი წელი დაუდგა. რაც მთავარია, დღესასწაულს ვარიანში, საკუთარ ოჯახში შეხვდა, 2003-ს კი, 2002-ის დიდი მონაგარით შეეგება: მეორე შვილი – ნატალი შეეძინა, პროფესიულ კრივში კი, მსოფ-

ლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

ქართული პურმარილითა და ქართული ტრადიციისამებრ შეხვდნენ ახალ წელს კანდელაკები. სუფრას გიორგის უფროსი ძმა – ლევანი უძღვებოდა (ამაში მაინც ერევა ლევანი გიორგის!..), ოჯახის მეკვლე, ვარიანელი მოკრივე, გიორგის მოწაფე – მინდია ნოზაძე იყო. უკვე შეექვსე წელია, მინდია მეკვლეობს კანდელაკებისას – 1997 წლის მერე, როცა გიორგი კანდელაკი სამოყვარულო კრივში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.


მხოლოდ ერთ საათს გაუჩერდა ძმას საზეიმო სუფრასთან გიორგი და მერე თბილისისკენ გამოსწია. აქ წვეულება ელოდა სასტუმრო „მერიოტში“, სადაც მასთან ერთად სპორტის ძალისმიერ სახეობათა სხვა წარმომადგენლებმაც მოიყარეს თავი: ბაკურ გოგიტიძემ, ძმებმა – ტარიელ და ამირან ბიწაძეებმა, ზაზა ტყეშელაშვილმა და სხვებმა.

გამთენიისას, ისევ გორში დაბრუნდა ჩემპიონი და დღემდე საახალწლო ღხინშია – თუმცა, როგორც თავად აცხადებს, ამ დღეებში, სულ 2-ჯერ თუ 3-ჯერ დალია მხოლოდ, ისიც – რამდენიმე ჭიქა წითელი ღვინო. უბრალოდ, სადღესასწაულო განწყობილება ჯერ არ განელებია...

უნდა თუ არ უნდა, სადღესასწაულო განწყობილებას არ უნდა აჰყვეს გიორგი: 15 იანვარს, მისი ინგლისელი მენეჯერები ჩამოდიან და საუკეთესო სპორტულ ფორმაში თუ არა, გვარიანად ნავარჯიშევი მაინც უნდა დახედეს თავის „უფროსობას“...



ელდარ კურტანიძე



გიორგი კანდელაკი შვილთან თარამთან ერთად



არამრდინარული ნიჭით დაჯილდუნიებული ბავშვი როგორ აღმოვაჩინოთ ტალანტი?

მათ, ვინც ადრეული ასაკიდანვე, რუსუდან ფეტვიაშვილის მსგავსად, დახვეწილად ხატავს, ან მაია ჩიბურდანიძესავით, ადვილად იკვლევს გზას საჭადრაკო დაფაზე, ნებისმიერი მოზრდილი ადამიანი „აღმოაჩენს“, მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენს ჰატარას ჯერ არ გამოუმუცლავნებია აშუარა ნიჭიერება? როგორ შევამჩნიოთ ტალანტი, რომელიც დაფარულია, რათა მას გაფურჩქვნის საშუალება მივცეთ?

დავიწყოთ სრულიად უმრწემესი ასაკიდან. ბუნებრივია, ყველა დედას თავისი შვილი გენიოსად მიაჩნია. ჰოდა, ნურც დაუჯერებთ მათ, ვინც ირწმუნება, რომ ყველა ბავშვი ერთნაირია. თვით ე.წ. გაუცნობიერებელი ასაკიდან – ე.ი. დაბადებიდან 2 წლამდე ასაკში – ძალიან ბევრი რამ შეიძლება ამოიცნოთ, თუ ყურადღებით დააკვირდებით თქვენს პატარასა და მის თანატოლებს შორის არსებულ განსხვავებას.

რაზე ამახვილებს ბავშვი ყურადღებას? როგორ ვითარდება მისი მეტყველება, მეხსიერების უნარი? სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდშია ყველაზე ადვილი ამა თუ იმ თვისების სტიმულირება (რაც მშობლებს უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენებათ), ბავშვისთვის მოსახერხებელი, ძალდაუტანებელი ფორმით.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, ე.წ. საკონტროლო მიჯნად ფსიქოლოგებს 5 წლის ასაკი მი-

აჩნიათ. ამ დროს, ბავშვის ინტელექტუალური დონის ძირითად მაჩვენებლად მეტყველება ითვლება. რაც უფრო დიდია პატარის ინტელექტუალური პოტენციალი, მით უფრო აქტიურად ივსება მისი ლექსიკური (სიტყვების) მარაგი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია არა მარტო ცნებები და გამოთქმები, რომელსაც ბავშვები ყოველდღიურად იყენებენ. არსებობს აგრეთვე ე.წ. „უთქმელი“ ლექსიკონი – სიტყვები, რომლის მნიშვნელობა ბავშვს კარგად ესმის, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ შედის მის ყოველდღიურ ლექსიკონში. თითქოსდა წერილმანია, მაგრამ მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ნიჭიერი ბავშვები, არა მარტო თანატოლებზე სწრაფად ივსებენ თავიანთ ლექსიკურ მარაგს, არამედ გაცილებით სწორადაც მეტყველებენ.

ზოგადი ნიჭიერების გარდა, არსებობს ე.წ. სპეციალური მი-

დრეკილებები. ავიღოთ, მაგალითად, მუსიკალურობა. 2-3 წლის ასაკის ბავშვს რაიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას ვერ მოსთხოვ, მაგრამ მუსიკალური სმენის საფუძველზე, რიტმსა და მელოდიაზე ემოციური რეაქციის გამოვლენა მუსიკისადმი ბავშვის ბუნებრივ მიდრეკილებაზე მეტყველებს. შეიძლება, ვინმემ თქვას: კარგი სიმღერა არავის ტოვებს გულგრილსო, მაგრამ მუსიკალურად ნიჭიერი ბავშვი არა მარტო იმას ცდილობს, რომ ხმა აუწყოს და აცეკვდეს მელოდიის რიტმში, არამედ მისი გამეორებაც შეუძლია.

ტალანტი კიდევ ერთი თვისებით გამოირჩევა – ეს არის სათაყვანებელ სფეროში საკუთარი თავის სრულყოფა. მაგალითად, მომავალი ინჟინერი ყველანაირად ცდილობს გაერკვეს იმაში, თუ როგორაა აგებული ესა თუ ის ნივთი, მოწყობილობა. ის დაშლის სათამაშოს ნაწილებად, რათა დაადგინოს, თუ როგორ მოძრაობს იგი. ასევე იოლად დაიმასხვორებს ნამდვილი მანქანის აგრეგატებს, რადგან ეს მისთვის საინტერესოა. ამგვარ მოვლენასთან შეხებისას დარწმუნებული ბრძანდებოდეთ – თქვენ წინაშე ნამდვილი ტალანტია!

ახლა კი, განსაკუთრებულ ყურადღებას გთხოვთ! მოზარდების კატეგორიული უარი ამა თუ იმ საგნის ტერმინების დაზეპირებაზე ასევე ნიჭიერების მაჩვენებელია. რა გასაკვირია, თუ დაბადებით ფიზიკოსს არ აინტერესებს ხელოვნებათმცოდნეობის ტერმინები?! შესაძლოა, თქვენ გგონიათ, რომ თქვენი შვილი ზარმაცია. იცოდეთ – მცდარი აზრია, ის უბრალოდ ნიჭიერია, ოღონდ – სხვა სფეროში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება უნდა გაითვალისწინოთ: ნიჭიერება და განათლება სხვადასხვა რამ არის. კარგად გაიცნობიერეთ სიტყვა „ნიჭიერება“. ხომ გახსოვთ გალაკტიონი? – „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი...“ საიდანა აქვს თქვენს შვილს ეს მაღლი – დედისგან, მამისგან? თუ ღმერთმა დააბერტყა? ან იქნებ, ეს თავად ბავშვის თვითგანვითარების შედეგია? ბოლოს და ბოლოს, ამას რა მნიშვნელობა აქვს? ჯანსაღი ფესვები, მშობლების სიყვარული და უდიდესი შრომისმოყვარეობა – აი, რა იქნება მისი წარმატებების საფუძველი და საწინდარი. მშვიდობით ევლოს!..

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სამოხაო ეპისტოლე

„დიდ არს ღმრთის მსახურებისა იგი საიდუმლო“; აღსრულდა! „ღმერთი გამოჩნდა ხორციით...“ (I ტიმ. 3,16). ქვეყანას მოვევლინა ლოგოსი — ძე ღვთისა, აზრი და გონება ყოველთა ხილულთა და უხილავთა. მისი შობის შესახებ ღირსი ეფრემ ასური ასე წერს: „ქალწული მარიამი ჩვენთვის იქცა ზეცად — ღვთის საყდრად, რამეთუ მასზედ გარდამოვიდა და მასში დაემკვიდრა უზენაესი ღვთაება; და შეიმოსა ხორციით უფალი, რათა მის მიერ მოგვნიჭებოდა ხსნა“.

წმიდა იოანე მახარებელი კი ბრძანებს: „მის თანა ცხოვრებაი იყო და ცხოვრებაი იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (ინ. 1, 4-5).

ეს ნათელი მარად იბრწყინებს, რადგან იგია დაუსაბამო სიყვარული, უნაპირო, ყოვლისმომცველი, მიუწვდომელი და მაცხოვრებელი; და ეფინება იგი ჩვენს ძალმომრეობითა და შიშით, სიძულვილითა და მონობით, შურითა და ბოროტებით სავსე ყოფას და ამ ჭუჭყისგან ათავისუფლებს ყველას, ვინც უფალს მიანდობს თავის გულს, თავის „დიდ გონებას“ (ასე უწოდებდა გულს დიდი ფიზიოლოგი პავლოვი). 2000 წელია კაცობრიობას აქვს შესაძლებლობა ამ საოცარ მადლთან ზიარებისა და განწმენდისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილი აცნობიერებს ღვთის ამ უჩვეულო წყალობის მნიშვნელობას და იწყებს სვლას ზეცად აღმყვანებელ კიბეზე.

ჩვენს ცხოვრებას ძირითადად ჩვენს გულში მიმდინარე პროცესები განსაზღვრავს, აქ კი ნათელთან ერთად წყვილიადი მკვიდრობს და მათ შორის მუდმივი დაპირისპირებაა. ხშირია შემთხვევა, როცა გვინდა, ვიყოთ სიკეთის მხარეს, მაგრამ არ გვყოფნის ძალა ცოდვებთან საბრძოლველად და ვმარცხდებით. ასეთ სიტუაციაში მთავარია, არ შევეურიგეთ ცოდვებს, არ მივიღოთ და არ შევიტკბოთ იგი. ცოდვა უცხოა ჩვენი ბუნებისათვის, რადგან ბოროტისაგან მომდინარეობს და თუ გულით მოვინდომებთ, მისგან ღვთის



საქართველოს
სამოციქულო წმიდა
მართლმადიდებელი
ეკლესიის
ღვთივკურთხეულ
მეწიერებს:

„შობამან შენმან,
ქრისტე მავხოვარ,
აღმოუბრწყინვა
სოფელსა ნათელი
მეწიერებისა...“

შეწევნით აუცილებლად განვთავისუფლდებით.

ადამიანის ცხოვრება გზასა ჰგავს, რომელიც შეიძლება იყოს მოკლე, ან ხანგრძლივად სასიარულო, მაგრამ ორივე შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ ეს გზა არ იქნება იოლად სავალი და მხოლოდ სიხარულის მომნიჭებელი. არც იმას უნდა ვფიქრობდეთ, რომ იგი იქნება აუტანლად მძიმე და დამთრგუნველი.

მიწიერი ჩვენი ყოფა სინამდვილეში გამოცდაა და ჩვენ ვაღვდებულნი ვართ, ეს გამოცდა ჩავაბაროთ. ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ვიცხოვრებთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ეს არ არის ადვილი, მით უმეტეს დღეს, როდესაც ყველანი ვხედავთ, რომ მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა, ჩვენს გარშემო ყოველდღიურად ჩნდება ახალ-ახალი პრობლემები. სულიერ კრიზისს თან სდევს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური კრიზისი.

სამწუხაროდ, მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებასთან ერთად, ზდება ადამიანის ინდივიდუალური სახის დაკარგვა, უფასურდება სიცოცხლე, იქმნება ისეთი მექანიზმებიც, რომელიც თითქმის აღარ ემორჩილება ადამიანის კონტროლს და ფაქტიურად მისთვის მტრულ ძალად შეიძლება იქცეს. ყოველივე ამის პარალელურად, კაცობრიობა აყალიბებს ერთიან კონტროლირებად ტექნოლოგიურ სისტემას. ამ სისტემას კი აუცილებლად სჭირდება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ნებისყოფითა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანები, რაზეც ნაკლებად ფიქრობენ.

მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი მეცნიერებთან და ის სასიცოცხლო და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო საკითხები, რომელიც ადევლებს მსოფლიოს, ეკლესიის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

დადგა დრო, როდესაც თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური გადაწყვეტა სასიცოცხლოდ აუცილებელი შეიქმნა. ამ მხრივ ჩვენს ეკლესიაში პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ის ურთიერთობა, რომელიც ბოლო დროს ჩამოყალიბდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, სასულიერო და საერო უმაღლეს სასწავლებლებს, მეცნიერებათა აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებს შორის იმედის მო-

ცემია და, ვფიქრობთ, კარგ შედეგს გამოიღებს. ჩვენ მეგობრულ ხელს ვუწვდით ჩვენს ინტელიგენციას და მონარულნი ვიქნებით, თუ შევძლებთ ერთობლივად ვითანამშრომლოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ. საზრუნავი კი მრავლადაა:

მსოფლიოს გლობალური კომპიუტერიზაციის პროცესის ფონზე, ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო საშუალებანი ხშირად ავრცელებენ ნეგატიურ დამორღვეველ ინფორმაციას, სთესენ შიშს ზვალინდელი დღისადმი, არყევენ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ ცხოვრების სულიერ საფუძვლებსა და აღვიძებენ მდებალ ინსტიტუტებს. შედეგიც სახეზეა, – თანამედროვე ადამიანისათვის, რომელსაც არ აქვს ჭეშმარიტი სარწმუნება, ყოველივე ნებადართულია: მრუშობაც, აბორტიც, მკვლელობაც, ძალადობაც და ზნეობრივი დევრადაციის სხვა გამოვლინებებიც. მეტად სამწუხაროა, რომ ასეთი აზროვნების დანერგვას გარკვეულწილად ხელს უწყობს სატელევიზიო პროგრამები და ჟურნალგაზეთები. არის დიდი მცდელობა იმისა, რომ ამორალური ყოფა, ჩვენში ადამიანური ურთიერთობების ნორმად იქცეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სასკოლო პროგრამებში ნატურალიზმამდე დასული სექსუალური აღზრდის კურსის შეტანაც მოისურვეს. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ადამიანებს სულიერი აღქმა მოვლენებისა, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ, სათანადო პასუხი გასცენ დროის გამოწვევებს. პირველ რიგში უნდა დავიცვათ ადამიანის სული, მისი ფსიქიკა და შინაგანი ბუნება.

არ უარვეყოფთ იმ ფაქტს, რომ ზნეობრივი სიმახინჯეები ყოველთვის იყო, მაგრამ ადრე ამ თემებზე საუბრისაც კი რცხვენოდათ; ადამიანები აცნობიერებდნენ, რომ ეს არის ცოდვა და მრავალი მათგანი ჩადენილ დანაშაულს ინანიებდა. ახლა ყოველივე ეს დაშვებულია და ლამის პროგრესულ მოვლენადაც არის მიჩნეული.

რჩება ერთი გამოსავალი: უნდა შევძლოთ ახალგაზრდებში ყოველივე ნეგატიურისა და უზნეობისადმი იმუნტიტის გამოშუშავება და მათთვის მყარი მორალური საფუძვლის შექმნა. ადრეც არაერთგზის მითქვამს, რომ დღეს, როგორც



არასდროს, საჭიროა კავშირი ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის. ვფიქრობ, ხელისუფლება თვითონ უნდა იყოს ამით დაინტერესებული. რადგან, პროცესები თუ ასე განვითარდა, საფრთხე უპირველეს ყოვლისა ოჯახს და სახელმწიფოს ემუქრება.

მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა აიკრძალოს პორნოპროდუქციის ლეგალიზაცია და ყაჩაღობისა და ძალადობის სიუჟეტების მქონე ფილმების ჩვენება, ამასთან არ უნდა დავუშვათ სექსუალური აღზრდის შესახებ ცალკე საგნის სწავლება; ამ მხრივ ბავშვებს ეთიკური ნორმების დაცვით სათანადო ცოდნა შეიძლება მიეცეს ანატომიისა და ზოგადი ბიოლოგიის გაკვეთილებზე.

განა არ არის დრო სერიოზულად დაფიქრდეს ხელისუფლებაც, ეკლესიაც და ინტელიგენციაც ქვეყანაში დანაშაულებებისა და თვითმკვლელობათა რიცხვის კატასტროფული ზრდის მიზეზებზე? ჩვენ ვაღივებულნი ვართ ვიზრუნოთ ერის მომავალზე. ვფიქრობ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება უნდა იქცეს ქვეყნისთვის სასარგებლო ერთობლივი მუშაობის საფუძვლად. უნდა დროულად მოხდეს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რეალიზება ცხოვრებაში, თუკი გვსურს ავაშენოთ განვი-

თარებული დემოკრატიული სახელმწიფო, ზნეობრივი საფუძვლებით.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური მოვლენებისა, პესიმიზმი არ უნდა დაგვეუფლოს. პრობლემები ყოველთვის იყო და იქნება; მთავარია, ჩვენ შევძლოთ მათი გადალახვა. „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად“, – ამბობდნენ ძველი რომაელები. წარსული და მომავალი აწმყოშია, ეს დღე ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენია ეს ძნელად სავალი გზა, რომელიც ერთად უნდა განვვლოთ. არ უნდა ვაიდივალდეთ წარსულს და არც შიშით უნდა შევეყურებდეთ მომავალს. საქართველო ბევრჯერ მდგარა სრული დანგრევისა და განადგურების საფრთხის წინაშე, მაგრამ ღვთის ალმძღვარვართ და გავეძლიერებულვართ. მთავარია, უფლის მოწყალება და მისი მფარველობა კვლავაც დავიმსახუროთ.

თუ ქრისტე ჩვენშია და იგი ადავსებს ჩვენს წარსულსა და მომავალს, მაშინ ნათლად გავაცნობიერებთ ჩვენი ყოფის აზრს და იმასაც, თუ ვინ ვართ სინამდვილეში, საით მივდივართ და რა უნდა ვაკეთოთ. მშვენივრად წერს პავლე მოციქული: „... გინა თუ სოფელი, გინა თუ ცხოვრებაი, გინა თუ სიკვდილი, გინა თუ აწინდელი ჟამი, გინა თუ მერმე იგი ჟამი – ყოველივე თქვენი არს. ხოლო თქვენ – ქრისტესნი, ხოლო ქრისტე – ღმრთისაი“. (I კორ. 3, 22-23). ასეთი სულიერი სიმაღლე მხოლოდ დაუცხრომელი ძიებით, ტანჯვით, სულიერი და ფიზიკური შრომით მიიღწევა. დაიხ, მწუხარებით, გაჭირვებით, ფიზიკური და ინტელექტუალური ყოველდღიური შრომით ადამიანი სულიერად იწრთობა და მის გულში ნათელსა და ბნელს შორის მიმდინარე ბრძოლის პროცესიც სასურველი გამარჯვებით მთავრდება. ამიტომაც განსაცდელს და სხვადასხვა სინდელს არ უნდა შევეშინდეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ მათი დაძლეულობა და ჩვენი სულიერი ამაღლებით შევძლებთ გავხდეთ მკვიდრნი ზეცისანი, ოღონდ დრო არ უნდა დაგვკარგოთ.

დროს უნდა ვაფასებდეთ, როგორც ღვთის წყალობას და მისი გამოყენება უნდა შეგვეძლოს. დროს უნდა აღვიქ-

ვამდეთ არა მარტო როგორც ზოგად გამოვლინებას, არამედ როგორც თითოეული ჩვენთაგანისათვის ამქვეყნიური ცხოვრებისათვის მოცემულ გარკვეულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოვასწოროთ ყოველივე იმის აღსრულება, რის გაკეთებასაც ვფიქრობთ და ვგეგმავთ, რადგან არ ვუწყით, როდის წარვდგებით მარადიულობის კარიბჭესთან. ჩვენთვის განაკუთვნილი ჟამი მიწიერი ცხოვრებისა აღვსილი უნდა იყოს სიკეთით, ოჯახისა და სამშობლოს სასარგებლო შრომით, სულიერებით და არა მხოლოდ გართობითა და კომერციული საქმიანობით.

ჩვენი ცხოვრება მრავალ უმნიშვნელოვანეს მხარეს მოიცავს. მათ შორის ერთი მთავარია ადამიანთა შორის ურთიერთობის საკითხი. თანამედროვე კაცი იმითაცაა განსხვავებული, რომ ზედმეტად თვითდაჯერებულია, არ ერიდება სიცრუეს, შეურაცხყოფას და, ამავე დროს, მკაცრია სხვათა მიმართ. ჩვენ არაერთხელ ვართ მომსწრენი იმისა, თუ არგუმენტირებული საწინააღმდეგო პოზიციის მიუხედავად თავის აზრს ჯიუტად როგორ ამტკიცებს ესა თუ ის პიროვნება და მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევს ჭეშმარიტების მქადაგებლად. ბოროტი სულის მიერ შეპყრობილი და ამპარტაუნების ცოდვით მოცული ასეთი ადამიანი უარყოფს სხვათა ყველა მოსაზრებას და მტრობისა და შეურთებლობის ცოდვაში ეფლობა. ასეთს უფალი ტოვებს და განერიდება, რადგან სძაგს უღმობელი გული.

ყოველი ადამიანი შეცოდებათა მორევშია დანთქმული და თუ არა ღვთის დიდი მოწყალება, ცათა სასუფეველის ღირსი ვერავინ გახდებოდა. უფლის საოცარი მოწყალება ჩვენდამი, გვაკლდეულებს, ვიყოთ მიმტევებელნი მოყვასისადმი და ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, მას წილი არა აქვს ღმერთთან. უფალი ბრძანებს: „უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ

შეცოდებანი თქუენნი“ (მთ. 6, 14-14). ერისკაცს და მით უმეტეს მღვდელს, რომელსაც არ ძალუძს წყენა აპატიოს და შეურიგდეს მოყვასს მკაცრად მოპკითხავს მაცხოვარი.

იყო ასეთი შემთხვევა: III საუკუნეში ანტიოქიაში ორი ცნობილი ადამიანი ცხოვრობდა – მღვდელი საპრიკი და ერისკაცი ნიკიფორე, რომლებიც ერთმანეთთან დიდად მეგობრობდნენ და ხალხს ისინი ძმებად მიაჩნდა. გავიდა ხანი და სატანის ცდუნებით მათ შორის ურთიერთობა დაირღვა და ძველი სიყვარული მალე მტრობამ შეცვალა. გარკვეული ხნის შემდეგ, ნიკიფორემ შეინანა თავისი მოქმედება და შენდობა სთხოვა საპრიკს, მაგრამ მღვდელმა არ მიიღო იგი და მასზე კვლავ გულძვირად დარჩა. ამ დროს რომის იმპერატორებმა ვალერიანემ (245-259 წ.წ.) და გალიენმა (260-268 წ.წ.) დაიწყეს ქრისტიანთა სასტიკი დევნა. ანტიოქიაში სასამართლოში ერთ-ერთი პირველთაგანი მღვდელი საპრიკი მიიყვანეს, რომელმაც მტკიცედ აღიარა თავი ქრისტიანად და მას სიკვდილი მიუსაჯეს. როდესაც საპრიკი განაჩენის აღსასრულებლად მიჰყავდათ, ნიკიფორე კვლავ ცრემლით სთხოვდა შენდობას და ეუბნებოდა: „შენ მალე წმიდა მოწამე გახდები, უფლის გვირგვინს მიიღებ და გვედრები, ნუ დამტოვებ პატიების გარეშო“, მღვდელმა გული გაიქვავა და თხოვნა არ შეიწყინარა. აი, ამ დროს, მოწამებრივ აღსასრულამდე რამდენიმე წუთით ადრე, მას ღვთის მადლი უცებ განეშორა და გაქრა მისი სიმტკიცეც; უფლისადმი ერთგულების გრძნობა სიკვდილის შიშმა შეცვალა; მან უარყო ქრისტე და მსხვერპლი შესწირა კარპებს.

ნიკიფორე კი, რომელმაც ყოველივე იხილა, აღივსო მადლით და უშიშრად შესძახა ჯალათებს: „მე ვარ ქრისტიანი, მე მომკალითო“. მის შესახებ სასწრაფოდ მოახსენეს მმართველს და მანაც ბრძანა, რომ საპრიკის ნაცვლად ნიკიფორე ეწამებინათ.

მოყვასისადმი მიუტევებლობის გამო საპრიკის სული ჯოჯოხეთის სიბნელეში დაინთქა, წმიდა ნიკიფორეს ხსენებას კი მთელი ქრისტიანული სამყარო ძველი სტილით 9 თებერვალს აღნიშნავს. აღსრულდა წმიდა წერილის სიტყვები: „უფალი ამპარტაუნთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მიანიჭებს მადლს“. ეს მაგალითი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენს დროში, სადაც აძლენი მტრობა და სიძულვილია.

მაშ, ისწრაფეთ შერიგებისა და ერთსულოვნებისაკენ, ისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და პატიება, ისწავლეთ საკუთარი ცოდვებისა და შეცდომების დანახვა და სინანული და თქვენი ცხოვრება სწორი გზით წარიმართება. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „უფალი არასოდეს უარყოფს წრფელ სინანულს სათნოების გზაზე დაბრუნების მსურველი თუნდაც უკიდურეს ბიწიერებაში დაცემული ადამიანისა. ღმერთი ზურგს არ აქცევს ასეთ ცოდვილს, პირიქით იხლოვებს მას და ყოველივეს იქმს, რათა მას თავდაპირველი პატივი დაუბრუნოს და უმეტესიც მიაგოს“.

აქვე მინდა ორიოდე სიტყვით ვთქვათ ღვთისმსახურთა შესახებაც. სასულიერო პირი, ვიდრე მას აქვს უფლება მღვდელმოქმედების აღსრულებისა, ღვთაებრივი მადლის და ძალის მატარებელია. მას შეუძლია აკურთხოს და შეუძლია, აგრეთვე, დასაჯოს ადამიანი; შეუძლია შეუნდოს ცოდვები, შეუძლია არც შეუნდოს; ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სინანულით მიდის მასთან ესა თუ ის პიროვნება. ამის უფლება იესო ქრისტემ მოციქულებს მიანიჭა და იგი ხელდასხმით თაობიდან თაობას გადაეცემა მართლმადიდებელ ეკლესიაში. რაც შეეხება მოძღვრის პირადულ ცოდვებს, ისინი მღვდლობის მადლს ჩრდილს



ვერ მიაყენებენ; თუმცა ცოდვების გამო სასულიერო პირს ღვთის წინაშე უფრო მკაცრად მოეკითხება პასუხი, ვიდრე ერისკაცს.

ღიას, მოძღვარი ღვთაებრივი ცეცხლის მატარებელია და ამიტომაც არ შეიძლება იხუმრო მღვდელმსახურზე, დაამცირო და განიკითხო იგი და, მით უფრო, დასცინო მას, რადგან შენ ამით შეურაცხყოფ არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, არამედ იმ მადლს, რომელიც ღვთის ნებით მასზედ არის გარდამოსული. მოვიყვან მაგალითს ეპისკოპოსს გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრებიდან. ერთხელ ამ მღვდელმთავარს შემოხვდა სამი ახალგაზრდა, რომლებმაც მისი მოტყუება განიზრახეს. ერთ-ერთი მათგანი მიწაზე დაწვა და მიცვალებულივით ხელები გულზე დაიწყო, დანარჩენებმა კი მწუხარე სახეები მიიღეს. როდესაც ეპისკოპოსი მათთან მივიდა, სთხოვეს, მიეცა ფული და მიცვალებული-სათვის რაიმე გადასაფარებელი. ეპისკოპოსმა მისცა თავისი ზედა სამოსი და თანხაც. როცა უგუნურმა ახალგაზრდებმა ეპისკოპოსი გააცილეს, დასცინეს: „მასში რომ უფლის სული ყოფილიყო, მიხვდებოდა, რომ მის წინაშე ცოცხალი ადამიანი იწვაო“, თავისი ხუმრობით ნასიამოვნებმა ყმაწვილებმა მწოლიარე მეგობარს მოუწოდეს, რომ ამდგარიყო, მაგრამ იგი არ გაინძრა. იფიქრეს, ალბათ, ჩაეძინაო და შეანჯღრის, თუმცა ამოდ, – იგი, მართლაც, გარდაცვლილიყო. ასეთი იყო სასჯელი ღვთისა და მათ სიცილი ტირილად შეეცვალათ.

ს უ ლ ი ე რ ი ცხოვრება ძალიან რთულია, მაგრამ მადლმოხილი. ცნობილი ათონელი მოღვაწე, ღირსი სილუანე გვარიგებს: „თუ გინდა, რომ გქონდეს სიმშვიდე, ყველა უნდა გიყვარდეთ, როგორც საკუთარი თავი და ყოველთვის მზად უნდა იყო სიკვდილისათვის. როდესაც სულს სიკვდილი ახსოვს, იგი ხდება მორჩილი და სრულიად მიეცემა ღვთის ნებას. მას ყველასთან მშვილობა სურს, ყველას სიყვარულს ესწრაფვის... მორჩილის სული მსგავსია ზღვისა, რომლის ზედაპირს

ჩაგდებული ქვა წუთიერად ოდნავ თუ ააღლევებს და მის სიღრმეში დაინთქმება. ასე იძირება მწუხარებაც მორჩილის გულში, რადგან მასთანაა ძალი ღვთისა“.

სხვაგან იგივე ღირსი მამა გემოდვრავს: „გახსოვდეს ორი აზრი და უფროს-ოლე მათ. ერთი ამბობს: შენ წმიდა ხარ; მეორე – შენ ვერ ცხონდები. ორივე აზრი ბოროტისგანაა და მათში არაა ჭეშმარიტება. შენ კი იფიქრე: „მე დიდი ცოდვილი ვარ, მაგრამ უფალი მოწყალე და კაცთმოყვარეა და გულწრფელი სინანულით მომიტევებს ჩემს ცოდვებს“.

სასოებით ვისმენთ დღეს ანგელოზთა საშობაო საგალობელს: „დიდება ძალა-თა შინა დმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვი-დობა და კაცთა შორის სათნობა“. მშვიდობა და სათნობა მოიტანა ღვთაებრივმა ჩვილმა დედამიწაზე, მაგრამ მაცხოვარი ამ მადლს იბულებით თავს არავის ახვევს. უფალი ჩვენ სრულ თავისუფლებას გვანიჭებს და არჩევანის გაკეთების საშუალებას გვაძლევს; ჩვენი სურვილით, ჩვენი ნებით და ნებისყოფით გვრთავს ჩვენი გამოსხნის პროცესში. ეს არჩევანი არ არის ადამიანის მარტო ამქვეყნიური ყოფის განმსაზღვრელი, იგია არჩევანი მარადიულ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

სამწუხაროდ, მრავალნი ნათელში ყოფნას ბნელში ჯდომას ამჯობინებენ და ზურგს აქცევენ უფალს; ზოგიერთნი კი საერთოდ ღვთისმებრძოლნი ხდებიან.

ჩვენმა ერმაც გადაიტანა ღვთისმებრძოლობის პერიოდი, სულიერი გამოფიტვისა და შიმშილის ყამი.

წლების მანძილზე უფლის ნათელს მოკლებული გონება შეურიგებლად ებრძოდა შემოქმედს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, „ბნელი იგი განგვემორა და დღე შემოგვეახლა“. ბევრი მიხვდა, რომ ჭეშმარიტ რწმენას მოკლებული რაციონალიზმი დამლუპველია როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ისე კაცობრიობისათვის; რომ ქრისტეს გარეშე ხალხი უფ-

სკრულისაგან მიექანება და ამიტომაც თუ გვსურს სწორად ცხოვრება, თუ გვსურს ბედნიერება ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის „ნათელი მეცნიერებისა“ უნდა დაემკვიდროს ყველგან: მთავრობაში, ინტელიგენციაში, სასწავლო დაწესებულებებსა და ჯარში, გლეხობასა და უბრალო მშრომელებში.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ათეისტური ხელისუფლების პერიოდშიც მრავალმა მეცნიერმა და ინტელიგენციის სახელოვანმა წარმომადგენელმა გაუძლო მძიმე წნეხს. მათ არა მარტო თავად შეინარჩუნეს რწმენა, არამედ რაღაც გზებით ფარულად გადასცეს იგი მაშინ თავის მოსწავლეებსა და სტუდენტებს. უფალმა აკურთხოს ისინი; მე კი მადლიერებით ვხრი თავს მათ წინაშე.

ყოველადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, სამღვდელო და სამონოხნო დასნო, ყოველნო ღვთიეკურთხეულნო მკვიდრნო ყოველადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიისა, საზღვარგარეთ დროებით მცხოვრებნო ძვირფასო თანამემამულენო, მშობლიური აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მკვიდრნო, – ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის დიდ და მაცხოვრებელ დღესასწაულს.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს: „უფალმა თვისი განხორციელებით ორი დიდი სიკეთე მოიტანა: ღვთაებრივი ბუნება კაცურ ბუნებას შეუერთა, რათა კაცი განელმერთო და ადამიანში საიღუმლო მადლით ყოველადწმიდა სამება დაემკვიდრებინა“.

დაე, ახალი წელი ყველა ჩვენთაგანისთვის ღვთის ღიდების, ბედნიერების, მშვიდობისა და კეთილდღეობის, საქართველოს გაერთიანების, თანხმობისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს. ყველას გისურვებთ იყოთ სიხარულის მიმნიჭებელნი ერთმანეთისათვის და ცათა შინაც მარადიული სიხარული მოგეპოვებინოთ.


იმედით შეხვდით მომავალს, ილოცეთ, იშრომეთ, დათრგუნეთ თქვენი ეგოიზმი და ვნებები, რადგან ბოროტს სძლევს მხოლოდ ის, ვინც უკვე სძლია საკუთარ თავს.

ღმერთს ებარებოდეთ.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

*სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ქრისტეს შობა
2002-2003 წელი, თბილისი*



ნანა ქიტიშაური

გიგა ლორთქიფანიძისა და ქატიშაურის კიპნაძის სახლში ახალი წელი საოჯახო ზეიმის საბაბი უფროა, ვიდრე საყოველთაო მხიარულების მიზეზი. 2003 წლის დამდეგს, ისინი თვალცრემლიანნი და ნალველშეპარული სმით გვიყვებიან გასული ახალი წლების შესახებ. ბატონი გიგა და ქალბატონი ქეთევანი ამბობენ, რომ მათ ბევრი უახლოესი მეგობარი გამოაკლდათ. მეგობრები, რომლებთან ერთადაც მართლაც განუმეორებელი სადღეგრძელოებით, კოლორიტული იუმორითა და მხიარული განწყობილებით სვდებოდნენ პირველი იანვრის გათენებას.

— ბატონო გიგა, რას გვეტყვით როგორია თქვენი ოჯახისთვის ახალი წელი?

— ტრადიციულად, ახალ წელს ოჯახში ვხვდებით. ყოველ შემთხვევაში, 12 საათზე შინ ვიყავით, ამის შემდეგ კი, ჩემი სამეგობრო თავისი მეუღლეებითურთ, ლეო სალაყაიას ოჯახში ვიყრიდით ხოლმე თავს. 31 დეკემბერს იყო დაბადებული. სუფრა, სადაც ჩემი მეგობრები იკრიბებოდნენ, მართლაც ერთი აკადემია იყო.

— შვილებს შინ ტოვებდით? ქატიშაურს კიპნაძე:

— მე ყოველთვის ვცდილობდი — თუკი სუფრა ჩემს ოჯახში იმლებოდა, ბავშვები ყველაფრის მომსწრენი ყოფილიყვნენ: თურაბეს არ ისწავლიდნენ, არც არაფერი დააკლდებოდათ. მაგრამ, როცა სტუმრად მივიდიოდით...

ნანა, შუათანა ქალიშვილი:

— ბებიასთან გვეტოვებდნენ ხოლმე. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ თვითონ არ დაეინწყეთ კარნავალებზე და მეგობრებთან სიარული.

— ისე, თქვენი მშობლები სხვადასხვანაირები არიან გადასალეზ მოედანზე და ოჯახურ სიტუაციაში?

— ჩემთვის ყოველთვის ერთნაირები არიან. მუშაობის დროს, ვერ ვგრძნობ, რომ ოჯახის წევრებთან მაქვს საქმე: გიგასთვის გადასალეზ მოედანზე არც ცოლი არსებობს და არც შვილი. იქ ჩვენც ისევე გვიყვარის, როგორც ყველა დანარჩენს. მასსოვს, ერთხელ, დედას უყვარა — შენ ვინ შემოგიშვა სცენაზე?! — და მე მგონი, რაღაც ესროლა კიდეც...

გიგა: — რას გვიშვრები, შვილო, შენი მშობლები არა ვართ? იცი, ამას როგორ დაწერენ ჟურნალისტები?! ერთი ჟურნალისტი მე



ახალი წელი რაზე უნდა მომხიარულიყო... უსწრებით...



მეუღლე ცხვირჩამოშვებული დამხვდა: ახლა დაერწმუნდი, რომ არ გიყვარვარ. კაცო, როგორ მეუბნები — სხვა კაცს გულიანად აკოცე?! ეს რომ მოუყევი ჟურნალისტს, სწორედ ამის გამო გაჩნდა გაზეთში ასეთი სათაური: „როცა ქეთევან კიპნაძეს კოცნიან, ეს გიგა ლორთქიფანიძეს არ აწუხებს“. ერთხელ, ასეთი სათაურიც წავიკითხე: „ნოდარ ღუმბაძემ ლაღო გუდიაშვილის სურათი მოიპარა“. გავეიფი კაცი. დავიწყე კითხვა და მერე გავარკვიე, რომ ეს ის ნოდარ ღუმბაძე არ ყოფილა, რომელსაც მე ვიცნობდი და არც ის ლაღო გუდიაშვილი, რომელიც მე მეგონა. იყო ასეთი შემთხვევა: გაზეთში გაჩნდა სათაური: „გიგა ლორთქიფანიძე არასრულწლოვნის შეცდენისათვის ციხეს გადაურჩა“. მე ქეთინოზე ბევრად უფროსი ვარ, თუმცა, არასოდეს მითქვამს — რამდენით. ქეთინოს ასაკი არ მინდა გამახილო, თორემ მე „გაყიდული“ ვარ. ჰოდა,

კითხება: თქვენს ცოლს ფილმში ან სცენაზე როცა კოცნიან, როგორი რეაქცია გაქვთო? ვუპასუხე: არანაირი რეაქცია არა მაქვს-მეთქი. ქეთინოსთან ამის გამო მიჩხუბია კიდე: შენს კოცნაში გრძნობა რატომ არ ჩანს-მეთქი? ერთი რეპეტიციის დროს, იმდენი ვეჩხუბე — რატომ გულიანად არ კოცნი პარტნიორს-მეთქი?! — რომ შინ მისულს, ჩემი

ჯეონეტი ახალი ინტერნეტული კომუნიკაციები

GEONET

- **სერვისების სპეციფიკა**
 - მომსახურება ინტერნეტით - 1020 ლარი
 - ინტერნეტის პარალელური მართვა - 771 772
 - ბაზოქონის მართვა (სადაც კითხვა)
- **ახალი სერვისები**
- **საინტერნეტო სერვისები**
- **საინტერნეტო სერვისები**
- **მომსახურება სატელეფონო მართვით** - 1020 ლარი
 - ახმ, ანხმ, კონსტი - 0.43 ლარი

ცხელი ხაზი: 1 3
 47 21 25 97 21 25

www.geonet.ge

ერთხელ ვუთხარი: შენ რომ იკლებ წლებს, მეც დამაკელი, თორემ შეიძლება, არასრულწლოვნის შეცდენისთვის დამიჭირონ-მეთქი. ეს ვუთხარი ჟურნალისტს, ისევე, როგორც ახლა თქვენ გიყვებით და მერე, სათაური რომ ვნახე გაზეთში, თვალს არ დაუუჯერე... რაც შეეხება გადასაღებ მოედანზე შეილთან ერთად მუშაობას – იყო ასეთი შემთხვევა „ფიროსმანის“ გადაღებისას. ამ ფილმზე, ჩემი აზრით, მსოფლიო მნიშვნელობის ოპერატორთან – ლევან პაატაშვილთან ერთად ვმუშაობდი. ლევანი თავისებურად ანაწილებს ფერებს, უყვარს ეფექტური განათება და სინათლესთან „თამაში“. ფიროსმანის როლს ოთარ მეღვინეთუხუცესი თამაშობდა. მისი საოცნებო ქალის – იას როლს კი, ჩემი უფროსი შვილი ნინო. არის ასეთი პროექტორი, რომელსაც „მეტროეკას“ უწოდებენ. ძალიან ძლიერი განათება აქვს. მას იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ძალიან შორ მანძილზე უნდათ განათება. ლევანმა მოინდომა ნინოს უკან კონტრაქტურის (შუქის კამერაზე მინათებით მიღწევა. – ავტ.) გაკეთება. ანთო ეს „მეტროეკა“ და ნახევარი საათის განმავლობაში ცდილობდა სასურველი ეფექტის შექმნას. ვხედავ – ნინოს „ბოლი ასდის“, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. რამდენიმე წუთიც და ბავშვს „ცეცხლი წაეკიდა“. ისევ განაბულია, ხმას არ იღებს... ბოლოს, მანც ვეღარ გაუძლო მამის გულმა შეილის ცოცხლად დაწვის სცენას და იყვირა: ლევან, შენი არაფერი არ მინდა, ოღონდ, შეილს ნუ დამიწვავ-მეთქი.

ნანა:

– არ ვიცი, უნდა მოვყვე თუ არა, როგორ თამაშობდნენ მამის მეგობრები კარტს. ისე ჩხუბობდნენ ხოლმე, რომ ვვიჭირობდი – ეს

სულ რამდენიმე მეგობარიღა შემოვრჩით წუთისოფელს. ჩვენ უკვე მოგონებებით ვცხოვრობთ...



ხალხი ჩვენთან აღარასოდეს მოვა-მეთქი. მეორე დღესვე მოვიდოდნენ და ჩვენი სახლიდან ისეთი სიმღერის ხმა გამოდიოდა, რომ მეორე დღეს, როდესაც მეზობლებისთვის ბოდიშის მოხდას ვაპირებდით, მაღლობას გვიხდოდნენ – მთელმა ეზომ უფასო კონცერტით ვისიამოვნეთო... როდესაც ჩხუბის ხმა ისმოდა, დედა თავისებურად ცდილობდა ისეთი „შირმა“ მოერგო, რომ მეზობლები ამ ჩხუბის სერიოზულობაში დაეჭვებულნი იყვნენ: სახლი ინერგოდა, დედა კი მშვიდი სახით გავიღოდა აივანზე და ღიღინით იწყებდა ყვავილების მორწყვას. თან ღიმილით ესალმებოდა გამკვლე-გამომკვლე ნაცნობებს... დედას ისე მოსწონდა მამას სამეგობრო, რომ ერთხელ შეეცადა, მიეხატა კიდეც მათთვის. თავისმა დაქალებმაც აუბეს მხარი და იცით, რა მოხდა? ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი: ერთმანეთზე უკეთესი, ლამაზი ქალები შეიკრიბებოდნენ და სვამდნენ. ერთხელ, დედა მოვიდა შინ, რა თქმა უნდა, ნასვამი. მასხოვს, ჩაღმა ეხურა თავზე და შემოვიდა თუ არა, დაიწყო: „გიგა, მართალია, ცოტა დავლიე, მაგრამ არ მეჩხუბო, რა...“ მეორე საღამოს, ისევ რომ გამოეწყო და წასასვლელად მოემზადა, მამამ კართან გააჩერა და მართლა შეშფოთებულმა უთხრა: ძალიან ვთხოვ, ქეთევან, დღეს მაინც აღარ დალიო.

ქეთევანი:

– აი, ასეთი „ჩამშვები“ შვილები რომ გვეყოლება... ჩემს მტერს ასეთი მოწმეები!



არასოდეს მყვარებია ღვინო...

ნანა:

– ღვინო არა – არაყი გიყვარდა...

ქეთევანი:

– არა, არც არაყი... კარგი, შვილო, იცი, რა სათაურით წავა ეს ინტერვიუ?..

– **მაია, თქვენ არაფერს გავტყვით? მამა, უმცროსი ქალიშვილი:**

– რა გითხრათ? მამასთან იმდენი ხალხი მოდიოდა, რომ ქუჩაში ვინც გამოდიებოდა, ყველა ჩვენს ოჯახში ნამყოფი და მამის მეგობარი მეგონა. ერთხელ რეკავს ვიღაც ბიძია და მეუბნება: გიგა ლორთქიფანიძესთან ვრეკავ, თუ შეიძლება, დაუძახეთო. მე ვეკითხები: „თემიკო ბიძია, თქვენ ხართ?“ – არა, შვილო, ჯუშბერი პატიაშვილი ვარ (მაშინ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი. – ავტ.), თუ შეიძლება, მამას დაუძახეთო. – ა, ბიძინა ბიძია, თქვენ ხართ-მეთქი? არა, ჯუშბერი ბიძია ვარ, დაუძახეთო მამასო. – კარგი, რა, თემიკო ბიძია, ხომ თქვენ ხართ?“ – არა, შვილო, არ ვარ თემიკო ბიძია, ჯუშბერი ვარ პატიაშვილი. – ო-ო, კარგი, რა, ლევან ბიძია, ხომ თქვენ ხართ? კინაღამ ვერ გიცანით-მეთქი. თურმე მართლა ჯუშბერი პატიაშვილი რეკავდა მამასთან...

გიბა:

– მართლაც განუმეორებელ ახალი წლის საღამოებს ვატარებდით. სამწუხაროდ, ახლა ჩვენს სუფრასთან ქალები ჭარბობენ: მათი მეუღლეები ჩვენ გვერდით აღარ არიან... ჩემი ძვირფასი ქვრივები – ასე ვეფერები ხოლმე მათ. ახალი წლის საღამოებს მე და ქეთევანი ხშირად ვატარებთ მოგონებებში. ცრემლსაც ვერ ვიკავებთ ხოლმე. ერთადერთი, რაც ამ საახალწლო დღეებს გვიღამაზებს, ჩვენი შვილიშვილები არიან. სულ რამდენიმე მეგობარიღა შემოვრჩით წუთისოფელს. ჩვენ უკვე მოგონებებით ვცხოვრობთ... ახალ წელს კი, ყველა ჩემი უსაყვარლესი მეგობრის ახლობლებს ვულოცავ. მთელ საქართველოს ვულოცავ, ყველას, ვინც იცის მეგობრის ფასი, ქართული სუფრის გემო, ყველა კარგ ქართველს მივულოცავ და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ!

მისი ცხოვრება საოცრად მრავალფეროვანი და სიურპრიზებით აღსავსეა. მაგალითად, ოდრი ტოტუ ოვერნის ახალგაზრდულ სასულე ორეესტრში ჰობობიუ უყრავს და ამ ამბულაში ხშირად, გასტროლებითაც მოგზაურობს. იგი წერს დღიურს, რომელსაც არავის უჩვენებს. იდეალურად ლაპარაკობს გერმანულად და უყრავს ფორტეპიანოზე. სორბონის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კი მან დაიცვა დისერტაცია თემაზე – „ნარცისიზმი ოსკარ უაილდის შემოქმედებაში“. დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი მიღწევებისა, იგი მხოლოდ 24 წლისაა.

ცნობილია, რომ განმარტებული სცენარი – „ამელი მონმარტიდან“ ბრიტანელი მსახიობის, ემილი უოტსონისათვის დაიწერა. თავად „ამელიც“ მისი სახელის, ემილის ფრანგული ვარიანტია. თუმცა, ერთი რამ მაინც გაურკვეველი რჩება, როგორ აპირებდა ჟან-პიერ ფენე ინგლისელი მსახიობის პარიზული პიუნაჟისათვის მორგებას? მაგრამ, ასეა თუ ისე, უოტსონმა ფილმში მონაწილეობაზე თავადვე განაცხადა უარი. მაშინ ფენემ სასწრაფოდ ამელის როლის შემსრულებლის პოვნა, ახალგაზრდა ფრანგ ვარსკვლავებს შორის სცადა (სინჯებში 20 მსახიობი მონაწილეობდა). თუმცა, ჟან-პიერმა თავისი ამელი სინჯებზე კი არა, სრულიად შემთხვევით, ფილმის სარეკლამო პლაკატზე აღმოაჩინა. „სილამაზის სალონი „ვენერას“ პლაკატზე ვეჭვოთელათეაფლებიანი და შვენაწნავეებიანი მსახიობი გოგონა იყო გამოსახული. ფენე მისი დანახვისთანავე მოიხიბლა... იგი ყოველდღე ურეკავდა ოდრის და ატყობინებდა: „დღეს ჩვენი მანსები – ასიდან სამოცი პროცენტია“, „დღეს – ასიდან ოთხმოცი“, დაბოლოს, „ეს როლი – შენია“ ოდრი ტოტუს, ამელი პულენის პერსონაჟმა უდიდესი პოპულარობა და სიყვარული მოუტანა. ჟურნალმა Entertainment Weekly-მ ოდრი ტოტუ მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ ახალგაზრდა მსახიობთა შორის დაასახელა.

„ამელის“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ოდრის უამრავ სცენარს უგზავნიან, მათ შორის, პოლიციულიდანაც, მაგრამ ტოტუ თავს უფლებას აძლევს, საგულდაგულოდ შეარჩიოს მათ შორის საუკეთესო. „ამელიმდე“ ტოტუ ათიოდე ფილმშია გადაღებული. იგი კინოში ვერ



ოდრი ტოტუ: გოგონა დიდს სიზმრებშია

კიდევ სტუდენტობისას მოხდა. უბრალო, პროვინციული გოგონა ქალაქ ბომონიდან, ყოველთვის ოცნებობდა პარიზის დაპყრობაზე და თავისი ოცნების განხორციელება ერთდროულად სხვადასხვა ასპარეზზე სცადა. „სილამაზის სალონი „ვენერა“, მისთვის საუტაპო ფილმი აღმოჩნდა, მან ამ სურათში შესრულებული როლისათვის „სეზარის“ პრემია დაიმსახურა. სწორედ ამ ფილმის სინჯებზე დააგვიანდა მისვლა ოდრის. დაგვიანებული გოგონა ისეთი ვულამოსკვითი ტარობდა, რომ რეჟისორმა ხვალისათვის დაიბარა. „მეორე დღეს, ოდრი შემცბარი და გაწითლებული წარდგა ჩემ

წინაშე, – ისწენებს რეჟისორი ტონი მარმალი. მას საოცრად სასაცილო ყურები და გაწეწილი თმა ჰქონდა“. ამ როლზე კი რეჟისორის სწორედ ასეთი გოგონა-ღმერთი სჭირდებოდა. როცა მარმალი ტოტუს დაურეკა და აცნობა, რომ როლი მას ერგო, ოდრი დაიბნა, სასიხარულო ახალი ამბავი არც კი დაიჯერა და იკითხა: „დარწმუნებული ბრძანდებით, რომ სწორედ იმ მსახიობს დაურეკეთ?“ აი, „გარეგნილის“ გადაღებებისას კი, მას მოულოდნელად ეკრანზე გამოშვება მოსთხოვეს (დღედნენ სცენას, სადაც იგი – თავადის ასული – თერმულ აბაზანას ღებულობდა). „არაფერი ისეთი, შემდეგ იდიოტის როლში რომ აღმოჩენილიყავი, მაყურებლის წინაშე არ გამოიმჩნეურება“, – ამბობს მსახიობი. თუმცა, იმასაც ამბობენ, სურათის გადაღების შემდეგ ოდრიმ გადაწყვიტა, რომ ამ რეჟისორთან აღარსოდეს ეთანამშრომლა. საერთოდ კი, ტოტუს მიანია, რომ იგი იმ ასაკშია და კარიერის იმ ეტაპზე იმყოფება, როცა რეჟისორს ბევრი რამ უნდა დაუთმო. ბუნებრივად საოცრად დამყოლი გოგონაა. იგი ადვილად ეთანხმება მათ, ვინც მას სენია ოდრი ჰეპბერნს, ანა მანიანის ან ვულიეტა მახინას ადარებს. „რატომაც არა, თუ თქვენ ასე მიგაჩნიათ!“ – ამბობს ტოტუ. ოდრის საოცრად დიდი სურვილი ჰქონდა, ეთამაშა ფილმში – „გოგონა ხიდზე“. მაგრამ, როცა შეიტყო, რომ მთავარ როლზე ვანესა პარადის იწყებდნენ, მამინვე უკან დაიხია და განაცხადა: „მე ვერასოდეს გავხდები ვანესასნაირი, ისევე, როგორც ვანესა ვერ გახდება ჩემნაირი. მე ვარ, გოგონა დიდის სიზმრებიდან, ის – ღამის ზმანებებიდან“.

მისი სიმაღლე 161 სმ-ია, სჯერა ანგელოზების არსებობის, არ უყვარს ტელევიზორი, სამაგიეროდ, ძალიან უყვარს ძილი. ბავშვობაში პრიმტოლოგობაზე ოცნებობდა, რადგან ძალზე მოსწონს დიდი მაიმუნები, დაახლოებით ისეთი, როგორიც კინგ-კონგა.






უაინონა რაიდერი

უაინონა რაიდერი მიზანმიმართული ღვინის მსხვერპლი თუ

ნაბეჭილი ზორსმოქმედი



პოლიციის ერთ-ერთი გამოჩენილი ვარსკვლავის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ არაერთი ცნობა და წერილი დაიბეჭდა. მსოფლიო პრესა მოიარა ინფორმაციამ იმის შესახებ, თუ როგორ მოიპარა რაიდერმა 5.560 დოლარის ღირებულების ტანსაცმელი ბევრლი-ჰილზის ერთ-ერთ პრესტიჟულ მაღაზიაში — Saks-ში, როგორ აღბეჭდა მისი დანაშაულის დამადასტურებელი მომენტები ვიდეოკამერებმა და როგორ ამხილეს სახელგანთქმული ქალბატონი მაღაზიის დაცვის თანამშრომლებმა. მაგრამ ცნობილი ადვოკატის — მარკ გერაგოსის მცდელობის შედეგად, ბევრი სამხილი საკმაოდ მყიდვე აღმოჩნდა, რამაც აღშფოთებული საზოგადოების ნაწილს აფიქრებინა, რომ უაინონა რაიდერი მიზანმიმართული დევნის მსხვერპლი აღმოჩნდა.

პოლიციისთვის ჩვეულ მოვლენადაა ქცეული სასამართლო პროცესი კინოვარსკვლავის მონაწილეობით, მაგრამ ეს, როგორც წესი, გაყრისა და ამ მოვლენასთან დაკავშირებული, ქონების გაყოფის პროცესებია. სწორედ ამის გამო, ლოს-ანჯელესში საუკეთესო ადვოკატების კონცენტრაცია შეინიშნება: ვარსკვლავების სასამართლო დავებზე ისინი

სოლიდურ თანხებს ივებენ. მაგრამ ამერიკული თემიდის ისტორიას არცთუ ისე ბევრი სისხლის სამართლის საქმე შემოუნახავს, რომლის მთავარი მოქმედი გმირი სახელგანთქმული კინომოღვაწე ყოფილა. უფრო მეტიც — პოლიციის წარჩინებულთ მულამ მოწყალედ ეპყრობოდნენ და ზოგჯერ, სერიოზული დანაშაულიც მიუტევებიათ ან უბრალოდ, ვერ დაუმტკიცებიათ მათთვის. როგორც სამართლის ისტორიკოსები აღნიშნავენ, მაღაზიაში ჩადენილი ქურდობის გამო, ვარსკვლავის გასამართლება სრულიად უპრეცედენტო შემთხვევაა. თვით ეს დანაშაული — ე.წ. „მოფლივტინგი“ ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული წესით ისჯება და ჯარიმით შემოიფარგლება. აზვერად პროკურორებმა მას, რატომღაც, ე.წ. „ფელინის“ კატეგორია მიანიჭეს, ის კი საკმაოდ მძიმე ბოროტმოქმედებათა ჯგუფს მიეკუთვნება. თუ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი — ამას მოგვიანებით დავუბრუნდებით, მანამდე კი, თვით სისხლის სამართლის საქმის იმ შეუსაბამობებზე მოვითხრობთ, რომლის გამოაშკარავებაც ზოგიერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა მოახერხა. საქმე ის გახლავთ, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებით, საქმის მასალების გამოქვეყნება აიკრძალა, მაგრამ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე, ზოგი რამ პრესამ მაინც ამცნო მკითხველებს.

უაინონა რაიდერის საქციელის შესაძლო მოტივებზე მსჯელობისას, ჟურნალისტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ უცნაურ ფაქტზე, რომ ლოს-ანჯელესის საგრაფოს პირობით სასჯელთა აღსრულების სამმართველოდან უკვალოდ გაქრა 28-გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იყო კონფიდენციალური ინფორმაცია მსახიობის შესახებ, მათ შორის — მისი ავადმყოფობის ისტორია. პოლიციის ვარაუდით, საბუთები აღნიშნული სამმართველოს რომელიღაც თანამშრომელმა მოიპარა, რათა შემდეგ, სარფიანად მიეყიდა ტაბლოიდებისთვის. თუმცა, ჯერჯერობით, მსგავსი პუბლიკაცია არსად დაბეჭდილა. ბუნებრივია, არსებობს ეჭვი, რომ ამ დოკუმენტში ვარსკვლავის საქციელის „ფისიქიკური“ მოტივაციაა მოცემული. საინტერესოა ვერსია, რომელიც კანადელ ფსიქოლოგს უილ კუპჩიკს ეკუთვნის. თავის დროზე, მან დაწერა წიგნი, რომლის სახელწოდებაა: „რატომ ქურდობენ წესიერი ადამიანები მაღაზიებსა თუ სხვა ადგილებში“. გაჩნდა თუ არა პირველი ცნობები „საქსში“ უაინონა რაიდერის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რეპორტიორები კუპჩიკთან გაეშურნენ, რათა აღნიშნული სფეროს ვიწრო სპეციალისტის აზრი შეეტყვოთ. მეცნიერმა, რომელიც წლების მანძილზე აკვირდებოდა „მოფლივტინგის“ შემთხვევებს — პროფესიონალ სპორტსმენებს, მსახიობებსა და თვით მოსამართლეებს რომ გადასხედ-

ნათ, ავტორიტეტულად განაცხადა: ქურდობა ამ შემთხვევაში, სხვა არაფერია, თუ არა რაღაც დანაკლისის კომპენსაციის მცდელობა, მძიმე მორალური ტრავმისგან განკურნების საშუალება. მისი თქმით, მაღაზიის ქურდების დიდ ნაწილს წარმოადგენენ საკმაოდ შეძლებული ადამიანები, რომლებსაც არაფერში სჭირდებათ მოპარული ნივთი – ის მხოლოდ რაღაც დანაკლისის შევსების, ე.ი. ილუზიის როლს ასრულებს...

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ წართმეოთ გამოიძიება. მარკ გერაგოსმა – სახელგანთქმულმა ადვოკატმა, სცადა, სასამართლოსწინა გარიგებისთვის მიეღწია. დავაზუსტებთ: აქ საქმე გვაქვს არა კორუფციულ, არამედ ამერიკული მართლმსაჯულებისთვის სავსებით კანონიერ, ჩვეულებრივ მოვლენასთან, რომელიც სასამართლო პროცესის მომზადების ფაზას წარმოადგენს. ამ დროს, ბრალდებული თანხმდება დანაშაულის ნაწილობრივ აღიარებაზე, სანაცვლოდ კი, წამოყენებულ ბრალდებათაგან უმძიმესს უხსნაინ. შესაბამისი წესით შედგენილი დოკუმენტის მიღების შემდეგ, მოსამართლე უშუალოდ სასჯელის გამოტანის სტადიაზე გადადის. მაგრამ აზვერად, მოსამართლემ გარიგებაზე უარი განაცხადა და საქმის განხილვა დანიშნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ უარყო ადვოკატის წინადადება. პროკურორები დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქმის მოგება გარანტირებული ჰქონდათ: არსებობდა ჩხრეკის ოქმი, მსახიობის მიერ მოჭრილი სავაჭრო ნიშნები, ფარული ვიდეოკამერით გადაღებული კადრები და მაღაზიის დაცვის სამსახურის ჩვენებები.

მარკ გერაგოსმა მიიღო ეს გამოწვევა და აგრესიულად ააგო მთელი დაცვის სისტემა: მან ეჭვი შეიტანა საბრალდებო დასკვნის პრაქტიკულად თითოეულ სიტყვაში.

წინასწარი მოსმენისას (როცა მსახიობის გამოსასყიდით გათავისუფლების საკითხი წყდება), გაჩნდა კითხვა: გააფრთხ-

ილა თუ არა რაიდერი პოლიციელმა მირანდამ იმ წესით, რომელიც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ამერიკული ფილმებიდან, კერძოდ: „თქვენ გეძლევათ დეპილის უფლება, რადგან თითოეული თქვენი სიტყვა შეიძლება თქვენს წინააღმდეგ იქნას გამოყენებული...“ როგორც გაირკვა, პოლიციელს ეს მნიშვნელოვანი ფორმალობა გამოუტოვებია. აქედან გამომდინარე, იურიდიული ძალა დაკარგა დაკავებულის მიერ დაწერილმა აღიარებამ: „მე, უაინონა რაიდერი ვაღიარებ, რომ მოვიპარე ჩამოთვლილი ნივთები...“

წინასწარი მოსმენის ოქმიდან:

„გერაგოსი: „ვეფიქრობ, პირველი დავითხვისას გაკეთებული ყველა მისი განცხადებაც ნებაყოფლობითი არ ყოფილა. ეს ქალი მოამწყვდიეს ტანსაცმლის მოსარგებ ვიწრო ოთახში, თავზე ადგნენ 100 კგ წონის მქონე მამაკაცები, რომლებიც აგრესიულად ექცეოდნენ და სექსუალური შეურაცხყოფაც კი მაიყენეს... მას ქვედაბოლო აუწიეს... მამაკაცების თანდასწრებით!..“

ბრალდებული: – „და მე აღმოვჩნდი...“

მოსამართლე: – „ვთხოვთ, მე... საამისოდ თქვენ ადვოკატი გვათ“.

ბრალდებული: „უკაცრავად“.

ოქმების შედარებისას გაირკვა, რომ უაინონამ სხვადასხვაგვარად ახსნა ის, თუ საიდან აღმოჩნდა მის ჩანთებში აღნიშნული ნივთები. პირველად, მან გაკვირვებით იკითხა: „როგორ? ჩემმა თანამშემწემ საფასური არ გადაიხადა?“ შემდგომ, ახალი ვერსია გაჩნდა: რაიდერმა განაცხადა, თითქოს ამგვარად, როლში გადასაღებად ემზადებოდა. ეს ვერსია პოლიციის პირველ ოქმში არ აღმოჩნდა – ის მოგვიანებით გაჩნდა, მაღაზიის დაცვის სამსახურის თანამშრომლის, კოლინ რეინის ჩვენებაში, რომელმაც სასამართლოს ვერ აუხსნა თავისი მეხსიერების ამ უცნაური ფენომენის საფუძველი.

საინტერესოა, რომ არც ვიდეოჩანაწერი ამხელს მსახიობს ქურდობაში: მასში მხოლოდ ის ჩანს, თუ როგორ შედის რაიდერი ტანსაცმლის მოსარგებ ოთახში და არა ის, თუ როგორ ჩრის ის მალულად

საინტერესოა, რომ არც ვიდეოჩანაწერი ამხელს მსახიობს ქურდობაში: მასში მხოლოდ ის ჩანს, თუ როგორ შედის რაიდერი ტანსაცმლის მოსარგებ ოთახში



ნივთებს ჩანთებში, ან როგორ აჭრის ე.წ. დამცავ ნიშნებს...

დაბოლოს: ნიშნების მოჭრის შემდეგ, ტანსაცმელს ისეთი ნახვრეტები გაუჩნდა, რომ ის ჩასაცმელად უვარგისი აღმოჩნდა. მაშ, რაღა აზრი აქვს იმ ნივთების მოპარვას, რომელსაც ვერ გამოიყენებ?! რაში სჭირდება დაჭრილი ტანსაცმელი კინოვარსკვლავს, რომელიც მხოლოდ გადაღების ერთ დღეში, „ნაპარავი“ ნივთების საფასურზე ათეულობით უფრო დიდ თანხს იღებს?!

ადვოკატის ამ კითხვაზე, პროკურორის თანამშემწემ, ენ რენდლმა უპასუხა – ბრალდებულის განზრახვას ვერ მივმხვდარვართ...

მარკ გერაგოსის აზრით, მაღაზიის დაცვის სამსახურმა თავიდანვე იცნო მსახიობი და მიზანმიმართულად ნადირობდა მასზე. დაცვის თანამშრომლები ამას გააფრთხილებით უარყოფდნენ, უკვე ნახსენებმა ქალბატონმა – კოლინ რეინიმ კი აღნიშნა, რომ ვარსკვლავი უსახლკარო მანქანას ვაგავდა. „ნუთუ, თქვენ ვერ შეამჩნიეთ, რომ მას გრძელი, ქიშმირის ბალტო ეცვა? – იკითხა გერაგოსმა. – განა, ბევრი მანქანა დადის ამგვარი სამოსით?!“ ადვოკატის კითხვა უპასუხოდ დარჩა – ის ბრალდების პროტესტის შედეგად მოიხსნა.

ადვოკატის აზრით, „საქმის“ დაცვის თანამშრომლებმა თავდაცვას თავდასხმა აზვობინეს: თავი აარიდეს სამოქალაქო სარჩელს, რომელ-





იც მათ წინააღმდეგ შეეძლო აღედრა უაინონა რაიდერს. ისინი მიხვდნენ, რომ ძალზედ ღრმად შეტოპეს მისი უფლებების დარღვევის თვალსაზრისით და გადაწყვიტეს, ბოლომდე ებრძოლათ. საოლქო პროკურორის ოფისმა კი, მათთან გარიგება გადაწყვიტა და სკანდალური, თანაც იოლი საქმე „გამოჩარხა“. გერაგოსი არც იმას გამოიცხავს, რომ მოქმედმა პირებმა იმაზეც მოითბეს ხელი, რომ თავიანთ ვერსიებს ყიდდნენ ტაბლოიდებზე. აღვოკატმა მოითხოვა კოლინ რენის ფინანსური მდგომარეობის შემოწმება, რადგან რაიდერთან მომხდარი ინციდენტიდან ცოტა ხნის შემდეგ, ის წავიდა მალაზიიდან და საკუთარი ფირმა გახსნა. შემოწმებით დადგინდა, რომ სწორედ იმ პერიოდში, რენის საბანკო ანგარიშს 50.000 დოლარი შეემატა, თუმცა, რენიმ სასამართლოსთვის ამ თანხის წარმომობის ახსნა მოახერხა...

რასაკვირველია, გერაგოსს გაუჭირდა თვით ქურდობის მცდელობის დასაბუთებულად უარყოფა, მაგრამ საქმე ის არის, რომ კანონით, ვერდიქტის გამოტანის საფუძველი უნდა იყოს „ექვსის შეტანისთვის გონივრული საფუძვლის არარსებობა“, ამ შემთხვევაში კი, ასეთი საფუძველი არსებობდა. ყველას გასაკვირად, აღნიშნული ეჭვი ნაფიც მსაჯულებს არ გასჩენიათ. ყველა ექსპერტი ვაკვირვა დრაკონულმა ვერდიქტმა, რომლის მსგავსი კალიფორნიის სასამართლო პრაქტიკაში არ ყოფილა.

და მაინც, რატომ აითვალწუნეს უაინონა რაიდერი? მართალია, მსახიობი აშხილეს ამ უცნაური ქურდობის მცდელობაში, ამ საქმის

მიღმა ბევრი, რაღაც შურისძიების მიზეზს ხედავს; როგორც ერთმა ჟურნალისტმა მოხდენილად აღნიშნა – შურისძიებას ცუდი პროფესიონალებისას, რომლებმაც ვერ შეძლეს, უმარტივესი დანაშაულის დამადასტურებელი, უტყუარი მტკიცებულებების შეგროვება და კიდევ – შურისძიებას შურიანი ბელოვლათებისას, რომლებსაც არა აქვთ „საქსში“ ტანსაცმლის შექმნის ფინანსური საშუალება. დაბოლოს – შურისძიებას ტიპური ჰოლივუდისას – იმისათვის, რომ უაინონა ბერისგან განსხვავდება და არ არის ისეთი, როგორიც „ოცნებათა ფაბრიკის“ ჩვეულებრივი წარმომადგენელი უნდა იყოს.

რასაკვირველია, ამ ამბის გარშემო უამრავი ჭორ-მართალი ირევა, მაგრამ არც ეს ვერსიაა საფუძველს მოკლებული. იმავე ჰოლივუდის კულუარებში და პრესის მუშაკთა წრეებში ლაპარაკობენ, რომ ის ჭკვიანი,

ნიჭიერი, საოცრად ელეგანტური და ამავე დროს, ძალზედ პირდაპირი ადამიანია. არ უყვარს ე.წ. „ტუსოვკები“, თავს უფლებას აძლევს, კბილი გაჰკრას ჯულია რობერტსსა თუ რინარდ გირს. აცხადებს, რომ ჰოლივუდს ჭკვიანური ფილმები სჭირდება... 31 წლის ვარსკვლავმა 17 წელი გადასაღებ მოედანზე გაატარა. სამყარო არაერთხელ ყოფილა უღმობელი მის მიმართ და მას იმედგაცრუებაცა და ნერვიული „ჩაგარდნებიც“ კი ჰქონია. მიუხედავად ამისა, რაიდერი ვერ გადააქციეს მორჩილ ჰოლივუდელ თოჯინად, რომელიც უყოყმანოდ გაიზიარებდა თამაშის წესებს და მისი დასჯაც გადაწყვიტეს.

... 1996 წელს, როცა უაინონა რაიდერი თავისი კარიერის ზენიტში იმყოფებოდა, ერთ-ერთ თაყვანისმცემელში მან ის ბიჭი შეიცნო, რომელიც რამდენიმე სხვა თანაკლასელთან ერთად, ცინიკურად ეპყრობოდა, დასცინოდა და აწვალებდა ხოლმე მას. მსახიობმა შეახსენა თაყვანისმცემელს ერთ-ერთი ეპიზოდი წარსულიდან. „ის საშინელ დღეში ჩავარდა, – იხსენებდა მოგვიანებით უაინონა, – მეგონა, რომ წუთიც და ჩაისვრიდა...“ ამბობენ, ამგვარ ემოციებს განიცდის ახლა საოლქო პროკურორის თანაშემწე ენ რენდლი. პროცესის შემდგომ გაკეთებულ თავის ერთ-ერთ განცხადებაში, რენდლი, რომელმაც ამ საქმის გამო გაითქვა სახელი მთელ ამერიკაში, აღნიშნა, რომ მას ყოველთვის ესიმპათიურებოდა უაინონა რაიდერი, რომელიც უთუოდ „პარგი ადამიანია“, მაგრამ მთავარია, რომ „ყველამ პასუხი უნდა ვაკოთ ჩვენ-ჩვენ მოქმედებაზე...“



ჯატჯ კლუნი მუშის წინააღმდეგ ილამძებმს



ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჯორჯ კლუნიმ, რომელსაც პოლიტიკისაგან თავი საკმაოდ შორს უჭირავს, მოულოდნელად ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ გაილაშქრა: „მოდით, შევხედოთ სიმართლეს თვალეებში და ვადიაროთ, რომ ბუში უმაქნისი ადამიანია.“

პრობლემა კი ის არის, რომ ჩვენ მენეჯერი ავირჩიეთ მაშინ, როცა ლიდერი გვჭირდებოდა“. კლუნი საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტისადმი გამოთქმული მწარე შენიშვნებით არ შემოიფარგლა, თეთრი სახლის ყოფილ სპიკერს – ნიუტ გინგრიჩს დინოზავრი უწოდა და დასძინა: „ამ ადამიანს არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია“. შესაძლოა, მსახიობს მიაჩნია, რომ თავად, ღიდი გავლენა აქვს თანამემამულეებზე.

ბრედ პიტმა სასლომის ბრედნსტრუქციას მიჰყტ ხელი



ბრედ პიტმა არ იკმარა საკუთარი და ჯენიფერ ენისტონის საქორწინო ბეჭდების მოდელირება (მოგვიანებით, ჰოლივუდის ვარსკვლავის სადიზაინერო ნიმუში საიუველირო კომპანიებმა გამოიყენეს) და თავისი სახლების – ბევერლი ჰილზზე, სანტა-ბარბარაში და ჰოლივუდში – რეკონსტრუქციას მიჰყო ხელი. ამჟამად სამივე სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს თავად ბრედ პიტი ხელმძღვანელობს. ჯენიფერ ენისტონს კი უკვე ყელში ამოუვიდა ამდენი სამშენებლო აურზაური; ის იყო, ეგონა, ჰოლივუდის გორაკებზე მდებარე მათი სახლი, საბოლოოდ მოწყობილიაო, რომ ბრედმა ფოიემი ხუთიარუსიანი შადრევნის დამონტაჟება წამოიწყო. ამბობენ, რომ ჯენიფერს ჭკუიდან შემულას არაფერი უკლია, როცა ქმარს ნახაზების გრაფილით ხელში ხედავს, რადგან იცის, რომ ეს ახალი სამშენებლო ცვლილების მომასწავებელია, რასაც შინ, ხშირ შემთხვევაში, დროებით შუქის გამორთვაც ახლავს ხოლმე თან.

შევა ახალ წელს ოპტიმისტური განწყობით შეაგება

„მილანისა“ და უკრაინის ნაკრების ფორვარდი, ანდრეი შევჩენკო, რომელმაც საშობაო არდადეგები კარიბის კუნძულებსა და ლონდონში გაატარა, უკვე დაბრუნდა იტალიაში და ოპტიმისტური განცხადებაც გააკეთა. „შარშანდელი წელი ჩემთვისაც და მთელი გუნდისთვისაც ტრავმების გამო, არცთუ ისე წარმატებული იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ცუდი წელი იყო მთელი ჩემი კარიერის მანძილზე, მაგრამ წლეულს, ყველაფრის სასიკეთოდ შეცვლა მსურს. ჩვენს ვარსკლავურ გუნდს ხომ ბევრის გაკეთება შეუძლია“, – განაცხადა ფეხბურთელმა გაზეთ Corriere dello Sport-ისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომლის ქომბაგებმა იმედი უნდა იქონიონ, რომ შევა კვლავ თავის ჩვეულ სტილში ათამაშდება და დიდი გამარჯვებების მიღწევაში დაეხმარება გუნდს. ჩვენს მკითხველს კი შევახსენებთ, რომ 2002 წელს, ანდრეი შევჩენკო „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დასახელებულ იმ 50 ფეხბურთელს შორისაც ვერ მოხვდა, რომელთაგანაც ევროპის საუკეთესო მოთამაშე გამოვლინდა.



პენალტი ჯანმრთელობისათვის საშიში ყოფილა

British Medical Journal-მა საინტერესო გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. თურმე პენალტი მარტო ფეხბურთელების ფსიქოლოგიური სიმტკიცის გამოსაცდელი ტესტი არ ყოფილა და იგი ხშირად, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს გულშემატკივართა ჯანმრთელობაზე. გამოკვლევისას ყურადღება გამახვილებული იყო 1998 წლის 30 ივნისს, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გამართულ ინგლის-არგენტინის მატჩზე, რომლის ბედიც თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიამ გადაწყვიტა. ბირმინჰემის უნივერსიტეტის ექსპერტებმა სპორტული მეცნიერების დარგში, გააანალიზეს იმ პაციენტთა მონაცემები, რომლებმაც 1998 წლის 30 ივნისს და მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში მიმართეს საავადმყოფოებს, გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო. შემდეგ ეს მონაცემები შეადარეს წინა და შემდგომ წელს დაფიქსირებულ ანალოგიურ მონაცემებს და აღმოჩნდა, რომ პენალტების სერიის ყურების შედეგად გამოწვეული გულის შეტევების რიცხვი 25%-ით (ანუ 55 პაციენტით) აღემატებოდა ჩვეულებრივ დღეებში დაფიქსირებულ შემთხვევებს. ამ ფაქტმა ისე აღაშფოთა მეცნიერები, რომ მათ British Medical Journal-ის საშუალებით პენალტების სერიის გაუქმებაც კი მოითხოვეს. ბრიტანელმა ექსპერტებმა ფაქტობრივად, თავიანთი უტრეხტელი (ჰოლანდია) კოლეგების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები დაადასტურეს. ჰოლანდიელი მეცნიერების გამოკვლევების თანახმად, 1996 წლის 22 ივნისს, როდესაც ჰოლანდიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პენალტების სერიით წააგო შენვედრა საფრანგეთის გუნდთან, ქვეყანაში გულის შეტევის გამო 14 კაცი (ანუ 50%-ით) მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ დღეებში ხდებოდა ხოლმე.

ახალი საფეხბურთო რეკორდი: 50 გოლი ერთ სეზონში

პარაგვაიელმა ხოსე სატუშინო კარდოსომ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით. მექსიკის ფეხბურთის მესვეურები იმედოვნებენ, რომ ფიფას ისტორიისა და სტატისტიკის ინსტიტუტი უახლოეს მომავალში დააფიქსირებს პარაგვაიელი ლეგიონერის მიღწევას, რომელმაც რუმინელი ფორვარდის, დუდი გეორგესკუს რეკორდი (47 გოლი) გააუმჯობესა. თავად კარდოსო, რომელიც ქალაქ ტულუკუს გუნდში თამაშობს, თავის წარმატებას თანაგუნდელებს უმაღლის. ისე კი, პარაგვაიელი ფეხბურთელისათვის შარშან მიღწეულ ყველაზე დიდ გამარჯვებად, მისი გუნდის მიერ მექსიკის ჩემპიონობა იქცა. სწორედ გადამწყვეტ მატჩში, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიმართა, კარდოსომ თავისი 50-ე გოლი გაიტანა.



დასაწყისი იხ. „გზა“, №40-52, 1

ნინი მაინც მოახერხებს გოგი გორგილაძესთან შეხვედრას, მაგრამ ის პოლიციის გამოძახებით დაემუქრება და გოგონაც სასწრაფოდ გაეცლება. სასტუმრო „კინოში“ ამ დროს, რაღაც ფილმისთვის სინჯების გადაღება მიმდინარეობს, რომელშიც სრულიად მოულოდნელად, ნინიც მიიღებს მონაწილეობას. რეჟისორი ცოტნე ცოტაძე სწორედ მას გამოარჩევს სხვა კანდიდატებისაგან და ნინის უმაღლეს კონტრაქტსაც გაუფორმებენ. მისი დაჟინებული მოთხოვნა — მომავალი ჰონორარის ანგარიშზე, წინასწარ, 2.500 ლარი გადაამხადეთო — თუმცა გააოცებს რეჟისორსაც და მის თანაშემწესაც, მაგრამ მაინც შეუსრულებენ და ნინი ამით თავისი მშობლების ფინანსურ პრობლემასაც უმტკივნეულოდ გადაჭრის.

...გადის ხუთი წელი. ნინის ავადმყოფი მეგობარი, მარი, მისგან დანაბარებს — საცხოვრებლად ჩემთან გადმოდიო, — და ფულად დახმარებას, 500 ლარს მიიღებს. ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ, მარი დათანხმდება, თუმცა, დიდი ხნის უნახავ, გამდიდრებულ და საკმაოდ გამოცვლილ დაქალთან შეგუება საკმაოდ უჭირს...

მარის ღილადრიან გაეღვიძა და გაოცებულმა ირგვლივ მიმოიხედა... უცბად, ყველაფერი გაახსენდა, სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა და ჩაცმა დაიწყო. შემდეგ, ის იყო, თმის ღვარცხნა დაიწყო, რომ მოულოდნელად ოთახის კარი გაიღო და ზღურბლზე პატარა გოგონა გამოჩნდა. მარი მამინვე მიხვდა, რომ ეს ნიჭა იყო. ის და მარი ერთმანეთს ისე გულმოდგინედ დააკვირდნენ, თითქოს, თავიანთი შემდგომი ურთიერთობის წინასწარ ამოცნობას ცდილობდნენ. პირველი, ნიჭა აღაპარაკდა:

— გამარჯობა, შენ მარი ხარ?

ნიჭას წითური ხეული თმა, ვარდისფერი სახის კანი და ბუქი ლურჯი თვალები ჰქონდა. მარამ საკუთარ თავს ერთი წამით, ნიჭას თვალით შეხედა და აშკარად უკმაყოფილო დარჩა.

— გამარჯობა, ნიჭა, მე ნამდვილად მარი ვარ, — უპასუხა მან, — ოღონდ, ერთი წუთი აქ მომიტყავე, ახლავე მოვალ...

მარი სააბაზანოში გავიდა, თმა საგანგებოდ ჩამოივარცხნა და კეფაზე სარჭით



რუსუან ბერიძე

ქალური ინსუიციის ახე ჭიამაის თვითობი

ღამეგრა, თვალები შეიღება და ყვრიმალეებიც ოღნავ შეივარდისფრა.

— ასე ნამდვილად უკეთესი ხარ, — საქმის ჭეშმარიტი მცოდნეავით შეაქო ნიჭამ ოთახში დაბრუნებული მარი, — წამოდი, მშობა!

მარი და ნიჭა სასადილო ოთახში ჩავიდნენ. მასიურ ოვალურ მაგიდასთან, რომლის გარშემოც ათი კაცი სულ თავისუფლად დაეტეოდა, ერთადერთი ჭალარაშქრული მამაკაცი იჯდა. მას ბუქი ლურჯი პერანგი და ღია ფერის ჯინსი ეცვა. პერანგის სახელოები თითქმის იდაყვებამდე ჰქონდა გადაკეცილი და ძლიერი, დაკუნთულ-დაძარღვეული ხელები განსაკუთრებით გამოკვეთილად მოუჩანდა. მამაკაცი ყავას სვამდა და თან გაზეთს ათვალიერებდა. მარის გამოჩენისთანავე, ფეხზე წამოდგა.

— ეს ცოტნეა, — წარუდგინა ნიჭამ ის მარის.

— თქვენ კი, ალბათ, მარი იქნებით, ხომ? — ჰკითხა მან და თან სკამი გამოუწია, — დაბრძანდით. რა კარგია, რომ ჩვენთან გადოსვლა გადაწყვიტეთ, ნინი თქვენზე იძენს მიყვებოდა...

მარი მამაკაცს გაოცებული შესცქეროდა.

— ეტყობა, ნინიმ ჩემ შესახებ საერთოდ არ გააფრთხილათ, — ღიმილით განაგრძო შემდეგ მამაკაცმა, — არადა, იმის თქმა ხომ მაინც შეეძლო, რომ მის ცხოვრებაში მეც რაღაც ადგილი მიჭირავს და საერთოდაც, არცთუ ისე ურიგო ადამიანი ვარ. ასე არ არის?

— მიუბრუნდა ის უცბად ნიჭას.

— რა? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ბავშვმა.

— რა და, ხომ ნამდვილად კარგი ბიჭი ვარ?

— კი. ცოტნე ნამდვილად კარგი ბიჭია, — ისევე აუწყა ნიჭამ მარის და მეგობრულად ჩასჭიდა ცოტნეს თავისი პაწია ხელი.

მათ შემხედვარე მარის, სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა და გულში დაასკვნა: ესენი პრობლემებს ნამდვილად არ გამოიჩენენო.

ამასობაში ცოტნემ ყავა დალია და ფინჯანი მაგიდაზე უხმაუროდ დადგა:

— ჩემი წასვლის დროც მოვიდა. აბა, თქვენ იცით, გოგონებო, არ მოიწყინოთ...

ნინი სასადილო ოთახში ცოტნეს წასვლიდან სულ ცოტა ხანში გამოჩნდა:

— რა ქენით? გაიცანით შენ და ცოტნემ ერთმანეთი? — ჰკითხა მან მარის.

— კი. გავიცანი და ძალიანაც მომეწონა. ვინ არის? — დაინტერესდა მარი.

— რეჟისორია. პირველად, კინოში მაგან გადამიღო და ის ორი ათას ხუთასი ლარიც სწორედ მან მომცა. აღარ გახსოვს? ხომ მოგიყვები?..

დაბნეულ მარის, ნინისთვის არაფერი უპასუხია. საუბრის შემდეგ, ნინიმ ნიჭას ღიმილი ლოყაწითელი ვაშლი მისცა და აივანზე სათამაშოდ გაუშვა.

— ცოტნე შენი ქმარია? — ნიჭას გასვლისთანავე ჰკითხა მარამ ნინის.

— არა.

მარის უნდოდა, ნინისთვის ისიც ეკითხა — მამ ვინ არისო? — მაგრამ ხმამაღლა სულ სხვა რამ უთხრა:

— შენ მას ძალიან უყვარხარ.

— ვიცი.

— მამ, რატომღა არ ქორწინდებით? — განა ეს რამეს შეცვლის?!

მარის ღრმა რწმენით, ქორწინება ნამდვილად ბევრ რამეს ცვლიდა, მაგრამ ნინისთვის ამის მტკიცება აღარ დაუწყია.

— ხვალ ჩვენი ახალი ფილმის პრეზენტაციაა. შენ და ნიჭასაც აუცილებლად წაგიყვანთ, — უთხრა შემდეგ ნინიმ, — ხომ

წამოხვალ?

– კი. ძალიან მაინტერესებს...

ფილმს სასტუმრო „კინოს“ ერთ-ერთ მოზრდილ დარბაზში აჩვენებდნენ. პრეზენტაციაზე რამდენიმე ათეული სტუმარი – მეგობრები, კრიტიკოსები, პრესის წარმომადგენლები იყვნენ მოწვევულები.

ნინი დარბაზში არ გამოჩენილა. აუცილებელი მუშა ჩვენების გარდა, ის თავისი მონაწილეობით გადაღებულ ფილმებს არასოდეს უყურებდა, რადგან ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ საშინლად თამაშობდა და ამ ფილმებში ყველაფერი გადასაკეთებელი იყო.

როგორც კი ჩვენება დაიწყო, ნინი ნიტას ხელი ჩასჭიდა, ბარში შეიყვანა და „კოკა-კოლა“ უყიდა. ნინი სიამოვნებით შესტკეპროდა ბარის მაღალ სკამზე შემოსუქუპებულ ნიტას, რომელიც „კოკა-კოლას“, დიდი ადამიანივით, დაგემოვნებით სვამდა, თუმცა, ფიქრით კი, მინც დარბაზში იყო და ყველა ის კადრიც, რომელიც ახლა იქ, ეკრანზე გაივლიდა, თვალწინ მთელი სიცხადით ედგა. ცოტნე არწმუნებდა, კარგად ითამაშო. მის სიტყვებში ეჭვის შეტანის საბაბი ნინის ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ პირველი საჯარო ჩვენების წინ, მინც ძალიან ნერვიულობდა.

– ნინი?! – მოესმა უცბად ვიღაცის ნაცნობი ხმა.

ნინი უკან მიიხედა და გოგი გორგილაძე დაინახა. ბატონ გოგის აქამდეც არაერთხელ გადაყარა: ხან ჩვენებებს ესწრებოდნენ ერთად, ხანაც – რომელიმე საგანგებო წვეულებასა თუ პრეზენტაციაზე ხვდებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს ყოველთვის ღუბილით უვლიდნენ გვერდს.

გოგი გორგილაძემ თავისი ბოლო ფილმის გადაღება კარგა ხნის წინ დაასრულა, თუმცა, აღიარებას ვეღარ ეღიბა. ის კი არა და, კრიტიკოსებმა მისი ახალი ფილმი ნამდვილ ქარცეცხლში გაატარეს, რასაც გაქირავებაში სრული ჩაჯარნაც დაემატა. ამან, აქამდე სახელგანთქმული და ფრიად დაფასებული რეჟისორი სერიოზულ დებრუსიაში ჩააგდო... შემდეგ, სმაც დაიწყო... თვითმხილველები კარგა ხანს ირწმუნებოდნენ, რომ გორგილაძის, როგორც რეჟისორის მზე, საბოლოოდ ჩაესვენა, მაგრამ ცოტა ხნის წინ, ბატონი გოგი გადასაღებ მოედანზე ისევ გამოჩნდა და მის თავფანისმცემლებსაც იმედი მიეცათ...

თავის დროზე, გოგი გორგილაძემ და ცოტნემ კინოში მუშაობა ერთად დაიწყეს და შემდეგაც, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. ამჯერად კი, ცოტნემ ის თავისი ფილმის პრეზენტაციაზე დაპატიჟა.

– გამარჯობა, ნინი... – დაიწყო ისევ ბატონმა გოგომ.

– გამარჯობათ, ბატონო გოგი...

– ისევ თქვენობით მელაპარაკები? –

გაეღიმა ბატონ გოგის.

– დარბაზში რატომ არა ხართ? – სიტყვა ბანზე აუგლო ნინიმ, რითაც აგრძობინა – შენ ჩემთვის მხოლოდ ჩემი და ცოტნეს ახალ ფილმზე მოწვეული ერთ-ერთი სტუმართაგანი ხარ და სხვა არაფერი.

– ახლავე შევალ... – არაფერი შეიძინა ბატონმა გოგომ. – ეს მშვენიერი გოგონა ვისია? – ვითომ სასხვათაშორისოდ იკითხა მან შემდეგ. მაგრამ სანამ ნინი რამეს უპასუხებდა, ნიტამ დაასწრო, „კოკა-კოლას“ წრუპვას სასწრაფოდ თავი ანება და ბატონ გოგის თავი წარუდგინა:

– მე ნინისი ვარ...

ბატონმა გოგომ ნინის ეჭვშეპარულად გადახედა:

– მართლა შენია?

– დიახ.

– ესე იგი, ჩემიცაა!

– არა!

– როგორ თუ არა? შენ ხომ მაშინ სწორედ ამაზე მირეკავდი?..

– არა. მე გატყუებდით... მე მოგატყუეთ... – ენა დაება ნინის.

– როდის? მაშინ თუ ახლა?

– მაშინ.

– არ ძვერა! ეს ჩემი ბავშვია!

– მე შენი არა ვარ, მე ნინისი ვარ! – მშვენიერი თვალები შეანათა ნიტამ ბატონ გოგის და ისევ „კოკა-კოლას“ წრუპვა განაგრძო.

– მაშინ, მე ფული მჭირდებოდა და ამიტომაც ვიკრუე, – დაიწყო ისევ ნინიმ.

– არ ძვერა!

– ახლა არ გვერათ, თუ მაშინაც ასე იყო?

– არა, ახლა... ახლა აღარ ძვერა...

– კი, მაგრამ ახლა რაღა შეიცვალა?

ფიქრებში წასულ ბატონ გოგის ნინისთვის პასუხი აღარ გაუცია.

„...რა შეიცვალა? – ფიქრობდა ის თავისთვის. – რა და... მაშინ, ამ პატარა გოგოს თავხედობამ უბრალოდ, გამაცოფა. მგონი, თავდაც კი არ იცოდა, ვისგან იყო ფენხმბიდ და აბორტის ფულს კი, რატომღაც, ვიოტად მე მიხვოდა...“

მაშინ, გოგი გორგილაძე ამ ინციდენტს, სხვა მრავალივით, ალბათ, ძალიან ძალე დაივიწყებდა, მაგრამ ცოტა ხანში, თეომ დაურეკა და კინლამ შეაჩვენა:

– უარით რატომ გაისტუმრე? საწყალი გოგი ისედაც არ იყო ჭკუაზე...

– აი, თურმე, ვისგან გაიგო მაგ პატარა მაიმუნმა ჩემი ტელეფონის ნომერი... რამდენჯერ გაგაფრთხილე, უცნობებს ჩემს ნომრებს ნუ ურიგებ-მეთქი! – შეუღრინა ბატონმა გოგომ თეოს.

– გამოდის, რომ იმ გოგოს შენ არ იცნობ და თვალთიაც არასოდეს გინახავს, ხომ?..

– არ იცი, რომ ევრა? უფრო სწორად – ევრე მინდა, რომ იყოს და იქნება კიდევ!..

დიდი ხნის წინათ, ახალგაზრდობაში, გოგისა და თეოს საკმაოდ ბობოქარი რომანი ჰქონდათ და მაშინდელ რეპორტიორებს კბილის გაკერის საბასაც ხშირ-ხშირად აძლევდნენ. ამ რომანმა თითქმის ყველა სტადია გაიარა: ჯერ აულაგმავე ვნება იყო, შემდეგ – თავდავიწყება, ამას სიძულვილი მოჰყვა, სიძულვილი – დავიწყება და რომანის საბოლოო დასასრული. თუმცა, მეგობრული ურთიერთობა ერთმანეთთან მინც არ გაუწყვეტიათ.

მაგრამ თეოს ხანდახან, ყოფილი საყვარლის მიმართ სიძულვილი ისევ უახლდებოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ახსენდებოდა, თუ როგორ ათქმევინა გოგომ უარი დელობაზე, შვილზე და თითქმის სუთი თვის ფენხმბიმეს, ძალით გააკეთებინა აბორტი...

თეოს ამჯერადაც მთელი ძალით შესძულდა გოგი და მისი შეჩვენება გულმოდგინედ განაგრძო:

– საბრალო გოგი მხოლოდ ფულს გთხოვდა, შენ კი... ბოლომდე არც კი მოუსმინე...

– რატომ უნდა მომესმინა? ბავშვი ჩემი არაა და აბორტის ფული რატომ უნდა მიმეცა? – უკან არაფრით იხვედა ბატონი გოგი.

– შენ მინც, რამ უფრო აგაღელვა – იმან, რომ ბავშვი შენი არ არის, თუ გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა?

დაბოლმოდ გოგი გორგილაძეს მაშინ, თეოსთვის პასუხი არ გაუცია. მოგვიანებით კი, ისიც შეიტყო, რომ ნინი კინოში მინც მოხვდა. თანაც, მას, რომელიმე დამწყები რეჟისორი კი არა, თავად ცოტნე ცოტაძე იღებდა თავის ფილმში და კიდევ უფრო დაიბოლმა...

ბატონი გოგი, ცოტნე ცოტაძის ყველა ფილმის რეკენზიას გულმოდგინედ კითხულობდა. მათში ყოველთვის ფიგურირებდა ნინიც, რომელსაც კრიტიკოსები, ძირითადად, ხოტბას ასხამდნენ ხოლმე. ჟურნალისტები კი, ცოტნეს და ნინის ნიჭის ხაზგასმასთან ერთად, არც მათი პირადი ურთიერთობის დეტალების გამოძეურებაზე ამბობდნენ უარს. მაგრამ არც ერთ, თვით ყველაზე ენაჭარტალა ჟურნალისტსაც კი, არსად არასდროს დასცდენია, რომ ნინის შვილი ჰყავდა. ამიტომაც იყო, რომ წლების შემდეგ ამ ამბის შეტყობამ გოგი გორგილაძე სერიოზულად ჩააფიქრა. თუმცა, ბოლოს, მინც გამოერკვა:

– იცი, რა შეიცვალა? – კითხვაზე კითხვითვე უპასუხა მან ნინის. – რა და ჩემი ბებიაც ზუსტად ასეთი წითური და ვარდისფერლოყება იყო...

– მერე რა?.. ბებიამე მარტო წითური თმა კი არა, ზუსტად ისეთივე მუქი ლურჯი თვალები აქვს, როგორც ჩემს შვილს, – არ დაუთმო ნინიმაც. – შებრძანდით, რა,

დარბაზში, თორემ, ფილმი დამთავრდება...

ბატონმა გოგამ უხმოდ დაუკრა თავი და გაეცალა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ნინის ნათქვამი მაინც არ დაიჯერა.

– დედა, ეგ ბაბუა ვინ არის? – ჰკითხა ნიტამ ნინის.

– რეჟისორია.

– მართლა?

– აბა რა, გატყუებ? – გაუკვირდა ნინის.

– იმას ატყუებ...

– ვატყუებ?

– კი. ჩემნაირი ლურჯი თვალები არავისაც არა აქვს!.. შენ ვერე არ მეუბნებოდი?..

– კარგი, კარგი. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, – უთხრა ნინიმ შვილს და საათზე დაიხედა: დარბაზში იმ წუთებში ფილმის ბოლო კადრებს უჩვენებდნენ, სადაც მთავარ გმირ ქალს ღიმილი უნახავი შეყვარებულის დაბრუნების ამბავი უნდა შეეტყო...

ცოტნე ცოტაბე თავის ფილმებს, ძირითადად, „ჰეფი-ენდი“ ამთავრებდა ხოლმე. „აღამიანებს ისედაც ბევრი პრობლემა აქვთ, – ხშირად იმეორებდა იგი, – ამიტომ, ფილმებით მაინც ხომ უნდა გავახაროთ და იმის რწმენაც გავუჩინოთ, რომ ერთხელაც იქნება, ბედნიერება აღარც მათ აუკლის გვერდს...“

ნინი დარბაზის კარს მიუახლოვდა და პირველი მაყურებლების გამოსვლას გულის ფანცქალით დაელოდა. ის უკვე არაერთხელ დაწმუნდა, რომ ჩაბნელებული დარბაზიდან გაჩახახახებულ ფოიეში გამოსული მაყურებელი პირველ წუთებში, მხოლოდ შუქისთვის თვალის შეჩვევითაა გართული და ამიტომაც, სახეზე მართლა ის აწერია, რასაც ფიქრობს და განიცდის. შემდეგ კი, უმეტესობა ან მატყბარის პოზაში დგება, ანდა სახეზე სრულიად გულგრილ და არაფრისმთქმელ გამომეტყველებას იწყებს ხოლმე...

ამჯერად, პირველი მარი გამოვიდა. დარბაზში ის ბოლო სკამზე იჯდა და ამიტომაც, როგორც კი ფილმი დასრულდა, ტიტრების გამოჩენას აღარ დაელოდა, მაშინვე გარეთ გამოვარდა, ნინისთან მიიბრინა და მიახარა:

– გოგი გორგილაძე ვნახე, ჩემ გვერდით იჯდა... ფილმი ძალიან მოეწონა...

– შენ?.. შენ თუ მოგეწონა? – ჰკითხა ნინიმ.

– ნამდვილად მშვენიერი ფილმია, შენ კი მასში ყველაზე მშვენიერი ხარ!.. მაგრამ იცი, რა? გოგი გორგილაძემ მითხრა...

ნინიმ მკლავეში ხელი ჩაავლო მარის, რომ როგორმე გაეჩუმებინა, მაგრამ გვიანდა იყო: ბატონი გოგი უკვე მათ წინ იდგა:

– ფილმი ნამდვილად მომეწონა... ცოტნეს ჩემ მაგივრად მიულოცეთ და ისიც გადაეცით, რომ ყველაფერში ბედი ჰქონია... ამ სიტყვების შემდეგ, ბატონმა გოგამ

საკმაოდ პირქუში გამომეტყველება მიიღო და იქაურობას გაეცალა...

მეორე დღით, მარის აღრიხნად გაეღვიძა, მაგრამ ადგომა დაეხარა და ლოგინში კიდევ კარგა ხანს ინებიერა. სასტუმრო „კინოში“ გატარებულმა საღამომ მასზე იმდენად ფანტასტიკური შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ახლა, იმ ყველაფერს, როგორც ძალიან ლამაზს, მაგრამ სრულიად არარეალურს, ისე იხსენებდა.

მოგვიანებით, კარზე ნინიმ მოუკაკუნა:

– ახალ გადაღებებამდე, ჩიტვით თავისუფალი ვარ, ასე რომ, შეგვიძლია, მე, შენ და ნიტა სადმე დასასვენებლადაც წავიდეთ.

– მერე ცოტნე?.. განა მაგას კი არ სჭირდება დასვენება? – დაინტერესდა მარი.

– კი, სჭირდება და დაისვენებს კიდევ, ოღონდ – უჩვენოდ.

– უთქვენოდ?.. – სახეზე გაკვირება გამოეხატა მარის. – კი, მაგრამ...

– რა არის, იცი, ჩემი კარგო, – გააწყვეტინა ნინიმ, – ცოტნე ცოტა უცნაური კაცია და დასვენებაც ასეთივე იცის.

– მაინც როგორი? – დაინტერესდა მარი.

– როგორი და... მთელ დღეებს ტანტზე კოტრიალში ატარებს, ბევრს ეწვევა და გაუთავებლად კითხულობს, თანაც – განურჩევლად ყველაფერს: გაზეთებს, საბავშვო კომიქსებს, კლასიკას, მეზუარებს... ასე უჩნდება იდეა, რომელსაც ამ ყველაფერთან, პრაქტიკულად, საერთო არაფერი აქვს. შემდეგ, ამ იდეას სცენარისტს აცნობს, სცენარისტს კიდევ, იფიქრებს, იფიქრებს და სცენარსაც გამოაცხობს... აი, ამის შემდეგ კი, ჩემი ვერც დგება...

– კი, მაგრამ განა ამ ყველაფერში შენ და ნიტა ხელს შეუშლიდი? – მაინც ვერ მიისვენა მარი.

– ალბათ, არა, მაგრამ... არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელზეც ახლა არ მინდა ლაპარაკი...

– კარგი, კარგი, მაგრამ ის მაინც მითხარი, ამ ხუთი წლის მანძილზე ერთად საერთოდ არ დაგისვენიათ?

– მხოლოდ ერთხელ. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ვიყავით ერთად. ორი კვირა მეთევზეების დასახლებაში ვიცხოვრეთ. ცოტნე საათობით იჯდა სანაპიროზე და მეთევზის პატარა ლეკვს ეთამაშებოდა... შემდეგ, ისეთი სანაპიროც და ლეკვიც მაყურებელმა ცოტნეს ახალ ფილმში ნახა...

– სულ ეგ იყო?

– არა. ერთხელ, ჩემს მშობლებთანც ჩავედი ერთად.

– ალბათ, როგორ გაუხარდათ, არა?

– გაუხარდათ? დედაჩემმა, როგორც კი დრო იხელთა, განზე გამიხმო და მკაცრად მკითხა: „კი, მაგრამ შენ არ მითხარი, ნიტას წითური მამა ჰყავსო?“

– მერე შენ რა უპასუხე?

– რა უნდა მეპასუხა? – პირდაპირ ვუთხარი: ნიტას მამას გავეყარე, ცოტნე კი, ის რეჟისორია, ვინც თავის პირველ ფილმში გადაიღო და ის ფულიც მომცა, რომლითაც შენ და მამაჩემმა სახლი გამოისყიდეთ-მეთქი...

– ძალიან შეიცხადა?

– არა. შენ წარმოიდგინე, ამის შემდეგ, ჩემთვის ერთი კითხვაც კი აღარ დაუსვამს და ცოტნესაც აშკარა პატივისცემით ეპყრობოდა.

– ნინი, გიყვარს ცოტნე? – საუბრის თემა უცბად შეცვალა მარი.

– მე მასთან თავს კარგად ვგრძობ.

– გამოდის, რომ ბედნიერი მაინც არა ხარ...

– საიდან მოიტანე?

– ქალი მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როცა შეყვარებულია, – მტკიცედ დაასკვნა მარი.

ნინის უნდოდა ეკითხა – ნეტავ, შენ საიდანაა იციო? – მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

– მთლად მართალი მაინც არა ხარ. ცოტნეს მე ძალიან ვუყვარვარ, რაც ჩემთვის ნამდვილად ღიმილი ბედნიერებაა.

– არ გინდა, ნინი, ხომ იცი, რომ არ გამოვივა.

– რა არ გამოვივა? – ვერ გაუგო ნინიმ.

– ჩემი და, რაც მთავარია, საკუთარი თავის მოტყუება. შენ დღესაც დიტო გიყვარს. ეტყობა, მის დავიწყებას, საერთოდაც, ვერ შეძლებ...

– მართალი ხარ, – ამოიხრა ნინიმ. – ვერ შევძელი... ვერ შევძლებ... იცი, როგორი ღიმილი იმედი მქონდა, რომ მომძებნიდა? ახლა ხომ იცის, სადა ვარ და რას ვაკეთებ? დავიჯერო, ერთ ფილმში მაინც არ ვუნახივარ? ალბათ, მნახა, მაგრამ არ უნდა და არ მეძებს... ცოტნესთან კი, თავს მშვიდად და დაცულად ვგრძობ. თუმცა, ცხოვრებაში მასაც დიდი ტკივილი აქვს გადატანილი.

– მართლა? რა დაემართა?

– რა და... ჩვენს შეხვედრამდე ერთი წლით ადრე, ცოლი მოუკვდა. კიბო ჰქონდა. ცოტნეს ის ძალიან უყვარდა... ახლაც უყვარს... ორი შვილი ღარჩათ, გოგონები... ცოტნეს მშობლები ზრდიან. როგორც კი თავისუფალ დროს ნახულობს, მათ სანახავად გარბის ხოლმე. ახლაც, ჩვენ რომ ზღვაზე გავემგზავრებით, ის თავის შვილებთან წავა, მიესიყვარულება და მერე ისევ მე დამიბრუნდება.

– მერე, ასე გაორებულია ცხოვრება არ უჭირს?

– ძალიან. მას კი არა, მეც ძალიან მიჭირს. წარმოიდგინე, როგორია ისეთი კაცის გვერდით ყოფნა, რომელსაც მეორე ცხოვრება აქვს, სადაც შენი ადგილი არ არის...



– კი, მაგრამ უფრო ადვილი არ იქნებოდა, თავისი შვილებიც შენთან მოეყვანა და ყველას ერთად გეცხოვრათ? – პრობლემის მარტივად გადაჭრა სცადა მარიმ.

– ბებია-ბაბუა არ უშვებს: ჩვენს შვილი-იშვილებს დედინაცვალთან არ ვაცხოვრებთო.

ნინის ნაღვლიანმა ნაამბობმა მარი საკმაოდ დაასვენა, ამიტომ, მისი გამხიარულე-ბაც ისევ ნინიმ სცადა:

– სად გირჩენია წასვლა: ურეკში, ქობულეთში თუ ბათუმში?

– შენ?

– ჩემთვის სულერთია... თუმცა, ნიტასთვის ურეკი აჯობებდა.

– ჩვენც ავლეთ და ურეკში წავიდეთ, რა გვიშლის ხელს?

– იქ შეიძლება, ცოტნე და მისი შვილები დაგვხვდნენ... მოდი, ქობულეთში წავიდეთ. თუ მოვიხივდება, იქიდან ურეკშიც ჩავალთ და ბათუმშიც...

– შენ როგორც იტყვი. ხომ იცი, შენთან და ნიტასთან მე ყველგან საამოვნებით დავისვენებ.

– ძალიან კარგი. მოვეწვადოთ და ერთ-ორ დღეში წავიდეთ. მანამდე, იქნებ, ბიძაჩემი მოვინახულო. ახლა რომ ვიყავი სოფელში ჩასული, მამაჩემი შემომხვეწა – დიდი ხანია, მისგან არანაირი ამბავი არ მომსვლია და გამიბე, როგორ არისო. თანაც, მამასაც რომ არ ეთხოვა, შალვა ბიძია ისედაც უნდა მენახა და ბოდიში მომეხადა.

სადამო ხანს ნინიმ მძლოლი დაიბარა და შალვა ბიძიას სანახავად წავიდა. როგორც კი რესტორანი „მირაჟი“ გამოჩნდა, ნინის გულმა ისეთი ბაგაბუგი დაუწყო, რომ მძლოლს შემინებულმაც კი გადახედა – ნეტავ, ამასაც

ხომ არ ესმისო.

რესტორნის შესასვლელში უნიფორმაში „ჩაჭვდილი“ მათე იდგა და მომსვლელებს თავს უკრავდა. „ეჰე იგი, შალვა ბიძია სახლშია“, – სიხარულით დაასკვნა ნინიმ და მძლოლს მანქანა შალვა ბიძიას სახლის სადარბაზოსთან გააჩერებინა. ჩაფიქრებული ნინი კბეხს ნელ-ნელა აუყვია: „ნეტავ, როგორ შემხვდება? – ღირსი კი ვარ, რომ ერთი გემრიელად გამოძიანდლოს...“

ნინის შალვა ბიძიას ბინის გასაღები ახლაც ჩანთაში ედო. თავიდან სიურპრიზის მოწყობა გადაწყვიტა, გასაღები ამოიღო და ის იყო, კარისთვის უნდა მოერეო, რომ იქიდან რაღაც ჩოჩქოლი და ბავშვების ყრიაბული მოესმა. ნინიმ გასაღები ისევ ჩანთაში ჩაიღო და კარზე გაუბე-

დავად დააკაკუნა. ბავშვების ყრიაბული უცბად შეწყდა, მაგრამ კარის გაღებას არავინ ჩქარობდა. ნინიმ მუხრუფაც დააკაკუნა. როგორც იქნა, კარი გაიღო და ზღურბლზე გაქონილხალათშემოხვეული, თმაგაბურბენილი, ჩასუქებული ქალი გამოჩნდა. მის ზურგს უკან სამი, ასეთივე გაბურბენილი და თითქმის შიშველ-ტიტველი ბავშვი იდგა. გაოგნებული ნინი ხან ქალს უყურებდა, ხანაც დაფეთებულ ბავშვებს.

თავად ქალიც არანაკლებ დაბნეული ჩანდა. გამოძეტველებზე ეტყობოდა, რომ ყველანაირად ცდილობდა, რაღაც გაეხსენებინა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა.

– შალვა ბიძია სახლშია? – შექმნილი მდგომარეობის განმუხტვა სცადა ნინიმ.

– შალვა ბიძია ვინ არის? – კიდევ უფრო დაიბნა ქალი.

– შალვა გრძელიშვილი... ამ ბინის პატრონი...

– აქ ეგეთი არავინ ცხოვრობს... მოიცა, მოიცა... გრძელიშვილი?... – როგორც იქნა, სახის ნაკვთები დაულაგდა ქალს. – ძლივს არ გავისხენე? შენ ნინი გრძელიშვილი ხარ, „არტისტკა“... არადა, კინაღამ ტვინი ვიღრბე, ეს ლამაზი გოგო სად მინახავს-მეთქი...

ნინის ენადგაკრეფილი ქალისთვის აღარაფერი უთქვამს. კბეხზე სწრაფად დაეშვა, ქუჩა გადაჭრა და რამდენიმე წუთში, „მირაჟის“ შესასვლელთან გაჩნდა. „ლოტოს კოჭი“ მათე ისევ ჰოსტზე იყო და ერთ, ინდაურივით გაფხორილ და „ბრილიანტებში ჩამჯდარ“ ქალს კარს მოწიწებით უღებდა.

ნინიმ მათესთან მისვლა გადაიფიქრა: ნუცას ვნახავ და ყველაფერს ის მიაბობოსო,

– გაიფიქრა და რესტორნის გვერდითა შესასვლელისკენ გაემართა.

შესასვლელში დარაჯი იდგა. მან ნინი გაკვირვებით ათვალიერ-ჩაათვალიერა და ის იყო, უნდა ეთქვა – შესასვლელი შეგეშალაო, – რომ ნინიმ დაასწრო:

– ნუცა აქ არის?

– ნუცა?... – პირი დაალო დარაჯმა.

– დიახ, ნუცა... თუ თქვენთან აღარ მუშაობს?

– როგორ არა, მუშაობს... რა ვუთხრა, ვინ გკითხულობს-თქო?

– ნინი.

– გვარი?

– გვარს თვითონ მიხვდება.

დარაჯი კარს მიღმა გაუჩინარდა და რამდენიმე წუთში, ნუცასთან ერთად დაბრუნდა. უფრო სწორად, ნუცა მის წინ, ხელზეგამოილი მორბოდა. ეტყობა, ნინის გულში ჩაკვრა უნდოდა, მაგრამ უცბად შედგა და ხელებიც მოწყვეტით ჩამოუშვა:

– ნინი, შე-ენ?... როგორ დამშვენებულხარ!..

ნინი თავად მიუახლოვდა ნუცას და მიუხვია:

– ნუცა, ბიძაჩემი სად არის?

აკანკალეულმა ნუცამ ნინი გულში მთელი ძალით ჩაიკრა:

– ბიძაშენი აღარ არის, ნინი...

ნინიმ ნუცას ხელები მოიშორა და ცრემლიან თვალებში ჩახედა:

– როგორ თუ აღარ არის?! რა მოუვიდა?... თითქოს, სერიოზულად არაფერს იტკივებდა...

– დიაბეტი აღმოაჩნდა, თანაც, ძალიან რთულ ფორმებში... უცბად გაათავა საწყალი კაცი...

ნინის თვალს ობოლი ცრემლი მოსწყდა და ნელ-ნელა ლოყაზე ჩამოუვლოდა:

– რა საშინელი ადამიანი ვარ... როგორ მძულს საკუთარი თავი... რა იქნებოდა, ერთხელ მაინც შემომეგლო და მენახა...

– იცი, როგორ ენატრებოდი? ამ თავქეფა გოგოს ისე მივეჩვიე, უბნისოდ ველ-არაფრით ვძლებო, შემომჩიოდა ხოლმე...

– მეც ძალიან მენატრებოდა, მაგრამ მინდოდა, ცხოვრებაში რაღაცისთვის მიმეწვია, რომ მისთვის თავი მომეწონებინა... რა სულელი ვყოფილვარ... რა სულელი...

– იცი, შენი წასვლა როგორ იდარდა? მერე მამაშენს შეეხმანა და ამბავი ჰკითხა. იმან კიდევ, მოსწერა – ვილაც რეჟისორს გაჰყვა და უკვე შვილიც ეყოლაო. აი, მაშინ გაცოფდა თუ გაცოფდა. ვიცი, ის რეჟისორი ვინც არის, ნინი ვინც გააუბედურაო, – და გოგი გორგილაძეს პირს აღარ უჩვენებდა. ერთხელ, ცემაც კი დაუპირა, ძლივს გადავაფიქრებინე: სამსახურს დაკარგავ-მეთქი... თუ ასეთი მოკლე დღე ექნებოდა, ნეტავ ეცემა და გული მაინც მოვეკრებინა...

გაგრძელება იქნება

ას უსწაური, სპორტსმენის პარაპლაზაში

ცნობილი ადამიანები ხშირად, ახირებული ხასიათით გამოირჩევიან. ამ მხრივ, გამონაკლისი არც მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები არიან, რომლებიც საზოგადოებას თავთავიანთი უცნაურობებით აკვირებენ. დიდ სპორტსმენტა ამგვარი ქცევის ასახსნელად, რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ისინი არაორდინარული ქმედებით ფსიქოლოგიურ განტვირთვას ცდილობენ. გარდა ამისა, ექსცენტრიკული ქცევა ვარსკვლავთათვის თვითრეკლამის ერთ-ერთ ხერხსაც წარმოადგენს. ხშირად კი, სპორტსმენტები უბრალოდ, ცრუმორწმუნეობით არიან შეპყრობილნი, რაზეც ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი ფაქტიც მეტყველებს.



ფაბიენ ბარტეში

არცთუ ისე იშვიათად, სპორტსმენტები შეჯიბრების წინ, პირის გაპარვისაგან თავს იკავებენ და მიიჩნევენ, რომ ეს მათ გამარჯვებაში დაეხმარებათ. ზოგიერთ მათგანს კი, ჩაცმის საკუთარი რიტუალი აქვს შემუშავებული – მაგალითად, ჯერ მარცხენა ფეხზე ჩაიცვამს წინდას, შემდეგ – მარჯვენაზე. არიან ისეთებიც, რომლებიც სასპარეზო მოედანზე, საჭიდაო ხალიჩასა თუ რინგზე „კარგად დაცილილ“ მარჯვენა ან მარცხენა ფეხს დგამენ პირველად, უკან გადააფურთხებენ ან „მაგიურ“ ფრაზას წაიბუტბუტებენ. წარსულში ცნობილმა საბჭოთა მეკარემ, რინატ დასაევმა აღიარა, რომ მას თავის სპორტულ ჩანთაში ხელთათმანებთან ერთად, ყოველთვის ელო ყურანი. რომარიო ყოველი გატანილი გოლის შემდეგ, საკუთარ ცერა თითს ეამბიონება. საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მცველი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ლორან ბლანი კი, დღემდე დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი დიდ წარმატებებს ვერასოდეს მიაღწევდა, მას რომ ყოველი მატჩის წინ, ფაბიენ ბარტეშის ხოტორა თავზე არ ეკოცნა. ამბობენ, რომ ფაბიენს „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის შემდეგ, თავისი თანაგუნდელებისათვის კატეგორიულად აუკრძალავს ანალოგიური რიტუალის ჩატარება...

უცნაური ხასიათით იყო ცნობილი „აინტრასტის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ხორსტ ერმანტრაუტი, რომელიც დარწმუნებული ყოფილა იმაში, რომ „მისი პოზიტიური ენერგია“ გუნდს დამატები-

თი ძალებით აღავსებდა. ცუდ დღეში იმყოფებოდნენ ისინი, ვინც ერმანტრაუტის აზრით, „ნეგატიური ენერგიით“ იყვნენ დამუხტული. ყველაზე მეტად მას თავისი ასისტენტი, ბერნჰარდ ლიპერტი ჰყოლია ამოჩემებული, რომელსაც იგი თურმე მატჩების წინ, გასახდელში ფეხბურთელებთან შესვლის უფლებასაც არ რთავდა. ამასთან ერთად, ლიპერტი იბულებული იყო, რომ გასვლით თამაშებზე გუნდისაგან განცალკევებით, საკუთარი მანქანით ევლო. „რა თქმა უნდა, საკუთარ თავს ძალზედ დამცირებულად ვგრძნობდი, – ამბობს ლიპერტი, – მაგრამ თავისი დამთხვეული ხასიათის მიუხედავად, ხორსტი საოცრად კარგი მწვრთნელია“. მატჩის მსვლელობისას ერმანტრაუტი არასოდეს მჯდარა მწვრთნელისათვის განკუთვნილ სკამზე – მას პერსონალური სკამი ედგა, რომლის შექმნაც ნებისმიერ გერმანელს შეუძლია 29,95 მარკად საყოფაცხოვრებო მაღაზიაში. „ამ სკამმა ჩემს გუნდს არაერთი მნიშვნელოვანი ქულა მოაპოვებინა“, – ამბობდა თურმე კმაყოფილებით სავსე, ჭირვეული მწვრთნელი, რომელიც ვერც თავის ცისფერ კოსტიუმს ელეოდა. ყოფილა პერიოდი, როდესაც მეორე ლიგაში გამოსვლისას, მას 17 მატჩის განმავლობაში ეცვა ის კოსტიუმი და მაშინ გუნდს არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, თუმცა შემდეგ, კლუბის სპონსორი შეიცვალა და ხორსტ ერმანტრაუტი იბულებული გახდა, თავის „ჯადოსნურ“ სამოსელს შელეოდა. ისე კი, ტანსაცმლის „სასწაულმოქმედების“ მხოლოდ

ხორსტ ერმანტრაუტს როდი სჯეროდა. მაგალითად, ფეხბურთის ერთ-ერთი მწვრთნელი იმის გამო ყოფილა უკმაყოფილო, რომ მას კვირაობით უხდებოდა გაურეცხავი კოსტიუმითა და პერანგით მატჩებზე დასწრება, რადგან სწორედ „ასეთ სამოსს მოჰქონდა მისი გუნდისთვის წარმატება“...

ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, გლენ ჰოლდი ჰიპნოტიზიორ აილენ ღრვეერის დახმარებით სარგებლობდა. „მას ჩემი მოთამაშეების, ტრაკემბისაგან განკურნება შეუძლია“, – ამბობდა ავტორიტეტული მწვრთნელი, რომელიც თერამპეტი წლის ასაკში, ასევე განკურნავს ღრვეერს მძიმე ტრავმისაგან. ინგლისის ნაკრების მოთამაშე, დარენ ანდერტონი ამტკიცებს, რომ ჰიპნოტიზიორის მიერ ფეხზე ხელის დადებით, მან სხეულში ძლიერი ტემპერატურა იგრძნო და დაეძინა, 30 წუთის შემდეგ კი, ტრავმირებულ ადგილზე ტკივილს საერთოდ ვეღარ გრძნობდა. მიუხედავად ამისა, ინგლისში ღრვეერის მკურნალობის მეთოდს ბევრი მოთამაშე თუ ფეხბურთის სპეციალისტი მაინც სკეპტიკურად უყურებდა, ხოლო ჰოლდს მაინც არ სურდა თავის რჩეულ მკურნალთან დაშორება და აცხადებდა, რომ გუნდიდან ჰიპნოტიზიორის დათხოვნის შემთხვევაში, თავადაც დატოვებდა თანამდებობას. მაგრამ შემდგომში, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: ჯერ გლენ ჰოლდს დაატოვებინეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი, ცოტა ხანში კი, ღრვეერიც მიაბრძანეს გუნდიდან...

რამდენიმე წლის წინ, მწერალი უენსლი კლარკსონი თავის წიგნში – „რონალდო – გენიალურობის 21 წელი“, – წერდა, რომ სახელგანთქმული ბრაზილიელი ფორვარდი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ჯადოსნობის მსხვერპლი გახდა. „ჯადოქრად“ მწერალი რობერტო კარლოსს მოიხსენიებდა, რომელიც 1998 წლის მუნდიალის მსვლელობისას, სასტუმროში კიჭას მეზობელი ყოფილა. მოგვიანებით, კარლოსმა კლარკსონის უსაფუძვლო ბრალდება უარყო და ამ ფაქტის გამო სასამართლოში ჩივილსაც კი აპირებდა.

უცნაურობებით მხოლოდ საფეხბურთო სამყარო როდია ცნობილი. მაგალითად, თავისი ახირებული ხასიათით გამოირჩეოდა ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი მოთხილამურე, იოჰან მიულერგი, რომელმაც 1993 წელს, მოულოდნელად განაცხადა, რომ „ვიღაც“ მის სასმელებს

წამლავდა. მალე მან ეს „ვიდაცა“ გამო-
ააშკარავა კიდევ – მოთხილამურეთა
ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ციპელი,
რომელმაც ცოტა ხნის შემდეგ დატოვა
თანამდებობა... 1994 წლიდან მოყოლე-
ბული, მიუღევს შეჯიბრებებზე მონაწილე
ჭურჭლით დაჰქონდა წყალი, რომელსაც
„დადებითი ენერჯით“ მისი პორტუგალიე-
ლი დიასახლისი მუხტავდა. ამ „სასწაულ-
მოქმედ წყალს“ მოთხილამურე „გადარ-
ჩენას“ უწოდებდა. რამდენიმე წლის შემ-
დეგ, იოჰან მიულერმა კვლავ დასდო ბრა-
ლი თავისი გუნდის მწვრთნელს, რის
გამოც ამჯერად, უკვე თავად მას და-
ტოვებინეს ნაკრები...

კალათბურთის გულშემატკივრებმა
კარგად იციან, რომ ყველაზე დიდი უცნ-
აურობებითა და სკანდალურებით NBA-ს
ვარსკვლავები გამოირჩევიან, რასაც ძალიან
უწყობენ ხელს მასობრივ საინფორმაციო
საშუალებათა წარმომადგენლები. მაგალი-
თად, რამდენიმე წლის წინ, მსოფლიოს
„ყვეთელი პრესის“ ლიდერებს იმის სათვ-
ალავი ჰქონდათ არეული, თუ რამდენჯერ
შეხვდნენ ერთმანეთს მაღონა და „NBA-ს
მაღონად“ წოდებული, დამთხვეული დე-
ნის როდმანი. სკანდალებზე მონადირე
აბეზარი ჟურნალისტები კარიმ-აბდულ
ჯაბარის საყვარლების რაოდენობის დად-
გენაზე იმტერვედნენ თავს და საბოლოოდ,
გამოარკვეეს, რომ ლეგენდარულ კალათ-
ბურთელს თავისი „სექსუალური კარი-
ერის“ მანძილზე, სამი ათას შვიდას ქალ-
თან ჰქონია ინტიმური ურთიერთობა (ცხ-
ადია, ეს რიცხვი „კვლევის“ შედეგების“

გამოქვეყნებიდან დღემდე, მნიშვნელოვნად
გაიზრდებოდა). საერთოდ, NBA-ს თითქ-
მის ყველა ვარსკვლავი ცდილობს, რომ
საზოგადოების ყურადღება კალათბურთის
მოედნის გარეთაც მიიპყროს. ზოგიერთს
ეს წინასწარი განზრახვის გარეშეც მშ-
ვენიერად გამოხდის. ამ მხრივ, რა თქმა
უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია ისევ და
ისევ დენის როდმანი, რომელიც წლების
განმავლობაში, თავისი საქციელით შოკში
აგლებდა პუბლიკას. აი, თუნდაც ის რად-
ღირს, რომ იგი საკუთარი საკალათბურ-
თო კარიერის საუკეთესო წლებშიც კი,
დეტროიტის, ჩიკაგოსა და სან-ანტონიოს
პანკური „ტუსოკების“ ხშირი სტუმარი
იყო და თითქმის ყოველთვის, თმის ნაირ-
ფრად იღებავდა. ერთხელ კი, NBA-ს ტაკი-
მასხარამ ოფიციალურად იქორწინა ერთ-
ერთ პორნოვარსკვლავზე, თუმცა, მეორე
დღესვე, მასთან გაყრა გადაწყვიტა, რაც
იმით ახსნა, რომ ხელის მოწერის მომენ-
ტში, სიმთვრალისაგან გონება ჰქონდა დაბ-
ინდული და ამიტომ, თავის ქმედებაზე პა-
სუხს ვერ აგებდა. როდმანის „ოინბაზობა-
თა“ ჩამოთვლა მართლაც შორს წაგვიყ-
ვანდა. მის არაორდინარულ სპორტულ
კარიერაზე წარმოდგენის შესაქმნელად
აღბათ იმის გახსენებაც კმარა, რომ იგი
დიდ კალათბურთში მხოლოდ 20 წლის
ასაკში გამოჩნდა და მანამდე, არც მეტი,
არც ნაკლები, მესაფლავდ მუშაობდა...

როდმანისაგან განსხვავებულად იქმ-
ნიან იმიჯს NBA-ს სხვა ოსტატები. მა-
გალითად, ბარსელონისა და ატლანტის
ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული
კარლ მელოუნი ყოველი სა-
ჯარიმო სროლის შესრულებ-
ის წინ, რაღაც გაუგებარ
ლოცვას წარმოთქვამს. თუ
რას ბუტბუტებს ამ დროს
იგი, არავინ იცის. სხვათა
შორის, ამ საიდუმლოს ამოხ-
სნას წლების განმავლობაში
ცდილობენ ოპერატორები თუ
მიმოხილველები. მართალია,
„მაგიური ფრაზების“ წარ-
მოთქმით საჯარიმო სროლებ-
ისას მელოუნმა 100%-იან
შედეგს ვერ მიაღწია, მაგრამ
თავისი უცნაური საქციელით
NBA-სა და საკუთარ თავს
დიდი რეკლამა მაინც გაუ-
წია. რეკლამაში კი, NBA-ს
მოთამაშეები გაცილებით მეტ
თანხებს გამოიმუშავენ, ვი-
დრე საკუთრივ სპორტში.
აღსანიშნავია ისიც, რომ მე-
ლოუნის მეტსახელი „ფო-
სტალიონია“: როდესაც ის
კალათში ბურთს „ტენის“,




კარიმ აბდულ
ჯაბარი

ყოველთვის წარმოთქვამს: „მიიღეთ ფოს-
ტა“.

NBA-ს კიდევ ერთი ვარსკვლავი, გერი
პეიტონი საჯარიმო სროლის შესრულების
წინ, ყოველთვის მარჯვენა ხელით მარცხ-
ენა ლოყას იფხანს; ხორას გრანტი კი,
გასახდელში მატჩის დაწყებამდე, გულმ-
ოდგინედ წმენდს თავის საფირმო
სათვალეს, რომელიც მას იმისთვის უკე-
თია თამაშისას, რომ თვალში ვინემ თითი
არ ატაკოს. ჯეფ ზორნასევი წლების
მანძილზე არ დალატობს თავის უცნაურ
ჩვევას და საკალათბურთო მოედანზე გა-
მოსვლამდე ჯერ აუცილებლად მარცხე-
ნა ფეხზე იცვამს სპორტულ ფეხსაც-
მელს, ხოლო შემდეგ – მარჯვენაზე. რაც
შეეხება ჰაკიმ ოლაჯიუგონს – ის,
როგორც ჭეშმარიტი მუსლიმანი, ყოველ
დილას მეჩეთში ატარებს, თანაც გან-
საკუთრებით გულმოდგინედ მაშინ ას-
რულებს ნამაზს, როდესაც მის გვერდით
ტელეოპერატორები იმყოფებიან...

ამბობენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე ცნო-
ბილი სპორტსმენი, მსოფლიოსა და
ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, შეჯი-
ბრებებზე გამოსვლისას, სპორტული
ტანსაცმლის შიგნით, ქალის ვარდისფერ,
მაქმანიან საცვალს იცვამს. ერთ-ერთი
დიდი ფეხბურთელი კი, თავის დროზე,
მოედნიდან იმის გამო გაუძევებიათ, რომ
მას მსაჯისთვის უკანალზე მოუთათუნებია
ხელი. თუ კვლავ ფეხბურთელებზე მიდ-
გა საქმე, ალბათ არც ბექჰემი უნდა დავივი-
წყოთ, რომელიც რეგულარულად იცვ-
ლის თმის ვარცხნილობას და ფრჩხილე-
ბზე ლაქს ისევამს.

აი, ასეთები არიან სპორტის ვარსკვ-
ლავები, რომელთა უცნაურობების ჩამოთვ-
ლა კიდევ დიდხანს შეიძლება...



როდმანი



რას მოასწავებს წლების მიჯნაზე ნანახი სიზმრები

დრო შეუჩერებლივ გარბის. აი, კიდევ ერთი წელიწადი მიილია. როგორი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, სოციალურ კიბეზე რა საფეხურიც არ უნდა ეკავოს, გულის სიღრმეში ის მაინც ბავშვია, რომელსაც საოცრებების სვერა. ეს უფრო მეტად, კაცობრიობის მშვენიერ ნაწილზე ითქმის. სანუკვარი ფიქრი კი, ყველაზე მძაფრად, მაინც წლების მიჯნაზე გვეძაღვება. ხოლო როცა რაღაცას ვითხოვთ, ხშირად ზეცისკენ, კოსმოსისკენ მივმართავთ მზერას და წარმოვთქვამთ საკრალურ ფრაზას: „ღმერთო, მიშველე!“



ტბის მელაპირზე მოცურავე წყვილი ბატი წარმატებულ ქორწინებას მოასწავებს

კოსმოსი ოდენ ცაში აკაიფებული ვარსკვლავები როდია, ის აკვანიცაა, რომელშიც ჩვენი სული ყალიბდება. დედამიწის შვილებს გვსურს, რომ ჩვენი სული განსაკუთრებით ხარობდეს შობისა და ახალი წლის დღეებში. მაშ, რა სურვილები უნდა ჩავუთქვათ ამ დღეებში საკუთარი თავისა და ახლობლებისთვის? გაუთვითცნობიერებელმა ადამიანმა კი იცის, რომ ამ პერიოდში ხდება ხოლმე საოცრებები, რომელსაც ვერანაირი მეცნიერება ვერ ხსნის.

ბევრი ადამიანი ამ დროს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სიზმრებს ანიჭებს. სიზმარში მძაფრდება ჩვენი მგრძობელობა და თუ დაკვირვებით განვიხილავთ სიზმარში მომხდარს, შეიძლება ისინი ცხად-

ში მომხდარ ამბებს დაუკავშიროთ. მაგალითად, კაშკაშა სანთელი კარგი ფიზიკური ჯანმრთელობის ნიშანია. კარგია, თუ საკუთარ თავს თქვენს სახლში მყოფს ნახავთ, თანაც სასურველია – სამზარეულოსა ან საძინებელ ოთახში, რადგან ეს იმას ადასტურებს, რომ თქვენი ორგანიზმი სრულყოფილად აღიდგენს დაზარულ ძალებს. ტბის ზედაპირზე მოცურავე წყვილი ბატი წარმატებულ ქორწინებას მოასწავებს, ან იმას, რომ თქვენს ოჯახში ახალი ძალით იფეთქებს სიყვარული. სიზმარში ნანახი ნაძვის ხე არა მარტო სათამაშოებით, არამედ კანფეტებით, ვაშლებით, ნამცხვრებით უნდა იყოს მორთული – როგორც ეს ძველად იყო მიღებული. უფროსი თაობების ბევრ წარ-

მომადგენელს კარგად ახსოვს, თუ რაოდენ სასიამოვნო იყო, ნაძვის ხიდან მოხსნილი ნუგბრის მირთმევა...

სიზმრად ანგელოზის ხილვა იმას მოასწავებს, რომ ბევრი რამ თქვენს ცხოვრებაში სასიკეთოდ შეიცვლება. თუ თქვენს თავზე აფრენილ პეპელას დაიჭერთ, აუცილებლად დაქორწინდებით, თანაც – ქალწულზე. სიზმრად ცხვრის ფარის მწყემსვა, საკუთარ წრეში მიღწეულ წინვლას ნიშნავს. თუ ფეხსაცმელმა მოგიჭირათ – ელოდეთ სერიოზულ გამოცდას. თუ ქალი ქმარს ურტყამს, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ თქვენს ქმარს ძალიან უყვარხართ. სიზმრად ავადმყოფობა, ცხადში საყვარელ ადამიანთან ჩხუბს ნიშნავს. იატაკზე დაგდებული ბაწარი თანამდებობის დაკარგვის ამბავს გაუწყობთ. ღვინის სმა მდიდარ და ჯანმრთელ ადამიანებს ესიზმრებათ. თუ ტბა გეხიზმრათ – გაფრთხილდით, რადგან რაღაც საშიშროება გეუქრებათ. სიზმრად თმის უთოობა დიდი სიყვარულის მომასწავებელია, მაგრამ თუ თმაში ყვავილებს იწნავთ – ეს რაღაც სიმწარეს გიქაღი. თუ სიზმრად კარის ზღურბლს გადააბიჯეთ ან ფული დაგებნათ – რაღაც საშიშროება გელით. სარკეში საკუთარი თავის დანახვა იმას ნიშნავს, რომ ან ბავშვს იშვილებთ, ან მეუღლისგან ფარულად, სხვა ქალთან შეილი გაგიჩნდებათ. გველი, ბოროტი ძალების თქვენთან მოახლოების თაობაზე გაფრთხილებთ. იგივე ითქმის სიზმრად კარტის თამაშზე. თუ წიგნის კითხვისას იხილეთ საკუთარი თავი – ე.ი. რაღაცით სახელს გაითქვამთ. თუ გათხოვილ ქალს თითიდან ბეჭედი წასძვრა ან კანფეტს მიირთმევს – ე.ი. ცხადში მას ქმარი დალატობს. თუ კატამ გაგჩხანათ, არაკეთილმოსურნეთ უნდა უფრთხილდეთ. სიზმრად ყინულზე დაცურება ან კიბეზე დაგორება იმას ნიშნავს, რომ ფულიც შეიძლება დაკარგოთ და სამსახურიც. სამაგიეროდ, კარიერაში წარმატებებსა და წინსვლას ნიშნავს სასიყვარულო შინარსის სიზმრები, ამასთან, რაც უფრო ეროტიკულ სიზმრებს ნახავთ, მით უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე ახვალთ. ოღონდ, ღმერთმა არ ქნას, რომ შიშვლად ნახოთ საკუთარი თავი – ეს უსიამოვნებას გიქაღი.

თუ სიზმარში გორგლიდან ძაფს გამოშლით, თქვენთვის რაღაც საიდუმლოს ახვდება ფარდა. მაკრატლის ხილვა არასასურველია – ასეთ შემთხვევაში, საყვარელი მამაკაცი ეჭვიანობით დაგტანჯავთ. სიზმრად საჩუქრის მიღება, ცხადში დიდ ილაღს მოგიტანთ. კონცა იმას ნიშნავს, რომ მეუღლეს უღალატებთ. სამაგიეროდ, სიზმრად ნანახი ცრემლები დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. თუ ქალს ძალდი

შეახტა, ის აუცილებლად გაინჩნს საყვარელს. თუ მამაკაცს საათის ხმა მოესმა, უეჭველად კოლს შეერთავს.

იტალიელი ონტოფსიქოლოგი ანტონიო მენეგეტი ირწმუნება: „თუ ნაძვის ხეზე არ არის ისეთი საჩუქრები, რომელიც იჭმევა, ეს ჩვენი ცხოვრების არასტაბილურობაზე მიანიშნებს. იმისათვის, რათა სიზმრად „სწორად“ მორთული ნაძვის ხე ვიხილოთ, ის ცხადში უნდა მოვრთოთ „სწორად“.

ნებისმიერი დადებითი ემოცია სიზმრად, სიკეთის ნიშანია და პირიქით, ამიტომ ეცადეთ, იფანტაზიოროთ და გააანალიზოთ. არსებობს მეთოდია, რომელიც სიზმრების მართვას გვასწავლის, უსიამოვნო სიტუაციაშიც შესაძლებელია კორექტივების შეტანა. ფსიქიკურ შესაძლებლობებზე მუშაობა გამოცდილი ხელმძღვანელის დახმარებით უნდა წარიმართოს. თუ ამგვარი კურსი ჯერ არ გავივლიათ, ეცადეთ, თქვენი სიზმარი ცხადში გადაითამაშოთ – უარყოფითი სიტუაცია დადებით ასპექტში წარმოიდგინოთ. ალბათ უცებ არაფერი გამოვივათ, მაგრამ თანდათან, დადებით შედეგს მაინც მიიღებთ. მაგრამ უმთავრესი ის არის,

რომ აღნიშნულ დღეებში სულის სიმშვიდეს მივადწიოთ. ეცადეთ, არ აჰყვეთ გაღიზიანების დემონს, დაურეკეთ და შეხვდით მათ, ვისი ხმის გაგონებაც და ნახვაც სიამოვნებას განიჭებთ. ძველით ახალი წლისთვის კი, შეარჩიეთ რაიმე საჩუქარი საყვარელი ადამიანისთვის. ამასთან, გაითვალისწინეთ, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ვთქვათ, ძვირფასი სუნამო იყოს. სახალისო სუვენირი ზოგჯერ გაცილებით მეტ სიხარულს მოგანიჭებთ თქვენც და მასაც, ვისაც ასეთ საჩუქარს უძენით... წადით ეკლესიაში – იმ შემთხვევაშიც კი, თუ მორწმუნე არა ხართ: სულისთვის აუცილებელ სიმშვიდეს იგრძნობთ. გაიღეთ მოწყალება – ნუ ჩაუვლით მათხოვარს; დააპურეთ მაწანწალა ძაღლი ან კატა, დაუყარეთ პურის ნამცეცები ჩიტებს. თუ წლის მანძილზე ვერ ახერხებთ ამგვარი მცირე „საგმირო საქმეების“ ჩადენას, ახალწლის დღეებში მაინც გაისარჯეთ. „სულიერებით აღბეჭდილი ქმედებები უთოდ აირეკლება ცაში, ვარსკვლავების დავთარში,“ – ირწმუნება ერთ-ერთი გამოჩენილი ანთროპოსოფი რუდოლფ შტაინერი...



ასსხირ იონდგენის „სიოჰჰიზი“

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმიდან საინტერესო ცნობა მოვიდა: სახელგანთქმულ მეხტაპრეს დიდი ხნის წინ, საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი ზღაპარი ჰქონია დანერილი, რომლის მთავარი გმირი, ყველა ბავშვისათვის საყვარელი გოგონა – პეპი გრძელი წინდაა.

როგორც ცნობილია, ასტრიდ ლინდგრენი ერთი წლის წინ – 2002 წლის 29 იანვარს, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. უკანასკნელ ხანებში, ის თურმე პრაქტიკულად, ვეღარაფერს ხედავდა და არც ყურთასმენა ჰქონდა შემორჩენილი; ბუნებრივია, რომ არც ჟურნალისტებს ხვდებოდა და არც სახლიდან გამოდიოდა. გამოჩენილმა მწერალმა კარგად უწყობდა, რომ ბავშვებს მისი ზღაპრები უყვარდათ. ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, ლინდგრენის ნაწარმოებები მსოფლიოს ხალხთა 80 ენაზე გამოიცა.

საოცარია, რომ მხოლოდ ახლახან, 2002 წლის დამლევს, შვედეთის სამეფო ბიბლიოთეკის საცავებში აღმოაჩინეს ჯერ კიდევ 1949 წელს დაწერილი ზღაპარი, რომელიც საგანგებოდ საბავშვო გაზეთისთვის – „იულტიდინგის“ (რაც შვედურად „საშობაო გაზეთს“ ნიშნავს) დაიწერა. მასში მოთხრობილია, თუ როგორ

აღნიშნავს პეპი შობას. ახლა, ამ ზღაპრის კითხვა-შესწავლით ასტრიდ ლინდგრენის საზოგადოების 150-მდე მოზრდილი წევრია დაკავებული.

აღმოჩენა მოულოდნელი კი იყო, მაგრამ – არა შემთხვევითი. ასტრიდ ლინდგრენის საზოგადოების მდივანი, ლენა ტორნკვისტი აბსოლუტურად ყველაფერს იკვლევს, რაც კი მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებით გამოცემულა თუ დაწერილა და მტკიცედ აცხადებს – ამ ზღაპრის შესახებ აქამდე, არავის არაფერი სმენიაო.

სავარაუდოა, რომ მას უახლოეს პერიოდში გამოსცემენ, ცხადია, პირველად – შვედურ ენაზე. შემდეგ კი, ალბათ სხვა ქვეყნების ბავშვებსაც მიეცემათ იმის საშუალება, რომ გაეცნონ ზღაპარს, რომელშიც მათი საყვარელი პერსონაჟი, მარტოდ დარჩენილ 3 ბავშვს უმართავს საშობაო ზეიმს...





Nissan X-Trail-ს ძაღა მოემაცა

წლეგანდელი წლის დასაწყისიდანვე, ეს იაპონური ყველგანმავალი ახალი ძრავით აღიჭურვება. ლაპარაკია 4-ცილინდრიან ბენზინის ძრავაზე, რომლის სამუშაო მოცულობა 2,5 ლ-ს შეადგენს, სიმძლავრე კი, 165 ცხ.ძ-ს აღწევს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ავტომო-

ბილი 9,9 წმ-ში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 191 კმ/სთ-ია. იაპონელმა ინჟინრებმა შესამჩნევად შეამცირეს ძრავას ვიბრაცია, რის შედეგადაც ის ძალზედ სუსტ ხმას გამოსცემს.

აქამდე, X-Trail-ს ორი ძრავა ჰქონ-

და – 4-ცილინდრიანი, 2 ლ-იანი, 140 ცხ.ძ-იანი ბენზინისა და 114 ცხ.ძ-იანი დიზელის აგრეგატი. ახალ ძრავას თან დაერთვება 5-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფი და 4-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი. ძრავათა პალიტრის გაფართოება, ამ მოდელის რეალიზაციის გაზრდის მიზნით განხორციელდა, თუმცა, პოპულარობის დეფიციტს იაპონური ყველგანმავალი არ უჩივის. მანქანა საკმაო ეკონომიურობით გამოირჩევა: ყოველ 100 კმ-ზე მხოლოდ 10 ლ საწვავს ხარჯავს. ჩვეულებრივ რეჟიმში ეს, ტიპური, წინაამძრავიანი ავტომობილია, მაგრამ როგორც კი უგზობის პირობებში ან მოლიპულ გზაზე მოხვდება, საქმეში უმაღ უკანა ხიდი ჩაერთვება. ამასთანავე, მანქანას შეუძლია, ძალდაუტანებლად აიყვანოს „ბუქსირზე“ 1,5-2 ტონამდე წონის მისაბმელი. Nissan X-Trail-ის მთავარი კონკურენტები არიან: Toyota Rav4, Ford Maverick-ი და Land Rover Freelander-ი.

ფხანგი ავტომნახმოებლების „სოჯოები“

მართლაც, ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლდა წამყვანი ფრანგული კომპანიების – „პეოუსა“ და „რენოს“ (ისინი ახლა, ერთიან კონცერნად – PCA-დ არიან გაერთიანებულნი) მიერ 2002 წლის დამლევისათვის საზოგადოების სამსჯავროზე წარმოდგენილი კონცეპტუალური მანქანები. მათ შორის, სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს Citroen C3 Pluriel-ი – კომპაქტური ავტომობილი, რომელიც სედანიდან ადვილად იქცევა კაბრიოლეტად და, საჭიროების შემთხვევაში – პიკაპადაც კი. ამ მეტამორფოზის პირველი სტადიაა ღიალი-უკიანი და ჩამოწეულმინებიანი, ე.წ. პანორამული ავტომობილი. ასეთ შემთხვევაში,

მისი საბარგულის მოცულობა 267 ლ-ს აღწევს. კაბრიოლეტის ვარიანტში, ელექტროამძრავი დაკეცავს სახურავს, რომელიც საბარგულის გვერდით მდებარე სპეციალურ ქვედანაყოფში ჩაიმალება; ბუნებრივია, საბარგულის მოცულობა ამ დროს ნაკლებია – 137 ლ. აკეცილი უკანა სავარძლების შემთხვევაში, მანქანა გადაიქცევა პიკაპად, რომელსაც ვრცელი სატვირთო პლატფორმა აქვს: მისი სიგრძე 1,75 მ-ს აღწევს.

Pluriel-ი 2 ბენზინის ძრავით აღიჭურვება – 1,4 ლ-იანით (75 ცხ.ძ.) და 1,6 ლ-იანით (110 ცხ.ძ.). ამ უკანასკნელ მოდიფიკაციას SensoDrive-ს სისტემის ავტომატური გადაცემათა კოლოფი

დაერთვება თან. გამორიცხული არ არის, რომ ბაზარზე ეს მანქანა დიზელის ძრავით აღჭურვილიც გამოჩნდება. ეს მით უფრო ლოგიკური იქნება, რომ 1,4 ლ მოცულობის დიზელისძრავიანი C3 დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელთა ფართო წრეებში. ამ მანქანის საშუალო ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე მხოლოდ 4,3 ლ-ს შეადგენს.

Pluriel-ის სერიული წარმოება წლეულს დაიწყება. მისი მინიმალური ფასი სავარაუდოდ, 15.000 ევრო იქნება. „სიტროენის“ მესვეურთა ოპტიმისტური პროგნოზის თანახმად, 2006 წლისათვის, ამ მარკის გაყიდვის მოცულობამ 4 მლნ-ს უნდა მიაღწიოს.





Alfa Romeo-ს ჩემი დიზელი

სტრუქტურულად კონცერნ Fiat-ში შემაგალი იტალიური ფირმა Alfa Romeo, დიზელის ძრავათა სფეროში ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერს წარმოადგენს. 1987 წელს, იტალიური ავტოგიგანტის ინჟინრებმა მსოფლიოში პირველად დააბ-

როექტეს საწვავის პირდაპირი შეშხეფების პრინციპზე აგებული დიზელის ძრავა, რომლითაც Fiat Croma JTD-ი აღიჭურვებოდა. ამ ცოტა ხნის წინ კი, ფირმამ წარმოადგინა ე.წ. მრავალწერტილიანი შეშხეფების მქონე ტურბოდიზელი,

რომელსაც სპორტულ უნივერსალზე – Alfa Sportwagon JTD-სა და კიდევ, 147-ე და 156-ე მოდელებზე დააყენებენ.

ეს აგრეგატი ნეაპოლის მასლობლად მდებარე საკონსტრუქტორო ცენტრში, ცნობილი ავტოინჟინრის, ალესანდრო პიკონეს ხელმძღვანელობით შემუშავდა. ინჟინრებმა ძალზედ ჩუმი, ეკონომიური და ეკოლოგიურად სუფთა დიზელის შექმნა მოახერხეს. ძრავას ვიბრაცია, ცივ მდგომარეობაში მუშაობის სტადიაზეც კი, მინიმუმამდეა დაყვანილი. ახალი აგრეგატის წანამორბედად, ჯერ კიდევ წარმოებაში არსებული 1,9 ლ-იანი, 8-სარქველიანი დიზელის ძრავა ითვლება, რომლის სიმძლავრე 115 ცხ.ძ-ს შეადგენს. მისგან განსხვავებით, მრავალწერტილიანი დიზელს 16 სარქველი აქვს, მისი სიმძლავრე კი, 140 ცხ.ძ-ს აღწევს. საწვავის რეალური ხარჯი, ყოველ 100 კმ-ზე 7,8 ლ-ს არ აღემატება. ■

ევხოპისთვის განკუთვნილი Mazda



წლეკანდელი წლის აპრილში, იაპონური კომპანია ავტობაზარზე კომპაქტურ მოდელს – Mazda 2-ს გამოუშვებს. ავტომობილი ძალზედ მოხდენილი დიზაინით გამოირჩევა, სპეციალისტების აზრით, იტალიურ მანქანებს, მათ შორის – Alfa Romeo 145-ს წააგავს. კონსტრუქტორთა ჩანაფიქრით, Mazda 2-ში ერთმანეთთან შერწყმული უნდა იყოს კომპაქტური გარეგნული ფორმა და ხალვათი სალონი, სოლიდური ჩქაროსნული მახასიათებლები და იაპონური მანქანებისთვის ჩვეული უსაფრთხოება და საიმედოობა. ამ თვისებებით გამოირჩეოდა მისი წინამორბედი

მოდელები – Mazda 121 და Demio.

ახალი მოდელი, კორპორაცია „ფორდის“ სპეციალისტებთან თანამშრომლობით იქმნებოდა: მას იმავე ტიპის პლატფორმა აქვს, რაც კომპაქტურ Fiesta-ს. ის 75, 80 და 100 ცხ.ძ-იანი ბენზინის ძრავებით, აგრეთვე, 68 ცხ.ძ-იანი დიზელის ძრავათი აღიჭურვება. სალონის ტეკადობით, Mazda 2 ერთ-ერთი ლიდერია ამ კლასის ავტომობილებს შორის. უკანა სავარძლებზე საკმაოდ მაღალი მგზავრებიც კომფორტულად იგრძნობენ თავს.

სალონის დიზაინი იმდენად დახვეწილია, რომ უფრო მაღალი კლა-

სის მანქანებსაც კი შეეფერება. მაგალითად, ვერცხლისფერი წინა კონსოლი ძალზედ ჰგავს ისეთს, როგორც ბიზნეს-კლასის ავტომობილს – Mazda 6-ს აქვს. საბარგულის მოცულობა 268 ლ-ს შეადგენს, უკანა სავარძლების დაკეცვის შემთხვევაში კი – 1044 ლ-ს. ამ ბოლო მაჩვენებლის მიხედვით, კომპაქტური „მაზდა“ პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ Audi Avant-ის უახლოვდება.

ახალი „იაპონელის“ ევროპული ფასები ამ წლის დამდეგს გამოცხადდა: ისინი, კომპლექტაციის შესაბამისად, 11.990-სა 13.950-ს შორის მერყეობს. ■



რით გააოსა ქართულმა მეთოქინამ ფრანგი კოლეგა

ნიკო მკედლიშვილი

„თოჯინები ძალიან უცნაური არსებები არიან. ისეთი უცნაური, რომ შეიძლება უცბად გაიბუტონ და არ შეასრულონ ის, რასაც მათგან რეჟისორი მოითხოვს. რეჟისორები კი გაცილებით მეტს ითხოვენ თოჯინებისგან, ვიდრე ცოცხალი მსახიობებისგან“ — ასე დაახასიათა თბილისის თოჯინების თეატრის მთავარმა მხატვარმა, იგა აბაკელიამ, ამ თეატრის პოპულარული თოჯინები, რომლებსაც ცნობილი ფრანგი მეთოჯინე, მარი ჟოც კი ალტაცე-ბაში მოუყვანია. როგორ იქმნება ეს პატარა არსებები და ვინ არიან ის ადამიანები, უზარმაზარ შრომას და ნიჭს რომ დებენ ამ საქმეში?

ნელი კანტიძე, მხატვარი:

— ჯერ მხატვარი ქმნის ესკიზს, რის მიხედვითაც ვსჯელობთ — რა მასალიდან უნდა გაკეთდეს თოჯინა. ტანი ხის მასალით მზადდება, თავი თავდაპირველად, პლასტილინისგან იბერწება, შემდეგ მას მულაჟი უკეთდება. მულაჟს განზომილსთანავე, ვჭრით და პლასტილინს ვამორებთ, რომ თავი მსუბუქი გამოვდეს. ბილოს, ტანსაცმელი იკვრება და ეკვრება ტანს.

ზაზა გონაშვილი, კონსტრუქტორ-მექანიკოსი:

— ყველა თოჯინა ინდივიდუალურია: ნაკეთებით, ხასიათით, მოძრაობით. ყველაფერი უნდა ჯდებოდეს იმ ჩარჩოში, რაც დრამატურმა, რეჟისორმა ჩაიფიქრა. მართალია, ესკიზის მიხედვით ვმუშაობთ, მაგრამ შინაგანი ფანტაზია აუცილებლად უნდა გქონდეს, ხატვა და ბერწვა უნდა შეგეძლოს. თეატრ-

ში ლურსმანსაც ვერ ჩააჭედებ, თუ ეს სამყარო არ გიყვარს. ჩვენთან ჭინჭველა და სპილო ერთი ზომის არიან. თოჯინა საყვარელი პერსონაჟი უნდა იყოს. ჩვენი გველი არ არის ისეთი, როგორსაც ბუნებაში ვხვდებით. ბავშვი უნდა გაიტაცო, მას ვიზუალური საიმოვნება უნდა მიანიჭო, თორემ ზღაპარს ზომ სახელშიც მოვუყვებით.

— ალბათ, უარყოფითი პერსონაჟიც საყვარელი უნდა იყოს, ბავშვს რომ არ შეეშინდეს.

თინათინ ჰაინძე, მხატვარი:

— ახლა, „წითელქუდაზე“ ვმუშაობთ. ჩვენ მეგლის პერსონაჟზე ისე ვიწვალეთ, მე გონი, მიქელანჯელოს არ უწვალა „დავითზე“. ზაზა გონაშვილი:

— არ უნდა დაიკარგოს ის ხასიათი, რომელიც დრამატურმა შექმნა: მეგლი, მეგლი უნდა იყოს. ამავე დროს, არ უნდა გავიმეოროთ ის, რაც სხვას გაუკეთებია. ამიტომ, ჩვენი მეგლი განსხვავებული იქნება.

— რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

თინათინ ჰაინძე:

— ჩვენს მეგლს უზარმაზარი ხახა ექნება, რომ წითელქუდაც ჩაყლაპოს და ბებაც. მსახიობზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული: როგორ ითამაშებს, როგორ გაანზოგანებს. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ცხოვრებაში ბევრი სირთულე ელის. ის პატარაობიდანვე უნდა მოვამზადოთ საიმოსოდ, რომ თუ მეგლი შეხვდა, არ შეეშინდეს...

— ალბათ ძნელია თოჯინისთვის ტანსაცმლის შეკვრა?

იშრა ჩიკვილაძე, მოდელიერი:

— საერთოდ, მხატვრის მიერ შექმნილი ესკიზების მიხედვით გვერავთ, მაგრამ ხანდახან, ჩვენი შესწორებებიც შეგვაქვს. ჩვენ უნდა დავინახოთ ის ნაკლი, რომელიც ამა

თუ იმ თოჯინაშია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გამოჩნდება სცენიდან ფერი, ფორმა და ა.შ. თან, ისეთი პრანჭები არიან ჩვენი თოჯინები, ზოგჯერ მართლაც ჭირს მათთვის მოდელის შექმნა (იკინის).

ნელი კანტიძე:

— ძალიან უნდა მოინდომო, რომ რაღაც გამოვიფიქროს. უნდა გიყვარდეს შენი საქმე, ბავშვები.

— და მინც, ალბათ ჩვენი თოჯინები დასავლეთის ქვეყნებში შექმნილი ნიმუშებს ვერ გაუწევს კონკურენციას... ზაზა გონაშვილი:

— ერთ ფაქტს მოგიყვებით. ორი წლის წინ, ფრანგი მეთოჯინე, მარი ჟოც ჩამოსული. ჩემი „მარტინა“ (მექანიზმი, რომლითაც მოძრაობს თოჯინა) რომ ნახა, განცვიფრებული დარჩა, — მსგავსი რამ არსად მინახავსო. მაშინ მთელი ღამე გავატენე და ზუსტად ასეთი ხელსაწყო გავუკეთე და ვუსასოვრე ჩემს ფრანგ კოლეგას.

— ეი. ფრანგები უკან ჩამოვიტოვეთ?

— იქ მეთოჯინის პროფესია არ არსებობს. ძირითადად, მოყვარულები არიან, მაგრამ აქვთ შესანიშნავი მარიონეტები და დროდღრო, ახალ-ახალს იგონებენ. ამას წინათ, ფესტივალზე შიშველი ქალი გამოსულა. ის თავდაყირა, ხელებით იდგა და ფეხებით „პეტრუშკები“ (ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინა) ეჭირა. ჩემთვის წარმოუდგენელია, ამგვარად ბავშვების წინაშე გამოსვლა. მეთოჯინის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, მაგრამ ეს მეტისმეტია.

— ჩანს თუ არა ქართული ხასიათი, უცხოური ზღაპრების თოჯინებშიც?

თინათინ ჰაინძე:

— საქართველოში რა ჯიშის ვაზიც არ უნდა დარგო, მინც რქაწითელი გამოვა. ასევე თეატრშიც: სადაური ზღაპრიც არ უნდა დადგა, მინც ქართული ხასიათის პერსონაჟები გამოვივა.



კლასიკოსთა ფოტოგრაფიების გამოფენის თავისდათავადი კომპოზიციური გამოწვევა

ბრიტანული გაზეთის Daily Telegraph-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, გერმანელ მეცნიერებს ცნობილი ისტორიული პიროვნებების ფოტოგრაფიები შეუქმნიათ. სახელგანთქმულ ევროპელთა ფოტოგრაფიების შექმნის იდეა, კიოლინის უნივერსიტეტის მკვლევარებს ეკუთვნის. მათ თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ბოროტმოქმედთა საიდ-



უილიამ შექსპირი

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

ენტიფიკაციო ინტერაქტიული კომპიუტერული სისტემა გამოიყენეს, რომლის მეშვეობითაც, პოლიციელები მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, სამ საათში დამანაშავის ფოტოგრაფიას შექმნიან. გამოჩენილ მოღვაწეთა სახეების შესაქმნელად, მეცნიერებმა სისტემაში შეიყვანეს თანამედროვეთა მიერ მათ შესახებ გამოთქმული გარეგნული აღწერილობები, ანატომიური თავისებურებანი და ქრონიკული დაავადებები.

აღმოჩნდა, რომ კომპიუტერული გადაამუშავების შემდეგ მიღებული შედეგები, ამ პიროვნებებზე გავრცელებული

ბული ტრადიციული შეხედულებებისაგან საგრძობლად განსხვავდებოდა. მაგალითად, უილიამ შექსპირი გაქონილთმიან, მოჯიბგირო ტიპად წარმოგვიდგა; სუსტი სქესის სახელგანთქმული გულთამპყრობელი, ჯაკომო კაზანოვა კი, სამკეცლაბაბიან, საღაზღვევო კომპანიის აგენტის მსგავს ადამიანად წარმოჩნდა, რომელსაც აშკარად ეტყობა შუახნის ასაკისათვის დამახასიათებელი კრიზისის დაღი. მეცნიერთა კვლევის შედეგების მიხედვით, არც ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი გამოიყურება ვარდ-

ისფერლოცება, მხიარული ადამიანივით, როგორც იგი ფილმ „ამადეუსში“ გამოყვანილი. კომპოზიციური პატარა ტანისა ყოფილა, ამასთანავე, ბავშვობაში რაქიტი ჰქონია გადატანილი, ხოლო დიდობაში – რევმატიული დაავადებებისგან იტანჯებოდა. ფოტოზე მოცარტი, საკუთარი ნების წინააღმდეგ, ნარკოტიკებით გაჭყეპილი თაღლითივით გამოიყურება.


ავსტრიელი კომპოზიციური თავისდათავადი პროტესტი უკვე გამოხატეს, თუმცა გამოფენის (რომლის სახელწოდებაცაა Delusion – „ცდომილება“) ორგანიზატორები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი ხელს უწყობენ ხალხთან გენიოსების დაახლოების პროცესს. „ჩვენ გვსურს, რომ კლასიკოსები ჩამოვიყვანოთ პიედესტალებიდან და ვიხსნათ მათთვის შეუფერებელი სვედრისაგან, რაც მათი პორტრეტებით შოკოლადის ნაწარმის გაფორმებითაა გამოხატული“, – განაცხადა კიოლინის უნივერსიტეტის პროფესორმა, ელმარ ბაკმა.

სენსაციები

მზიკ ჩოპინსს შვიდწლიანი კასტირობა მიუსაჯეს

ცნობილია, რომ 2002 წლის თებერვალში, პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადის აეროპორტში საბაჟოს თანამშრომლებმა კონტრაბანდის გადატანის მცდელობისათვის ამერიკელი მსახიობი, ერიკ რობერტსი დააკავეს. იგი ისლამაბადიდან არაბთა გაერთიანებულ საამიროებში აპირებდა გაფრენას, მის ბარჯში კი, საბაჟოს თანამშრომლებმა 3,6 კგ ოპიუმი აღმოაჩინეს. ამ დღეებში, პაკისტანის ქალაქ რავალპინდიში გამართულ სასამართლოზე რობერტსს განაჩენი გამოუტანეს. მას შვიდწლიანი პატიმრობა მიე-

საჯა. როცა ჯულია რობერტსის უფროს ძმას აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლის თანდასწრებით განაჩენი გააცნეს, მსახიობი ატირდა. ცოტა ხანში, როცა დაწყნარდა, განაცხადა, რომ იგი უდანაშაულოა. ერიკი იმასაც ამტკიცებდა, რომ მას პაკისტანის მთავრობის ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა თავისუფლება შესთავაზა 125 ათასი დოლარის საფასურის სანაცვლოდ, მაგრამ მან უკანონო გარიგებაზე უარი განაცხადა. ახლა კი შვიდი წელი ციხეში ყოფნა მოუწევს.



ისცუქდი ტრენინსა და ლიტსემის შელახვისათვის 10 მლნ დოლარს ითხდეს

ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა კლინტ ისტუვდმა სასამართლოში უჩივლა საკუთარ ბიოგრაფს – პატრიკ მაკგილიგანს. იგი ავტორისაგან წიგნში – „კლინტი: ცხოვრება და ლეგენდა“ – გამოქვეყნებული ცილისმწამებლური ინფორმაციისათვის 10 მლნ დოლარს მოითხოვს. მსახიობის ადვოკატის – მარშალ გროსმანის თქმით, წიგნში უამრავი ისეთი ფაქტია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. კერძოდ, ისტუვდი კატეგორიულად უარყოფს და ცილისმწამებლურს უწოდებს იმ ფრაზას, სადაც იგი ათეისტად გამოყვანილი. გარდა ამისა, ისტუვდი მის მიერ პირველი ცოლის ცემის ფაქტებსაც სიცრუედ მიიჩნევს. სარჩელში საუბარია იმაზე, რომ მსახიობის პირველ ცოლს, მეგი ისტუვდს თავადაც შეუძლია სასამართლოს წინაშე იმის დადასტურება, რომ მეუღლეს მასზე ხელი არასოდეს აუწევია. თავის მხრივ, პატრიკ მაკგილიგანი ირწმუნება, რომ მეგის ცემის ფაქტს არაერთგზის შესწრებია კლინტის მეგობარი და მისი რამდენიმე ფილმის პროდიუსერი – ფრიც მანესი. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, დადასტურებს თუ არა მანესი ბიოგრაფის სიტყვებს სასამართლოზე. მაკგილიგანმა განაცხადა, რომ სასამართლოს უწყების მიღება, ცოტა არ იყოს, უსამოვნო გახლდათ მისთვის, მაგრამ ისიც დასძინა, რომ მსახიობის ასეთი ქმედება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. „იგი მუდმივად ვიღაცას უჩივის, – ამბობს ავტორი, – მან კარიერა იმის ხარჯზე გაიკეთა, რომ ყოველთვის ცდილობდა, არ გავრცელებულიყო მისი ბიოგრაფიის უსამოვნო ფაქტები“.



ბომბი უილიამსი ახალ ბრეტდს ამცაბრძს

ნისლიან ალბიონზე 2002 წლის მანძილზე გამოსულ დისკებს შორის, ყველაზე დიდი პოპულარობით, მომღერალ რობი უილიამსის ახალი ალბომი – Escapology სარგებლობს და ეს ოფიციალურადაც აღიარეს. ალბომის გამოსვლიდან ხუთი კვირაა გასული და იგი კვლავაც სათავეში უდგას ბრიტანულ ჰიტ-ალბომს. დღეისათვის, მხოლოდ ალბიონზე მილიონზე მეტი ფირფიტაა გაყიდული, მსოფლიო მასშტაბით – 4,4 მლნ ეგზემპლარი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკვე მესამე წელია, რაც რობი უილიამსი საშობაო ჩარტებს უდგას სათავეში. თუმცა, ყველაზე სერიოზული გამოცდა Escapology-ს ჯერ კიდევ წინ აქვს: 2003 წელს დისკი მსოფლიო მუსიკალური სამყაროს ყველაზე დიდ ბაზარზე – აშშ-ში გამოვა. უილიამსმა, ჯერჯერობით, ვერც ერთი თავისი ნამუშევრით შტატებში განსაკუთრებული წარმატების მოპოვება ვერ შეძლო.



ელ მაკფერსონი კინაღამ სელმეტბრდ გაბატბრუს



მძარცველები, ცნობილი ავსტრალიელი მოდელის – ელ მაკფერსონის ლონდონის სახლის გაძარცვას ცდილობდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, უსაფრთხოების სისტემა ჩართო და ქურდები იძულებულნი გახდნენ, გაქცეულიყვნენ. მაკფერსონმა ეს სახლი უსაფრთხოების სისტემით მხოლოდ მას შემდეგ აღჭურვა, რაც 2002 წლის მაისში, ქურდებმა ყოველგვარი პრობლემების გარეშე, იქიდან 500 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების სამკაულები წაიღეს. როგორც ამბობენ, ელ მაკფერსონს, რომელიც ახლა მეორე შვილზეა ორსულად, ძალიან ეშინია იმის, რომ მძარცველები კვლავაც ეცდებიან სახლის გაქურდვას, როცა იგი და მისი 4 წლის ვაჟი მარტონი იქნებიან. შეგახსენებთ, რომ მაკფერსონის ქონება 50 მლნ გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული.

ლტპესისა და ატლუკის ტბტწილი განუსაგლბრული ვადით გადბიდბ

მომღერალ ჯენიფერ ლტპესისა და მსახიობ ბენ აფლეკის ქორწილი, რომელიც წმინდა ვალენტინის დღეს (14 თებერვალს) უნდა გამართულიყო, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. შეგვარებული წყვილის გეგმები, საქმროს საუკეთესო მეგობარმა – მეთ დეიმონმა ჩაშალა, რომელიც დაჟინებით ურჩევდა ბენს უარი ეთქვა ქორწინებაზე. გაზეთ „დეილი სთარის“ ცნობით, დეიმონი ლტპესს „სერიულ საპატარძლოს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ მან ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დაანგრია წინა ორი ოჯახი. მეთის მეგობრისადმი გამოჩენილმა მზრუნველობამ ძალზედ გააღიზიანა 32 წლის პოპ-საოცრება. ამბობენ, რომ მან ულტიმატუმიც კი წაუყენა აფლეკს და მასა და მეგობარს შორის არჩევანის გაკეთება მოსთხოვა. „ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჩვენს რომანში, ორის ნაცვლად, სამი ადამიანი მონაწილეობდეს“, – დაიჩვილა მეგობრებთან ჯენიფერმა. მეგობრების თქმით, სწორედ დეიმონის გამო მომხდარი უსამოვნება გახდა ჯერისწერის ცერემონიის გადადების მიზეზი, რომლის მოსაწყობადაც ლტპესი 1,5 მლნ დოლარის დახარჯვას აპირებდა. „მათ ისევ ისე უყვართ ერთმანეთი და ოდესმე ალბათ დაქორწინდებიან კიდევ, თუმცა არა წმინდა ვალენტინის დღეს. ჯენიფერი შეძრწუნებულია იმ ფაქტით, რომ მეთი ბენს ნახ გრძნობებს უწამლავს“, – განაცხადა ჯენიფერის ახლობელმა.



მეზაია ძეი, მსთლდ რსაცვლომდრეა პტპულაბრელი

ამერიკელმა მომღერალმა მერაია ქერიმ გაიმეორა „ძირითადი ინსტინქტის“ ცნობილი სცენა: იგი ტელეშოუზე მინიბოლოკაბაში გამოწყობილი გამოცხადდა, საცვლის ჩაცმა კი, როგორც ჩანს, დაავიწყდა. პოპ-საოცრება ინტერვიოზე მინეაპოლისის ტელეარხმა მიიწვია. ვარაუდობდნენ, რომ შოუ, რომელსაც რამდენიმე ათეული მაყურებელი დაესწრობოდა, მერაია ქერის ახალი ალბომის სიმღერით დაიწყებოდა, შემდეგ კი, ის სიმღერის შექმნის საიდუმლოებებს გაუმხელდა და შემოქმედებით გვემებსაც გააცნობდა დამსწრეთ. თუმცა, სავარძელში მოკალათებული მერაია აუდიტორიის წინაშე ბევრად უფრო „გულახდილი“ აღმოჩნდა, ვიდრე ამას ვინმე მოელოდა. მისი მინიბოლოკაბა სულ უფრო და უფრო ზევით მიიწვევდა, რამაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო არა მარტო მაყურებელი, არამედ ტელეარხის ხელმძღვ-



ანელობაც, რადგან ვარსკვლავი შოუზე უსაცვლოდ მისულიყო. შოუს ერთ-ერთმა წამყვანმა პიჯაკიც კი გაიხადა და მერაიას მისი, მუხლებზე წაფარება შესთავაზა. თვითმხილველთა თქმით, ქერი წამომდგარა, თქილებზე ხელის ჩამოსმით ქვედაბოლო გაუსწორებია, ისევ სავარძელში ჩამჯდარა და ფეხი ფეხზე გადაუდვია, მაგრამ ურჩი ბოლოკაბა ისევ ზევით ასცოცებია... „ძიელი შოუს მანძილზე, ჩემს თავს ერთ შეკითხვას ვუსვამდი: მართლა ვხედავდი თუ არა იმას, რასაც ვხედავდი?!“ – ჰყვებოდა გადაცემის დამთავრების შემდეგ წამყვანი.

მოგვიანებით, 32 წლის მომღერალმა აღიარა, რომ სხვა დროს, უფრო წინდახედული იქნება. თუმცა, არც იმას გამორიცხავენ, რომ მერაიამ ტრიუკი – ალა შერონ სტოუნ, საკუთარი ალბომის – Charmbracelet-ის სარეკლამოდ ჩაატარა.



კლინტონი და უილისი მეცთქეში ყთვილან!

შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი მალულად ხვდება ჰოლივუდის ვარსკვლავს, დემი მურს. მის ექსქმარი და კოლეგა, ბრიუს უილისი, დარწმუნებულია, რომ კლინტონი მურსაც ისევე მოექცევა, როგორც თავის ყოფილ საყვარლებს, – გამოიყენებს და მიატოვებს. „ფეოფელნიუსის“ ცნობით, კლინტონისა და დემი მურის რომანი ამ ცოტა ხნის წინ დაწყებულა. ინფორმირებული წყაროს განცხადებით, პოლიტიკოს-ლოველას არ გასჭირვებია 40 წლის კინოვარსკვლავის მოჯადოება. პირველივე შეხვედრის შემდეგ, მური მოხიბლულა მოწიფული მამაკაცის სექსუალობითა და გონებაშახვილობით. ამბობენ, რომ წყვილი რამდენჯერმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც გამოჩნდა და იმასაც დასძენენ, რომ მური ფრიად ბედნიერად გამოიყურებოდა. ბუნებრივია, კინოვარსკვლავის ახალი გატაცების შესახებ, მისმა ყოფილმა ქმარმა – ბრიუს უილისმაც შეიტყო. მას შემდეგ, რაც ოთხი წლის წინ ვარსკვლავური წყვილი გაიყარა, უილისი გარკვეული ხნის მანძილზე, მოპოვებული თავისუფლებით ტკებოდა. თუმცა მოგვიანებით, მას სულ უფრო და უფრო ხშირად ხედავდნენ ყოფილი ცოლისა და მათი სამი შვილის გარემოცვაში. ისიც ცნობილია, რომ ბოლო ხანებში, ცოლყოფილის გულის მოსანადირებლად უილისი ძალ-ღონეს არ იშურებს და კლინტონის მეტოქის სახით ასპარეზზე გამოჩენა, მას ძალიან აღიზიანებს. ბრიუსმა გააფრთხილა მური, რომ 56 წლის პოლიტიკოსთან ურთიერთობა კარგს არაფერს უქადის. მან ცოლყოფილს ექსპრეზიდენტის ადრინდელი სასიყვარულო თავგადასავლებიც შეახსენა და კლინტონს გაიძვერა მელა და „ჯონ კენედზე უარესი მექალთანე“ უწოდა.

სრტ პტლ მაკარტნი საგვარტულტ გტბმის მტლტმტლია

სერ პოლ მაკარტნი, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი საგვარეულო გერბის მფლობელი გახდა, რაც მისი უდიდებულესობის რაინდთა ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. მის გერბზე გამოსახულია არწივისა და ფენიქსის ელემენტების შერწყმით მიღებული ფანტასტიკური ფრინველი, რომელიც ძველთაგანვე ლივერპულის სიმბოლოდ აღიქმებოდა და ქალაქის გერბზეცაა გამოსახული. მაკარტნის გერბზე ფრინველს კლანჭებით გიტარა უჭირავს.



საკუთარ გერბზე ამ სიმბოლოს გამოყენებით, მაკარტნის სურდა, საკუთარი წარმოშობისა და Beatles-ის დარსების ადგილისთვის გაესვა ხაზი. გერბის ტრადიციულ დევიზად სერ პოლმა ლათინური წარწერა – Ecce Cor Meum („განჭვრიტე ჩემი გული“) აირჩია, რომელიც მის მიერ შეთხზული ორატორიის სათაურს წარმოადგენს. გერბი სერ პოლ მაკარტნის 1484 წელს დარსებულმა ბრიტანეთის ჰერალდიკურმა პალატამ გადასცა, რომელსაც საკუთარი საგვარეულო გერბის შექმნის თხოვნით, მომღერალმა რაინდის ტიტულის მიღებისთანავე (1997 წელს) მიმართა. თუმცა გერბის პროექტის დამტკიცებას 1998 წელს მაკარტნის პირველი ცოლის, ლინდას გარდაცვალებამ შეუშალა ხელი. მაკარტნის გერბზე ოთხი ხოჭოს ზურგიც არის ამოტიფურული, რაც ლივერპულის ლეგენდარულ ოთხეულზე მიანიშნებს მნახველთ.

ნება რების კორმონი



რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

რა არის სიყვარული

ხმაური თავში, სხეულის სიმხურვალის შეგრძნება, უძილობა, უმადობა, გულის ფრიალი... ეს ყველაფერი მძიმე დაავადების ნიშნები არ გეგონოთ, ეს მხოლოდ სიყვარულია. ეს გრძნობა უნდა განვიხილოთ როგორც დიდი საოცრება, თუ როგორც ბანალური ქიმიური რეაქციების შედეგი? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ორივე ვარიანტი მართებულა.

ყურებამდე შეყვარებული

სიყვარულის ჰორმონი ნაპოვნია! ესაა ოქსიტოცინი, რომელიც აგრეთვე ასტიმულირებს სამშობიარო მოქმედებას, იწვევს ჭინთვებს მშობიარეში. აღნიშნული ნივთიერება გამოიყოფა მოფერების, კოცნის, სქესობრივი აქტის დროს და ნერვულ დაბოლოებებს უფრო მგრძობიარეს ხდის,

ასტიმულირებს კუნთების კუმშვადობას. სწორედ ოქსიტოცინის უშუალო მონაწილეობით ყალიბდება სექსუალური და ემოციური შეთვისება ქალებში.

ოჯახური ცხოვრება – ნარკოტიკი

როგორ იწყება სიყვარული და სად ქრება იგი? ამ მარადიულ კითხვებზე მეცნიერებს აქვთ პასუხი.

შეყვარებულობის დასაწყისში ტვინი გამოყოფს ეიფორიის გრძნობის გამოწვევს ნივთიერებებს – ამფეტამინებს. მათი მოქმედება საშუალოდ არ არის: აუცილებლად ხდება შეჩვევის ეფექტი და იმისათვის, რომ გრძნობები არ გაქრეს, ორგანიზმმა ამფეტამინები ყოველდღიურად უნდა გამოიმუშაოს, სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით. მაგრამ ორგანიზმის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის: ამფეტამინური „ნარკომანია“ შეიძლება გაგრძელდეს 2-3 წელი. სწორედ ამ ხნის განმავლობაში ცოცხლობს ვნებიანი სიყვარული.

როცა იგი ქრება, ჩვენ ვღვებით არჩევანის წინაშე: განშორება და ახალი პარტნიორის მოძებნა თუ სანგრძლივი და ბუნდობლივი ოჯახური ცხოვრება. ბოლო ვარიანტი შესაძლებელია, თუ პარტნიორთან კონტაქტის დროს ორგანიზმში გამოიშვება ენდორფინები (ლათინურად ნიშნავს შინაგან მორფინებს), რომელიც თავისი ქიმიური შემადგენლობით ნამდვილად ჰგავს მორფიუმს. სწორედ ეს ნივთიერება აძლევს ადამიანს კომფორტის, კმაყოფილებისა და უსაფრთხოების შეგრძნებას.

ენდორფინული სიყვარული შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდეს. შეყვარებულთან განშორებისას, ადამიანი შეიძლება სერიოზულად დაავადდეს: ორგანიზმში ვეღარ ღებულობს „ნარკოტიკის“ ყოველდღიურ დოზას, ენდორფინების დონე ქვეითდება და ეს მდგომარეობა ფიზიკური და სულიერი განცდებით ჰგავს ნარკოტიკულ აბსტინენციას.

დეზოდორანტები ხელს გვიშლის სიყვარულში

ჩვენ სუნების სამყაროში ვცხოვრობთ და სწორედ ისინი განსაზღვრავს ჩვენს არჩევანს სიყვარულისა და სიძულვილის დროს. ამ არჩევანზე პასუხისმგებელი ორგანო ადამიანის ცხვირია. თურმე იგი ამოიცნობს და აღიქვამს სასქესო აქროლად ნივთიერებებს – ფერომონებს, რომელსაც ენდოკრინული ჯირკვლები გამოყოფს. ფერომონები საპირისპირო სქესის ადამიანის ჰიპოთალამუსზე (ტვინის ნაწილი) ზემოქმედებს, იქცევს მის ყურადღებას და იწვევს სიყვარულის გრძნობას.

დღეს შეყვარება ძნელი გახდა, რადგან ჩვენ სუნამოებისა და დეზოდორანტების უცხო სურნელით ვართ გარშემოცემულნი. ფერომონებისათვის ძნელია ამ წინააღმდეგობის გადალახვა.

დაათვალიერეთ ოჯახური ალბომი

სასიყვარულო კოდი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აქვს, განსაზღვრავს პარტნიორის შერჩევას. აღმოჩნდა, რომ ეს კოდი მემკვიდრულად გადაეცემა. რამდენიმე თაობის მამაკაცებსა და ქალებზე დაკვირვებისას მკვლევარები დარწმუნდნენ, რომ ისინი უპირატესობას ერთი და იმავე ტიპის პარტნიორებს ანიჭებდნენ. ასე რომ, გოგონას შეუძლია აღარ იმკითხაოს, როგორი იქნება მისი მომავალი რჩეული, არამედ უბრალოდ გადაშალოს ოჯახური ალბომი და დატკბეს თავისი დიდი პაპის ახალგაზრდობის სურათებით.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: დაკვირვებებმა უჩვენა, რომ ბუნდობლივი სიყვარულში წვეულებში ცოლ-ქმარი ჰგავს ერთმანეთს თვალის ფერით, სიმაღლით და ფილტვების მოცულობითაც კი. ამ მოვლენის ახსნა მეცნიერებას ჯერჯერობით არ ძალუძს და სიყვარული მაინც რჩება ნამდვილ სასწაულად.

უახლესი გამოკვლევების შედეგები

ინტელექტუალებო, წინ!

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ინტელექტუალური მუშაობა აქტიურებს ორგანიზმის შინაგან ძალებს. ნებისმიერი აქტიური და ინტელექტუალური მოქმედება – უცხო ენის შესწავლიდან მრავალრიცხოვანი კროსვორდების ამოხსნამდე – ადამიანს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ეხმარება. ორგანიზმში რთულ სიტუაციაში მობილიზდება დასმული ამოცანის გადასაჭრელად და

აქტიურებს იმუნურ სისტემას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ვირუსებისა და სხვა დაავადებათა გამომწვევებისაგან ორგანიზმის თავდაცვას.

მტრის გამანადგურებელი

ცნობილია, რომ A ვიტამინის რეგულარული მიღება დადებითად მოქმედებს კანზე და აუმჯობესებს მხედველობას. ტენასის უნივერსიტეტის ონკოლოგებისათვის კი ცნობილი გახდა ამ ვიტამინის ახალი შესაძლებლობები. როგორც გამოკვლევებმა

უჩვენა, A ვიტამინი ინერგება კიბოს უჯრედების აპარატში და მათ თვითდაშლას უწყობს ხელს.

გულის დაავადებათა პროფილაქტიკა

ამერიკელი მეცნიერები შემოთავაზებულნი არიან საშუალო ასაკის ადამიანთა მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებლით, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით და გულის უეცარი გაჩერებითაა გამოწვეული. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ფოლიუმის მჟავის გამოყენება, კვებითი დანამატის სახით, შეამცირებს გულის დაავადებათა განვითარების საშიშროებას საშუალოდ 50 ათასით წელიწადში. მათ კი, ვისაც გული აწუხებს, ექიმები ურჩევენ, თვეში ოთხჯერ მინც ჩართონ კვების რაციონში თევზის 100-გრამიანი ულუფა ან ზღვის სხვა პროდუქტები. აგრეთვე – მწვანე სალათა, ფორთოხლის წვენი და ლობიო.

კომპიუტერულ მუშაობაში მოზარდს ავნოს

კომპიუტერული ტომოგრაფია ხანმოკლე და ინფორმაციული გამოკვლევაა და მან დღეს უკვე საკმაოდ ფართო გამოყენება პოვა, მაგრამ ამერიკის რადიოლოგიის ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერები და პედატრ-რადიოლოგთა საზოგადოება მიიჩნევენ, რომ კომპიუტერული გამოკვლევები უსაფრთხოა მხოლოდ უფროსებისათვის. 15 წლამდე ასაკის ბავშვებს კი რენტგენის გამოსხივებამ შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს. იგი ზრდის ავთვისებიან წარმონაქმნთა განვითარების ალბათობას. რადიოლოგები გვირჩევენ, რომ ასეთი გამოკვლევები ექიმებმა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში დანიშნონ.

არჩევანი თქვენზეა

დიდ ბრიტანეთში მიღებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მარტოხელა მამაკაცები უფრო ხშირად და ადრე კვდებიან, ვიდრე დაოჯახებულები. ინგლისელთაგან დამოუკიდებ-

ლად, ამერიკელი მკვლევარებიც იმავე დასკვნამდე მივიდნენ: ცოლიანი მამაკაცები 1,7-ჯერ უფრო აქტიურები არიან ფიზიკურად, ნაკლებად ეწევიან სიგარეტს, რეგულარულად იკვებებიან. ფრანგი სოციოლოგები კი ამტკიცებენ, რომ მამაკაცები, რომლებიც ყოველდღიურად ეფერებიან და კოცნიან თავიანთ ცოლებს, საშუალოდ 5 წლით უფრო დიდხანს ცოცხლობენ მათთან შედარებით, ვინც ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევს. გარდა ამისა, ყურადღებიანი და თბილი მამაკაცები შედარებით იშვიათად სვდებიან ავტოავარიებში და ხელფასიც მეტი აქვთ ხოლმე.

გარდაცემის ასაკის კრიზისი

ამერიკის სან-დიეგოს უნივერსიტეტის ნევროლოგები ამტკიცებენ, რომ სქესობრივი მომწიფების დროს, ბავშვის ტვინში ხდება ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ადამიანის გამოხატული ემოციის აღქმის უნარზე და პასუხს აგებს ბავშვის ქცევაზე. გამოკვლეულ იქნა 10-დან 22 წლამდე 800 ახალგაზრდა, რომელიც ტესტების მეშვეობით აღწერდა თავიანთ ემოციურ მდგომარეობას. სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ 11 წლის ასაკში, ბავშვებში ნელდება გაბრაზებისა და სიხარულის გრძობების აღქმის სიჩქარე, შემდგომ კი, ყოველწლიურად მატულობს აღნიშნული მაჩვენებელი.

სალსური მადისინის რეცეპტები

ნაღვლის ბუტის ანთება

შეჭამეთ 1-2 კბილი ნიორი, 3-4-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 2-3 კვირაა.

ფილტვების ანთება


1 ჭიქა დანაწევრებული ალოეს ფოთლებს შეურიეთ 1 ჩ/კ მარილი. მიიღეთ თითო ს/კ სამჯერ დღეში, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

დაბალი მკვავიანობით მიმდინარე გასტრიტი

1/4 ჩ/ჭ შავი მოცხარის წვენი სვეთ 3-ჯერ დღეში.

გულის იშემიური დაავადება

250-300 გ დანაწევრებულ ნიორს დაამატეთ 500 მლ თხელი თაფლი. კარგად აურიეთ, დადგით ბნელ ადგილას 5-6 დღე. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი



საათით ადრე. მკურნალობის კურსი – 1 თვე.

გამეტოტება

დანაყეთ 2 ს/კ ოხრახუმის თესლი, დაუმატეთ ცოტა მღუღარე წყალი ისე, რომ მიიღოთ სქელი ფაფა. მიღებული მასა თავის ყოველი დაბანის წინ შეიზილეთ თმის ძირებში.

ოსტეოქონდროზი

სახეზე გახეხეთ საპონი, მოათავსეთ კომბოსტოს ფურცლებზე და დაიფინეთ მტკივნეულ ადგილას, ხერხემალზე ან სახსარზე. მიიმარეთ ლეიკოპლასტიკით. ზევიდან თბილი ნაჭერი შემოიხვიეთ და ასე დატოვეთ ღამის განმავლობაში.

არტერიული წნევის მომატება

2-3 ცალი ცხენის წაბლი ჩაიდეთ ტანსაცმლის მარცხენა ჯიბეში. პერიოდულად ისი-

ნი ხელით გადაადგილეთ, როგორც საანგარიშოს კოჭები.

მომატებული ოფლიანობა

1 ს/კ სალბის ფოთლებს დაასხით 400 მლ მღუღარე წყალი. დააყოვნეთ 1 სთ, გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა 3-ჯერ დღეში, ერთი თვის განმავლობაში.

სახის გაახალგაზრდავება

1/2 ჭიქა ნაღებში გახსენით 1 ს/კ მარილი. მიღებული მასა შეიზილეთ კანში, ორჯერ დღეში, ძლიერი წრიული მოძრაობებით 15-20 წუთის განმავლობაში. პროცედურის ბოლოს, სახე ოთახის ტემპერატურის წყლით ჩამოიბანეთ.

პოტენციის ამაღლება

1,5 ჩ/ჭ ქიშმიში, 2 ლიმონი, 1 ჩ/ჭ ნიგოზი, 0,5 ჩ/ჭ ნუშის გული დაანაწევრეთ და დაუმატეთ 0,5 ჩ/ჭ თაფლი. დადგით 1-2 დღე ბნელ ადგილას. მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

კვების ანგანი



სწორი, რაციონალური კვება ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. იმაზე, თუ რა რაოდენობისა და რა სახის საკვებს იღებს ადამიანი, დამოკიდებულია მისი ფიზიკური მდგომარეობა. საკმაოდ მნიშვნელოვანია კვების რეჟიმი, რომელიც 4 პრინციპზეა დაფუძნებული:

- რეგულარულობა, ანუ საკვების მიღება ერთსა და იმავე დროს.
- გადანაწილება ანუ 3-4-ჯერადი კვება

დღის განმავლობაში.

● რაციონალური კვების მაქსიმალური დაცვა ანუ პროდუქტების შერჩევა, საკვების ყოველი მიღებისას, გააზრებული უნდა იყოს ორგანიზმისათვის ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური ნივთიერებების, ვიტამინების ოპტიმალური რაოდენობით მიწოდების თვალსაზრისით.

● საკვების რაოდენობის ფიზიოლოგიურად დასაბუთებული გადანაწილება დღის განმავლობაში.

განსაკუთრებით სასარგებლოა 4-ჯერადი კვება: ნოყიერი საუზმე სამსახურში წასვლამდე, შედარებით მსუბუქი მეორე საუზმე შესვენების დროს, საფუძვლიანი სადილი და მსუბუქი ვახშამი.

თითოეული კვების დრო, შესაძლოა, საკმაოდ შეიცვალოს შრომისა და დასვენების რეჟიმის შესაბამისად. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საკვების მიღებიდან მეორე კვებამდე დრო იყოს არანაკლებ 4 საათისა, ხოლო ბოლო კვებიდან დაძინებამდე – არანაკლებ 2-3 საათისა.

ეს რეკომენდაციები არ უნდა მივიღოთ, როგორც დოგმა. ცხოვრების პირობების ცვლილებამ შესაძლოა, კორექტივები შეიტანოს მასში. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ კვების რეჟიმის მკვეთრი შეცვლა არ არის სასურველი. იგი ფიზიოლოგიურად გარკვეულ დასაშვებ საზღვრებში უნდა მერყეობდეს და უხეშ დარღვევებს არ უნდა წარმოადგენდეს.

კვების რეჟიმის დაცვასთან ერთად, ზედმეტი არ იქნებოდა ზოგიერთი ფსიქოლოგიური წყის დაცვა.

● ნუ დაჯდებით სუფრასთან დაღლილი. როგორი მშვიდიც არ უნდა იყოთ, დაისვენეთ 10-15 წუთი მაინც.

● ნუ შეჭამთ საჭმელს, როცა გაღიზიანებული, შეშინებული, აღელვებული ან დანაღვლიანებული ხართ.

● შემდეგისდაგვარად თავი აარიდეთ სუფრასთან ისეთ ადამიანთან ერთად ყოფნას, რომელიც თქვენში ძლიერ ანტიპათიას იწვევს.

● თუ რომელიმე კერძი არ მოგწონთ, ნურც გასინჯავთ მას, რადგან იგი სარგებელს არ მოგიტანთ.

● ნუ დაჯდებით სუფრასთან შიმშილის გრძნობის გარეშე და ნუ შეჭამთ უზომოდ ბევრს.



ჯანმრთელობის ელემსირი

თხის რძე

თხის რძე უძველესი დროიდანაა ცნობილი, როგორც სამკურნალო სასმელი, რომელიც ახალშობილთა საკვებადაც კი გამოიყენებოდა. ბუნების ეს ძვირფასი საჩუქარი, ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს სამედიცინო შრომებშია მოხსენიებული, როგორც ჭლექისა და ნერვული სისტემის დაავადებათა სამკურნალო საშუალება. თხის რძით აღფრთოვანებული იყო შუა საუკუნეების ცნობილი ექიმი ავიცენა, რომელიც მას ასაკოვან ადამიანთა საუკეთესო საკვებ პროდუქტად მიიჩნევდა.

პროდუქტთა სიჭარბემ დაუმსახურებლად გამოდევნა თხის რძე ყოველდღიური კვების რაციონიდან, მაგრამ დღეს დიეტოლოგები და რძის პროდუქტთა მწარმოებლები მას ისევ სათანადო სიმაღლეზე აყენებენ და შეუცვლელ, საჭირო პროდუქტად აღიარებენ.

თხის რძე ადამიანისათვის ჯანმრთელობის, სიმხნევისა და დღეგრძელობის მომტანი საუკეთესო საშუალებაა. ამ დიეტური

პროდუქტის მთავარი ღირსება ჩვენი ორგანიზმისთვის საჭირო ყველა ნივთიერების: ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალების, ვიტამინების, ფერმენტების იდეალური თანაფარდობაა. სხვათა შორის, თხის რძე თავისი ქიმიური შემადგენლობით ძროხისაზე უკეთესია და მისი გამოყენება ზრდის კვების რაციონის ბიოლოგიურ ღირებულებას.

თხის რძე დიდი რაოდენობით შეიცავს A და D ვიტამინებს, ამიტომ იგი სასარგებლოა ბავშვების ზრდისა და მხედველობისათვის. მისი ჩართვა ბავშვის კვების რაციონში, რაქიტისთვის მშვენიერი პროფილაქტიკაა.

თხის რძის ცხიმოვანი ბურთულები ძროხისაზე გაცილებით მცირე ზომისაა, ამიტომ მისი ათვისება ბავშვის კუჭ-ნაწლავში უფრო ადვილად ხდება. გარდა ამისა, თხის რძე არ შეიცავს ცილას, რომელიც ხშირად იწვევს ბავშვებში ალერგიას, რომლის გამოვლინებაც მეტეორიზმი (გაზების დაგროვება), გულისრევა. ცილოვანი სტრუქტურა მაქსიმალურად უახლოვდება

დღის რძის ცილათა სტრუქტურას.

თხის რძეში ბევრია მოზარდი ორგანიზმისათვის აუცილებელი ელემენტი – რკინა, რომლის მიღება იცავს ბავშვს სისხლნაკლებობის (ანემიის) განვითარებისაგან.

თხის რძე მხოლოდ ბავშვებისთვის როდია სასარგებლო. მასში, ძროხის რძესთან შედარებით, გაცილებით მეტია ცხიმოვანი მჟავები (ლინოლის მჟავა – 1,5-ჯერ, ხოლო ლინოლენის – 3-ჯერ მეტი). სწორედ ეს ბიოლოგიურად აქტიური მჟავები მონაწილეობს ცხიმოვან ცვლაში და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა სისტემის საშიში დაავადების – ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის.



თხის რძე შეიცავს აგრეთვე მინერალურ ნივთიერებებს: კალციუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, რომელიც აუცილებელია ყველა ორგანოსა და სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამასთან კალციუმის და ფოსფორის თანაფარდობა მასში ოპტიმალურია, ხოლო ამ ელემენტების ნაკლებობა ორგანიზმში ნერვ-კუნთოვანი სისტემის, სისხლძარღვების ფუნქციის მოშლას იწვევს, ზრდის ოსტეოპოროზის (ძვლების გამოფიტვის), კბილების დაშლის საშიშროებას.

სვით ყოველდღიურად თითო ჭიქა თხის რძე და მამინვე იგრძნობთ სიმწნევის, ენერჯის და სასიცოცხლო ძალების მოზღვაებას.

კითხვა



კითხვა: ერთი წლის წინ, სტომატოლოგმა კბილიდან ამომიღო ნერვი და დამიბუნა, მაგრამ ეს კბილი დღემდე მტკივა ჭამის დროს ან ცივის შეხებაზე. რატომ? როგორ დაავადწიო თავი ასეთ ტკივილს?

პასუხი: ალბათ მკურნალობის დროს ბოლომდე ვერ იქნა ამოღებული პულპის ნაწილი ძირითადი ან გვერდითი არხებიდან. ყოველთვის ვერ ხერხდება ხოლმე არხის სიღრმეში შესვლა მისი თავისებურების გამო და როცა იქ რჩება ნერვული დაბოლოება, იგი იწვევს ტკივილის სიმპტომს. საჭიროა, ხელახლა გაიხსნას არხი, გაიწმინდოს და თუ შეუძლებელია დეპულპაციის სრულყოფილად ჩატარება, უნდა გაკეთდეს ნერვის მუმიფიკაცია (დაკონსერვება), რათა შემდგომში ტკივილი აღარ გქონდეთ.

პასუხი

პასუხი: სარძევე ჯირკვლის კიბოს მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ პოტენციალს წარმოადგენს რაციონალური კვების რეჟიმის დაცვა. აღნიშნული დაავადების განვითარების რისკი მნიშვნელოვნად მატულობს ქრონიკულად ჭარბი კვების დროს, აგრეთვე ცხოველური ცხიმების რეგულარული მოხმარებისას, დიდი რაოდენობით ქოლესტერინის შემცველი პროდუქტების და შაქრის მიღებისას. გამოკვლევების მიხედვით, ცხიმოვანი პროდუქტების მოყვარულ ქალებს უფრო ხშირად ემართებათ სარძევე ჯირკვლის კიბო. ამიტომ სპეციალისტები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ დიდი სიფრთხილით მივუდგეთ მსგავსი პროდუქტების მოხმარებას, განსაკუთრებით კი მოვერიდეთ დაბინძურებულ ტერიტორიაზე გაზრდილი ქათმისა და საქონლის ხორცს.

კითხვა: ერთ-ერთ პუბლიკაციაში წავიკითხე, რომ ქალებმა გარკვეული ასაკის შემდეგ, უნდა დაიცვან პროფილაქტიკური დიეტა, რათა არ დაავადდნენ სარძევე ჯირკვლის კიბოთი. მართალია თუ არა ეს და კერძოდ, რომელ პროდუქტებს უნდა ვერიდოთ?

პასუხი: ნებისმიერ ჩვევას მრავალი ფესვი აქვს, მათ შორის ბიოლოგიურიც. ამიტომ ორგანიზმის ბიოქიმიის გარკვეული თავისებურებები, ნივთიერებათა ცვლის, ნერვულ იმპულსთა გადაცემის სპეციფიკურობანი, შეიძლება შემკვიდრულად გადაეცეს ანუ შემკვიდრულად გადაეცემა წინასწარგანწყობა მავნე ჩვევისადმი. გარდა ამისა, ბავშვი, როგორც წესი, ქცევის თავისებურებებს მშობლებისაგან სწავლობს. თუ ადამიანი ნარკომანია და ამას ბავშვი ხედავს, პატარას გადაეცემა ფსიქოლოგიური და სოციალური ქცევის თავისებურებანი. ამიტომ იმის ალბათობა, რომ ასეთი ბავშვი მომავალში ნარკოტიკებს გამოიყენებს, მაღალი გახლავთ.

ნაღების კარაქი უნდა მივიღოთ დღეში არა უმეტეს 20-30 გრამისა, კვერცხი – 4-5 ცალი კვირაში. შემწვარი ხორცი და ხორცის ბულიონი სასურველია მივირთვათ ორ დღეში ერთხელ ან უფრო იშვიათადაც. კვების რაციონში უნდა შევიტანოთ უცხიმო რძის პროდუქტები.

აღნიშნული მითითებები განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაიცვან ქალებმა კლიმაქსის დროს, რადგან ამ პერიოდში ორგანიზმში ხდება ჰორმონული ძვრები და მატულობს მისი მგრძობელობა ცხიმებითა და ქოლესტერინით გადატვირთვისადმი.

ყველა ქალმა უნდა მიაქციოს ყურადღება სხეულის წონას, რომელიც ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესების მგრძობიარე ბარომეტრს წარმოადგენს. ამასთან სიფხიზლე არ უნდა მოდუნდეს ასაკის მატებისას ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში. 20 წლის ასაკში მიღწეული წონა უნდა იყოს სტაბილური მთელი ცხოვრების განმავლობაში. წონის მნიშვნელოვანი ცვლილება ნივთიერებათა ცვლის დარღვევაზე მეტყველებს, რაც მომავალში შესაძლოა სხვა სერიოზული დაავადების, მათ შორის სარძევე ჯირკვლის კიბოს მიზეზიც გახდეს.

კითხვა: ჩემი მეუღლე, რომელიც 25 წლისაა, ნარკომანია. ეს ჩვენი ოჯახისათვის დიდი ტრაგედიაა, მაგრამ გამოსავალი ფაქტობრივად არ არსებობს. მყავს 2 წლის ბიჭუნა. იგი ჯანმრთელია, მაგრამ ახლა იმაზე ვფიქრობ, ხომ არ გადაეცემა ნარკოტიკებისადმი სწრაფვა მემკვიდრულად?

პასუხი: ნებისმიერ ჩვევას მრავალი ფესვი აქვს, მათ შორის ბიოლოგიურიც. ამიტომ ორგანიზმის ბიოქიმიის გარკვეული თავისებურებები, ნივთიერებათა ცვლის, ნერვულ იმპულსთა გადაცემის სპეციფიკურობანი, შეიძლება შემკვიდრულად გადაეცეს ანუ შემკვიდრულად გადაეცემა წინასწარგანწყობა მავნე ჩვევისადმი. გარდა ამისა, ბავშვი, როგორც წესი, ქცევის თავისებურებებს მშობლებისაგან სწავლობს. თუ ადამიანი ნარკომანია და ამას ბავშვი ხედავს, პატარას გადაეცემა ფსიქოლოგიური და სოციალური ქცევის თავისებურებანი. ამიტომ იმის ალბათობა, რომ ასეთი ბავშვი მომავალში ნარკოტიკებს გამოიყენებს, მაღალი გახლავთ.

ანა კურნიკოვა სპორტული სექს-სიმბოლოს სახელი ახალი წლის კალენდრით განიბტკიცა

ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა ბოლო წლებში, ფოტომოდელიობასა და სარეკლამო რგოლებში მონაწილეობას უფრო დიდ დროს უთმობს, ვიდრე სპორტს, რის გამოც, მან მთელი პლანეტის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური სპორტსმენი ქალბატონის იმიჯი შეიქმნა. 2002 წლის 30 დეკემბრიდან 2003 წლის 1 იანვრამდე, ცნობილი ტელეარხი ESPN-ი გადასცემდა რუსი ლამაზმანისადმი მიძღვნილ სპეციალურ პროგრამას, რომელშიც ტელემწევრებს საშუალება მიეცათ ენახათ, თუ როგორ მუშაობდა 2003 წლის კალენდრისათვის განკუთვნილი ფოტოსურათების შექმნედი გადაძღვნი ჯგუფი, რომელშიც ლამაზმანი ჩოგბურთელი შედიოდა. აღსანიშნავია, რომ პროექტის ავტორებმა გადაღებისთვის პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური ადგილი – ტამაული პასი (ჩრდილო-აღმოსავლეთ მექსიკა) აირჩიეს. თვით კალენდარს, ტელეარხი ESPN-ის მიმომხილველები სენსაციურს უწოდებენ. მისი ფასი კი, საჩოგბურთო სექს-სიმბოლოს თავგანსმცემლებისათვის ხელმისაწვდომი იქნება: კურნიკოვას ფოტოებით (და შესაძლოა, მათ შორის – საკმაოდ ინტიმური სურათებითაც) დაშვებულ კალენდარი სულ 12,95 დოლარი ეღირება.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება ისიც, რომ გასულ წელს, აშშ-ის ყველაზე სექსუალურ სპორტსმენ გოგონად სერენა უილიამსი დაასახელეს, რასაც, ცხადია,



კატეგორიულად არ ეთანხმებიან კურნიკოვას თავგანსმცემლები არა მარტო რუსეთში, არამედ ამერიკაშიც. ეს გამოკითხვა სპორტის ამერიკელ გულშემატკივრებს შორის შობის წინ ჩატარდა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ანა კურნიკოვა ოკეანის გაღმაც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. შარშანდელი წლის მიწურულს, მან ქალაქ ვინიპეგში საჩვენებელი მატჩი გამართა მონიკა სელეშთან, რამაც კანადის მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კურნიკოვა ყოველნაირად ცდილობდა, რომ თავი აერიდებინა ჟურნალ Winnipeg Sun-ის კორესპონდენტის შეკითხვისთვის, რომელიც ცნობილ პოპკისტებთან – ჰაველ ბურესა და სერგეი ფეოდოროვთან, აგრეთვე პოპ-ვარსკვლავ ენრიკე იგლესიასთან რუსი ლამაზმანის რომანებს შეეხებოდა. ჟურნალისტებს ძალიან აინტერესებდათ, აპირებს თუ არა, კურნიკოვა ვიდეოკლიპებში მონაწილეობას მომავალშიც (ცოტა ხნის წინ, ჩოგბურთელი ენრიკე იგლესიასის ვიდეოკლიპში გადაიღეს). „ამას მომავალი გვიჩვენებს. შემთხვევითად გითხრათ, რომ მე აქ სათამაშოდ

ჩამოვედი, თუმცა შეიძლება, მეგობარიც გავიჩინო...“ – უპასუხა მათ ანამ.

კურნიკოვასა და სელეშის მატჩს, რომელიც Winnipeg Arena-ზე ქალთა ჩოგბურთის პოპულარიზაციისათვის გაიმართა, 6000 მაყურებელი დაესწრო. როგორც ჟურნალი Winnipeg Sun-ი იუწყება, რუს ლამაზმანს ადგილობრივი მაყურებელი მამაკაცები გამაყრებელი სტვენით შეხვედრიან – რაც იქ სულაც არ ითვლება უპატივცემულობად. ტრიბუნებზე გამოფენილი იყო პლაკატები, რომელზეც ეწერა: „ანა, გვიყვარხარ!“ „ანა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგონაა, – განაცხადა 16 წლის კანადელმა გრეგ ლორენსმა, რომელსაც მატჩზე დასასწრები ბილეთი ერთი თვით ადრე შეუძენია, – ის თვით ბრიტნი სპირსზეც უკეთესია. ბედნიერი ვარ, რომ მისი ხილვის საშუალება მომეცა. ასეთი შანსი ხომ ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა“.

ანას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ვინიპეგში თოვლი ეხილა, მაგრამ ამოდ. ადგილობრივ ჟურნალისტთა შეკითხვაზე – თუ რა ასოციაციას იწვევს მატჩის მონაწილეებში მათი მშობლიური ქალაქის სახელი? – კურნიკოვამ პოპკის კლუბი – „ვინიპეგ ჯეტსი“ დაასახელა, ხოლო სელეშმა – „ვინი-პუხი“...

ჩვენი მკითხველისათვის უინტერესო არც რუსი სექს-სიმბოლოს „ქონებრივი დეკლარაცია“ იქნება. ანას 10 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაქტი აქვს გაფორმებული მსოფლიოში უმსხვილეს ინტერნეტ-კომპანია Terra Lycos-თან. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მას ამჟამინდელმა ბოიფრენდმა, ენრიკე იგლესიასმა კალიფორნიაში 7,5 მლნ დოლარის ღირებულების ვილა უყიდა. მაიამი-ბიჩზე მდებარე ჩოგბურთელის აპარტამენტების ღირებულება კი, 2 მლნია. Adidas-თან გაფორმებული კონტრაქტის შედეგად, კურნიკოვას საბანკო ანგარიში ყოველთვიურად, 3,15 მლნ-ით ივსება. 2,1 მლნ მან „ბერლის“ ბიუსტ-ჰალტერების რეკლამირებისთვის მიიღო. „ომეგას“ საათის რეკლამირებისთვის, „იონექსის“ ჩოგნით თამაშისა და „პეგასოს“ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის 1,4 მლნ-ს იღებს. Adidas-ი ჩოგბურთელს ფირმის ეკიპირებით გადაღებული ყოველი საგაზეთო ან საჟურნალო სურათისათვის 14 ათას დოლარს უხდის.



კვირის (13 - 19 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

თხის რვა - 22/XII-20/I



ახალი ცხოვრება დაიწყო, ყოველ შემთხვევაში, შეეცადეთ მაინც ძალა მოიკრიბეთ და უარი თქვით მავნე ჩვევებზე, შეებრძოლეთ

საკუთარ ნაკლოვანებებს და გვერწმუნეთ - აუცილებლად მიადგევთ წარმატებას.

მერკურო - 21/I-19/II



კვირის დასაწყისისთვის, ენერჯის მოზღვავენს იგრძნობთ. იმდენად მოწადინებული იქნებით, ყველაფერი სწრაფად გააკეთოთ, რომ ცოტა აგრესიულიც კი გახდებით. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, საქმიანი საუბარი გელით ადამიანთან, რომელსაც ენდობთ. უმჯობესია, უქმეები შინ გაატაროთ და საინტერესო წიგნი წაიკითხოთ.

თევზები - 20/II-20/III



ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თქვენს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს უფრო ღრმად ჩასწვდებით. დამშვიდებული, საკუთარი ძალების რწმუნით განიმსჭვალვებით. კონკრეტულად როგორ გამოიყენებთ ამას, ეს უკვე თქვენი საქმეა, მაგრამ იცოდეთ, რომ ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის შანსი მოგეცემათ.

მარსი - 21/III-20/IV




კვირის პირველივე დღეებში, ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც გაიძულებთ, თქვენს საქმეს სხვა თვალთ შეხედოთ და ფულის შოვნის დამატებითი საშუალება გამოიხატოთ. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, თქვენს ახლობელს პრობლემები შეექმნება და ეს თქვენს ცხოვრებაზეც იმოქმედებს. უქმე დღეებში შეეცადეთ, მოზღვავენული ენერჯია სიკეთის ქმნას მოახმაროთ.

კურო - 21/IV-21/V



ორშაბათს და სამშაბათს, ოფიციალური ინსტანციების წარმომადგენლებთან მოვიწვევთ შეხვედრა, რაც გუნებას ნამდვილად ვერ გამოგიკეთებთ. ნეგატიურ ემოციებს საყვარელ ადამიანებზე ნუ გადაიტანთ, თორემ, მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდებით. ოთხშაბათიდან, ყველაფერი მოწესრიგდება, მეტიც - საუკეთესო პერსპექტივაც კი გადაგეშლებათ.

მარსი - 22/V-21/VI




ამ კვირაში, სამსახურში გარკვეული პრობლემები გაგიჩნდებათ, სამაგიეროდ, ოჯახში საუკეთესო ატმოსფერო დისიდურობებს და სამეცნიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვაც დიდ სიამოვნებას მოგვტრიალებს. დიდ სიხარულს მოგანიჭებთ აგრეთვე მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა.

მარსი - 22/VI-22/VII



წვრილმანებზე დროს ნუ დაკარგავთ - ახლა თქვენ საუკეთესო ინტელექტუალურ ფორმაში იმყოფებით და ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრის უნარი შეგწევთ. ამიტომ, ფუჭ საუბრებს არიდეთ თავი და მთელი ძალები სერიოზულ, კონკრეტულ საქმეს მოახმარეთ.

ლომი - 23/VII-23/VIII



უამრავი სასიამოვნო ცვლილება გელით. ჯერ ერთი, კარიერისთვის ძალზედ სასიკეთო პერსპექტივაც შეგექმნებათ; წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით გამოგადგებათ მოლაპარაკების წარმართვის უნარი და თანდაყოლილი დიპლომატიური ნიჭი. მეორეც, საკმაოდ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ცვლილებებია მოსალოდნელი თქვენს პირად ცხოვრებაში.

ქალწული - 24/VIII-23/IX



მთელი კვირის მანძილზე, სამსახურში გალიზიანებული იქნებით ზელოქვეითებისა თუ თანამშრომლების ნებისმიერი შეცდომის, უბრალო ხარვეზისა თუ შრომის დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევის გამოც კი. სამაგიეროდ, ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ყველაზე მიმზიდველ, ნახ და მხიარულ არსებად მოველინებით.

სასწორი - 24/IX-23/X



ახალი წლის პირველ დღეებში, ძალზედ გადაიღალეთ. ამ კვირაში, თქვენი მოთმინება და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. ადამიანებთან ურთიერთობის არაფერი შეგეშლებათ, საქმეებში კი, სისხარტეს, დინამიკურობასა და უტყუარ აღლოს გამოამყლავნებთ. ამასთანავე, ილბალიც თქვენს მხარეზე იქნება.

ღრიანკალი - 24/X-22/XI



ოთხშაბათამდე, მნიშვნელოვანი საქმეების დასრულებასა და საჭირო ადამიანთათვის ახალი იდეების გაზიარებას მოახწვრებთ. კვირის მეორე ნახევარში, ნულარაფერზე იდარდებთ და ცხოვრების დინებას მიჰყვებით.

მევიღოსანი - 23/XI-21/XII



რეკოლუციური გეგმები და გენიალური აღმოჩენები თქვენთვის შეინახეთ. მათი გამხელა, მით უმეტეს - განხორციელებაზე ფიქრი, კარგს არაფერს მოგიტანთ. უმჯობესია, რაც გაქვთ, იმით დაკმაყოფილდეთ, მით უმეტეს, რომ ცუდად ნამდვილად არ გეცხოვრებათ.

ხართ თუ არა დინამიკური ადამიანი?

დინამიკურებს იმ ადამიანებს უწოდებენ, რომლებსაც მუდამ სადღაც ეჩქარებათ, ერთდროულად რამდენიმე საქმის მოგვარებას ცდილობენ და დღე ძალიან ხანმოკლე ეჩვენებათ, რადგან დრო მათთვის შეუმჩნეველად გარბის. ისინი ამით ბედნიერები არიან და თუ ადამიანი დინამიკური არ არის, ამ რიტმში ცხოვრება ძალიან გაუჭირდება. როგორი ხართ თავად, ხართ თუ არა დინამიკური? უბასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს და შეიძლება, საკუთარ თავში რაღაც ახალიც კი აღმოაჩინოთ.



1) გრძნობთ თუ არა თავს მონყენილად, როცა საქმე არა გაქვთ?

ა) დიას და აუცილებლად იპოვით რაიმე საქმეს - 1;

ბ) არა, უსაქმურობა არ გაწუხებთ, შეგიძლიათ ტელევიზორს უცქიროთ ან უბრალოდ რაიმეთი გაერთოთ - 0.

2) დაახლოებით რა დრო გჭირდებათ იმისთვის, რომ დილით შინიდან გასასვლელად მოემზადოთ?

ა) ნახევარ საათზე ნაკლები - 1;

ბ) დაახლოებით ერთი საათი - 0.

3) გიყვართ თუ არა ოთახებში ავეჯის გადაადგილება და ინტერიერის სმირი შეცვლა?

ა) დიას - 1;

ბ) არა - 0.

4) შეგიძლიათ თუ არა ხელი მოჰკიდოთ ისეთ საქმეს, რომლის წარმატებით განხორციელებაშიც ეჭვი გეპარებათ?

ა) რა თქმა უნდა, ცდა ბედის მონახევრა - 1;

ბ) არაფრითარ შემთხვევაში - 0.

5) ჩვეულებრივ, სად ატარებთ შვეპულბას?

ა) მშვიდ, წყნარ და ნაცნობ ადგილას - 0;

ბ) შეძლებისდაგვარად, იმ ადგილას გაემზავრებით, სადაც ნამყოფი არ ხართ და ეცდებით, მრავალი სიურპრიზი მოუწყოთ საკუთარ თავს - 1.

6) გიოცნებიათ თუ არა ოდესმე ჯუნგლებში მოგზაურობაზე?

ა) დიას, ხშირად - 1;

ბ) არა, რა სისულელეა - 0.

7) საერთოდ, როდის გირჩენიათ საქმის მოგვარება?

ა) მაშინვე, როგორც კი საშუალება

მოგეცემათ - 1;

ბ) გირჩენიათ, მნიშვნელოვანი საქმე მეორე დღისთვის გადადოთ, მანამდე კი, ყველაფერი კარგად გაიაზროთ - 0.

8) გიყვართ თუ არა დილის ძილი?

ა) არა, ადრე დგებით, რომ მაშინვე საქმეების მოსაგვარებლად გაიქცეთ - 1;

ბ) დილის ძილი ძალიან გიყვართ - 0.

9) ჩვეულებრივ, როგორ საუბრობთ?

ა) ჩქარ-ჩქარა, რომ ბევრის თქმა მოასწროთ - 1;

ბ) დინჯად, აუჩქარებლად და გააზრებულად, თანაც ისე, რომ მოსაუბრის აზრიც არ გამოგრჩეთ - 0.

10) ჩვეულებისამებრ, როცა რამდენიმე საქმე გაქვთ გასაკეთებელი, რით იწყებთ ხოლმე?

ა) თავდაპირველად ცდილობთ, ყველაზე რთული და არასასიამოვნო საქმე მოავაროთ - 1;

ბ) თავიდან, იოლ საქმეს მოჰკიდებთ ხელს იმ იმედით, რომ რთულ საქმეს მერე, უფრო საფუძვლიანად შეუდგებით და, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ეშველება - 0.

11) ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად, რომელს მიიჩნევთ დასვენების საუკეთესო საშუალებად (აირჩიეთ ერთი)?

ა) ველოსიპედით სეირნობას - 1;

ბ) ცურვას - 1;

გ) ბუნებაში გასვლას - 0;

დ) ტელევიზორის ცქერას - 0.

12) გიყვართ თუ არა ექსპერიმენტები და სიახლეები?

ა) დიას, სიახლეები სწორედ ის არის, რაც ცხოვრებას გიხალისებთ - 1;

ბ) არა, სიახლეების გემზინათ კიდევ - 0.

13) რა არის თქვენი ცხოვრების დევიზი?

ა) „ვინც რისკზე არ მიდის, გამარჯვებასაც ვერ აღწევს“ - 1;

ბ) „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ - 0.

14) როგორი ფილმები გიტაცებთ?

ა) მშვიდი, წყნარი მელოდრამები - 0;

ბ) ფილმები, რომელშიც მოქმედება სწრაფად ვითარდება - 1.

15) თქვენი აზრით, ვინ რჩება ცხოვრებაში გამარჯვებული?

ა) ის, ვინც ყველაფერს წინასწარ ითვალისწინებს და გაუაზრებელ საქციელს არ სჩადის - 0;

ბ) ის, ვინც ჯიუტად მიიწევს მიზნისკენ და ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვას ახერხებს - 1.

დააჯამეთ ქულები


11-15 ქულა: მეტისმეტად დინამიკური ადამიანი ხართ, მუდამ მოუსვენარი, შფოთიანი და იმის შეგრძნებით შეპყრობილი, რომ ვერაფერს ასწრებთ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ საკუთარ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებთ და ცდილობთ, გაცილებით მეტი მოასწროთ, ვიდრე შეგიძლიათ. ამის გამო კი, უკვე დაგავინწყდათ, თუ რას ნიშნავს წყნარ გარემოში დასვენება.

6-10 ქულა: ზომიერად დინამიკური ბრძანდებით. თქვენი მოქმედებები უმეტესად გააზრებულია და არა

ემოციებზე აგებული. ამიტომაც საქმეების მოგვარებასაც ასწრებთ და დასვენებისთვისაც გრჩებათ დრო.

0-5 ქულა: ძალიან მშვიდი და განონასწორებული ადამიანი ხართ. თქვენი აღლევა და წონასწორობიდან გამოყვანა თითქმის შეუძლებელია. საქმეების მოგვარებასაც არ ჩქარობთ და ცდილობთ, ყველაფერი კარგად გაიაზროთ წინასწარ. ამის გამო შესაძლოა, ცხოვრების რიტმს ჩამორჩეთ კიდევ. გვენდოთ — ცოტაოდენი აჩქარება ნამდვილად არ განწყენდათ.

ვისა აქვს ყველაზე დიდი მუხილი?



დღესდღეობით, მსოფლიოს ყველაზე დიდმკერდიანი ქალბატონი, 14 წლის ჩინელი ტინგ ხიაფენი ყოფილა. თურმე მისი ქალური მშვენიერების წონა 20 კგ-ს შეადგენს და მნახველებზე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. ტინგის თქმით კი, მას ცხოვრებაში ყველაზე დიდ პრობლემას საკუთარი ბიუსტი უქმნის. გოგონას სარგო ლიფი თეთრულის მაღაზიებში საერთოდ არ იყიდება და მას ბიუსტ-ჰალტერის მოსარგებად, ადგილობრივ ატელიეში უწევს

სიარული. ტინგს მხოლოდ ერთ პოზაში – ზურგზე დაწოლილს სძინავს. ყველაზე აუტანელი კი, 14 წლის ჩინელი გოგონასთვის ის ყოფილა, რომ თანატოლები მასთან ურთიერთობას გაურბიან: გოგონები „უხეირო მახინჯს“ უწოდებენ, ბიჭები კი, მისი დანახვისას, ყოველგვარი მორიდების გარეშე ხითხითებენ და „მეწველ ძროხას“ ეძახიან. მოდი და ამის მერე, რაღე გაუგე ქალებს: პატარა მკერდი მათთვის უბედურებაა, დიდი – უარესი უბედურება, ნორმალური ზომის ბიუსტს კი, ალბათ მათი აზრით, ჩვეულებრიობის გამო აკლია ღაზათი!

ისხაეღში ძაღლებსა და ჯატებს აიხინალებს ახგებენ

აშშ-ის მხრიდან ერაყზე თავდასხმის სულ უფრო მზარდი მუქარის ფონზე, ბაღდადის მხრიდან ისრაელზე თავდასხმის საფრთხეც ძლიერდება. ამ მიზეზის გამო, ისრაელის მოსახლეობაში საკმაოდ გაიზარდა აირწინაღებზე მოთხოვნილება. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უამრავი მოქალაქე აირწინაღს არა მარტო ოჯახის წევრებისთვის, არამედ შინაური ცხოველებსთვისაც იძენს. მომწამლავე მსუთავი გაზებისაგან ძაღლებისა და კატების დასაცავად, ამ ქვეყანაში უკვე აწარმოებენ „ცხოველთა აირწინაღებს“. ვეტერინარი, რომელმაც ზოოლოგიური მინიაირწინაღი გამოიგონა, ირწმუნება, რომ შინაური ცხოველების პატრონებმა აუცილებლად უნდა შეიძინონ ეს აღჭურვილობა, რათა საფრთხის შემთხვევაში, დაიცვან თავიანთი ოთხფეხა მეგობრები. მინიაირწინაღი საშუალოდ, 15 დოლარი ღირს და იგი განსაკუთრებული, ელასტიკური ქსოვილისგანაა დაზადებული, რათა გამოყენებისას ცხოველს ფაფუკი და ხშირი ბეწვი არ დაუზიანდეს. მომხმარებელს აირწინაღთან ერთად, სპეციალური კომპლექტის შეძენაც შეუძლია, რომელშიც ატროპინის ამპულები (ატროპინი არაერთი მომწამლავე ნივთიერების ანტიდოტა), ანტიბიოტიკები (რომელიც უშუალოდ ციმბირული წყლულისა და სხვა დაავადებებისგან დასაცავად გამოიყენება) და ტრანკვილიზატორები შედის. გზარული მოსახლეობის აზრით, თუ სპარსეთის ყურეში ახალი ომი დაიწყება, გამორიცხული არ არის, რომ ისრაელის ქალაქებს სარაკეტო დარტყმები კვლავაც დაემუქროს.

მდინაჰე ნისანში „ვამპირის“ მოყვითიდი თავი აღმოაჩინეს

შვედეთის ქალაქ ჰალმსტადის მდინარე ნისანში, 22 წლის ადგილობრივი მცხოვრების, მარკუს ნორენის გაყინული, მოკვეთილი თავი აღმოაჩინეს. მეორე დღეს, იმავე ადგილას უთავო სხეული და ნორენის ტანსაცმელიც იპოვეს. შვედეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, მოკვეთილი თავი ბავშვებმა – 13 და 10 წლის და-ძმამ აღმოაჩინა.

ადგილობრივმა პოლიციამ ვერ დაადგინა, თუ როგორ იქნა მოკლული ნორენი. თუმცა, იგი ძალმომრეობის მსხვერპლი რომ გახდა, ამაში სამართალდამცავებს ეჭვი არ ეპარებათ. პოლიციამ პირველ რიგში, ერთ-ერთი კლუბის წევრები დააკითხა, რომელშიც თავად ნორენიც იყო გაწევრებული. ამ დაჯგუფების წევრები სიკვდილის რომანტიზებითა და „ოკულტიზმის სერიოზული ელემენტების გამოყენებით“ არიან ცნობილი. ვამპირებზე არსებულ ლეგენდებსა და გადმოცემებზე დაყრდნობით, ისინი უცნაურ თამაშობებს მართავენ, სადაც თავადაც, ვამპირების როლში გამოდიან. მოკლულის ერთ-ერთმა მეგობარმა პოლიციას აცნობა, რომ სხვებთან ერთად, ნორენი საკმაოდ დიდ დროს უთმობდა თამაშს, რომელსაც კლუბის წევრები „ვამპირი: მასკარადის“ სახელით მოიხსენიებენ. თუმცა, ჟურნალისტებისათვის უცნობია ის, თუ რა როლს ასრულებდა ამ თამაშში მოკლული. ჯერჯერობით, პოლიცია დარწმუნებული არ არის იმაში, უკავშირდება თუ არა მარკუს ნორენის სიკვდილი მის უცნაურ გატაცებას.



სტიჰტიზიოიხი მამაჯაცები მოხაგბე ქაღბაცონებთან შეხვედრას უფიხიან

ბრიტანული პრესა იტყობინება, რომ ლონდონის ერთ-ერთი ქალთა კლუბის, Wood Green Wanderers-ის ადმინისტრაციას, საახალწლო საღამოს გასახალისებლად, დაწესებულია სტრიპტიზიორი მამაკაცები მიუწვევია.



კლუბის წევრთა უმეტესობა კი, მოყვარული და პროფესიონალი მორაგბე ქალები ყოფილან, რომლებთან შეხვედრის პერსპექტივასაც საოცრად დაუფრთხია სტრიპტიზიორი მამაკაცები. შოუბიზნესის სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადებია, რომ ლონდონის Stage-Struck-ის სტრიპტიზიორები უარს აცხადებენ მორაგბე ქალბატონების წინაშე გამოსვლაზე, რადგან მათ საკმაოდ კარგად მოეხსენებათ ამ კლუბის ქალების აგრესიული ხასიათის შესახებ და დასძინა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში მათი ყოველი გამოსვლა, ჩხუბითა და აყალმაყალით მთავრდება ხოლმე. „კლუბის წევრ ქალბატონებს, ორიოდე კათხა ლუდის დაღვევის შემდეგ, კრამბიტი უცურდებათ: ისინი ჩვენს მოცეკვავეებს საკმაოდ უხეშად ექცევიან, ჩქმეტენ და ზოგჯერ რაგბის ბურთივით აქეთ-იქით ისვრიან. ამიტომ ჩვენი ბიჭები აღარასოდეს იცეკვებენ ამ კლუბში“, – განაცხადა შოუბიზნესის კომპანიის წარმომადგენელმა. ქალთა კლუბის ადმინისტრაცია უარს სულაც არ დაულონებია, მათ იოლი გამოსავალი მოუხსნათ: კლუბის წარმომადგენელთა გასართობად, ღისკოთეკა მოუწყვიათ.

ფოტოკუჩიონები



შანახ რეპერა

630
2

№1(35) 9/1-22/1.-2003.

თუხის

მხურნალო

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

მთავარი თემა
ცხოვრების
წესი

ქართველმა
მედიკოსებმა
მუკოვისსიდლონი
დაამარცხეს

არტრიტი

ადენოიდი

სრუ კრუნი

კვების
ანბანი

გისურვებთ
ჯანმრთელობას!